

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის

# ქარხა

675-3/2  
1985

ფილოსოფიისა და  
ფსიქოლოგიის  
სერია

4. 1985

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის „მაცნე“,  
ფილოსოფიისა და ფიზიკოგიის სერია, 1985, № 4

ИЗВЕСТИЯ АКАДЕМИИ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР

ფილосოფიისა და  
ფიქტოლოგიის  
სერია

СЕРИЯ  
ФИЛОСОФИИ И  
ПСИХОЛОГИИ

ეურნალი დაარსებულია 1980 წელს  
Журнал основан в 1980 году

გამოდის 3 თვეში ერთხელ  
Выходит раз в 3 месяца



4. 1985

გამოცემობა „მეცნიერება“  
ИЗДАТЕЛЬСТВО «МЕЦНИЕРЕБА»

თბილისი  
ТБИЛИСИ

## ს ა რ თ ა დ ა გ ვ ი თ პ რ ლ ე ბ ი ა :

თ. ბუაჩიძე, ვ. გრიგოლავა (რედაქტორის მოადგილი), გ. თევზაძე, ვ. კეჭელავა,  
 ზ. მიქელაძე, შ. ნადირაშვილი, ა. ფრანგიშვილი, ნ. ჭავჭავაძე (რედაქტორი),  
 ო. ჯონევი (რედაქტორის მოადგილი).

პასუხისმგებელი მდივანი ც. შალამბერიძე

### РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ:

Буачидзе Т. А., Григолава В. В. (зам. редактора), Джииев О. И. (зам. редактора),  
 Кешелава В. В., Микеладзе З. Н., Надиашвили Ш. А., Пранишвили А. С.,  
 Тевзадзе Г. Б., Чавчавадзе Н. З. (редактор).

Ответственный секретарь Ц. А. Шаламберидзе

© „საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე“,  
 ფილოსოფიისა და ფიქტოლოგიის სერია, 1985

ჩ ე დ ა ქ ც ი ს მ ი ს ა მ ა რ თ ი: თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19  
 Адрес редакции: Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19  
 Телефон 37-95-46

გადაეცა წარმოებას 10.9.85; ხელმოწერილია დასაბეჭდიდ 11.11.85; შეკ: № 2921,  
 ენაწყობის ზომა  $7 \times 111/2$ ; ქაღალდის ზომა  $7 \times 1081/16$ ; მაღალი ბეჭდვა; ნაბეჭდი  
 თაბახი 10,9; საალბიცხვო-საგამომძიებლო თაბახი 8,0; უკ 15315; ტირაჟი 650;  
 ფასი 85 კაპ.

\*

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19  
 Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

\*

საქ. სსრ მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19  
 Типография АН Груз. ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

## შინაარსი

### ფილოსოფია

6.	პეტრიაშვილი, კულტურა, შემოქმედება, ტრადიცია . . . . .	5
8.	ჯოლოვავა, ჰერაკლიტეს დიალექტიკა . . . . .	18
6.	ბუგდინიჩაძე, კანტი ისტორიის საზრისის შესახებ . . . . .	33
3.	ულიანოვა, (ლენინგრადი), რიცხვი მსოფლმხედველობათა დიალოგში . . . . .	43

### ფილოსოფია

8.	პაპაბაძე, „განწყობითი ასახვისა“ და „განწყობის ფორმების“ ცნებები დ. უზნაძის განწყობის ფიქოლოგიაში . . . . .	6.
		49
8.	თაბაშირი, არჩევნი და ალტერნატივათა გადაფასება . . . . .	63
6.	ნავჭავაძე, სოციალური განმტკიცების როლი სოციალური ქცევის განწყობის ღორმირებაში . . . . .	77
9.	პვერიაშვილი, ფიქსირებული განწყობისა და ჩვევის ურთიერთობის საკითხისათვეს . . . . .	85
5.	ქუთათელაძე, ქალაქის „ძველი“ და „ახალი“ საცხოვრებელი გარემოს განწყობის სეული შეფასებანი და არქიტექტურული გეგმარებითი პრობლემები . . . . .	90

### პრალი თარგებები

10.	პანტი, პრაქტიკული გონების კრიტიკა . . . . .	103
-----	---	-----

## СОДЕРЖАНИЕ

### ФИЛОСОФИЯ

Р. М. ПЕТРИАШВИЛИ, Культура, творчество, традиция . . . . .	5
Г. Н. ДЖОЛОХАВА, Диалектика Гераклита . . . . .	18
Н. З. МШВЕНИЕРАДЗЕ, Кант о смысле истории . . . . .	33
О. Н. УЛЬЯНОВА (Ленинград), Число в диалоге мировоззрений . . . . .	43

### ПСИХОЛОГИЯ

В. Л. КАКАБАДЗЕ, Понятия «установочное отражение» и «форма установки» в психологической концепции установки Д. Н. Узнадзе . . . . .	49
Б. Р. ТАГАУРИ, Выбор и переоценка альтернатив . . . . .	63
Н. Н. ЧАВЧАВАДЗЕ, Роль социального подкрепления в формировании установки социального поведения . . . . .	77
Е. Г. ҚВИРИКАШВИЛИ, К вопросу о взаимоотношениях фиксированной установки и навыка . . . . .	85
Н. Т. КУТАТЕЛАДЗЕ, Установочные оценки «старой» и «новой» жилой среды города и архитектурно-планировочные проблемы . . . . .	90

### НОВЫЕ ПЕРЕВОДЫ

Им. КАНТ, Критика практического разума . . . . .	103
--	-----

## ფ ი ლ ო ს ო ფ ი ა

როგორთ პეტრიაშვილი

### პულტურა, შემოქმედება, ტრადიცია

თთქმის ყოველ ფილოსოფიურ ნაშრომში, რომელიც ამა თუ იმ ცნების დადგენას ეძღვნება, აღნიშნულია განსახილველი საგნის გამოყოფის სიძნელე, მისი გაგების სირთულე და განსაზღვრებათა სიმრავლე. მაგრამ, კულტურის მკვლევართა ერთსულოვანი აღიარებით, ძნელია მოიძებნოს ისეთი ტერმინი, რომელიც ამ მხრივ კულტურის ცნებას გაუტოლდებოდა. როგორც ვ. მეჟუევი წერს: „საზოგადოებრივი მეცნიერების არც ერთი ცნება არ იწვევს ისეთ აზრთა სხვადასხვაობას, მოსაზრებებისა და განსაზღვრებების ისეთ მრავალუროვნებას როგორც „კულტურის ცნება“ [20, გვ. 3]. იგივე აზრი პქონდა გამოთქმული ი. შჩეპანსკის: „ძნელია წარმოვიდგნოთ სხვა ისეთი ფართო მნიშვნელობისა და გავრცელების ტერმინი, როგორც კულტურა“ [28, გვ. 38]. ლ. ჭელიძის შეხედულებით, „ჭეშმარიტად, არ მოიძებნება ისეთი სახრიყო კითხვა, ვიდრე ის, თუ რა არის კულტურა“ [26, გვ. 226].

მსგავსი გამონათქვამების მოყვანა კიდევ მრავლად შეიძლებოდა, მაგრამ საკითხის ეს მხარე, მოცემულ შემთხვევებში იმდენადაა საინტერესო, რამდენადც მასთან არის დაკავშირებული კულტურის განსაზღვრებათა სიმრავლე.

ამ ფაქტზე რეაქცია უნდა იყოს ის, რომ კულტურის პრობლემებისადმი მიღწენილ ფილოსოფიურ ლიტერატურაში [8, გვ. 54; 7, გვ. 141] ერთგვარი აღიარება პოვა თვალსაზრისმა, რომლის მიხედვით კულტურის „ცნებამ“ დიდად იზარალა იმის გამო, რომ „კულტურის პრობლემების მრავალი მკვლევარი დაბჭითებით დაიღლობს თავისი განსაზღვრება მოგვცეს“ [4, გვ. 168].

ამასთან, კულტურის რაობის საკითხი კვლავ და კვლავ წამოიჭრება ხოლმე და კულტურის მკვლევარების მიერ ეს ფაქტიც დაფიქსირებულია. იმოწმებს რა ნ. ჭავჭავაძეს, ე. მარქარიანი სამართლიანად შენიშვნას: „სრულიადაც არ არის შემთხვევითი, რომ საკითხი, თუ რა არის კულტურა, როგორია მისი ფუნდამენტური კრიტერიუმი, კულტურის მოვლენების კვლევასთან დაკავშირებული საკითხების ყოველი განხილვისას ხელახლა წამოიჭრება ხოლმე“ [16, გვ. 31].

ამრიგად, უნდა ვიგულისხმოთ, რომ მკვლევართა უმრავლესობისათვის კულტურის რაობის, მისი საზრისის დადგენის პრობლემის წამოწევა თვითმიზანი არ არის. საქმე ისაა, რომ კულტურის მრავალი კონკრეტული საკითხის გადაჭრა „იმაზეა დამყიდებული, თუ როგორ არის განმარტებული კულტურა“ [1, გვ. 46].

ამთავითვე უნდა ითქვას, რომ კულტურის განსაზღვრებათა განუწყვეტელმა ზრდამ მხოლოდ ფილოსოფოსი შეიძლება გააღიზიანოს. კულტურის, როგორც ასეთის, ერთი მთლიანი ფენომენის გამოვლენა მრავალი შეიძლება იყოს, მაგრამ მისი შინაგანი საზრისი, რაც ფილოსოფოსს უნდა აინტერესებდეს, მხოლოდ ერთია, ერთია, რაც მრავალსახოვნად ვლინდება. სხვანაირადაც

საქ. სარ. კ. მარქსის  
სახ. სახ. რამპუბ.

შეიძლება ითქვას: კულტურის ფილოსოფიის მკვლევარი ღალატობს თავის პოზიციას, თუ ერთი და იმავე ფილოსოფიური კონცეფციის შიგნით კულტურის არსებითად განსხვავებული ფილოსოფიური განსაზღვრებების არსებობას ნორმალურ ვითარებად მიიჩნევს.

კულტურის პრობლემებზე დაწერილ ფილოსოფიურ გამოკვლევებში კულტურის შემსწავლელ მეცნიერებათა შორის კვლევის სხვადასხვა დონის მიხედვით გამოყოფენ „კულტუროლოგიას“, ორგორც კულტურის სპეციალურ მარქსისტულ თეორიას, ე. ი. კვლევის თეორიულ დონეს, და „კულტურათმცოდნეობას“, ორგორც ემპირიულ, „აღწერით“ მეცნიერებას [17, გვ. 22; 6, გვ. 167]. კულტურის შემსწავლელ მეცნიერებათა ამგვარი კლასიფიკაცია უფლებამოსილია იარსებოს და გარკვეულად, კულტურის კვლევის მეთოდოლოგიურ პრინციპაც გმოღვება. მაგრამ არსებითი განსხვავება მისი თვალთახედვის მიღმა რჩება და ამიტომ, შეიძლება ითქვას, ის ნაკლოვანია. ჯერ ერთი, არ არსებობს წმინდა ემპირიული, მხოლოდ „აღწერითი“ მეცნიერებები. მეცნიერება აუცილებლად გულისხმობს შესასწავლი სინამდვილის ობიექტური კანონზომიერებების შემცნებას და მათ საფუძველზე მოვლენებისა და პროცესების ახსნასა და გნივითარების მიმართულების დადგენას. ამიტომ ამგვარი წმინდა აღწერითი მეცნიერებანი არ არსებობენ, ან წინააღმდეგობაში არიან თავისთავთან, რამდენადაც მეცნიერებად იწოდებიან; მეორეც, ზემოთ მოცემული კლასიფიკაციით კულტურის კვლევის დონეებს შორის განსხვავება უმთავრესად დაიყვანება მათ მიერ დადგენილი კანონზომიერების ზოგადობის ხარისხზე. სხვა მხრივ, ისინ არსებითად ერთი და იგივე მეთოდებით მოქმედებენ და ერთი ინტერესი აქვთ.

ზემოთქმულის გათვალისწინებით შეიძლება დავასკვნათ, რომ კულტურის განსაზღვრებათა სიმრავლე ორ ძირითად ჭვეფს ქმნის: კულტურის ფილოსოფიური და არაფილოსოფიური, ანუ პოზიტიურ-მეცნიერული განსაზღვრებები. ეს შეიძლება ასეც ითქვას: კულტურის ფილოსოფიური განსაზღვრებები და კულტუროლოგიური განსაზღვრებები. კულტუროლოგია, კულტურის ფილოსოფიასაგან განსხვავებით, ნიშნავს კულტურის განსილვას კონკრეტული მეცნიერების მეთოდებითა და თვალთახედვით. ამრიგად, კულტურის განსაზღვრის ორ პრინციპულად სხვადასხვა წესს განაპირობებს ორი განსხვავებული მიღომა: ფილოსოფიური და პოზიტიურ-მეცნიერული.

კულტურისადმი ფილოსოფიური და პოზიტიურ-მეცნიერული (კულტუროლოგიური) მიღომა, უწინარეს ყოვლისა, იმით განსხვავდებან ერთმანეთისაგან, რომ კულტუროლოგია (ორგორც საკუთრივ კულტუროლოგია, ისე კულტურის შემსწავლელი კონკრეტული მეცნიერებანი) კულტურას განიხილავს ორგორც ფაქტს, ორგორც არსებულს, მის რეალურ ყოფნაში. კულტუროლოგიის ამოცანაა უპასუხოს კითხვას: ორგორი არის კულტურა, ე. ი. ორგორ არის ის აგებული? ორგორია მისი ორგორც ფაქტიური მოცემულობის სტრუქტურა? რა ურთიერთმიმართებაა მის სტრუქტურულ ელემენტებს შორის, ე. ი. ორგორ ფუნქციონირებენ ისინი? ამასთან, რაც მთავარია, კულტუროლოგს კულტურა მთელი თავისი სტრუქტურით აინტერესებს მხოლოდ ობიექტურ მიმართებაში, ორგორც მხოლოდ ობიექტი შემმეცნებელი სუბიექტისაგან განყენებულად. ამ საკითხთან დაკავშირებით საინტერესოდ მსჯელობს ვ. მეუჟევი: „ისტორია ორგორც სპეციალური მეცნიერება ისწავლის შეიმეცნოს სხვა ეპოქა, სხვა კულტურა (სხვა მკვლევართან მიმართებით), ორ-

ვორც რაღაც თავისთავად ფუნქციონირებადი რამ, შემეცნებისაგან დამოუკიდებლად“ [22, გვ. 133].

კულტუროლოგი შემეცნებითი მოღვაწეობის დროს მიზნად ისახავს გახსნას კულტურის ამა თუ იმ სტრუქტურის თავისებურება, დასაბუთოს მისი განსაკუთრებულობა, უნიკალობა სხვა სტრუქტურებთან მიმართებაში.

კულტურისადმი დამოკიდებულებაში კულტუროლოგებისა და კულტურულოსოფოსების ინტერესთა განსხვავებულობის არსი ზუსტად არის გამოკვეთილი ნ. ჭავჭავაძის მსჯელობაში: „კულტურის შესახებ მეცნიერებანი ექტენზენ პასუხს კითხვაზე „როგორ არსებობს, ფუნქციონირებს და იცვლება კულტურა“, ფილოსოფოსები კი ისტრაფვიან კულტურის არსა და საზრისს ჩაწვდნენ“ [24, გვ. 38]. როგორც მარქსი ამბობს, ფილოსოფია გვეკითხება: რა არის ჭეშმარიტება? და არა — რა ითვლება ჭეშმარიტებად? ფილოსოფიას აინტერესებს ის, რაც არის ჭეშმარიტება ყველასათვის, და არა ის, რაც მხოლოდ ზოგიერთებისათვის არის ჭეშმარიტება [3, გვ. 101]. მხოლოდ კულტურის არსის, მისი საზრისის წვდომისას გადავლახავთ დროით-სივრცობრივ საზღვრებს, რომელშიც ყოველთვის ჩაკეტილია კულტურის ესა თუ ის კონკრეტული გამოვლინება. კულტურის ფილოსოფიას, უპირველეს ყოვლისა, აინტერესებს არა ბერძნული ან ჩინური კულტურა, არა პირველყოფილი ან მეოცე საუკუნის კულტურა, არამედ კულტურა როგორც ასეთი, რომელიც უსასრულოდ მრავალი ფორმით შეიძლება არსებობდეს.

კულტუროლოგიისაგან კულტურფილოსოფიის ამგვარი გამოყოფის საფუძველზე შესაძლებელი ხდება გავემიჯნოთ კულტურის არაფილოსოფიურ განსაზღვრებებს და შევეცადოთ ფილოსოფიურ განსაზღვრებათა კლასიფიკაციას.

საკითხი, რასთან მიმართების მიხედვითაც შეიძლება გაირკვეს კულტურის საზრისი და დალაგდეს კულტურის შესაძლო განსაზღვრებები, არის კულტურის არსისეული ფენომენების — ტრადიციისა და შემოქმედების ურთიერთობან და თთოვეულის კულტურასთან დამოკიდებულების საკითხი. კერძოდ, უნდა დადგინდეს კულტურის შინაგანი აგებულება, შემოქმედებისა და ტრადიციის არსი, მათი მნიშვნელობა საკუთრივ კულტურის არსებობაში.

კულტურის, ტრადიციისა და შემოქმედების ურთიერთმიმართების საკითხი საბჭოთა ფილოსოფიურ ლიტერატურაში მრავალნაირადაა გადაჭრილი. ავტორთა ერთი ჯგუფი კულტურას, არსებითად, შემოქმედებით მოღვაწეობას უიგივებს. მაგალითად, ვ. მეუუევის აზრით, კულტურის სფერო შემოქმედების სფეროა [21, გვ. 30—31]. შეიძლება ითქვას, რომ კულტურის როგორც შემოქმედების ინტერაქტურატორთა შორის (ც. არზაკანიანი, ე. ბალერი, ნ. ზლობინი, ლ. კოგანი, ი. ვიშნევსკი,...) ყველაზე თანამიმდევრულად ამ თვალსაზრისს ნ. ზლობინი ახორციელებს. იგი პირდაპირ აცხადებს, რომ „კულტურა — ეს არის ადამიანის შემოქმედებითი, აღმშენებლობითი საქმიანობა“ [12, გვ. 128]. ამასთან, მისი აზრით „კულტურა წარმოადგენს საზოგადოების ისტორიული განვითარების პიროვნულ ასპექტს. კულტურის ღირებულებებს ყოველთვის დაპრავს პიროვნული ელფერი“ [11, გვ. 129]. რაც შეეხება ზეპიროვნულ, ზეინდივიდუალურ ინსტიტუალზებულ სულიერ წარმონაქმნებს (მაგალითად, სკუიალურ ნორმებს და შეზღუდვებს, თეორიებს, კანონებს, სიმბოლურ კონსტრუქციებს და სხვ.), რომელიც ინდივიდს ახსიათებენ როგორც რაღაც ფუნქციის, როლის მატარებელს, ისინი კულტურის სფეროში არ შედიან. მოკ-

ლედ, „ზეინდივიდუალური, „გაუცხოებული“ ურთიერთობების სფეროსაგან განსხვავებით, კულტურის სამყაროს ქმნის მხოლოდ პიროვნების თავისუფალი შემოქმედებითი ინიციატივა“ [11, გვ. 129]. როგორც ჩანს, ეს თვალსაზრისი კულტურის გასაგნებულ, „გარეგან“ ფორმას. აიგივებს მის გაუცხოებასთან. მისი მიხედვით კულტურა, რაკი თავისთვის, სუბიექტისაგან დამოუკიდებელ არსებობას იძენს, აუცილებლად უცხოვდება და უპირისპირდება პიროვნების შემოქმედებით უნარს.

კულტურის როგორც შემოქმედებითი საქმიანობის თვალსაზრისი წარმოიშვა და მიმართულია კულტურის „სტატიკური“ გაგების საწინააღმდეგოდ. იგი დაუპირისპირდა, როგორც ტრადიციულ „აქსიოლოგიურ“ შეხედულებას, რომელიც კულტურას განსაზღვრავს, როგორც კაცობრიობის მიერ მთელი ისტორიის მანძილზე შექმნილი მატერიალური და სულიერი ღირებულების ერთობლიობას, ისე ეგრეთ წოდებულ „ეთნოსოციოლოგიურ“ თვალსაზრისს. კულტურის ბუნების გასაგებად შემოქმედებით მოღვაწეობაზე აქცენტის გადატანით „საკანის“ ნაცვლად ყურადღების ცენტრში მოექცა სუბიექტური საწყისი, რომელიც დაუპირისპირდა კულტურის სუბსტანციურ ნაწილს და თავისში მოაქცია იგი. მოხდა კულტურის პროცესის „ჰუმანიზაცია“. ამასთან ისიც უნდა ითქვას, რომ კულტურის ამგვარი გაგება გარკვეულ სიძნელეებს აწყდება.

იმთავითებე შენიშნულია, რომ კულტურის შემოქმედებით მოღვაწეობაზე დაყვანით კულტურულ მოვლენებს შორის ადგილი იღიარ რჩება ადამიანის მოღვაწეობის სტერეოტიპს (კულტურულ ტრადიციას), რეპროდუქციას [13, გვ. 183—184; 18, გვ. 121]. მაგალითად, ე. სოკოლოვი ამ საკითხზე ასეთ აზრს გამოთქვამს: „საზოგადოება საჭიროებს არა მარტო გარდაქმნას, არამედ ტრადიციის შენარჩუნებას, კულტურის ძეგლების დაცვა—შენახვას. საზოგადოების ყოველგვარი საქმიანობა... შემოქმედებით ასკექტთან ერთად შეიცავს როგორც ფუნქციონირების, ისე კულტურის შეთვისების ასპექტებს“ [23, გვ. 61].

ამრიგად, თვალსაზრისი, რომელსაც კულტურა შემოქმედებაზე დაპყავს შინაგანი წინააღმდეგობის შემცველია. თუ შემოქმედებითი აქტი თვითონ არის კულტურა, მაშინ ამ აქტის ნაყოფი, ის, რაც შემდეგ კულტურულ ტრადიციად გარდაიქმნება, ზედმეტი ჩდება.

უკავშირო ასლოს უნდა იყოს ის შეხედულება, რომლის მიხედვით „საჭიროა გავითვალისწინოთ არა მარტო შემოქმედება, არამედ ნორმაც, რეპროდუქციერებაც, არა მარტო განვითარება, არამედ კვლავწარმოება; საქმიანობის არა მარტო პიროვნული, არამედ „ზეპიროვნული“ საწყისიც, რადგანაც, ყოველი მათგანი არსებობს როგორც მეორის მომენტი“ [6, გვ. 147].

ვიდრე კულტურის ასეთი ინტერპრეტაციის ავ-კარგს შევეხებოდეთ, საჭიროა იმ თვალსაზრისის განხილვა და მისაგან გამიჯვნა, რომელიც კულტურის შემოქმედებითი, „პროგრესისტული“ გაგების მეორე უკიდურესობას, ასევთქვათ, მეორე პოლუსს ქმნის.

ფილოსოფოსთა ერთი გვუფი კულტურის საგნობრივ-ობიექტურ მომენტს აზვიადებს და კულტურას, არსებითად, მის ტრადიციულ, ფაქტიურ, რეალურ არსებობას უიგვებს. ამ თვალსაზრისს, შეიძლება ითქვას, არსებობის მეტი უფლება აქვს. კულტურა თავისი გამოვლინებით, გარეგანი არსებობით მართლაც საგნობრივი, ობიექტური რეალობაა, ნიშნებისა და ნორმების გარკვეული სისტემაა და მისი ერთ-ერთი ძირითადი ფუნქცია საზოგადოებრივ ურთიერთო-

ბათა რეგულაციაა. ამიტომ კულტურას აუცილებლად აქვს ნორმატული, ფუნქციური, ტექნოლოგიური ბუნება, მაგრამ კულტურის მთლიანად მასზე დაყვანა გა გაუმართლებელია.

კულტურის ასეთი ხედვის დროს წინ წამოიწევს (ზოგჯერ მთლიანად ამოწურავს კულტურის შინაარსს) ისტორიულად მოცემული საფუძვლების შენარჩუნებისათვის, მისი კვლავწარმოებისათვის გაწეული მოქმედება. კულტურაში შემოქმედებისათვის ადგილი აღარ რჩება და მთლიანად ტრადიციას უიგვადება. თუმცა, შეიძლება ამ თვალსაზრისის ასეთი ინტერპრეტაცია ზოგიერთი მათგანისათვის მიუღებელიც კი იყოს. მაგალითად, ე. მარქარიანს, — ახასიათებს რა კულტურას როგორც ადამიანის მოქმედების სპეციფიკურ წესს, როგორც ამ მოქმედების განხორციელების „უნივერსალურ ტექნოლოგიას“ [16, გვ. 41], — კულტურა ფაქტიურად დაპყავს საზოგადოების ადაპტაციას ფუნქციაზე.

მიუხედავად იმისა, რომ ე. მარქარიანი არსებითად უარყოფს კულტურის „აქსიოლოგიურ“ ინტერპრეტაციას, იგი კულტურის „ტექნოლოგიური“, „ფუნქციონალური“ ბუნების დასაფუძნებლად „ლირებულებებზე“ უარს არ ამბობს.

ე. მარქარიანის მსჯელობის ლოგიკური გზა ასეთია: მას საზოგადოება შეკყავს ადაპტირებადი ცოცხალი სისტემების კლასში. შემდეგ კი ეძებს მის სპეციფიკას [19, გვ. 20], იმას, რაც საზოგადოებას ყველა სხვა სისტემებისაგან განასხვავებს. ამ უკანასკნელს იგი პოულობს კულტურაში, როგორც მოქმედების არაბიოლოგიურად გამომშავებული საშუალებების ერთობლიობაში [19, გვ. 20]. საზოგადოების ძირითადი, ინვარიანტული მიზანი (უნდა ვიგულისხმოთ, რომ ეს მიზანი, ე. მარქარიანის მიხედვით, ადამიანის, საზოგადოების უმაღლესი ღირებულებაცა) არის „საზოგადოების თვითშენახვა, როგორც ცოცხალი სისტემების სპეციფიკური გამოვლენა“ [15, გვ. 35-36].

ე. მარქარიანი ძალიან ხშირად მიუთითებს კულტურის არაბიოლოგიურ ბუნებაზე, მაგრამ მისეული ინვარიანტული მიზნით საზოგადოება მის თვალსაზრისში სიცოცხლის ბუნებრივ კანონს ვერ გასცილდა. ადამიანი სხვა ცოცხალი ორგანიზმებისაგან მხოლოდ კვლავწარმოების მექანიზმებით, ხერხებით... მოკლედ, კულტურის ტრადიციით განსხვავდება, თორემ მიზანი იგივე აქვს — „თვითშენახვა“. ამიტომ კულტურის და მასთან ერთად შემოქმედების მიზანიც სხვა არაფერია, თუ არა ადაპტაციის მეშვეობით საზოგადოების თვითშენახვა — „ცხოვრების სხვადასხვა ფორმების გარემოს ცვალებადი პირობებისადმი შესაბამისობაში მოყვანა“ [15, გვ. 36].

შემოქმედების ცნებაში, სულერთია როგორ გავიგებთ მას: როგორც ახლის შექმნას, თვისობრივად ახალი ყოფიერების ფორმების წარმოქმნას, თვითგამოსახვას... წინა პლანზე ყოველთვის, ისაა წამოწეული, რაც ადაპტირებული, ტრადიციული ნორმების, ხერხების და მეთოდების, „ყოველგვარი წინასწარ დადგენილი მასშტაბის“ მიღმა, ე. ი. ყოველგვარი მოცემული, ფაქტიური, ტრადიციული კულტურის მიღმა გადის. როცა ე. მარქარიანს კულტურა ტრადიციაზე დაპყავს, ამში არაფერი მიუღებელი არ არის. მას, რა თქმა უნტრადიციაზე აქვთ ამის უფლება. მაგრამ მაშინ საჭიროა კულტურა სრულიად „გაიშმინდა“, შემოქმედებისაგან და ამ უკანასკნელს დამოუკიდებელი ონტოლოგიური სტატუსი მიენიჭოს, როგორც ამას მ. მამარდაშვილი აკეთებს [15, გვ. 38-58]. სწორად შენიშვნავს ო. ჯონევი კულტურის ტექნოლოგიური გაგების და

კულტურის შემოქმედებითი ბუნების შეუთავსებლობაზე: „კულტურის ტექნოლოგიური გაგებიდან გამომდინარე, ძნელია ახსნა კულტურის შემოქმედებითი ბუნება“ [9, გვ. 10-11]. ამ აზრს ე. მარქარიანი არ იზიარებს და ცდილობს დაასაბუთოს, რომ კულტურის ტექნოლოგიური გაგებისათვის შემოქმედება უცხო რამ არ არის. მისი აზრით, სწორედ შემოქმედების საშუალებით ხორციელდება საზოგადოების მიზნობრივი ინვარიანტი — თვითშენახვა. შემოქმედება ხშირად განიხილება როგორც თვითმიზანი და ეს სავსებით გამართლებულია, — წერს ე. მარქარიანი, — მაგრამ არ უნდა გამოვრიცხოთ შემოქმედების სხვაგვარი გაგების შესაძლებლობა. ანგარიშგასაწევია შემოქმედების პროცესის განხილვის მეორე არააკლებ მართებული და მნიშვნელოვანი პროექციის არსებობა — სოციალურ-გეოფონობრივი, სოციეტალური პროექციისა... ამ თვალსაზრისით ადამიანთა შემოქმედების უნარი შეიძლება განვიხილოთ და უნდა განვიჩილოთ მძლავრ ადაპტაციურ მექანიზმად, რომელიც შესაძლებლობას გვაძლევს უზრუნველყოფის საზოგადოების თვითშენახვა გარემოს განახლებულ შეცვლილ პირობებში“ [16, გვ. 38].

ე. მარქარიანის პასუხში, როგორც ო. ჭილევი შენიშნავს, არის პასუხის პასუხიც: „რამდენადც კულტურის შემოქმედებაზე პიროვნების თვალსაზრისითაც შეიძლება ვილაპარაკოთ, იმდენად შეგვიძლია ვილაპარაკოთ კულტურის ორ ფუნქციაზე — ტექნოლოგიურ ფუნქციაზე და შემოქმედების მიმართ ადამიანის ტენდენციის გამოხატვის ფუნქციაზე“ [9, გვ. 101].

შემოქმედებას თუ შემოქმედების სუბიექტის, ან პროდუქტის ასპექტით განვიხილავთ, შემოქმედების სუბიექტად შეიძლება წარმოგვიდგეს არამცუსოციალური ჯგუფი, არამედ მთელი ერი, საზოგადოება, კაცობრიობაც კი. მაგალითად, ნ. ჭავჭავაძე საინტერესოდ მსჯელობს და ფრიად საგულისხმოდასკვნებს აკეთებს ერის, როგორც კოლექტიური სუბიექტის შემოქმედებაზე. მაგრამ ის ერს განიხილავს „ერთიანი კულტურულ-ეროვნული ორგანიზმის,... კოლექტიური პიროვნების“ სახით [25, გვ. 143]. თუ შემოქმედებას საკუთრივ შემოქმედების ინტერესით შევხედავთ, მასში არაცნობიერის მომენტს დავინახოთ. ამის გამო შემოქმედება მხოლოდ პიროვნული, ინდივიდუალური (რათქმა უნდა, არა ფსიქო-ფიზიკური ინდივიდის) აქტია. შემოქმედი არის ინდივიდუალურ-პიროვნული გამომხატველი მასში და მისით მოქმედი ზეანდივიდუალური (მაგრამ არა ზეადამიანური) რეალობისა. შემოქმედებითი მოღვაწეობის დროს, ერთი მხრივ, გვაქვს პიროვნული აეტონომიურობა, წინასწარგანზრახული თავისუფალი მოქმედება, მეორე მხრივ კი, ზეპიროვნულ რეალობაზე დამოკიდებული, ზოგადადამიანური მიზნებითა და ღირებულებებით განსაზღვრული და ამდენად აუცილებელი „დაიალოგი“ უსასრულობასთან.

ზედმეტია იმის მტკიცება, რომ შემოქმედება მოღვაწეობაა, შრომის პროცესია და, როგორც ასეთს, იმისდა მიხედვით თუ რომელ სფეროს ეხება საქმე, აქვს შესაბამისი ხერხები, მეთოდები, ტრადიციული ნორმები... ბუნებრივია ეს ნორმები, ხერხები, მეთოდები კულტურის სფეროში შემოდიან. როცა ე. მარქარიანი შემოქმედებაზე ლაპარაკობს როგორც „მძლავრ საადაპტაციო მექანიზმებს“, აქ საჭირო შემოქმედება უგულებელყოფილია. ამიტომ შეიძლება ითქვას, რომ კულტურა „ტექნოლოგიური“ თვალსაზრისით არსებითად ტრადიციის უიგივდება.

სწორედ ასე არის აღმული კულტურის ე. მარქარიანისეული ინტერეტაცია ფილოსოფიისა და კერძო მეცნიერების წარმომადგენელთა ნაშრომებ-

ში. მაგალითად, ეთნოგრაფი კ. ჩისტოვი წერს: „თუ გავიზიარებთ კულტურის ე. მარქარიანისეულ გაყებას და მივიჩნევთ მას საზოგადოების საქმიანობის გარკვეულ წესად (საშუალებად), მაშინ უნდა ვაღიაროთ, რომ ადამიანთა ყოველ საზოგადოებას ფუნქციონირებისათვის უნდა ჰქონდეს კულტურის დამკვიდრებული სისტემა. თუ ასევე განვაზოგადებთ ტრადიციის ცნებას, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ტრადიციები „კულტურა“ და „ტრადიცია“ გარკვეულ თეორიულ ასპექტში სინონიმურია ან უფრო ზუსტად, თითქმის სინონიმურია“ [27, გვ. 14-15]. შემთხვევითი როლია, რომ კ. ჩისტოვი იმავე კონტექსტში ი. ლოტმანსაც იხსენიებს. „როგორც კულტურა მთლიანად, ტრადიციაც — კოლექტიური მეხსიერებაა (ანუ, ი. ლოტმანის განსაზღვრებით არა ბიოლოგიური, არამედ სოციალური მეხსიერებაა)“ [27, გვ. 15]. კულტურის ტექნოლოგიურ-ფუნქციონალური და სემიოტიკურ-ნიშნური შეხედულებები შემოქმედებასთან, შემოქმედებით სუბიექტთან დამოკიდებულების თვალსაზრისით თანამობაში არიან. ამიტომაა, რომ ორივე ჭვეფი, როგორც კულტურის ტექნოლოგიური გაგების მომხრენი, ისე ისინი, ვინც კულტურას სემიოტიკურ ჭრილში განიხილავენ, კულტურის დასახსასიათებლად „არაბიოლოგიურის“, „ხელოვნურის“ ცნებებს მიმართავენ. იმ განსხვავებით, რომ პირველ შემთხვევაში „მოღაწეობის არაბიოლოგიურ მექანიზმებზეა“ ლაპარაკი, მეორეში კა, „სოციალური ინფორმაციის გადაცემის არაბიოლოგიურ ნიშნურ სისტემებზე“.

ზემოთქმულის საფუძველზე ცხადია, რომ კულტურა არ დაიყვანება არც შემოქმედებაზე და არც მის ფაქტიურ, ნორმატიულ, ტრადიციულ არსებობაზე. იგი მუდამ არის პოტენციური სინამდვილე ან, სხვანაირად, „განხორციელებადი პოტენციურობა“.

აღსანიშნავია, რომ კულტურაში შეიმჩნევა ორი ურთიერთსაპირისპირო ტენდენცია: „ერთი მხრივ, კულტურას შემოქმედებითი ბუნება აქვს, მაგრამ, მეორე მხრივ, მასში ტრადიციულად გადაქცევის ტენდენციაცაა“ [1, გვ. 21].

შემოქმედება და ტრადიცია როგორც კულტურისეული ფენომენები ურთიერთს უპირისპირდებიან მაგრამ აუცილებელი არიან ერთმანეთისათვის და კულტურა სწორედ მათ ურთიერთობაში იქმნება. ერთ-ერთი მათგანის გააბსოლუტურება, მისი მთელ კულტურად წარმოდგენა ცალმხრივობისა და ამდენად მეტაფიზიკურობის საშიშროებას ქმნის. კულტურა უნდა გავიაზროთ როგორც ტრადიციისა და შემოქმედების სილრმისეული, დიალექტიკური კავშირი. როგორც ვ. დავითოვიჩი და ი. უდანოვი წერენ: „კულტურა არ შეიძლება დაყვანილ იქნეს არც მონოტონურ, სწორხაზოვან სტერეოტიპამდე და არც განუწყვეტილ ცვლილებათა კონკრეტულ დუღილამდე. ვხედავდეთ კულტურაში მხოლოდ შემოქმედ მომენტს, — ეს მიუტევებელი ცალმხრივობა იქნებოდა. ვხედავდეთ კულტურის დემიურგობას — ნიშნავს უბრალოდ არ გვესმოდეს მისი არსი“ [8, გვ. 93].

იგივე თვალსაზრისს იზიარებს ე. ბოგოლუბოვა: „უმართებულოა ვაიგივებდეთ კულტურას მხოლოდ საქმიანობის წესებთან, საშუალებებთან და რეზულტატებთან და ვაცლიდეთ მას შემოქმედებითი საქმიანობის არსს“ [5, გვ. 215].

ამ თვალსაზრისს უფრო გაშლილად თუ დავახსიათებთ, შეიძლება ითქვას შემდეგი: შემოქმედება და ტრადიცია ერთსა და იმავე ფენომენს, კულტურას ახასიათებენ სხვადასხვა მხრიდან. კულტურის ბუნების გაგება მხოლოდ

შემოქმედებით ან მხოლოდ ტრადიციით შეუძლებელია. ტრადიციაში კულტურა ავლენს თავის ინტეგრირებულ, სინთეზურ, მდგრად ბუნებას. იგი არის გაობიექტურებული, გასაგნებული კულტურა, როგორც შემოქმედებითი მოღვაწეობის პროცესი. მასში აკუმულირებულია წარსულის მთელი გამოცდილება, რეალიზებულია კულტურის შემოქმედი ისტორიული სუბიექტის მოთხოვნილებები, ინტერესები, ღირებულებები. რაც შეეხება შემოქმედებას, იგი არის კულტურა მოქმედებაში, აქტუალობაში, სუბიექტური ფორმით არსებული. მოკლედ, „ცოცხალი კულტურაა“ (მარქსის „ცოცხალი შრომის“ ანალოგით) და მომავალზე მიმართული.

იმ თვალსაზრისის შინაგან წინააღმდეგობაზე, რომელსაც კულტურა არსებითად შემოქმედებაზე დაჰყავს, ზემოთ უკვე ითქვა, ამგვარი წინააღმდეგობისაგან არც, ასე ვთქვათ, „კომპრომისული“ თვალსაზრისია თვისუფალი, რომელიც შემოქმედებას, ტრადიციასთან ერთად, კულტურის ელემენტად იხილავს. აქ პრობლემა ის კი არ არის, კულტურას მთლიანად დავიყვანთ შემოქმედებაზე თუ ნაწილობრივ. წინააღმდეგობას ქმნის ის, რომ თვითონ შემოქმედებითი აქტი, როგორც ითქვა, შეუძლებელია შემადგენელ ელემენტად შევიდეს კულტურაში. მაშინ აზრი დაეკარგებოდა გამოთქმას — „კულტურა არის შემოქმედების ნაყოფი“. თუ შემოქმედების აქტიც კულტურაა, მაშინ ამ აქტის ნაყოფი თითქოს აღარც არის საჭირო — კულტურა ისედაც არის. კულტურა უნდა გავიგოთ როგორც გასაზრისებული მთელი. ის, რა თქმა უნდა, არ არის რაციონალური იმ აზრით, რა აზრითაც „რაციონალური“ უახლოვდება „ფორმალზებადს“, მაგრამ რაღაცნაირად გასაგები კია. რაც შეეხება შემოქმედებით აქტს, როგორც ითქვა მას არაცნობიერის მომენტი ყოველთვის თან სდევს. მოკლედ, კულტურის ადამიანური საზრისი ისაა, რომ ადამიანური ყოფიერების ღირებულებებს, ადამიანის მომავლის პორიზონტს, არსებობა მიანიჭოს, ე. ი. განახორციელოს. კულტურა ის სამყაროა, სადაც ადამიანი არსისეულ ძალებს, შემოქმედებით უნარს გასაგნებული, ობიექტივირებული, ნორმირებული სახით ჭრეტს. თუ კულტურაში შემოქმედებითი აქტი, ე. ი. წმინდა სუბიექტური, არაცნობიერი მომენტი შევიტანეთ, ეს, როგორც ითქვა, გარკვეულ წინააღმდეგობებს ქმნის კულტურის ფერმენტის გაგებაში. ასე რომ, შემოქმედებითი აქტი უნდა გამოყოფილ კულტურისაგან.

ზემოთ კი უკვე ნათქვამი გვაქვს, რომ კულტურის მთლიანი „ტანის“ არსებობისათვის საჭიროა როგორც ტრადიცია ისე შემოქმედება. მოკლედ, ერთი შეხედვით ცხადი და მარტივი დებულება საკმაოდ ბუნდოვანი ხდება, როცა უფრო კონკრეტულად, ასე ვთქვათ, ფართო პლანით მოგინდომებთ მის განხილვას.

ამ წინააღმდეგობიდან ერთ-ერთ გამოსავლად „შემოქმედების“ შინაარსის სხვადასხვანაირი ინტერპრეტაციის შესაძლებლობა გვესახება. სწორად წერს კ. კანტორი „შემოქმედებაცა და შემოქმედებაც. არის ნოვაციები რომლებიც არ სცილდება კულტურის მოცემული ტიპის ფარგლებს, და არის ნოვაციები რომლებიც ქმნიან სულიერ წანამძღვრებს სწორედ ამ ყველაზე ღრმა კულტურული ტრანსფორმაციებისათვის“ [14, გვ. 86-87].

უნდა განვასხვაოთ შემოქმედება, რომელიც კულტურის ფუნდამენტური პრინციპების გადასინჯვას მოითხოვს და შემოქმედება, რომელსაც ასეთი პრეტენზიები არ გააჩნია. მისი გარდაქმნები უფრო მოკრძალებულია და არსებული კულტურის ველში ტრიალებს.

პირველი სახის შემოქმედებას ფუნდამენტური, ონტიური შეიძლება ეწოდოს, რადგანაც მასში კულტურის და, ამდენად, სამყაროს ონტიური მახასიათებლები ძირებულად იცვლება. იგი წარმოადგენს „თვითგამოსახვას“ — ადამიანის არსის, როგორც უნივერსალობის, ტოტალობის, უსასრულობის გარკვეულ ღროსა და სივრცეში მცხოვრებ კონკრეტულ სუბიექტში გამოვლინებას. ამ აქტში წარსულის მთელი კულტურა დაინახება მომავლის სიმაღლიდან, რაც საშუალებას იძლევა აწმყოში მოხდეს ღროთა სინთეზი, წარსულის „გაცოცხლება“ და მომავლის გაობიექტურება. მასში იხსნება ისეთი შესაძლებლობები, რომელთა განხორციელება მთელ ეპოქებს ქმნის. იგი არის „გახსენება“, ადამიანის ნამდვილი ყოფიერების „გახსენება“. ამგვარი შემოქმედებითი აქტი შეუძლებელია კულტურას გავუიგივოთ. ის ყოველთვის არსებულ კულტურასთან დაპირისპირებაში, მისი ფუნდამენტური სტრუქტურებისა და ნორმების უარყოფაში ავლენს თავის არსს და, ამავე ღროს, გამოდის, როგორც ახალი კულტურის პირველაწყისი და საფუძველი. ამგვარი საფუძვლის არსებობით შეიძლება ეროვნული კულტურების განსხვავებულობის, მათი თავისთავადობის ახსნაც. ყველა ერს აქვს უნიკალური ეროვნული კულტურა, რომლის სტორაშიც ონტიური შემოქმედება განხორციელდა. თანაც, რაც უფრო ადრე, სტრონიის სიღრმეში მოხდა პირველი აქტი ონტიური შემოქმედებისა, მით უფრო ძველია და, შესაძლებელია დალიც, ერის კულტურა და რაც უფრო გვიან ე. ი. აწმყოსთან ახლოს განხორციელდა ბოლო ონტიური შემოქმედებითი აქტი, მით უფრო კულტურულია ერი. რადგანაც, როგორც უკვე ითქვა, ონტიური შემოქმედების ღროს ხდება მთელი წარსული, ტრადიციული კულტურის „გაცოცხლება“, აწმყოში „ამოზიდვა“, აწმყოს ერთ წამში ისტორიის გარდასულ ღროთა შეკუმშვა.

„ეროვნული კულტურის“ შინაარსში მოიაზრება მთელი ის სიმღიდრე, რაც ერს თავისი ისტორიის მანძილზე შეუქმნია, რის საუნგედაც გაძაქცეულა მისი „კულტურული ტერიტორია“. იგი მიგვანიშნებს იმაზე, თუ როგორ არის შეესებული კულტურული ფასეულობებით ეროვნული ღრო და სივრცე, რამდენად შორს აქვს საწყისი და როგორი ინტენსივობით არის დატვირთული ღროისა და სივრცის ყოველი მონაკვეთი, მოკლედ, როცა „ეროვნულ კულტურაზე“ ვლაპარაკობთ, მხედველობაში გვაქვს კულტურის ტრადიციული მხარე. ის, რაც უკვე განხორციელებულია და ობიექტური არსებობა აქვს მოპოვებული. რაც შეეხება „კულტურული ერის“ შინაარსს, აქ წინა პლანზე კულტურის შემოქმედებითი საწყისი, ეროვნული კულტურის სუბიექტი, პიროვნება წამოიწევს, რაც თავისთავად მეტ მნიშვნელობას ერის აწმყოსა და მომავალს ანიჭებს. აწმყოსა და მომავალზე აქცენტირება იმას სულაც არ ნიშნავს, თითქოს კულტურული ერისათვის თავისი წარსული ნაკლებად საინტერესო იყოს. პირიქით, მით უფრო კულტურულია ერი, რაც უფრო მეტად აქვს ათვისებული წარსული; რაც უფრო ხშირია აწმყოში წარსულისა და მომავლის ღროთა გადაკვეთა ე. ი. აღამიანის უსასრულო არსის აწმყოში გაცხადება. საჭიროა ტრადიციული კულტურის აწმყოში ამოტანა და მომავლის სხივით განათება, რათა ტრადიციულ კულტურას, კულტურას როგორც „ფაქტს“ სიცოცხლე მივანიჭოთ. კულტურული ერისათვის აუცილებელია ჰერნდეს თავისი განუმეორებელი სახე, თავისი „უნიკალურობა“, მაგრამ კულტურის ზოგადი ბუნებიდან გამოსული მისი თავისთავადი განუმეორებლობა არ უნდა ეფუძნებოდეს აბსოლუტური უცვლელობის ტენდენციას. ეროვნული კულტურები და მთელი

ისტორიული ეპოქები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან კულტურის თვითგანახლების ინტენსიონით, რაც იმაზეა დამოქაიდებული, თუ რამდენადა გახსნილი ერისათვის, ამდენად მისი თითოეული ინდივიდუალის, მომავლის პორჩონტი. „კულტურულობა“ სწორედ იმაზე მიანიშნებს, რომ რაც არ უნდა დიდი იყოს კულტურა, ის ირონით უყურებს თავის აწმყოს, ფაქტიურ არსებობას და შემოქმედებით სუბიექტს უქმნის მიღწეული საზღვრების გადალახვის შესაძლებლობებს. მკვდარია კულტურა ან მისი რომელიმე მოვლენა, თუ ის კულტურის შემოქმედების აქტიურ პროცესი არ არის ჩართული, არ ხდება მისი განახლება, თუნდაც მასზე თვალსაზრისის შეცვლით მაინც. „მკვდარი“ კულტურა კი, თავისი დიდი ღირებულების მქონე ფენომენებით მხოლოდ კულტუროლოგის, მისი რომელიმე კერძო დარგის ინტერესს შეიძლება წარმოადგენდეს და არა ფილოსოფიისა.

„ეროვნული კულტურისა“ და „კულტურული ერის“ შინაარსზე მსჯელობამ, თითქოს, დაგვაცილა ჩვენს მთავარ სათქმელს, მაგრამ, ამავე დროს, გარკვეულად, ნათელიც შეიტანა შემოქმედებისა და კულტურის ურთიერთობის პრობლემაში, ფუნდამენტური, ონტიური შემოქმედების არსში ჩაგახედა.

სწორედ ასე, ონტოლოგიურად არის გამიჯნული შემოქმედება და კულტურა მ. მამარდაშვილის მეტად ტევად, ლაპიდარული სტილით დაწერილ სტატიაში — „მეცნიერება და კულტურა“. „ხელოვნების ნაწარმოების თუ მეცნიერული შემოქმედების წარმოშობის აქტი და მათი კულტურის სახით არსებობა სულ სხვადასხვა რამ არის. მეცნიერება, როგორც ხელოვნება, შეიცავს შესაძლებლისა და პირველად, მხოლოდ ერთხელ დადგნილ ელემენტს. ამ კულტურამდელ ჭრილშია მოქცეული შემოქმედება — მეცნიერების მიერ საკვლევი შესაძლებლის ახალი ფორმების შემოქმედება... კულტურა კი მუდამ არის ესა თუ ის უკვე განხორციელებული შესაძლებლობა... კულტურა... არის ის. რისი კოდირება, ტრანსლირება ან რეპროდუქცია შესაძლებელია“ [15, გვ. 47, 56, 52].

კულტურისა და შემოქმედების თავისთავადობის ამგვარი აბსოლუტიზაცია, ერთი მხრივ, კულტურის პრობლემების საინტერესო ინტერპრეტაციის შესაძლებლობებს იძლევა, რაც ცხადად ჩანს მ. მამარდაშვილის ზემოთ მოხსენიებულ სტატიაში, მეორე მხრივ კი, კულტურისა და შემოქმედების კავშირის შესაძლებლობის პრობლემა წამოიწევს წინ. თუ თავისთავად შემოქმედებითა აქტი მხოლოდ კულტურის მიღმა ხორციელდება და გაურკვეველი შემთხვევის წყალობით ხდება მისი ნაყოფის კულტურის ნივთად „გადაგვარება“, მაშინ გათი ერთიანობის შესაძლებლობა გადაუჭრელ პრობლემად დაგვრჩება. მ. მამარდაშვილთან, ჩვენი აზრით, ეს სიძნელე იმით არის გადალახული, რომ შემოქმედების და კულტურის ერთიანობა მეცნიერებისა და ხელოვნების შიგნით არის გადატანილი.

როგორც ითქვა, ჩვენი პრობლემის გადაჭრისათვის საჭიროა არაფუნდამენტური, არაონტიური შემოქმედების დაშვება. ესა შემოქმედება, რომელიც უპირისპირდება არა მთელ კულტურას, არამედ მხოლოდ ტრადიციულ კულტურას, ტრადიციას, იმას, რაც უკვე ნორმადაა ქცეული. რამდენადაც კულტურა ვერასოდეს ვერ აღწევს ფუნდამენტური შემოქმედების დროს გახსნილ შესაძლებლობათა სრულ რეალიზაციას, ამდენად შეგვიძლია ვილაპარაკოთ კულტურის შიგნით ტრადიციის არსებობაზე, რომელიც ინერციის ძალით უცვლელობას ესწრაფვის. ონტიური შემოქმედება როგორც უმაღლეს თბიერებული

ღირებულებებთან ზიარება, მათი რეალიზაცია, ანგრევს და ამით გადის ამ კულტურის გარეთ, რასაც აუცილებლად მოჰყვება ფუნდამენტური შემოქმედების ცენტრის კულტურიზაცია. ამ უკანასკნელის განხორციელებაში ონტიურ შემოქმედებას აღარაფერი ესაქმება. საჭირო ხდება სხვა ძალა. ასეთია სწორედ არაფუნდამენტური, არაონტიური, მეორე რიგის შემოქმედება. იგი მოწოდებულია შეაგრძნოს ყოფიერების ეს ველი, რომელსაც ონტიური შემოქმედება ქმნის. ასე ვთქვათ, კულტურულ დროსა და სივრცეში გაშალოს, საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა ფორმაში ახალ ტრადიციად, ნორმად დაამქვიდროს ის, რაც ერთხელ უკვე გაცხადდა. ე. მარქარიანისეული „სოციალურ-ჯგუფობრივი“ შემოქმედებაც ამ ტიპის არაფუნდამენტური, მეორე რიგის შემოქმედებას შეიძლება მივაკუთვნოთ. იგი კულტურის ახალ შესაძლებლობას უქრეს მხარს. საზოგადოების „თვითშენახვის მექანიზმებს“ ეგარდაქმნის და „ნიშნების ახალ სისტემას“ ამკიდრებს. ამ შემოქმედებაში იქმნება კულტურა ონტიური შემოქმედების სახედ და კვალად.

ამრიგად, შემოქმედება როგორც ყოფიერებაში ფუნდამენტური ცვლილებების შეტანა, უპირისისპირდება კულტურას და ამისთან მის საფუძვლად გვევლინება. კულტურა ონტიურ შემოქმედებაში პოულობს თავის საზრისს, რადგანაც საკუთრივ შემოქმედება სწორედ ის ღირებულებაა, რომელსაც ადამიანი კულტურაში ესწრავთის. თავის მხრივ, შემოქმედება მთლიანად კულტურაზეა დამოკიდებული. პიროვნება ტრადიციულ კულტურაში მხოლოდ იმ ნორმატიულ ძალს არ ნახულობს, რომელიც უპირისისპირდება შემოქმედებითი უნარის მქონე სუბიექტს, ახშობს მის არსობრივ ძალებს, ბოჭაეს ყოველგვარ შემოქმედებით იმპულსს. ეს ნეგატიური მომენტი კულტურისა და შემოქმედების მიმართებაში უეჭველად არის, მაგრამ ისიც ცხადია, რომ კულტურასთან კავშირის გარეშე შემოქმედება არ არსებობს: ჯერ ერთი, ონტიური შემოქმედება რომ განხორციელდეს, შემოქმედებითი სუბიექტი უნდა ღაუბირისპირდეს კულტურას და დაძლიოს (და არა უბრალოდ დაანგრიოს. მხოლოდ ნგრევის შემთხვევაში შემოქმედება წინააღმდევობაში მოდის თავის არსათან რადგანაც „უნაყოფო შემოქმედება“ შეუძლებელია). „უნაყოფო შემოქმედების“ უსაფუძვლობას ისტორიაც ასაბუთებს. მხედველობაში გვაქვს ჩვენი ქვეყნის ოციანი წლების „პროლეტკულტურულების“, „ხუნვეიბინების“ „კულტურული“ მოძრაობა, აგრეთვე „ახალი მემარცხენები“ — სარტრით და მარკუზეს აფორმატული კულტურის თეორიით. კულტურის შემოქმედებითი დაძლევა გულისხმობს მის დიალექტიკურ განვითარებას და არა მექანიკურ უარყოფას. შემოქმედება, ფუნდამენტური იქნება ის თუ არაფუნდამენტური, მხოლოდ კულტურის სტიქიაში, კულტურის სამყაროშია შესაძლებელი, ამიტომ კულტურა წინაპირობაა შემოქმედებისა. შემოქმედება ყოველთვის რაღაც მიზნის, ღირებულების განხორციელებისათვის გაწეული მოქმედებაა. ამდენად, მისი ნაყოფი აუცილებლად კულტურის საგანიცაა. მაშასადამე, შემოქმედებითი აქტის საზრისს კულტურის საგნის, კულტურის ქმნაც შეადგენს. შემოქმედებითი აქტი შინაგანად არის დამუხტეტული კულტურული საზრისით.

ამრიგად, ფუნდამენტური შემოქმედება კულტურის გარეთ გადის ონტიურად, ყოფნით, მაგრამ კულტურაშია საზრისი. თავის მხრივ, კულტურა არსებობით, ყოფნით ტრადიციაშია, საზრისს კი ადამიანის უმაღლესი ღირებულებების განხორციელებაში, კერძოდ, ონტიურ შემოქმედებაში, როგორც ერთ-ერთ ასეთ ღირებულებაში, პოულობს.

## Р. М. ПЕТРИАШВИЛИ

## КУЛЬТУРА, ТВОРЧЕСТВО, ТРАДИЦИЯ

## Р е з у м е

Статья посвящается определению смысла культуры. Проводится точка зрения, что смысл культуры выясняется на основе решения проблемы отношения творчества и традиции друг к другу и обоих — к культуре.

В полемике с различными авторами отстаивается взгляд, что культура представляет собой диалектическое единство творчества и традиции. Вместе с тем внесение в содержание понятия культуры акта творчества, чисто субъективного момента создает некоторые противоречия в понимании феномена культуры. С целью избежания этого противоречия предлагается различие двух видов творчества: онтического и неонтического.

Онтическое творчество, как причастие объективным ценностям, их реализация вызывает фундаментальные изменения в культуре и в каком-то аспекте выходит за её пределы. Но в конечном счете продукт фундаментального творчества раскрывается в мире культуры, что происходит в процессе неонтического творчества.

Последнее призвано заполнить поле бытия, созданное в акте онтического творчества, так сказать, развернуть в пространстве и времени, утвердить в виде традиции во всех сферах общественной жизни то, что было явлено «однажды и впервые».

## Л И Т Е Р А Т У Р А

1. չոռջօս օ. զօ՞թա մեցրվածք, տօլովս, 1982.
2. չոռջօս օ. յալլէնիր հոգործ թշմովմեցեծ. Պօցնո: յալլէնիր հոգործ զալու և տաղայի գլուխություն և ազատություն. Տեսաբուժության ազգային ակադեմիա, տօլովս, 1976.
3. Маркс К. Энгельс Ф. Соч. 2-е изд., т. 1.
4. Арзаканьян Ц., Артановский С. Н., Историческое единство человечества и взаимное влияние культур. «ВФ», 1969, № 1.
5. Богоявленская Е. В. Культура и общество. М., 1978.
6. Вавилин Е. А. Феофанов В. П. Исторический материализм и категория культуры. Новосибирск, 1983.
7. Григорьева Т. П. О взаимодополнительности культур. В кн.: философские проблемы культуры. Тб., 1980.
8. Давидович В. Е. Жданов Ю. Я. Сущность культуры. Ростов, 1979.
9. Джоев О. И., Проблема культуры в марксистской философии. В кн.: Культура в свете философии. Тб., 1979.
10. Джоев О. И. Об исходных посылках понимания культуры. «Известия» АН Грузинской ССР, серия философии и психологии. 1981, № 4.
11. Злобин Н. С. Духовное производство и культура. «ВФ», 1980, № 9.
12. Злобин Н. С. Культура и общественный прогресс. М., 1980.
13. Каган М. С. Человеческая деятельность. М., 1974.

14. Кантор К. М. Философия и культура в историческом развитии человечества. «ВФ», 1983, № 7.
15. Мамардашвили М. К. Наука и культура. В кн.: Методологические проблемы историко-научных исследований. М., 1982.
16. Маркарян Э. С. Исходные посылки понимания культуры как специфического способа человеческой деятельности. В кн.: Философские проблемы культуры. Тб., 1980.
17. Маркарян Э. С. Теория культуры в системе общественных наук. «Известия» Северокавказского научного центра высшей школы, 1976, № 3.
18. Маркарян Э. С. Предмет и метод истории культуры. «История СССР», 1979, № 6.
19. Маркарян Э. С. О генезисе человеческой деятельности и культуры. Ереван, 1973.
20. Межуев В. М. Культура и история. М., 1977.
21. Межуев В. М. О понятии культуры. Учен. зап. МГИК. М., 1967, вып. 14.
22. Предмет и метод истории культуры. Круглый стол «Истории СССР». «История СССР». 1979, № 6.
23. Соколов Э. Культура и личность. Л., 1972.
24. Чавчавадзе Н. З. Культура и ценности. В кн.: Культура в свете философии. Тб., 1979.
25. Чавчавадзе Н. З. Культура и ценности. Тб., 1984.
26. Челидзе Л. Л. История и культура. В кн.: Культура в свете философии. Тб., 1979.
27. Чистов К. В. Традиция и вариативность. «Советская этнография», 1983, № 2.
28. Шепанский Я. Элементарные понятия социологии. М., 1969.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის  
ფილოსოფიის ინსტიტუტმა

## გრამითონ ჯოლოსავა

### ჰერაკლიტეს დიალექტიკა

ჰერაკლიტე „...დიალექტურის ერთ-ერთი ფუძემდებელია“ [1, გვ. 356]-  
მის მოძღვრებაში უხვადაა მოცემული მეცნიერული დიალექტიკის ამა თუ იმ  
კანონთა, კატეგორია-ცნებათა საწყისი ელემენტები. ნაშრომის მიზანია ამ  
ელემენტების დადგენა-დახსიათება.

ჰერაკლიტეს ფილოსოფია გარკვეული სოციალურ-ეკონომიკური პირო-  
ბების საფუძველზე წარმოიშვა. მისი ეპოქა მონათმფლობელური არისტო-  
კრატიის დიქტატურის მონათმფლობელური დემოკრატიის დიქტატურით  
შეცვლის ეპოქა. ჰერაკლიტე, არისტოკრატიული გვარის წარმომადგენელი,  
ხედავს რომ არისტოკრატია ისტორიულად განწირულია და მომავალი დემო-  
კრატიას ეკუთვნის. „მთელი მისი ფილოსოფია, გარკვეული აზრით, ამ პრო-  
ცესის გააზრების ცდაა“ [8, გვ. 43]. საზოგადოებრივი ცხოვრების მომავლის-  
ლრმა შეგნების საფუძველზე ჰერაკლიტე „...მზადა მიიღოს გარემომცველი  
სამყარო ისეთად, როგორიც ის არის“ [9, გვ. 138]. ამიტომ იგი განუწყვე-  
ტილ საზოგადოებრივ მოძრაობებსა და კონფლიქტებში ხედავს არა მის და-  
ღუპვას, არამედ მისი სიცოცხლის მთელ აზრსა და შინაარსს; ამ პრინციპს ის  
მთელ უსასრულო ბუნებასაც უქვემდებარებს.

ჰერაკლიტეს ახალი ფილოსოფია გარკვეული სოციალური ყოფის პრო-  
დუქტია. მაგრამ მხოლოდ ამ საფუძვლით იგი ჰერაკლიტეს თავიდან, რო-  
გორც ათინა ზევსის თავისაგან, ვერ წარმოიშობოდა. საჭირო იყო გარკვეუ-  
ლი აზროვნებითი მასალაც, რომელსაც მიღეთის ნატურფილოსოფია წარ-  
მოაღენდა და რომელმაც ჰერაკლიტეს ფილოსოფიის ჩამოყალიბებაში გა-  
გადამწყვეტი როლი შეასრულა.

ჰერაკლიტეს ფილოსოფია მიღეთის ნატურფილოსოფიასთან აუცილე-  
ბელ კავშირში უნდა ჩამოყალიბებულიყო. რაში მღვმარეობდა ეს აუცი-  
ლებელი კავშირი?

მიღეთის ნატურფილოსოფია, მისგან შინაგანად გამომდინარე აუცილებ-  
ლობის საფუძველზე ისტორიულად და ლოგიკურად უნდა განვითარებუ-  
ლიყო, ე. ი. მისთვის აუცილებელი იყო მეორე მოძღვრება, როგორც მისი  
განვითარება. ეს აუცილებელი მეორე იყო ჰერაკლიტეს ფილოსოფია, რომე-  
ლიც ჩვენი აზრით, მიღეთის ნატურფილოსოფიისათვის აუცილებელი მეო-  
რის, როგორც ერთის მეორედ განვითარების კანონის! საფუძველზე უნდა

**1** პროფ. ს. წერეთელმა თავის ნაშრომში „დიალექტიკური ლოგიკა“, პირველად მეცნიერუ-  
ლად დასაბუთა რაოდენობრივი ცვლილებების თვისებრივ ცვლილებებში გადასცლის კანონის  
აუცილებელი მეორის სპეციფიური კანონის სახით მოქმედდება აზროვნებაში. ჩვენ საგენერით ვიზი-  
არებთ ეს მოსაზრებას და ვცდილობთ გაჩვენოთ მისი მოქმედება ბერძნული ფილოსოფიური აზრის  
განვითარებაში.

წარმოშობილიყო: მიღეთელთა მოძღვრებიდან — მოძრაობა არის პირველი საწყისიდან ერთეულ საგანთა წარმოშობისა და მათი ხელიხლა საწყისში უკუდაბრუნების საფუძველი — ჰერაკლიტეს გამოყავდა დებულება, რომ მოძრაობა თვითონ არის ყოველივეს პირველსაწყისი, რომელიც მან ცეცხლს მიამსგავსა. სევე მიღეთელების პრობლემიდან — მოძრაობა ერთანი საწყისი მოძრაობაა საწყისიდან ბუნების მოვლენებისაკენ და იქედან საწყისისაკენ, — ჰერაკლიტეს აუცილებელი მეორის კანონის საფუძველზე გამოყავდა ახალი დებულება: ბუნება გარკვეული მთლიანობაა. მიღეთელებისათვის საწყისი პირველადია, ბუნება კი მეორადი; ამ მოძღვრებისათვის აუცილებელი მეორე — ჰერაკლიტეს მოძღვრება ხსნის გაორებას პირველსაწყისს. და ბუნებას შორის და ამ უკანასკნელს პირველ ადგილზე სვამს. ანაქსიმანდრეს დებულებიდან: მოვლენათა წინააღმდეგობაზე დაფუძნებული ემპირიული ბუნების არსებობა, როგორც აპეირონის უზენაესი წონასწორობის დარღვევა, არის „უსამართლობა“, — აუცილებელი მეორის საფუძველზე ჰერაკლიტეს გამოყავდა დებულება: ემპირიული ბუნების წინააღმდეგობა უმაღლესი სამართლიანობაა. და ბოლოს, ანაქსიმენის დებულება: სითბოსიცვე, ე. ი. ტემპერატურა საგანთა წარმოშობის საფუძველია, ჰერაკლიტესთან აუცილებელი მეორის კანონის საფუძველზე გარდაიქმნა დებულებად: ცეცხლი არის საგანთა წარმოშობის საფუძველი. ამ აზრით, ჰერაკლიტეს მოძღვრება პირველ ცეცხლზე „...შეიძლება განვიხილოთ როგორც ანაქსიმენის ძირითადი შეხედულების გარდაქმნა“ [10, გვ. 120].

ჰერაკლიტეს ფილოსოფიის ჩამოყალიბებაში გარკვეული როლი ითამაშეს ქსენოფონესა და ადრეული პითაგორეიზმის მოძღვრებებმაც. თუ ქსენოფონეს წანამძღვრიდან: ბუნების მოვლენები მულმივ მიმდინარე, ცვალუბადი და წარმავალია, — გამოყავდა არასწორი დანასკვი: ბუნება, მოჩვენება და ირეალურა; ჰერაკლიტეს იგივე წანამძღვრიდან აუცილებელი მეორის კანონის საფუძველზე გამოყავდა მართებული დანასკვი — ბუნება ნამდვილად არსებობს. აქ ჰერაკლიტემ შემოინახა ქსენოფონეს წანამძღვარი და განავთარა რა წანამძღვარი დასკნებში, მიიღო, ქსენოფონესაგან განსხვავებით, ახალი აზრი. სევე ქსენოფონეს დებულებიდან: ნამდვილად არსებობს მხოლოდ ერთი არსი, ბუნების საგანთა სიმრავლე მოჩვენებაა, ამ დებულებისათვის აუცილებელი მეორის საფუძველზე ჰერაკლიტეს გამოყავდა დანასკვი: ერთი არსის არსებობა შეუძლებელია ბუნების საგანთა სიმრავლის არსებობის გარეშე და პირიქით; ხოლო ამ უკანასკნელი დებულებიდან გამოყავდა შემდეგი სახის დანასკვი: ერთიც ნამდვილად არსებობს და სიმრავლეც. მოცემული დებულებიდან გამომდინარე, ახალი დასკნებით ჰერაკლიტემ მოხსნა და კიდევაც შემოინახა ეს დებულება: მან მოხსნა დებულების ის ნაწილი, რომელიც ცეცხადებს — ბუნების საგანთა სიმრავლე მოჩვენებაა და შემოინახა ის ნაწილი, რომელიც აცხადებს ერთი არსი ნამდვილად არსებობს, რაც მის გარკვეულ განვითარებას წარმოადგენს.

ასევე პითაგორელების მოძღვრებიდან: საგანთა არსება არის რიცხვი ერთი, რომელიც მსოფლიო ორგანიზაციას, პარმონიას წარმოადგენს, — ჰერაკლიტეს გამოყავდა დანასკვი: მსოფლიოს ეს ორგანიზაცია, პარმონია არის ცეცხლი, ლოგოსი; მიღებული დანასკვით ჰერაკლიტემ მოხსნა პითაგორელების დებულება, რამდენადაც სამყაროს საწყისად უარყო რიცხვი ერთი, მა-

გრამ ამავე დროს შემოინახა მათი დებულებაც, რამდენადაც შიიღო ის აზრი, რომ საგანთა საწყისი არის მსოფლიო კანონზომიერება, ჰარმონია.

შევარად, შილეთის ნატურფილოსოფოსთა, ქსენოფანესა და პითაგორელების მოძღვრებათა ცალკეული დებულებათათვის აუცილებელი მეორის (მეორე აზრის გამომდინარეობის) საფუძველზე ჩამოყალიბდა ჰერაკლიტეს ახალი ფილოსოფია, როგორც დიალექტიკურად გარდაქმნილი ამ მომენტების ორგანული სინთეზი.

ახლა განვიხილოთ მოკლედ თვით ჰერაკლიტეს ფილოსოფია.

1. ჰერაკლიტეს ფილოსოფია (540—480 წწ. ჩვ. წ. აღრიცხვამდე). ჰერაკლიტემ თავისი მოძღვრება ძველი მწიგნობრების მოწმობის მიხედვით, გადმოსცა თხეზულებაში: „περὶ φύσεως“, რომელიც დიოგენი ლაერტის გადმოცემით, სამი ნაწილისაგან შედგებოდა, 1) ყოველივე [არსებულის] შესახებ (περὶ τῶν παντῶν), 2) სახელმწიფოს შესახებ (πολιτείαν) და 3) ღვთისმეტყველება (θεολογίαν). ჰერაკლიტე ცნობილია „ბნელი“ და „მტირალი“ ფილოსოფოსის სახელწოდებით. დიოგენის გადმოცემით, ერთხელ ევრიპიდეს მიუკია სოკრატესათვის ჰერაკლიტეს თხეზულება და უკითხავს: რა აზრისაა ის ამ უკანასკნელის შესახებ. მას უპასუხნია: „... ის რაც მე გავიგე ჩინებულია. ვფიქრობ, რომ ასეთივე იქნება ისიც, რაც მე ვერ გავაგე. თუმცა მისთვის უცილებელია დელოსის მყვინთავი“ [15, თავი 22, ფრ. 4]. ჰერაკლიტეს აზრთა სიბნელე განსაზღვრული იყო მისი მოძღვრების სიღრმისა და სირთულის თავისებურებით „... მისი დაალექტიკური აზროვებით“ [4, გვ. 67].

ჰერაკლიტეს პრობლემა იგივე მიღეთელების პირველი საწყისისა და ბუნების საგანთა ურთიერთობის პრობლემა. მიღეთელებთან ეს ურთიერთდამოკიდებულება ერთისა და სიმრავლის ურთიერთობის სახეს იღებს, სადაც ერთი წინ უსწრებს სიმრავლეს, როგორც მისი წარმოშობის საწყის-საფუძველი. ჰერაკლიტესთან კი ერთიუშუალოდ მისი საწინააღმდეგო სიმრავლით დგინდება და პირიქით; სიმრავლე მის განუწყვეტილ მოძრაობა-მდინარებაში ერთს ადგენს, ხოლო ერთი, როგორც მისი სიმრავლის განუწყვეტილ მოძრაობა-მდინარების სახით არსებობა—სიმრავლეს. საწინააღმდეგოთა ეს ურთიერთდადგენა, როგორც გარკვეული ერთიანობა, ჰერაკლიტეს მიხედვით, არის ბუნება.

ჰერაკლიტესათვის ბუნების სიმრავლის არსებობის საფუძველი წინააღმდეგობაა, რომელიც რეალურ განსხვავებაზე დაფუძნებული საგანთა ურთიერთუარყოფაა. ას მაგალითად, დღე თავისი ნიშნებით განსხვავებულია ღამისაგან და პირიქით, ასევე ზამთარი და ზაფხული, მოთ და ზავი, გაძლომა და შიმშილი. ეს წინააღმდეგობა საგანთა ობიექტური წინააღმდეგობაა, რომელსაც ჰერაკლიტე უწინდებს: „ბრძოლას“ (πάλεμας) და „მტრობას“ (έρις). ისინი უშუალოდ ქმნიან საგანთა სხვადასხვა არსებას. ზამთარი, თავისი განსხვავებული ნიშნებით არის ის, რაც ქმნის მის არსებას,—იმას, რითაც ზამთარი ზამთარს წარმოადგენს და პირიქით, ზაფხული თავისი განსხვავებული ნიშნებით, რომელიც მის არსებას განსაზღვრავს, არის ის, რაც ზაფხულს ზაფხულად ქმნის. მაშასადამე, წინააღმდეგობა ჰერაკლიტესთან საგანთა გარკვეულობის არსებაა. მაგრამ ეს გარკვეულობა, როგორც საგანთა განსაზღვრული ბუნება, რომელიც რეალურად არსებობს, განუწყვეტლივ იცვლება: „ერთსა და იმავე მდინარეში შევდიგართ და ვერც შევდიგართ, ვარსებობთ და არც ვარსებობთ“ [15, თავი 22, B, ფრ. 49].

ცვალებადობაში ყველაფერი მის საპირისპიროში გადადის: „ცივი თბილი ხდება, თბილი—ცივი, სველი—მშრალი, მშრალი—სველი“ [იგივე, ფრ. 126]; საპირისპიროში გადასვლა იმას ნიშნავს, რომ „...ყველაფერი კიდეც არის და არც არის“ [4, გვ. 70], რომ ყოველი საგანი არის საწინააღმდეგოთა—არსისა და არარსის—ერთიანობა.

მაგრამ ჰერაკლიტესთან სიმრავლე არსებობს როგორც არა მხოლოდ წინააღმდეგობა, არამედ როგორც მოძრაობა, ე. ი. სიმრავლე არა მხოლოდ სიმრავლეა, არამედ, როგორც მოძრაობა, იგი ე რ თ ი ა. ეს ერთი ჰერაკლიტესათვის არის რეალურად არსებული ყველაზე მოძრავი მატერიალური ნივთიერება ც ე-ც ხ ლ ი (თბ კა), რომელიც არის ყოველივეს ძირი და საწყისი. არისტოტელეს გადმოცემით, „ჰერაკლიტე და ჰიპასის მეტაპონტელი ყველივეს საწყისად ცეცხლს მიიჩნევენ, რადგან ისინი ლაპარაკობენ, რომ ყველაფერი წარმოშობა ცეცხლისაგან და ყველაფერს ცეცხლში ბოლო ეღება; მისი ჩაქრობით იქმნება ყოველივე...“ [15, თავი 22. A, ფრ. 5]; ცეცხლს ახასიათებს მოძრაობა. „ის,— გადმოგვცემს აეციუსი— მიაწერდა მოძრაობას ყველაფერს: მარადს — მარადიულს, წარმავალს კი—დროულს“ [იგივე, ფრ. 6]. მაგრამ ამ მოძრაობაში იგი თავისთვის იგივეობრივი რჩება, რადგან „ყველაფერი ცეცხლზე იცვლება და ცეცხლი ყველაფერზე, ისევე როგორც ოქრო—საქონელზე და საქონელი—ოქროზე“ [იგივე, B, ფრ. 90].

ცეცხლი „... არც წარმოშობილი არც შოისპობა...“ [4, გვ. 73], ის მარადიულია. ცალკეული სტიქიები და ინდივიდუალური საგნები იქმნებიან იმით, რომ ცეცხლი გარკვეული „ზომით“ ინთება და გარკვეული „ზომით“ ქრება. დიოგენე ასე გადმოგვცემს ჰერაკლიტეს მოძრვრებას მსოფლიოს ტრიაქიათა და მოვლენათა წარმოშობის შესახებ: „...ცეცხლი, როგორც შართავს სამყაროს ლოგოსითა და ლვთაებით, ჰერის შემდეგ იქცევა წყლად, რომელიც არის თითქოს სამყაროს შექმნის სპერმა, რომელსაც [ის] უწოდებს ზღვას. მისგან კი ისევ წარმოშობა მიწა, ცა და ის, რასაც ისინი თავიანთ თავში შეიცავენ“ [15, თავი 22 B, ფრ. 31]. მოძრაობის ამ მიმართულებას ცეცხლიდან მიწისაკენ ჰერაკლიტე უწოდებდა „გზას ქვევით“. არსებობს მეორე გზაც -- „გზა ზევით“, გზა მიწიდან ცეცხლისაკენ, სადაც მიწის გადაქცევა ხდება წყლად, წყლის კი, ორთქლის მეშვეობით — ცეცხლად. ეს ორი გზა ფაქტიურად არის ერთი გზის ორი მიმართულება, რომლებიც ერთმანეთს ემთხვევიან.

ამგვარად, თვისებრივი ცვალებადობა ჰერაკლიტესთან მიმდინარეობს ცეცხლის განუწყვეტელი გარდაქმნით, რომელიც როგორც მისი შინაგანი ბუნებიდან გამომდინარე კანონზომიერება, გარკვეულ აუცილებლობას წარმოადგენს, რომელსაც ჰერაკლიტე უწოდებს საყოველთაო გონებას, ლოგოსს. ჰერაკლიტესთან ცეცხლი და ლოგოსი ერთმანეთისაგან არსებითად განსხვავდებიან: ის, რაც მოძრაობს, როგორც საყოველთაო მატერიალური საფუძველი, არის ცეცხლი, ხოლო ის შინაგანი ბუნება, აუცილებლობა, რომლითაც ცეცხლი მოძრაობს, ლოგოსს წარმოადგენს. ლოგოსი, როგორც ცეცხლის შოძრაობის წესი, არის ლვთაებრივი კანონი და, ამდენად, გარკვეული სამართლიანობაც.

ასეთია ერთი, როგორც პირველყოფილი საწყისი, ცეცხლი და ლოგოსი, ჰერაკლიტეს ფილოსოფიაში.

ახლა განვიხილოთ ერთისა და სიმრავლის დიალექტიკური ურთიერთობა. ჰერაკლიტეს მიხედვით, ცეცხლი ცოცხალია. სიცოცხლე კი, მისი აზრით, არის ცეცხლის საყოველთაო ცვალებადობა და მოძრაობა, ე. ი. ცეცხლის ნამდვილი ყოფიერება, რომელიც, როგორც მხოლოდ ჭმედება და პროცესი. მისი საწინააღმდეგო სიმრავლის სახით არსებობა. „და ყველასაგან ერთი [იქმნება] და ერთისაგან — ყველა“ [15, თავი 22, B, ფრ. 10]. ერთისა და ყველას ეს განუყოფელი ერთინობა არის ბუნება, სამყარო, რომელიც მარადიულია: „ეს სამყარო, ერთი და იგივე ყველასათვის, არ არის შექმნილი არც ვიღაც ღმერთისაგან, არც ადამიანისაგან, არამედ შუდამ იყო, არის და იქნება მარად ცოცხალი ცეცხლი, რომელიც კანონზომიერად ინთება და კანონზომიერად ქრება“ [15, თავი 22 B, ფრ. 30].

ბუნების, სამყაროს საგნები ცეცხლისაგან წარმოიშობიან და მასვე უბრუნდებან, რაც ქმნის ბუნების წინააღმდეგობას. საწინააღმდეგონი ბუნებაზე ერთმანეთს გამორჩევენ და ერთმანეთის იგივეობრივნიც არიან. ამ მხრივ, ბუნება, სამყარო არა მხოლოდ ურთიერთ განსხვავებულთა უარყოფა-წინააღმდეგობაა, არამედ ასევე საწინააღმდეგოთა აუცილებელი კავშირი, შათო ურთიერთთანხმობა და პარმონია. ცეცხლი არ არსებობს მისი უშუალო გარდაქმნების — ემპირიული საგნების გარეშე და პირიქით: ცეცხლი არსებობს იმიტომ რომ არსებობს მრავალი და პირიქით.

ფილოსოფიის ისტორიკოსებს შორის დავის იწვევს ჰერაკლიტესთან ბუნების, სამყაროს მარადიულობის საკითხი. ერთნი ფიქრობენ (შლაიერმახერი, გ. ვ. ფრ. ჰეგელი, ფ. ლასალი და სხვა) ბუნებას, სამყაროს არა აქვს არც დასასტყისი და არც დასასრული, ის მარადიულია. მეორენი კი ფიქრობენ (ე. ცელერი, ჰ. დილსი, ვ. ვინდელბანდი, ტ. გომპერცი და სხვა.) ბუნება, სამყარო ჰერიოდულად (მსოფლიო წლის გავლის შემდეგ, რომელიც ჰერაკლიტეს მიხედვით, ფილოსოფიის ისტორიკოსების დაანგარიშებით 10800 წევეულებრივ წელს უდრიდა) წარმოიშობა, ვითარდება და იღუპება ცეცხლში. ჩვენი აზრით, ჰეშმარიტება პირველის მხარეზე უნდა იყოს შემდეგი ძირითადი მოსახრებების გამო:

ა) ჰერაკლიტეს არ უნდა ჰქონოდა კოსმოგონია; რადგან მისი ფილოსოფიის ძირითადი პრინციპია ერთისა და სიმრავლის განუყრელი ერიანობა. ამიტომ ის ცალკე ცეცხლის არსებობას და მისგან ბუნების, სამყაროს წარმოშობას ან მასში მის უკუდაბრუნებას ვერ დაუშვებდა. ბუნება, სამყარო მას მარადიულად უნდა მიეჩნია.

ბ) ჰერაკლიტეს 30-ე ფრაგმენტის მიხედვით, ბუნება, სამყარო არ არის შექმნილი არც ღმერთისაგან, არც ადამიანისაგან. ის, რაც არ შექმნილა, არც ცხობა. ე. ი. ბუნება, სამყარო მარადიულია. შემდეგ, ამავე ფრაგმენტის მიხედვით, ბუნება, სამყარო წარმოდგენილია როგორც მარად ცოცხალი ცეცხლი, რომელიც მუდამ იყო, არის და იქნება, რომელიც კანონზომიერად ინთება და კანონზომიერად ქრება, რაც უშუალოდ ბუნების, სამყაროს მარადიულობის ასაბუთებს. და ბოლოს, ფრაგმენტის სიტყვები: „მარად ცოცხალი ცეცხლი“, გავიგეთ როგორც მარად მოძრავი ცეცხლი, ეს მარადიული მოძრაობა მისი ბუნების, სამყაროს სახით ყოფიერებაა; რადგან მარადიული მოძრაობა — ცვალებადობა ცეცხლის, როგორც ერთის, მარადიული არსებობის ფორმა; მარადიული არსებობის ეს ფორმა კი მხოლოდ ბუნება, სამყარო შეიძლება იყოს; მაშასადამე, ბუნება, სამყარო მარადიულია.

გ) ბუნების, სამყაროს პერიოდული წარმოშობისა და მოსპობის იდეას ეწინააღმდეგება ჰერაკლიტეს ცნობილი დებულება: „მან არ იცის, რომ ყოველი დღის არსება ერთი და იგვევა“ [15, თავი 22 B, ფრ. 106]. თუ ყოველი დღე თავისი არსებით ერთი და იგვევა, მსოფლიო პროცესი ერთგვაროვანი ყოფილა, რომელიც გამორიცხავს ცეცხლიდან ბუნების, სამყაროს პერიოდულ წარმოშობასა და უკუდაბრუნებას.

თუ ეს ასეა, რას ნიშნავს ჰერაკლიტესთან მსოფლიო წელი? ჰერაკლიტეს ნამდვილად ჰქონდა მსოფლიო წლის ცნება, რომელშიც პროფ. ს. დანელიას აზრით, იგულისხმებოდა „სახელდობრ, ცეცხლის თთოეული ნაწილაკის მიერ მთელი თავისი ვითარების შესრულება, ე. ი. გავლა ორივე გზისა, ქვევითკენ და ზევითკენ“ [3, გვ. 148].

ახლა შევეხოთ მოკლედ შემეცნების საკითხებს ჰერაკლიტესთან, რომლის მიხედვით, ნამდვილი ცოდნა მხოლოდ ზოგადის, ე. ი. ლოგოსის ცოდნაა. ბუნების საგნების, როგორც ნაწილების ცოდნა, მხოლოდ მრავალმცონეობა და არ არის ფილოსოფიური სიბრძნე, ამიტომ ასეთი „მრავალმცონეობა ჰქუს ვერ ასწავლის“ [15, თავი 22 B, ფრ. 40] ადამიანს; „არის მხოლოდ [ერთი] სიბრძნე: ცოდნა [იმ] გონებისა, როგორც ისეთის, რომელიც ყოველივეს ყოველივეთი მართავს“ [15, თავი 22 B, ფრ. 41].

რადგან ლოგოსი არ არსებობს ერთეულ საგანთა გარეშე, აქედან გამომდინარე არსებობს ორი სახის შემეცნება: გრძნობადი და გონებრივი. პირველის საგანი ცვალებადი და შეზღუდული ერთეული საგნებია, შეორის კი — უცვლელი და შეუზღუდველი მთელი და ზოგადი. ამიტომ ლოგოსის შემცნებისათვის ერთიც აუცილებელია და მეორეც: გონება ლოგოსის წვდომაში გრძნობის მონაცემებს უნდა დაემყაროს.

ადამიანური გონება მსოფლიო ლოგოსის, როგორც მთელის, ნაწილია. ნაწილის მთელთან კავშირი კი ხორციელდება ადამიანის გრძნობის ორგანოებით, სუნთქვითა და მისი უდიდესი რაოდენობის ცორების მეშვეობით. ამ მუდმივი კავშირით გონება სწვდება მსოფლიო ლოგოსს — საყოველთაო სიბრძნეს.

პირველად ჰერაკლიტესთან უშუალოდ, ობიექტურად ვხვდებით თვითშემცნების საკითხს. თუ ადამიანური გონება, როგორც მსოფლიო ლოგოსის ნაწილი, მსოფლიო ლოგოსს, როგორც მთელს, იმეცნებს, ეს შემცნება სწორედ თვითშემცნებაა: როგორც მთელის მიერ თავისთავის მისი ნაწილებით და ნაწილების მიერ თავისთავის მსოფლიო ლოგოსში შემეცნება.

ასეთია მოკლედ ჰერაკლიტეს ფილოსოფიის ძირითადი მომენტები. ახლა გავარჩიოთ მეცნიერული დიალექტიციის ზოგიერთი კანონის, კატეგორიისა და ცნების გარკვეული რაციონალური ელემენტები ჰერაკლიტესთან.

**§ 2. მეცნიერული დიალექტიკის ზოგიერთი კანონისა და კატეგორიაცნების ცალკეული რაციონალური ელემენტები ჰერაკლიტეს ფილოსოფიაში.**

ჰერაკლიტესათვის საგანთა არსება არის ცეცხლი, რომელსაც ახასიათებს შემდეგი ძირითადი ნიშნები:

- იგი არის ერთი. აქ ჰერაკლიტე ეთანხმება მილეთელებს.
- ის არის ნივთიერი, მატერიალური. აქაც ჰერაკლიტე ეთანხმება მილეთელებს.

გ) საგანთა არსება მარადიულია. ეს დებულებაც არ არის ახალი.

დ) საგანთა არსება არის ზოგადი. ეს აზრიც განუვითარებელი სახით მოცემულია მიღეთელებთან. მაგრამ აქ ჰერაკლიტემ მაინც ახალი სიტყვა თქვა. მან საგანთა არსებაში ცალკე გამოყო პირი-ი, როგორც გარკვეული საყოველთაო სიბრძნე—ზოგადობა, საყოველთაო კანონი, კანონზომიერება, რაც წინ გადადგმული ნაბიჯი იყო მიღეთელებთან შედარებით არსების შესახებ მოძღვრებაში. ჰერაკლიტეს მოძღვრება პირი-ზე თავისთავში შეიცავს შეფარდებით და აბსოლუტური ჰეშმარიტების მარცვლებს. პირი-ი რომ საგანთა არსების საყოველთაო სიბრძნე, გონიერაა, ამ მოძღვრების შეფარდებით ჰეშმარიტებაა, მაგრამ რომ ის საგანთა არსების გარკვეული ზოგადობა, საყოველთაო კანონი, კანონზომიერებაა, ამ მოძღვრების აბსოლუტური ჰეშმარიტებაა.

ე) მიღეთელებთან საწყისის სიცოცხლე და მისი მოძრაობა ჯერ კიდევ სხვადასხვაა. სიცოცხლე ფლობს და ქმნის მისგან განსხვავებულ მოძრაობას, ე. ი. მათთან ის, რაც ფლობს და ის, რასაც ფლობს სრულიად არ არის ერთი და იგივე. მათთან საწყისი, როგორც ცოცხალი, მოძრაობას ფლობს, შეგრამ საგანთა შექმნამდე არ მოძრაობს. მიღეთელების დებულებიდან: „ცოცხალი საწყის-არსება თვითონ ფლობს მოძრაობას“, — აუცილებელი მეორის კანონის საფუძველზე ჰერაკლიტეს გამოყავდა არსებითად განსხვავებული დებულება: სიცოცხლე არის მოძრაობა; რომ ცეცხლის სიცოცხლე მისი მოძრაობაა. აქ ჰერაკლიტემ განავითარა მიღეთელების მოძღვრება არსების ამ ნიშნის — მოძრაობის შესახებ. მიღეთელებთან საგანთა არსებას შეუძლია იარსებოს მოძრაობამდე და მოძრაობის გარეშე, მათთან ის არ არის არსების ძირითადი ნიშანი. ჰერაკლიტესთან კი მოძრაობა არსების ძირითადი ნიშანია, ეს უკანასკნელი არ არსებობს მის გარეშე. აქაც ჰერაკლიტემ განავითარა არსების შესახებ მიღეთელების მოძღვრება.

ვ) ჰერაკლიტესთან არსება განსხვავებულთა ურთიერთ უარყოფა-წინა-ოლმდეგობაცა — „ლმერთი არის დღე და ღამე, ზამთარი და ზაფხული, ომა და მშვიდობა, გაძლომა და შიმშილი“ [15, თავი 22 B ფრ. 67] და წინააღმდეგობათა ერთიანობაც. წინააღმდეგობა ცეცხლის სხვადასხვაობად არსებობაა, ამიტომ ის აუცილებლად გულისხმობს ერთს (ერთიანობას), ხოლო ეს ერთიანობა, როგორც შისი სხვადასხვაობად არსებობის ერთიანობა, ასევე — წინააღმდეგობას. სამყაროს არსება რომ წინააღმდეგობათა ერთიანობაა, ეს არ არის ჰერაკლიტეს ორიგინალური შეხედულება; ანაქსიმანდრესათვისაც „აპეირონი“ გარკვეულ წინააღმდეგობათა მთლიანობაა, მაგრამ მისთვის წინა-ოლმდეგობა არსებაში მოცემულია წინასწარ, აქტუალურად, მზამზარეულად, ჰერაკლიტეს მიხედვით კი იგი არსების განუწყვეტელი მოძრაობის (ანთებისა და ჩატრობის) საფუძველზე ყალიბდება, როგორც მასი სხვადასხვა მდგომარეობაში გადასვლა, ე. ი. ცეცხლი მოძრაობაში ყალიბდება როგორც წინა-ოლმდეგობა. ანაქსიმანდრესაგან განსხვავებით ჰერაკლიტემ დიალექტიკურ ურთიერთობაში განიხილა არსების წინააღმდეგობისა და წინააღმდეგობათა ერთიანობის ურთიერთდამკიდებულება; იგი განიხილა წინააღმდეგობათა ერთიმეორეში განუწყვეტელი გადასვლის საფუძველზე, სადაც „ყველასაგან ერთი [იქმნება] და ერთისაგან — ყველა“, ე. ი. სადაც წინააღმდეგობაში ერთიანობა არსებობს, ხოლო ერთიანობაში — წინააღმდეგობა.

როგორც ჩანს, ჰერაკლიტემ, ერთის მხრივ, მოხსნა მიღეთელების მოძღვრება საგანთა არსების შესახებ, რამდენადც მისთვის საგანთა არსება

ცეცხლია, მაგრამ ამასთან შემოინახა ის, რომ საგანთა არსება არის ერთი, წინამდებრი, მარადიული, ზოგადი, მოძრავი და წინააღმდეგობრივი. მაგრამ არსების ზოგადობის, მოძრაობისა და წინააღმდეგობის დახასიათებაში პერიოდიტემ გარევეულად განავითარა მიღეთელების მოძღვრება: თუ მიღეთელებისათვის ზოგადი არის საგანთა საყოველთაო ბუნება, პერიოდიტესათვის ეს საყოველთაო ბუნება არის საგანთა საყოველთაო კანონი, კანონზომიერება. თუ მოძრაობა მიღეთელებთან არსების ცვალებადობის წესია, პერიოდიტესთან ის არსების არსებობის წესია. უკანასკნელში მოხსნილი სახით შოცემულია მიღეთელების აზრი. მიღეთელებთან არსება იმიტომ შოძრაობს, რომ ის ცოცხალია. პერიოდიტესათვის ეს სიცოცხლე მისი მოძრაობაა. თუ ამ დებულებას ზოგადობაში ავიყვანთ — პერიოდიტესათვის სიცოცხლე მოძრაობაა, ეს კი რაც იონ ალ ური აზრია. მიღეთელებთან ჩანასახოვანი ფორმით მოცემულია აზრი საგანთა არსების წინააღმდეგობის შესახებ. პერიოდიტემ ეს აზრი შემდგომ განავითარა არსების წინააღმდეგობისა და წინააღმდეგობათა ერთინობის ერთი შთლიანი მოძღვრების სახით: მან ნათლად გამოკვეთა წინააღმდეგობისა და წინააღმდეგობათა ერთიანობის გაგება და ისინი დიალექტიკურ ურთიერთობაში განიხილა.

ასეთია საგანთა არსების შესახებ პერიოდიტეს შოძღვრების რაციონალური მომენტები. შევეხოთ პერიოდიტეს მოძღვრებას მოვლენაზე და მის დიალექტიკურ ურთიერთობას არსებასთან.

პერიოდიტესთან მოვლენა ობიექტურად წარმოდგენილია როგორც არსების არსებობის გარკვეული ფორმა, არსების ცვალებადობის ფორმა, რომელთა „...გრძნობადი თვისებების მიხედვით [თავის] სახელწოდებას-ღებულობს“ [15, თავი 22 B, ფრ. 67], სწორედ, არსება. მოვლენას, როგორც არსების „გრძნობად სახელწოდებას“, პერიოდიტესათვის წარმოადგენს მთელი ბუნება, მისი ცალკეული საგნები და ასევე სტიქიებიც: პაერი, წყალი და მიწა. პერიოდიტემ მოხსნა აოლესისა და ანაქსიმენის მოძღვრება, რომ წყალი, პაერი საგანთა არსებას წარმოადგენს, ამასთან კიდევაც შემოინახა, რამდენადაც წყალი და პაერი გამოიხადა ისეთ საყოველთაო სახის მოვლენებად, რომელთაგან, მიწასთან ერთად, ბუნების სხვა საგნები წარმოიშობიან.

პერიოდიტესთან მოვლენა წარმოდგენილია, როგორც არსების არსებობის ფორმა. თალეს-ანაქსიმენთან ობიექტურად ასევე შოცემულია მოვლენის ასეთად წარმოდგენის ჩანასახოვანი ელემენტები. პერიოდიტემ მიღლო ეს ელემენტები და მოხსნა-შენახვის დიალექტიკური კანონზომიერების ძალით მოვლენის გაგება ზემომოცემული აზრის ფორმით ჩამოაყალიბა. პერიოდიტემ ასევე მიღლო მიღეთელების აზრი, რომ მოვლენები არიან მრავალი და ცვალებადონი, დროსა და სივრცეში განსაზღვრული და სხვა, და შემდგომ ახალი სიტყვა თქვა მოვლენისა და მოვლენებს შორის წინააღმდეგობის შესახებ: პერიოდიტეს აზრი, რომ ბუნება და მისი საგნები დაფუძნებულია შინაგან წინააღმდეგობაზე, ახალი რაციონალური აზრი იყო მოვლენათა შინაგანი ბუნებისა და მათი ურთიერთდამოკიდებულების გაგების შესახებ მეცნიერული აზრის განვითარებაში.

პერიოდიტეს მიერ მიღეთელთა მოძღვრების განვითარება მოვლენათა ცვალებადობის შესახებ, მდგომარეობს შემდეგში: ა) მიღეთელებთან საგანთა არსება დამოუკიდებლად საგნებაში არსებობს. ამიტომ საგანთა საერ-

თო წარმოშობას მათთან დასაწყისი აქვს. ჰერაკლიტესთან არსება არ არსებობს მოვლენათა გარეშე. ამიტომ საგანთა არსებობს დასაწყისი არა აქვს. ბ) მიღეთელებთან საგნები ისპობიან და საწყისს უბრუნდებიან, ე. ი. დგება პერიოდი, როდესაც მხოლოდ საწყისი არსებობს და საგნები — არა. ჰერაკლიტესთან კი დაკაული საგნები წარმოიშობიან და ისპობიან, მაგრამ არასოდეს არ დგება საგანთა ერთობლივი მოსპობის და მათი თავის საწყის-არსებაში მთლიანი დაბრუნების პერიოდი. გ) მიღეთელებისაგან განსხვავებით, ჰერაკლიტესათვის მოვლენათა ცვალებადობას აქვს არა მხოლოდ წარმოშობისა და მოსპობის მიმართულებანი, არამედ საწინააღმდეგო გას საწინააღმდეგო გას აღმდეგო გა დასვლის მიზართულებანი: „ცივი ხდება თბილი, თბილი — ცივი, სველი — მშრალი, მშრალი — სველი“ [15, თავი 22 B, ფრ. 126]. დ) ჰერაკლიტემ პირველმა მიაქცია ყურადღება მოვლენათა განუწყვეტელ ცვალებადობა-მდინარებაში მათი შედარებითი უცვლელობის მომენტს, როგორც საყოველთაო ცვალებადობის თუ ცილებელ შინაგან გარკვეულობას. ე) ჰერაკლიტემ პირველად განიხილა საგნები და მოვლენები საყოველთაო ურთიერთკავშირსა და ურთიერთგანპირობებულობაში: „ცეცხლი ცოცხლობს მიწის სიკვდილით და ჰერი ცოცხლობს ცეცხლის სიკვდილით, წყალი ცოცხლობს ჰერის სიკვდილით, მიწა კი — წყლის სიკვდილით“ [15, თავი 22 B, ფრ. 76].

ამგვარად, მოვლენის შესახებ ჰერაკლიტეს მოძღვრებაში აბიექტურად (შეგნებულად თუ შეუგნებლად) მოცემულია აზრის შემდეგი რაციონალური ელემენტები: 1) მოვლენა არის არსების არსებობის გრძნობადი ფორმა, „გრძნობადი სახელწოდება“. 2) საგანში და საგნებს შორის, როგორც გარკვეული განსხვავების არსებობას, ადგილი აქვს წინააღმდეგობას. 3) საგნები, მოვლენები განუწყვეტლივ იცვლებიან; მას არა აქვს არც დასაწყისი არც დასასრული. 4) ცვალებადობა არა მხოლოდ საგანთა წარმოშობა-მოსპობაა, არამედ საწინააღმდეგოს საწინააღმდეგოში გადასვლაცაა. 5) მოვლენა-იათვის დამახასიათებელია მათი შედარებითი უცვლელობაც. 6) საგნები, მოვლენები საყოველთაო ურთიერთკავშირსა და ურთიერთდამოკიდებულებაში იმყოფებიან, ურთიერთს განაპირობებენ და ურთიერთცვალებადობით ერთმანეთს ადგენენ. როგორია ჰერაკლიტეს მიხედვით მოვლენის იდალექტიკური კავშირი არსებასთან? ეს კავშირი კარგად არის გამოთქმული მის ერთ ფრაგმენტში: „ლმერთი არის დღე და ღამე, ზამთარი და ზაფხული, ომი და შევიღობა, გაძლომა და შიმშილი“ [იგივე, ფრ. 67]. ფრაგმენტის მიხედვით, ღმერთის, როგორც არსების, არსებობა მისი წინააღმდეგობის — დღისა და ღამის, ზამთარისა და ზაფხულის, ომისა და შევიღობის, გაძლომისა და შიმშილის — სახით არსებობაა; ეს უკანასკნელი კი, როგორც არსების არსებობის გრძნობადი ფორმა, არსების მოვლენის სახით არსებობა. მაშასაღაშე, არსება არსებობს მხოლოდ როგორც მოვლენა და მას არსებობის სხვა ფორმა არა აქვს. მაგრამ არსების ამ წინააღმდეგობრივი არსებობის ფორმაში — მოვლენაში წომ, ამ წინააღმდეგობათა ერთიანობის სახით, თვით არსებაა წარმოდგენილი, რადგან მოვლენის სახით არსებული წინააღმდეგობა ერთიანი არსების წინააღმდეგობაა. ამ მხრივ, არსება ჰერაკლიტესთან შინაგანი აუცილებლობით მოვლენას გულისხმობს, ეს უკანასკნელი კი — არსებას; არსების გარეშე არ არსებობს.

ბა არ არსებობს მოვლენის გარეშე და პირიქით. ეს დასკვნები ჰერაკლიტეს მოძღვრებიდან შინაგანად გამომდინარე დასკვნებია.

არსებისა და მოვლენის ურთიერთობა, მილეთელების მსგავსად, ჰერაკლიტესთან ერთისა და სიმრავლის ურთიერთობის სახითაა წარმოდგენილი. ერთი, ცეცხლი, მატერიალური არის სიმრავლის საყოველთაო ბუნების სახით არსებობს, სიმრავლე კი არის ერთის სხვადასხვა ბუნებისა თუ მდგომარეობის სახით არსებობა. ცეცხლი, როგორც ყველაზე მოძრავი ნივთიერება, ურთიერთსაწინააღმდეგო მოძრაობიდან ქმნის სიმრავლეს შემდგომ აკონკრეტებს შილეთელების შოძლვრებას მოძრაობიდან სიმრავლის შექმნის შესახებ.

ერთისა და სიმრავლის ურთიერთობის შესახებ ჰერაკლიტეს მოძღვრებაში შეიძლება გამოვყოთ მეცნიერული აზრის შემდეგი ძირითადი მარცვლები: 1) ერთი არის მატერიალური არსი, რომელიც არსებობს როგორც სიმრავლის საყოველთაო ბუნება. 2) სიმრავლე არის ერთის განსხვავებული ბუნებისა და მდგომარეობის სახით არსებობა. 3) ეს ერთი ყველაზე მოძრავია; 4) ის ურთიერთსაწინააღმდეგო მოძრაობიდან ქმნის სიმრავლეს. 5) ერთი არ არსებობს სიმრავლის გარეშე და პირიქით.

ჰერაკლიტესთან, მილეთელების მსგავსად, მოძრაობა წარმოდგენილია როგორც საგანთა ცვალებადობა. მაგრამ მასთან ის უფრო ფართოდ მოქმედი პრინციპია. ჰერაკლიტეს მიხედვით, „ყველაფერი მიმდინარეობს და არაფერი არ არის მუდმივი“ [14, გვ. 55]; ყოველი საგანი შეიძლება „...არსებობდეს და არც არსებობდეს...“ [2, გვ. 80]; „იმის მიმართ, ვინც ერთსა და იმავე მდინარეში შედის, სხვადასხვა წყალი მიედინება“ [15, თავი 22 B, ფრ. 12]. მაგრამ წყლის სხვადასხვა ნაკადის ეს შედინება-გადინება, იმავდროულად როგორც ერთი მდინარების ურთიერთსაწინააღმდეგო პროცესი, ერთის მხრივ, ერთსა და იმავეს, მეორეს მხრივ, მუდამ ახალ, მისგან განსხვავებულ მდინარეს ადგენს; მდინარე ერთსა და იმავე ღრუში თავისთავის იგივეცაა და მაინც სხვაც, არსიცაა და არარსიც; ამიტომ შეიძლება ვთქვათ: „ერთსა და იმავე მდინარეში შევდიგართ და ვერც შევდივართ, ვარსებობთ და არც ვარსებობთ“ [იგივე, ფრ. 49], „...არ შეიძლება ერთსა და იმავე მდინარეში ორჯერ შესვლა...“ [იგივე, ფრ. 91].

საგანი არსიცაა და არარსიც, ნიშნავს იმას, რომ ყოველი საგანი ერთსა და იმავე ღრუს არა მხოლოდ ცვალებადი, მოძრავია, არამედ უცვლელი და უძრავიცაა, ე. ი. მოძრაობა თავისთავში აუცილებლობით შეიცავს უძრაობასაც, როგორც საგნის თავისთავთან იგივეობას. მაშასაღამე, მოძრაობა არის წინააღმდეგობა, მისი მუდმივი დადგენის შეუწყვეტელი პროცესი. ასევე ჰერაკლიტესთან მოძრაობა წარმოდგენილია როგორც ერთი თვისებრიობის მეორედ შეცვლა: „ცეცხლი ცეცხლობს მიწის სიკვდილით და ჰაერი ცოცხლობს ცეცხლის სიკვდილით, წყალი კი ცოცხლობს ჰერის სიკვდილით, მიწა კი — წყლის სიკვდილით“ [15, თავი 22 B, ფრ. 76].

ჰერაკლიტე ლიარებს მარადიულ და ღროულ მოძრაობას. „ის მიაწერდა მოძრაობას ყველაფერს: მარადს — მარადიულს, წარმავალს კი — ღროულს“ [იგივე, თავი 22 A, ფრ. 6]. მათ შორის დამყაიდებულება ისეთივეა როგორც მარადიულ ცეცხლისა და წარმავალ მოვლენებს შორის: ცეცხლი წარმავალი მოვლენების სახით არსებობს, ასევე მარადიული მოძრაობა — ღროული მოძრაობის სახით. მარადიული მოძრაობა უსასრულოა და ხორციელ-

დება სასრულო, დროული მოძრაობის სახით, ე. ი. უსასრულო მოძრაობა დროულ მოძრაობათა სახით არსებობს და მის განხორციელებაში უსასრულო მოძრაობის სახეს ღებულობს. ამ აზრით, უსასრულო მოძრაობა სასრულოსა და უსასრულოს მთლიანობაა. ეს დასკვნები ჰერაკლიტეს მოძღვრებიდან ლოგიკური უცილებლობით გამომდინარე დასკვნებია.

ამგვარად, ჰერაკლიტეს რაციონალური დებულებები მოძრაობის შესახებ წემდევი სახით წარმოგვიდგება: 1) მოძრაობა არის საგანთა ცვალებადობა საერთოდ. 2) ცვალებადობაში ყოველი საგანი ერთსა და იმავე დროს თავისთავის იგივეცაა და მაინც სხვაც; მოძრაობა თვით მოძრაობისა და უძრაობის წინააღმდეგობათა ერთიანობაა. 3) არსებობს მარადიული და დროული მოძრაობა, რომლებიც უცილებელ კაშირში იმყოფებიან.

ჰერაკლიტეს ფილოსოფიაში მოცნიერული დიალექტიკს ერთ-ერთი ძირითადი კანონის — დაპირისპირებულთა ბრძოლისა და ერთიანობის კანონის საწყისი ელემენტები. ჰერაკლიტესთან საწყის-არსება თავის-ლავში შეიცავს ურთიერთგამომრიცხველ მოვლენებს: „ღმერთი არის დღე და ღამე, ზამთარი და ზაფხული, ომი და მშვიდობა, გაძლომა და შიმშილი“ [15, თავი 22 B, ფრ. 7]. ერთიანი საწყისის სხვადასხვა საგანთა ეს ურთიერთუარყოფა, რომელსაც ჰერაკლიტე ომს უწოდებს, მოცნიერული ფილოსოფიის მიხედვით, საგნებს შორის წინააღმდეგობა, გარეგანი წინააღმდეგობა. ჰერაკლიტე განიხილავს შინაგან წინააღმდეგობასაც, როგორც საგნის განსხვავებულ მხარეთა ურთიერთუარყოფას. მისთვის მდინარე ერთსა და იმავე დროს წარმოდგენს წყლის ახალი და ძველი ნაკადების ურთიერთუარყოფას, წინააღმდეგობას. ასევე ცეცხლის მოძრაობის ერთი გზა სხვადასხვა გზათა „გზა ზევით“ და „გზა ქვევით“ — ურთიერთუარყოფა და სხვა.

როგორია ჰერაკლიტეს მიხედვით, წინააღმდეგობის მნიშვნელობა საგნები-სათვის? ჯერ ერთი, წინააღმდეგობა ქმნის საგანთა არსებას და ამდენად, მათს სხვადასხვა თვისებრივ გარკვეულობებს; „... ყველა ფერი წარმოიშობა ბრძოლის მიხედვით“ [15, თავი 22 B, ფრ. 8]. „ომი ხომ ყველაფრის მმაა, ყველაფრის მეფეც. მან აქცია ერთნი ღმერთებად, მეორენი კი აღამიანებად, ერთნი მონებად მეორენი კი თავისუფალ აღამიანებად“ [იგივე, ფრ. 53]. მეორე, წინააღმდეგობა ქმნის საწინააღმდეგო საგანთა გარკვეულ ერთიანობას, რომელსაც ჰერაკლიტე ჰარმონიას უწოდებს. „საწინააღმდეგო მხარეები ერთიანდებიან და განსხვავებულთაგან [იქმნება] უმშვენიერესი ჰარმონია...“ [იგივე, ფრ. 8]. დღისა და ღამის, ზამთრისა და ზაფხულის, ომისა და მშვიდობის, გაძლომისა და შიმშილის და სხვა საწინააღმდეგოთა ურთიერთუარყოფა ქმნის გარკვეულ ერთიანობას—ერთი და იგივე მდინარეს. ასევე, ურთიერთუარყოფა—„გზა ზევით და არა ქვევით“ [იგივე, ფრ. 60], ერთი და იგივე გზაა. წრეში დასაწყისისა და დასასრულის ურთიერთუარყოფა იმას ნიშნავს, რომ „ამასთანავე დასაწყისი (პრერ.) და დასასრული (პრაც) წრეში ერთია (περιφερίας)“ [იგივე, ფრ. 103], ერთი და იგივე გარკვეულობაა.

ამგვარად, ჰერაკლიტეს რაციონალური მარცვლები წინააღმდეგობისა და წინააღმდეგობათა ერთიანობის შესახებ შემდეგნაირად შეიძლება ჩამოვაყალიბოთ: 1) წინააღმდეგობა არის განსხვავებულ საგანთა თუ საგნის გან-

სხვავებულ მხარეთა ურთიერთუარყოფა. 2) წინაღმდეგობა არსებობს სა-  
განში და საგნებს შორის. 3) ის არის ყოველივეს წარმოშობისა და არსებობის  
განსაზღვრელი. 4) წინაღმდეგობა ქმნის საწინაღმდეგოთა ერთიანობას,  
იგივეობას, 5) იგივეობა არის წინაღმდეგობათა იგივეობა.

მოლეცელებთან შეუგნებელი ფორმით მოცემულია აზრი: ზოგადი არის  
ის, რაც საერთო მრავალ მოვლენათვეს; ეს აზრი ჰერაკლიტესთან შე-  
გნებულ ფორმას ღებულობს, რასაც ადასტურებს მისი ერთ-ერთი ფრაგმენ-  
ტი: „ამიტომ უნდა მივყვეთ საერთოს, ე. ი. ზოგადს. საერთო ხომ ზოგა-  
დია...“ [15, თავი 22 B, ფრ. 2]. მაშასდამე, ჰერაკლიტესთვის საერთო არის  
ზოგადი, რაც გარკვეული რაციონალური აზრია.

ჰერაკლიტესთან ვეკვებით აუცილებლობის კატეგორიის რაციონალურ სა-  
წყისებსაც. მისი მოძლვებებით, „... ყოველივე წარმოშობა ბრძოლისა და აუ-  
ცილებლობის მიხედვით“ [იგივე, ფრ. 80]. აუცილებლობა კი მას წარმოდგენ-  
ილი ჰქონდა ბედის სახით: „... ჰერაკლიტე გვასწავლის: ყველაფერი (არსებობს)  
ბედის მიხედვით, ეს კი იგივეობრივია აუცილებლობის“ [14, თავი 22. B, ფრ. 8].  
ბედის შესახებ კი ჰერაკლიტე აცხადებს: „ბედს (μοῖραν) ვერასოდეს ვერც  
ერთი მოკვდავთაგანი ვერ გაექცა“ [15, თავი 22. B, ფრ. 105]. მოცემული  
ფრაგმენტის მიხედვით, ბედი ყოფილა, ის, რაც ცოცხალი ორგანიზმისათვის გა-  
რდაუგალია, ვოქვათ სიკვდილი; აქედან გამომდინარე ჰერაკლიტეს აუცილებლო-  
ბა წარმოდგენილი უნდა ჰქონდა როგორც გარ და ა უ ვა ლ ო ბ ა: მაგალი-  
თად, ცეცხლის სიკვდილი და მისი გადაქცევა წყლად, წყლის სიკვდილი და მისი  
გადაქცევა მიწად და მისი შებრუნებული პროცესიც. აუცილებლობის ასეთი გა-  
გება უსათუოდ გარკვეული რაციონალური აზრია.

ჰერაკლიტეს მოძლვებებაში გარკვეული რაციონალური აზრია მოცემული  
შეფარდებითობის ცნების შესახებაც. შეფარდებითობა, ჰერაკლიტეს მიხედ-  
ვით, ერთი და იმავე საგნის ერთსა და იმავე დროს სხვადასხვა მიმართებით  
მისი „ჰო“-სა და „არა“-ს საწინაღმდეგო გარკვეულობების სახით არსებო-  
ბა: „ზღვის წყალი უწმინდესი და უბინძურესია. თევზთათვის კი ის დასა-  
ლევად ვარგისია და სიცოცხლის მხსნელი, ხოლო ადამიანისათვის სასმელად  
უვარგისი და დამღუპველი“ [იგივე, ფრ. 61]; ასევე „ღმერთისათვის ყოვე-  
ლივე ლამაზი, კარგი და სამართლიანია; მხოლოდ ადამიანები მიიჩნევენ  
ერთს უსამართლოდ, მეორეს სამართლიანად“ [15, თავი 22 B, ფრ. 102].

ჰერაკლიტეს განმარტებით, „კანონიც ერთი ნებისადმი დამორჩილებას  
ჰქვია“ [იგივე, ფრ. 33]. ეს დებულება აბსოლუტური და შეფარდებითი ჰქეშ-  
ბარიტების გარკვეული ერთიანობაა. რომ ერთი ნებისადმი საგანთა და მო-  
ვლენათა დამორჩილებას ჰერაკლიტე კანონს უწოდებს, შეფარდებითი აზრია,  
რადგან კანონი გამორცხავს ნებას. მოცემული განსაზღვრება შეიცავს აბსო-  
ლუტური ჰქეშმარიტების მარცვალსაც: რომ კანონი არის ის ერთი, რომე-  
ლიც იმორჩილებს საგანთა და მოვლენათა სიმრავლეს.

ჰერაკლიტე ერთ-ერთ ფრაგმენტში აცხადებს: „ყველა ადამიანური კა-  
ნონი მაინც ერთი ღვთაებრივით საზრდოობს, რადგან ის მბრძანებლობს იმ-  
დენს, რამდენიც სურს, ყოფნის ყველას და სძლევს“ [15, თავი 22 B, ფრ. 114]. როგორც ჩანს, ჰერაკლიტეს მიხედვით, არსებობენ მთავარი და და-  
კვერდებარებული კანონები. მთავარი კანონი ერთია, დაქვემდებარებული კი  
მრავალი. მთავარი განსაზღვრავს, „სძლევს“ ყველას.

ჰერაკლიტეს გაგებით, საგანთა წარმოშობა-მოსპობა გარკვეულ წესს ემყარება, რომელიც ცეცხლის გარკვეული ზომით ანთებისა და გარკვეული ზომით ჩაქრობის პროცესია; მაშასადამე, ცეცხლის მოძრაობის პროცესი გარკვეული წეს-ზომით განსაზღვრული, ე. ი. კანონზომიერი პროცესია. ამ აზრით, ჰერაკლიტესთან კანონზომიერება ცეცხლის მოძრაობა-ცვალებადობის გარკვეული წესია.

ამგვარად, კანონისა და კანონზომიერების მეცნიერულ ცნებათა შესახებ ჰერაკლიტეს რაციონალური აზრები წარმოგვიდგება შემდეგ ძირითად დებულებათა სახით: 1) კანონი არის საგანთა და მოვლენათა სიმრავლისათვის ის საერთო ერთი, რომელიც სიმრავლეს იმორჩილებს. 2) არსებობენ მთავარი და დაქვემდებარებული კანონები; უკანასკნელი პირველით განისაზღვრებიან. 3) კანონზომიერება არის ცეცხლის — მოძრაობა-ცვალებადობის გარკვეული წესი.

ჰერაკლიტესთან პირველად ვხვდებით მიზეზისა და შედეგის კატეგორიების საწყისებს. ცეცხლი არის „... არსებულის მოწყობის მიზეზი (ჸირი)“. [15, თავი 22 B, ფრ. 64—65]; ე. ი. ჰერაკლიტესათვის ერთია არსებულის ასეთად არსებობა — მოწყობა, მეორე კი ის, რითაც არსებული ასეთად არსებობს. ერთი მიზეზი არის, მეორე — შედეგი.

შევეხოთ თვითშემეცნების ცნების რაციონალურ საწყისებს ჰერაკლიტეს ფილოსოფიაში. თვითშემეცნების ცნებას ჰერაკლიტე იყენებს ადამიანის მიმართ, რადგან ადამიანის „სულისათვის დამახასიათებელია ლოგისი, რომელიც თავისთვის ამრავლებს“ [იგივე, ფრ. 115] და რომლითაც მას შეუძლია შემეცნება. ჰერაკლიტესთან თვითშემეცნება, ჯერ ერთი, ნიშნავს იშის ძიებას, თუ რას წარმოადგენს საკუთარი თავი. ამ მხრივ, ის პირდაპირ აცხადებს: „მე ვეძებდი თავისთვის“ [15, თავი 22 B, ფრ. 101]. მეორე, იგი ნიშნავს „თავისთავის შეცნობა“-ს და მის საფუძველზე „გონიერად ყოფნა“-ს. ამ აზრით, „ყველა ადამიანში მოცემულია თავისთავის შეცნობისა და გონიერად ყოფნის შესაძლებლობა“ [იგივე, ფრ. 116]. მოცემული დებულებები: თვითშემეცნება არის ადამიანის მიერ თავისთავის გამორკვევა, შეცნობა და გონიერად ყოფნა, თვითშემეცნების მეცნიერული ცნების გარკვეული რაციონალური საწყისებია.

ასეთია მეცნიერული დიალექტიის ზოგიერთი კანონისა და კატეგორია-ცნების საწყისები ჰერაკლიტეს ფილოსოფიაში.

ჰერაკლიტეს ფილოსოფიის ძირითადი მონასახები თეორიულად უმთავრესად წარმოშვა მილეთელთა მოძრვებიდან აუცილებელი მეორის კანონის საფუძველზე, როგორც მათი დიალექტიკური უარყოფა. მან მოხსნა მილეთელთა საწყისები, მათი აზრი სამყაროს მიღმა საწყისის არსებობის შესახებ და ამ უკანასკნელის საწყისად ცეცხლი გამოაცხადა; მათგან შემოინახა შემდეგი ძირითადი აზრებიც: სამყაროს საწყისი არის ნივთიერი ერთი, რომ საწყისი, საგნებს ახასიათებს მოძრაობა, წინააღმდეგობა და სხვა. ამ აზრით ჰერაკლიტეს ფილოსოფია მილეთელთა ფილოსოფიის გარკვეული განვითარებაა: ჰერაკლიტეს ცეცხლი ახალი წინ გადადგმული ნაბიჯი იყო აზროვნების მიერ მსოფლიო ნივთიერების — მატერიის ძიების გზაზე. ხოლო მისი დიალექტიკა როგორც დიალექტიკური აზროვნების საწყისების საუკეთესო გაღმოყემის ნიმუში უდიდესი პროგრესი იყო მეცნიერული დიალექტიკის შემუშავებისაკენ მამავალი ფილოსოფიური აზრის განვითარებაში.

ჰერაკლიტე შეეცადა მოეხსნა მილოსოფოსთა მოძღვრებაში მოცემული წინააღმდეგობა შეფარდებით და აბსოლუტურ ჭეშმარიტებას შორის. ამ მხრივ, მის მიერ წინ გადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენდა სამყაროს მატერიალისტური ახსნისა და მისი დიალექტიკური გაგების მილეთური მოძღვრების შემდგომი განვითარება; მაგრამ აზროვნების ისტორიული განვითარების ობიექტური კანონზომიერების მიხედვით, მისი მოძღვრებაც ჩამოყალიბდა აპსოლუტური და შეფარდებითი ჭეშმარიტების წინააღმდეგობათა ერთიანობის სახით, როგორც ბერძნული ფილოსოფური აზრის შემდგომი განვითარების გარკვეული წინაისტორიული საფუძველი.

ჰერაკლიტეს მრავალმხრივმა მოძღვრებამ დიდი გავლენა მოახდინა ბერძნული ფილოსოფიის შემდგომ განვითარებაზე, განსაკუთრებით, ელეატური სკოლის წარმომადგენლებსა და სოფისტების მოძღვრებებზე. პლატონისა და არისტოტელის ფილოსოფიაზე. ვ. ი. ლენინის გამოთქმით, სვამს რა ერთიანის გაორებისა და მისი წინააღმდეგობრივი ნაწილების შემეცნების საკითხს „...არისტოტელე თავის „მეტაფიზიკაში“ მუდამ თავს იმტვრევს ამის გარშემო და ებრძვის ჰერაკლიტეს“ [1, გვ. 371]. ჰერაკლიტეს გავლენა ახალ ფილოსოფიასაც გადასწვდა. ეს გავლენა განსაკუთრებით საგრძნობია ჰეგელთან; თვით ჰეგელი გარკვევით მიუთითებდა: „არ არის არც ერთი დებულება ჰერაკლიტესი, რომელიც მე არ მიმეღოს ჩემს ლოგიკაში“ [იგივე, გვ. 266].

## Г. Н. ДЖОЛОХАВА

### ДИАЛЕКТИКА ГЕРАКЛИТА

Р е з ю м е

Философия Гераклита возникла на определенной основе социально-экономических и мыслительных предпосылок. Эта мыслительная предпосылка — милетская натурфилософия. На основе исторической и логической необходимости внутреннего развития из милетской натурфилософии в качестве нового учения возникла философия Гераклита. Поэтому учение Гераклита представляется диалектическим отрицанием милетской философии, и, таким образом, ее определенным развитием.

В диалектике Гераклита даны определенные начальные элементы некоторых законов и категорий — понятий научной диалектики: 1) сущность — одна, материальная, общая и вечная; она вечно движущееся противоречие и единство противоречий; 2) явление — чувственная форма, «чувственное название» сущности. В предмете и между предметами, как определенное различие, имеет место противоречие; предметы претерпевают непрерывное и бесконечное изменение, но вместе с тем им присуща относительная неизменчивость; они находятся во всеобщих взаимоотношениях и обусловливают друг друга. Отношение сущности и явления у Гераклита принимает форму отношения единицы и множества; 3) единица — единая материальная сущность, существующая как всеобщая природа множества; множество — существование различной природы и состояния единицы; единица взаимопротиворечивым движением создает множество; единица не существует вне множества и наоборот; 4) движение, как изменение

предметов вообще, является единством противоречий; существуют вечное и временное движение, находящиеся во внутренней связи; 5) противоречие — взаимное отрицание различных сторон предмета и различных предметов: оно существует в самом предмете и между предметами, определяя возникновение и существование каждого; противоречие создает единство противоречий; 6) всеобщее — то, что едино во множественных явлениях; необходимость же — определенная неизбежность чего-либо; 7) относительность — существование в виде противоречивых определенностей в различных отношениях «да» и «нет» одного и того же предмета, в одно и то же время; 8) законом является то, чему подчиняется множество, закономерность — определенный способ движения — изменения; 9) причина — то, что определяет существование как чего-либо такового. Само существование как таковое является следствием; 10) самопознание — это процесс выяснения и познание человеком самого себя.

### ლ ი ტ ე რ ა ტ უ ჩ ა

1. ლ ე ნ ი ნ ი ვ . ი . თ ხ ბ . ტ . 38, 1963.
2. ა რ ი ს ტ ო ტ ე ლ ი . მ ე ტ ა ფ ი ზ ი ა , თ ბ ი ლ ი ს ი , 1964.
3. დ ა ნ ე ლ ი ა ს . ა ნ ტ ი უ რ ი ფ ი ლ ი ს ი ფ ი ა ს ი მ ი ნ ი ს ი , 1926.
4. წ ე რ ე თ ე ლ ი ს . ა ნ ტ ი უ რ ი ფ ი ლ ი ს ი ფ ი ა ს ი მ ი ნ ი ს ი , 1968.
5. წ ე რ ე თ ე ლ ი ს . დ ი ა ლ ე ქ ტ ი კ უ რ ი ლ ვ ი ა , თ ბ ი ლ ი ს ი , 1965.
6. ვ ი ნ დ ე ლ ი ბ ა ნ დ ვ . ი ს ტ ი ა რ ი ს ი ფ ი ა ს ი მ ი ნ ი ს ი , 1902.
7. გ ი მ პ ე რ ც ტ . გ რ ე ს ი კ ი ს ი ტ ე ლ ი ს ი მ ი ნ ი ს ი , С - П ე ტ ე რ უ რ ი , 1911.
8. ლ უ რ ე ს . ი ს ტ ი ა რ ი ს ი ფ ი ა ს ი მ ი ნ ი ს ი , М . - Л . , 1947.
9. ლ უ რ ე ს . ი ს ტ ი ა რ ი ს ი ფ ი ა ს ი მ ი ნ ი ს ი , М . - Л . , 1929.
10. მ ა კ ი ვ ე ლ ს კ ი ს ი ა . დ ი ს ი კ ა ტ ი კ ი ს ი ტ ე ლ ი ს ი მ ი ნ ი ს ი , К ა ზ ა , 1914.
11. რ ი ტ ე რ ი . ი ს ტ ი ა რ ი ს ი ფ ი ა ს ი მ ი ნ ი ს ი , С - П ე ტ ე რ უ რ ი , 1859.
12. თ ა ნ ე რ ი პ . პ ე რ ე ს ი ტ ე ლ ი ს ი მ ი ნ ი ს ი , С - П ე ტ ე რ უ რ ი , 1902.
13. თ რ უ ბ ე ც კ ი ს . კ უ რ ი ს ტ ი ა რ ი ს ი ფ ი ა ს ი მ ი ნ ი ს ი , 1915.
14. ც ე ლ ე რ ი . ი ს ტ ი ა რ ი ს ი ფ ი ა ს ი მ ი ნ ი ს ი , С - П ე ტ ე რ უ რ ი , 1886.
15. D i e l s H . Die Fragmente der Vorsokratiker, erster Band, 1956.
16. Z e l l e r , Grundriss der Geschichte der griechischen Philosophie, Leipzig, 1905.

წ ა რ მ თ ა ღ ი ნ ა ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ი ს ს ს რ მ ე ც ნ ი ე რ ე ბ ა თ ა ა კ ა ღ ე მ ი ი ს  
ფ ი ლ ი ს ი ფ ი ა ს ი მ ი ნ ი ს ი ს ი ნ ს ტ ი ტ უ ტ მ ი

## ნინო მავანიაშვილი

### კანტი ისტორიის საზრისებს შესახებ

კანტი ის მოაზროვნეა, რომელიც ცდილობს ყველა ფილოსოფიური პრობლემის წვდომას და მის გააზრებას, ყოველივეს, რასაც მისი კალამი შეეხო, ეტყობა სიახლის, სიღრმისა და ორიგინალობის კვალი. ასეთივეა მისი თვალსაზრისი ისტორიის შესახებ. იგი შეეცადა კაცობრიობის მომავლის პერსპექტივის ამოცნობას და გზის დასახვას ამ მიზნის მისაღწევად. ისევე, როგორც სხვა პრობლემების გადაწყვეტის დროს, კანტმა აქაც მოახერხა სრულიად განსხვავებულად ეთქვა სათქმელი და მიაღწია ისტორიის, ისტორიული პროცესის რჩვენარ გავებას, როგორიც მანძილე არც ერთ ფილოსოფოსთან არ გვხვდება.

ცნობილია, რომ როდესაც კანტი რაიმეს კვლევას იწყებდა, ჯერ მიმართავდა მისი მეცნიერულობის საზღვრების დაგვენას. ე. ი. ოკვევდა, არის თუ არა ეს საკითხი თეორიული, და მხოლოდ ამის შემდეგ იწყებდა მისი სხვა პრინციპით გამოკვლევას.

ამ საზღვრების კვლევამ კანტი დაარწმუნა, რომ ისტორიის, როგორც მეცნიერების არსებობა უეუძლებელია, რადგან „მოძღვრება მეცნიერებად იქცევა მხოლოდ მაშინ, თუ ის იქნება სისტემა“. ე. ი. თუ მოხერხდება ისტორიის ფაქტების, მასალის მოწესრიგება შემეცნების პრინციპებით.

ასევე შეუძლებელია კანტისათვის ისტორიის ფილოსოფიის, როგორც რაციონალური მოძღვრების არსებობა. ისტორიას კანტი თავისებს თავისუფლების სფეროში და მას განიხილავს, როგორც ეთიკის საგანს. ე. ი. გარკვეული აზრით ისტორია გაგებული უნდა იქნეს ადამიანის თავისუფალი ნებიდან ამოსვლით. ამიტომ აღარ იქმნება იმის საჭიროება, რომ ისტორია ემორჩილებოდეს იმ მეთოდოლოგიურ თუ ლოგიკურ მოთხოვნებს, რომელსაც კანტი უყენებს მეცნიერებას.

კანტის მიერ ისტორია გაიგება, როგორც ადამიანთა თავისუფალი მოქმედების გამოვლენა. ისტორია არის ადამიანის თვითგანსორციელების (სრულყოფის) გზა. ადამიანი ინდივიდუში ვერ ახერხებს სრულყოფილების მიღწევას, მან მრავალი თაობის მეშვეობით (ე. ი. გვარით) უნდა მიაღწიოს სრულყოფილ სოციალურ, კულტურულ და პოლიტიკურ მდგომარეობას. ასეთი გაებით ისტორიული პროცესი არის ადამიანის თანდათანობითი ზრდა გონიერი მიზნისაკენ. საბოლოო მიზანი კი იქნება ადამიანთა ერთობა, რომლებიც მორალური კანონის თანახმად იცხოვერებენ და რომლებიც მიმართავენ გონების ძალთა მეგობრულ შეჯიბრს. ეს იქნება მარადიული მშვიდობა, რადგან ისტორიული პროცესი მიხნეულია ადამიანის სრულყოფილების გზად, ამიტომ კანტის ინტერესი ისტორიისადმი თავისებურია. მას ნაკლებ აინტერესებს ისტორია ამ სიტყვის ჩვეულებრივი გაებით, რაც არ ნიშნავს ისტორიული ფაქტების უგულებელყოფას ან მის გამოყენებას საკუთარი სისტემის გასამართლებლად, არამედ იმას, რომ კანტს ჰქონდა საკუთარი ცნება ისტორიის ბუნ. „მაცნე“, ფილოსოფიისა და ფიზიკურის სერია, 1985, № 4

ნებასა და მის მნიშვნელობაზე აღამიანისათვის. ამიტომ კანტი იმდენად ისტორიის დეტალებს არ ეხება, რამდენადაც ისტორიის მნიშვნელობის კრიტიკულ შესწავლას აწარმოებს. აღამიანის ისტორიას იგი ათავსებს იმ მარადიული იდეების ქვეშ, რომლებიც წმინდა გონებით მოგვეცემა. ის, რაც კანტის მხედველობაში აქვს, ისტორია კი არ არის, არამედ ისტორიის ფილოსოფია, ისტორიის საზრისი... კანტის მთელი მოღვაწეობა, მისი ფილოსოფია პრაქტიკული ორიენტაციისაა („პრაქტიკული ყველაფერი, რაც შესაძლებელია თვისისუფლების წყალობით“) [1, გვ. 461]. პრაქტიკული იყო მისი ინტერესიც აღამიანის მიზანწარმართული აქტივობისადმი, რადგან ესაა აღამიანური ქცევის ის სახე, რომელიც შეიცავს თვისისუფლებას ანუ მორალურობას (ამასთან დაკავშირებით შეიძლება გავიხსენოთ კანტის ზოგიერთი ბოლო ნაშრომი, რომლებიც ისტორიის, პოლიტიკის, განათლების საკითხებს ეხება: „რასებს შორის განხილვავება“ (1775), „ტელეოლოგიური პრინციპის გამოყენება“ (1788), „საყოველთაო ისტორიის იდეა, განხილული მსოფლიო სამოქალაქო ასპექტით“ (1784), „ყაცობრიობის ისტორიის სააღმაოო დასაწყისი“ (1786), „რა არის განათლება“ (1784), „რეცენზია ჰერდერის წიგნზე“ (1785), „სამარადისო მშვიდობის შესახებ“ (1795) და სხვ.).

ისტორიის ფაქტებიდან უნდა გამოვაჩითოთ ის ძირითადი და მნიშვნელოვანი, რომელიც ახლოსაა „ზნებრივთან“, რათა ვიპოვოთ ის „მთავარი სახელმძღვანელი ძაფი“, რომელიც დაგვეხმარება „აღამიანის ბედის დასაღვენად მის პერსპექტივაში“, სხვა ყოველივე კანტისათვის მოკლებულია „მეცნიერულ“ ღირებულებას. ისტორიის ფილოსოფია უნდა მსჯელობდეს იმ მიზნებზე, იდეალებზე, რომლებიც უნდა ჰქონდეს კაცობრიობას და რომლებითაც უნდა წარიმართოს აღამიანთა ურთიერთობა, სახელმწიფო წყობა, თვითონ ისტორიული პროცესი.

კანტისათვის ძირითადი და წამყვანია ეთიკური სუბიექტი (ეთიკური საზოგადოება) აღამიანის ძირითადი სპეციფიკა, რითაც იგი განსხვავდება ყველა სხვა არსებულისაგან (როგორც კანტი აღნიშნავს მეორე „კრიტიკაში“ — აღამიანი აღმატება ცხოველს არა იმიტომ რომ მას აქვს გონება, რადგან თუ მხოლოდ გონება აძლევს მას საშუალებას საკუთარი თავი მოიხმაროს ისე, როგორც ამას ცხოველი ახერხებს ინსტინქტის მეშვეობით, აღამიანს ცხოველზე მაღალი მიზანი არ ჰქონია, არამედ ამ მიზნის განხორციელების უბრალოდ სხვა ხერხი) ესაა სპეციფიკური მიზანი.

ნაშრომის „ანთროპოლოგია პრაგმატიული თვალსაზრისით“ ბოლო ნაწილში კანტი განხილავს აღამიანის მიზანს და იმ პროგრესს, რომელსაც ის ამ მიზნისაკენ სწრაფვაში განიცდის. აღამიანისათვის სრულყოფილი მდგომარეობის მიღწევა დედამიწაზე შეუძლებელია მხოლოდ გონებით. ამ იდეური მდგომარეობის მოპოვების პროცესს წარმართავს თვისისუფალი ნება, რომელიც უნდა ხელმძღვანელობდეს მოგალეობის პრინციპით, იმპერატივით.

კანტი ლაპარაკობს აღამიანის განვითარებაზე სრულყოფილი გონიერებისაკენ, როგორც კაცობრიობის აღზრდაზე, განათლებაზე. *Animal rational* ხდება *Animal rationale* (გონითი არსება, გონიერი). ამ შემთხვევაში განათლების ქვეშ მას არ ესმის ინტელექტუალური პროცესი, არამედ უფრო აღამიანის უნართა თანდათანობით გაფურჩქვნა მორალური სამართლიანობის ატმოსფეროში.

აღამიანი, როგორც ცოცხალი არსება, ბუნების პროდუქტია, მაგრამ ამა-

ეს დროს ადამიანი ის არსებაა, რომლის ნასახებიც სრულყოფილად შეიძლება განვითარდეს გვარში, ისტორიული განვითარების პროცესში. ის განსაზღვრულია საზოგადოებაში ცხოვრებისათვის, სადაც იძენს კულტურას, მას აქვს ზემოქმედებითი უნარები. ის პასუხისმგებელია თავისი შექმნილისათვის, საკუთარი ქცევისათვის. ადამიანი აქტიურობით, გონიერი და მიზანშეწონილი მოქმედებით და არა ცხოველივით ინსტინქტებით აღწევს თავის არს, ვითარდება ცხოველურიდან ნამდვილ ადამიანურამდე, უმორჩილებს თავის ლტოლებს ადამიანობის იდეას, ადამიანი არის გონითი, კონიერი, მიზანდამსახველი და კანონების შექმნელი, თავისუფლებისმოყვარე არსება.

ადამიანში ჩადებულია ორგვარი უნარი ორი სხვადასხვა მიზნით. კერძოდ, კაცობრიობა როგორც ცხოველური გვარი და კაცობრიობა, როგორც მორალური გვარი.

ადამიანის გვარი ნიშნავს თაობათა უსასრულო (განუსაზღვრელ) რიგს. თავის განსაზღვრებას, მთლიანად, მხოლოდ გვარი აღწევს და არა ადამიანის გვარის რომელიმე შვილი. „ადამიანში (როგორც დედამიწაზე მცხოვრებ ერთადერთ გონიერ არსებაში) ის ბუნებრივი მონაცემები, რომლებიც მიმართულია მისი გონების გამოყენებისათვის, სრულყოფილად უნდა განვითარდეს გვარში და არა ერთეულში (ინდივიდში)“ [3, გვ. 9]. „ადამიანი თავისი გონებით განსაზღვრულია იმისათვის, რომ იყოს ადამიანთა საზოგადოებაში და მასში ხელოვნებითა და მეცნიერებით განვითარდეს, გახდეს ცივილიზაციებული და მორალურად დაიხვეწოს, როგორი ძლიერიც არ უნდა იყოს მისი ცხოველური მიღრეკილება, დაემორჩილოს მყუდრო და კარგ ცხოვრებას, რასაც იგი ბედნიერებას უწოდებს“. ადამიანი უნდა იყოს მოქმედი, ებრძოლოს წინააღმდეგობებს, რომელიც მას აქვს თავისი არა მტკიცე ბუნებით, რომ გახდეს ადამიანობის ღირსი (შესაფერისი) [3, გვ. 578].

კანტის აზრით, მართებულია „ისეთი საზოგადოებრივი წყობა, რომელსაც საბოლოო მიზნად აქვს ადამიანში მოცემული კეთილი მიღრეკილების გამომჟღვნება, ამაღლება. ადამიანის გვარის განსაზღვრების, მისი საბოლოო მიზანთან მიმართების შესაბამისად“ [3, გვ. 581].

ამგვარად კანტი მკვეთრად მიჯნავს ერთმანეთისაგან ადამიანს, როგორც ცხოველურ ჯიშს და ადამიანს, როგორც ადამიანურს, მორალურს. რა თქმა უნდა, ამ უკანასკნელში უნდა ვეძებოთ ადამიანის ძირითადი სპეციფიკა და დანიშნულება. ადამიანისათვის ერთადერთი ასპარეზი და საშუალება თავისი ადამიანობის გამოსავლენად არის ისტორია. მოძრვრებაში მოვალეობის შესახებ ადამიანი „წარმოდგენილია საკუთარი თავისუფლების უნარის მქონე არსებად“. მისმა არსებობამ, როგორც „ცხოველმა ადამიანმა“, მის ღირსებას, როგორც „გონიერ (მორალურ) ადამიანს არაფერი არ უნდა დააკლოს“.

ადამიანობა არის ადამიანის წმინდა არის მასში არსებული „ცხოველურობის“ საპირისპირობა. არც ერთი არსება არ ეთანხმება თავისი გვარის სრულყოფილების იდეას „ისე ნაკლებ, როგორც ადამიანი ადამიანობას, ადამიანობის იდეას, რომელსაც იგი როგორც მოქმედების ნიმუშს სულში ატარებს“ [5, გვ. 352].

ამრიგად, ადამიანი არის ცოცხალი არსება, რომელიც სიცოცხლისა და ბუნების კანონზომიერებათა ტყვეობაშია მოქცეული. ადამიანი არა მარტო „რაღაც“ მოცემულობაა, არამედ „რაღაცად“ გახდომის შესაძლებლობაც.

ადამიანი გრძნობადი, კონკრეტული მოცემულობაა, რომელიც გარევეულ

დროში არსებობს, მაგრამ ამან ხელი არ უნდა შეუშალოს მას მიაღწიოს თავის დანიშნულებას. ადამიანისათვის ხანმოკლე ცხოვრება დაუწესებია ბუნებას, „ცუდად გვექნება გაგებული „ადამიანის ცხოვრების (სიცოცხლის) ღირებულების“ ცნება, თუ მოგისურვებთ, რომ სიცოცხლე უფრო ხანგრძლივი ყოფილიყო, ვიდრე სინამდვილეშია, რადგან ეს იქნებოდა მხოლოდ გახანგრძლივება ამ უბედურებისა, სიძნელეებთან ბრძოლისა, რომელიც მას თან ახლავს, სიცოცხლის ღირებულება მდგომარეობს არა მისით ტკბობაში, არამედ გონება მოგვავონებს „რომ სიცოცხლეს ღირებულება მივანიჭოთ მოქმედებით... მაშასადამე, არაფერი არ რჩება გარდა ღირებულებისა, რომელსაც ჩვენ ჩვენს სიცოცხლეს თვითონვე ვანიჭებთ მიზანთან მიმართებაში და თვით ბუნების არსებობაც მხოლოდ ამ პირობებშია ჩვენთვის მისაღები“ [5, გვ. 328].

როგორც ბუნებრივი არსება, ადამიანი არ წარმოადგენს გამონაკლის ცოცხალთა საერთო ბედისაგან, მაგრამ როგორც მოაზროვნე ბუნება, ის თვითონ ისახავს მიზნებს და მთელი შესაქმის საბოლოო მიზანია. „მსჯელობის უნარის კრიტიკში“ კანტი ერთგან ამბობს, რომ ადამიანის, როგორც „საბოლოო მიზნის“ გარეშე მთელი შესაქმე იქნებოდა „ცარიელი უდაბნო“ [5, გვ. 353].

კაცობრიობის ისტორიას თუ გადავხედავთ, აქც აღმოვაჩენთ მიზნის ფენმენს, მაგრამ კაცობრიობის ისტორია არ შეიძლება განხილული იქნეს როგორც გეგმაზომიერი ისტორია, თუ ადამიანის მოქმედებას განვიხილავთ მხოლოდ ისტორიული მასშტაბით, აუარებელ გაუგებრობას და ბოროტებასაც კი წაგაწყდებით. ფილოსოფოსს მხოლოდ ერთი გამოსავალი რჩება (რადგან არ შეიძლება ადამიანის გვარის მოქმედებაში, თუნდაც მთლიანობაში აღებული, ვიგულისხმოთ რაიმე საკუთარი გონებრივი მიზანი): უნდა ვეცადოთ ადამიანის საქმიანობის ამ უმიზნო სვლაში ვიპოვოთ ბუნების მიზანი, რომ შესაძლებელი იქნეს კაცობრიობას ჰქონდეს ისტორია, რომელიც ბუნების გეგმას შეესაბამება.

ყველა ბუნებრივი ნასახი ცოცხალი არსების დანიშნულია სრულყოფილი და მიზანშეწონილი განვითარებისათვის. თუ ჩვენ უარყოფთ ამ ძირითად დებულებას, მაშინ ხელში შევარჩება შემთხვევითობა.

ბუნებრივი ნასახები ადამიანისა (როგორც ერთადერთი გონიერი არსებისა დედამიწაზე) შეიძლება განვითარდეს გონების დახმარებით. გონებას აქვს უნარი გააფართოოს ბუნებრივი ინსტინქტების საზღვრები, თვით გონება არ მოქმედებს ინტენსიურად, არამედ საჭიროებს გამოცდას, ვარჯიშს, სწავლებას. ყოველ ადამიანს სჭირდება ხანგრძლივი სიცოცხლე, რათა გამოავლინოს და მოიხმაროს თავისი ბუნებრივი ნასახები, მაგრამ ბუნებას მეტად მცირე დრო დაუწესებია ადამიანისათვის. ამიტომა ბუნების მიზნის განხორციელება შესაძლებელი მხოლოდ გვარში.

ის, რომ ბუნებამ ადამიანი თავისუფალი ნებით დააჯილდოვა, ძალზე ბევრს ნიშნავს, ბუნებამ ადამიანი შექმნა ასეთად, და ამის შემდეგ ყველაფერი თვითონ მასზეა დამკიდებული. განვითარების უსასრულო ჯაჭვში ადამიანები მხოლოდ ცალკეული რგოლებია, ადამიანი როგორც ერთეული მოკვდავია, მაგრამ ყოველივე ეს როდი ნიშნავს იმას, რომ ადამიანს, როგორც ერთეულს, პიროვნებას ეკაბრება საკუთარი ღირებულება, ღირსება და ის ისტორიის მსვლელობაში, კაცობრიობის განვითარების პროცესში მხოლოდ საშუალებად გაიაზრება.

თუ როგორ მოახერხა კანტმა პიროვნებისათვის დაეტოვებია საკუთარი

მნიშვნელობა, კარგად ჩანს ტელეოლოგიის შესახებ მოძღვრებაში. ამ მოძღვრებას მხოლოდ ნაწილობრივ შევეხებით, იმდენად, რამდენადაც იგი დაგვეხმარება სამყაროში აღამიანის (პიროვნების) ადგილის დადგენაში, და მისი საზრისის გაგებაში.

როგორც ზემოთ აღინიშნა, ტელეოლოგიის ცნების მეშვეობით კანტი შეეცადა დაედგინა აღამიანის ადგილი სამყაროში, აღამიანი როცა იგი სამყაროს ოლიქების როგორც მიზანშეწონილობის პრინციპით აგებულს, როცა მისი სული პეტრების მზაობას მორალური განცდისათვის, ესთეტიკური ჭვრეტისათვის, შინაგანად ყოველთვის მიმართულია უფრო მაღლისაკენ და სრულყოფილისაკენ, ვიდრე თვითონაა. მას ჭირდება არსება, რომლის მეშვეობითაც იგი გამართლებს და ახსნის მისი ასეთად ყოფნის შესაძლებლობას და რომელიც იქნება მიზნობრივი მიზეზი, როგორც სამყაროსი, ასევე აღამიანის. ამ შემთხვევაში გონება საკუთარი მორალური პრინციპების მეშვეობით ქმნის ღმერთის ცნებას. ღმერთის არსებობის დასაშვებად გამოსადევება მხოლოდ მორალური არგუმენტი, მორალურ არგუმენტს მნიშვნელობა აქვს არა შემეცნებისათვის, არამედ მოქმედებისათვის.

ღმერთის არსებობის დაშვებამ ხომ არ შეზღუდა აღამიანი, როგორც თავისუფლად მოქმედი „მორალური სუბიექტი“? კანტი თვლის რომ არა. აღამიანი მოქმედებს განსაზღვრების თანახმად (კანტი დგას კრეაციონიზმის თვალსაზრისზე, იგი ამდენის ღმერთის ცნების ქრისტიანული გაგებიდან). ეს კი სრულიადაც არ ეწინააღმდეგება „ნების თავისუფლებით“ აღჭურვილი სუბიექტის ცნებას. აღამიანი რჩება ბუნებისა და სუროთო სამყაროს საბოლოო მიზნად, რადგან იგია ღმერთის რჩეული და იმთავითვე იმყოფება ღმერთში როგორც მისი „მხოლოდ შობილი შვილი“. მაგრამ „ეს ღმერთის მსგავსი და ხატი“ შეიძლება იყოს აღამიანობის იდეა, და არა თითოეული, ცალკეული აღამიანი. ამ იდეასთან მიახლოება, მისი განხორციელება კი შეუძლია ერთეულ აღამიანს, თუ მისი წარმმართველი გახდება თავისუფალი ნება, ყოველ კონკრეტულ აღამიანს შეუძლია მოინდომოს მორალურ პიროვნებად გახდომა, ე. ი. აღამიანი არა მხოლოდ პოტენციაში უნდა იყოს „ღმერთის ხატება“, არამედ კიდევ უნდა სურდეს ამ პოტენციის განხორციელება, მისი აქტუალიზაცია. ამრიგად, ცალკეული აღამიანი თავისუფალი არსება და ის თავად ირჩევს გახდეს თუ არ გახდეს „ღმერთის მსგავსი“, „გინდოდეს ისე, როგორც ხარ ვალდებული“ («Wolle, wie du tu bist») კანტისათვის აღამიანის პიროვნებად ქცევის მაქსიმა. აღამიანი არის ისეთი არსება, რომელსაც აქვს უნარი დასხოს მიზნები და იმოქმედოს მის შესაბამისად, გაწყვიტოს მიზეზობრიობის ჯაჭვი და გავიდეს თავისუფლების სამყაროში. კანტისათვის კი მიზანი სხვა არაფერია, თუ არა ღმერთთან მიახლოება, ხოლო აღამიანისათვის ღმერთთან მიახლოება ნიშნავს აღამიანობის მაღალი იდეალის ზიარებას.

განწყობა რომ ქცევას ედება საფუძვლად და რომ ის ქცევას სინამდვილის ასახვის კალაპოტში აყენებს, განაპირობებს ქცევის მიზანშეწონილობას. მიზანშეწონილი ქცევის გაებას ცდილობს მექანიკისტური და ვიტალისტური თეორიები. მაგრამ მათი ახსნა ქცევის მიზანშეწონილობისა ნაკლოვანია. მექანიკიზმი ცოცხალი ორგანიზმის სპეციფიკურობას უარყოფს, იგი კვლავ არაორგანული ნივთიერებების კანონზომიერებათა ფარგლებში რჩება. ვიტალიზმი მეორე უკიდურესობაში ვარდება: იგი ორგანულსა და არაორგანულს შორის უფსკრულს თხრის, მათ შორის აბსოლუტურ განსხვავებას ხედავს, რამდენადაც იმას, რაც სპეციფიკურია ორგანიზმისათვის, არამატერიალურად აცხადებს (ასეთია ფსიქოდი, უნტელექტია თუ სასიცოცხლო ენერგია).

მიზანშეწონილი ქცევის პროცესი — ღ. უზნაძის მიხედვით, იმაში მდგომარეობს, რომ გაირკვეს: „როგორაა შესაძლებელი, რომ ორგანიზმის, როგორც მატერიის ერთ-ერთი ფორმის, ქცევა უდავოდ მიზეზობრივად იყოს განსაზღვრული, მაგრამ იმავე დროს მიზანშეწონილობითაც ხასიათდებოდეს“ [7, გვ. 83].

ორგანიზმის ქცევის მიზანშეწონილობის ფაქტი მცნიერულად აიხსნება სწორედ ღ. უზნაძის განწყობის ოეორიის საფუძველზე, ვინაიდან ქცევა აქვთ განსაზღვრულია როგორც მიზეზობრივ რკალში ჩართული, მაგრამ მაინც მიზანშეწონილი ბუნების მქონე, რაღვანაც ეს ქცევა შესატყვიისია სიტუაციისა, რაც მოთხოვნილებას აქმაყოფილებს. ქცევას საბოლოოდ გარემო განსაზღვრავს; მაგრამ ეს სუბიექტის საშუალებით ხდება, რომელშიც აღნიშნული გარემო შესატყვიის განწყობას იწვევს, და ეს უკანასკნელი ქცევას, როგორც თავის რეალიზაციას წარმოშობს.

როგორც აღინიშნა, ქცევა განწყობით არის უშუალოდ განსაზღვრული. განწყობა არის ქცევის აღმოცენების უშალო მიზეზი. განწყობა არის ორგანიზმის წინასწარ მომართვა გარკვეული ქცევისათვის. ორგანიზმი როგორ მოიქცევა გარკვეულ სიტუაციაში, წინასწარაა მოცემული მის განწყობაში. „განწყობა არა მატო როგორც ნამდვილი მიზანი უნდა იყოს ქცევაზე, არამედ ამავე დროს თითქოს მიზანი მსგავსადაც: როგორც მიზანში წინასწარაა მოცემული ის, რაც შემდეგში უნდა მოხდეს, სწორედ ასეა განწყობაშიც“ [7, გვ. 89].

თუ განწყობის სახით ჩვენ სიტუაციის სუბიექტში ასახვასთან გვაქვს საქმე, ამავე დროს თუ ქცევას განწყობა განსაზღვრავს ე. ი. ქცევა განწყობის შესატყვიისად წარიმართება, ეს სხვას არაფერს ნიშნავს, თუ არა იმას, რომ ქცევა სიტუაციის შესაფერისად, მაშასადამე, მიზანშეწონილად მიმდინარეობს — ცოცხალი ორსების ქცევას მიზანშეწონილი ბუნება აქვს.

ასახვის კატეგორია მატერიალისტური ფილოსოფიის ერთ-ერთი ძირითადი ცნებაა. მატერიალის განვითარების სხვადასხვა დონეებზე ჩატარებულმა გამოკვლევებმა დააღალასტურეს ასახვის სხვადასხვა ფორმების არსებობა, რამაც ერთხელ კიდევ აჩვენა მატერიალისტური ფილოსოფიის სწორი მტკაცება ასახვის, როგორც მატერიალის ზოგადი თვისების, არსებობის შესახებ. ფიზიოლოგიურ დონეზე პ. ანონიმმა დააღალასტურა ობიექტური სინამდვილის ასახვის ფაქტი, რასაც ეწოდა „მოქმედების შედეგების აქცეპტორი“ და წარმოადგენს წინასწართვების (განჭვრეტის) ფიზიოლოგიურ აპარატს. მოქმედების შედეგების აქცეპტორი ესაა პრინციპის გამოთქმა — ტვინით გარესამყაროში ხდომილებათა რეალური რიგის წინმსწრები (განჭვრეტითი) ასახვა [11, გვ. 121]. მოქმედების შედეგების აქცეპტორის ფუნქცია იმაში მდგომარეობს, რომ ის „განჭვრეტს“ იმ შედეგების აფერონტულ თვისებებს; რომლებიც მიიღებიან გადაწყვეტილების მიღების შესატყვისად და, მაშასადამე, წინ უსწრებენ მოვლენათა მსვლელობას ორგანიზმსა და გარესამყაროს შორის ურთიერთობებში [11, გვ. 95].

მოქმედების შედეგების აქცეპტორი ხორციელდება წარსული გამოცდილების გამოყენების საფუძველზე. ესაა სინამდვილის ასახვის ერთ-ერთი სახე, სადაც წარსულის გამოცდილების გამოყენებით ორგანიზმი აქტიურად ეგუება არსებულ სინამდვილეს. აქ პრინციპული ყურადღება ექცევა გამოცდილების დაგროვებას. მოქმედების შედეგების აქცეპტორი, როგორც მომავალში წინმსწრები (забегание в будущее), ეს მრავალჯერ მიმღინარე პროცესის იმ ღროს განხორციელებაა, როცა მისი გამომწვევი ობიექტური სინამდვილის ელემენტებიდან მხოლოდ რომელიმეა სახეზე, სხვები კი პროცესის გამოწვევაში მონაწილეობას არ ღებულობენ. „წინმსწრება“ (забегание вперед) ამაში მდგომარეობს. გამომწვევი ობიექტური პირობა არ არის და მისით განპირობებული წინანდელი შედეგი ახლა გამოიწვევა — ხორციელდება მასთან დაკავშირებული სხვა აგენტით.

დ. უზნაძის განწყობის ფაქტი სხვა კატეგორიის მოვლენაა. აქ საქმე გვაქვს პირველადი განწყობის შემთხვევაში არ გამოცდილების აღდგენასთან, არამედ ისეთ ასახვასთან, რომელიც გამოცდილების გარეშე „იძლევა ობიექტურის სწორი განცდის შესაძლებლობას“, „განწყობაში თვითონ მისი გამომწვევი ობიექტური ვითარებაა“ ვითარებაა ასახული“, „განწყობა სუბიექტში გადასული ობიექტური ვითარებაა“ და ვინაიდან განწყობა ობიექტური სინამდვილის სწორი ასახვის შესაძლებლობას იძლევა, ამდენად იგი მიზანშეწონილი ქცევის განხორციელების საფუძველს წარმოადგენს.

2) ცნობიერებაში განწყობის ასახვის ბუნების შესახებ. აღნიშნული საკითხი ბოლო დროს აქტუალური გახდა. ცნობილია, თუ რაოდენ მნიშვნელობის მქონედ სახავდა დ. უზნაძე განწყობისა და ცნობიერების ურთიერთმიმართების ასპექტს. ორმოციან წლებში ის აღნიშნავდა: „განწყობის თეორიის ერთ-ერთ მეტად პრინციპულ პრობლემას განწყობისა და ცნობიერების ურთიერთობის პრობლემა წარმოადგენს. სამწუხაროდ ამ მიმართულებით ჯერჯერობით ბევრი არაფერი გვაქვს გაკეთებული: ის მდიდარი პრობლემატიკა, რომელიც ამ საკითხთან არის დაკავშირებული ჯერ კიდევ მომავალი კვლევის საგანს წარმოადგენს. მაგრამ ერთი რამ განსაკუთრებით მნიშვნელოვანი, შეიძლება ითქვას ძირითადი, ჩვენ უკვე გამოკვლეული გვაქვს. საკითხი ეხება განწყობის არაცნობის ბუნების ექსპერიმენტულ დასაბუთებას“ [5, გვ. 31].

მიუხედავად იმისა, რომ დ. უზნაძის კონცეფციაში, ვფიქრობთ, ერთმნიშვნელოვნადაა გადაჭრილი განწყობის ონტოლოგიური პრობლემა ცნობიერებასთან მის მიმართებაში, სახელდობრ, რომ განწყობა, როგორც სუბიექტის მთლიანი მოდუსი, არაცნობიერია და განწყობის მდგომარეობის პირდაპირი შემოსვლა ცნობიერებაში თავისი შინაგანი ბუნებით, ცნობიერებაში მისი ხილვა უშუალოდ ცნობიერების ფსიქიური შინაარსის სახით, გამორიცხული უნდა იყოს. დ. უზნაძის ცნობილი დებულება — განწყობა აისახება ცნობიერებაში — მაინც გახდა მსჯელობის საგანი იმ აზრით, რომ ზოგმა თვითონ განწყობა წარმოადგინა ცნობიერების ფსიქიურ შინაარსად და ცნობიერების დონეზე პირდაპირ და უშუალოდ მოცემულად [2].

რას ემყარებიან, როდესაც განწყობის ცნობიერებაში უშუალოდ შემოსვლის აზრს იცავენ. ესაა დ. უზნაძის ცნობილი დებულება, რომ ადამიანის განწყობა ყოველთვის უშუალოდ არ გადადის ქცევაში, ზოგჯერ იგი „ცნობიერებაში იქველეს გზას და თავის რეალიზაციას აქ პოულობს.... განწყობა თვითონ ქცევაში კი არა, ამ ქცევის წარმო სახე ვაჟი, რეალური ქცევის ფსიქიურ ეკვივალენტებში პოულობს რეალიზაციას“ [7, გვ. 92]. დ. უზნაძე გარკვევით მიუთითებს, რომ რეალიზებული განწყობა განწყობის „ფსიქიური ეკვივალენტია“ და იგი არ ნიშნავს თვითონ განწყობის შემოსვლას ცნობიერებაში. ეს საკითხი დაწერილებითა გაანალიზებული შ. ჩხარტიშვილის წიგნში „განწყობა და ცნობიერება“ და, ვფიქრობთ, ასევე დამარტმუნებულადაა დასაბუთებული, რომ თვითონ განწყობა თავისი ფუნქციით და არსობრივი ბუნებით შეუძლებელია ცნობიერების ფენომენს წარმოადგენდეს [9, გვ. 22—80]. ამჟამად ჩვენ გვანტერესებს, რა თვალსაზრისს გამოთქვემს თვითონ დ. უზნაძე ამ საკითხთან დაკავშირებით თავის ნაწერებში.

„ზოგად ფსიქოლოგიაში“ მითითებულია: „თუ განწყობა სუბიექტის, როგორც მთელის, მდგომარეობაა, მაშინ საფიქრებელია, რომ იგი რაიმე გარკვეული, განცდილი, კერძოული ფსიქიური შინაარსის სახით არ გვეძლევა, რომ იგი ცნობიერებაში მოცემულობის გარეშე მოქმედებს, რომ ამ აზრით იგი ა-ფენომენურ პროცესად შეიძლება ჩაითვალოს“ [7, გვ. 104]. „...განწყობა ცნობიერების ფენომენს არ წარმოადგენს. მაშასადამე, ცნობიერებაში მას არავითარი წინა საფეხურები არ შეიძლება ჰქონდეს“ [7, გვ. 601]. „განწყობა შეუძლებელია წარმოადგენდეს სუბიექტის ცნობიერების ცალკეულ აქტს, იგი მხოლოდ მოდუსია მისი, როგორც მთელის, მდგომარეობისა“, ხოლო „..... მთლიან-პიროვნული მდგომარეობა არ აისახება სუბიექტის ცნობიერებაში. მისი ცალკეული და დამოუკიდებელი განცდების სახით“ [4, გვ. 282,271].

დ. უზნაძე თვლის, რომ განწყობა მაინც რაღაცნაირად აისახება, აირექლება ცნობიერებაში. რა არის განწყობის ასახვა, არეკვლა ცნობიერებაში? ჩვენი ავტორი ასეთ კითხვას სვამს: „რა გვაქვს ცნობიერებაში ისეთი, რომ ჩვენი სუბიექტური მდგომარეობის მთლიანობითი ხასიათის ასახვას წარმოადგენს? რა განცდები გვაქვს ისეთი, რომ ჩვენი განწყობების მიჯნაზე არსებულად და, მაშასადამე, ცნობიერების გამოელენის ყველაზე უფრო პრიმიტიულ ფორმად შეიძლებოდეს ვიგულისხმოთ?“ და ამ კითხვზე შემდეგნაირად პასუხისმოს: „ჩვენ არაფერი გვიშლის ხელს, ცნობიერების გამოვლენის ყველაზე უფრო პრიმიტიულ ფორმად, იმ ფორმად, რომელიც განწყობათა სამკვიდროს ემიჭნება სწორედ ემოციური განცდები ჩაითვალოთ: სუბიექტურობა და განუწევებელი მთლიანობა ყველაზე მეტად სწორედ ემოციურ განც-

დებს ახასიათებს“ [7, გვ. 120]. დ. უზნაძე ლაპარაკობს განწყობის შექმნის განცდის თაობაზეც: „ნებელობის აქტში სუბიექტის განწყობის გადახალისება გვეძლევა, და ყველა ის განცდა, რომელსაც სუბიექტის ცნობიერებაში აქვს აღვალი, განწყობის შეცვლის ანარეკლს წარმოადგენს“ [7, გვ. 194].

გამოუქვეყნებელ „შენიშვნების რვეულში“ დ. უზნაძე აღნიშნავს: „განწყობა და მისი ემოციონალური განცდა, როგორც მისი პიველადი ასახვა თუ არეკვლა. ერთხელ მაიც ყურადღებით უნდა იქნეს განხილული ჩვენი ემოციონალური განცდები, ჩვენი გრძნობები, აი, რა თვალსაზრისით: ხომ არ არის მათ შორის ისეთი, რომ განწყობას წარმოადგენდეს, მას შეესატყვისებოდეს... არა, უკეთ, წარმოადგენდეს ცნობიერებაში. არის ემოციები ასეთი არა პოზიტივური შინაარსის, უფრო მიმართულების შემცველი თითქოს, და ალბათ ამის შესახებ უნდა ითქვას, რომ იგი განწყობას წარმოვადგენს. ეს მოსაზრება მიტომ ჩანს საფუძვლიანი, რომ ემოციონალური განცდა საზოგადო და მჭიდროდ აა დაკავშირებული ს ხე უ ლ ე ბ რ ი ვ პ რ ო ც ე ს ე ბ თ ა ნ — არაა მათგან გამოყოფილი: ფესტ-ლანგეს თეორია. შეიძლება ითქვას, ემოცია არც წმინდა ფსიქიკური განცდაა და არც წმინდა სხეულებრივი მოვლენა. იგი თითქოს ორივეა ერთად — ფერ კიდევ გაუნაწევრებელი მთლიანი და ეს ამტკიცებს, რომ განწყობის უახლოესი წარმომადგენ ნებულია თუ თვითონ განწყობა არა ა. მაშ, ასე: ჩნდება განწყობა — სხეულებრივი მთლიანი მდგომარეობა. მერე ეს პოულობს გამოვლენილ პირველად ასახვას სუბიექტში ე მოციის სახით, რაც ერთდროულ ფსიქოფიზიკურ პროცესს (ემოცია და მისი ე. წ. სხეულებრივი გამოხატულება) წარმოადგენს“ [8].

დ. უზნაძის ზემომყვანილი მსჯელობები პირდაპირ მიუთითებენ იმაზე, რომ განწყობა (სუბიექტის მთლიანობითი მოღუსი) თვითონ კი არ იქცევა (ცნობიერდება) ცნობიერების ფსიქიკურ ფაქტად, ის თავისი შინაგანი გარკვეულობრივ კი არ ეძლევა ცნობიერებას, ხდება ცნობიერების ფენომენი, არამედ მისი არაცნობიერი არსებობა ირკლება, აისახება ცნობიერებაში ფსიქიკური პროცესები მიმთოებელია განწყობის შექმნის ან მისი რეალიზაციის აქტისა. ამიტომცაა, რომ ავტორი აცხადებს: განცდა და მოქმედება „უშუალოდ განწყობის ფონზე აღმოცენები მოვლენებია“, რომ „აქტუალური განწყობის საფუძველზე სუბიექტის ცნობის ფაქტის ცნობის ერთეული ფსიქიკური გარკვეულობისაა“.

როცა ემსჯელობთ განწყობის გაცნობიერებაზე, ერთმანეთში არ უნდა ითიოს გაცნობიერების ცნების ცნობილი გნოსეოლოგიური და ონტოლოგიური შინაარსები. გაცნობიერების გნოსეოლოგიური შინაარსი არ მოითხოვს ცნობიერების საგნის პირდაპირ შემოსვლას ცნობიერებაში (ასეთი რამ საერთოდ წარმოდგენელია); ცნობიერებაში აღმოცენდება ცნობიერების საგნის (სულმოულენია); ცნობიერებაში აღმოცენდება ცნობიერების საგნის (სულმოულენია). იგი რა გარკვეულობისაა ადეკვატური ხატი (აზრი), რაც ამ საგნის ერთია, იგი რა გარკვეულობისაა ადეკვატური გრანტის იძლევა. გაცნობიერების ონტოლოგიური შინაარსი გულისხმობს მოვლენათა მიზეზ-შედეგობრივ დამოკიდებულებას. სახელდობრ, რომ განწყობა მიზეზია გარკვეული ქცევისა ან ფსიქიკური შინაარსებისა, იგი მათ წარმოშობას საფუძვლად ედება. ასეა ეს მარქსისტული მატერიალისტური თეორიის თვალსაზრისით.

მაინც ერთმნიშვნელოგნად არ გვესმის „ცნობიერებაში განწყობის რეალიზაციის“ ცნება; როგორ გავიგოთ კონკრეტულად „ფსიქიკური შინაარსის

აღმოცენება განწყობის ფონზე“, ან კიდევ „განწყობის საფუძველზე ფსიქიკურ შინაარსთა რიგის აღმოცენება“? საჭიროა და ბუცილებელიც მარქსისტული მეთოდოლოგიის ნიადაგზე დგომით ამ საკითხების ანალიზი და გადაჭრა. ერთი კი იმთავითვე ცხადი ჩანს — აქ არაა თვითონ განწყობის უშუალოდ შემოსვლა ცნობიერებაში.

ამ საკითხებთან დაკავშირებით განსხვავებული ვითარებაა სიღრმის ფსიქოლოგიური კონცეფციის მიხედვით არაცნობიერი. ფსიქიკის გაცნობიერების საკითხის გადატერის შემთხვევაში. ვინაიდან სიღრმის ფსიქოლოგიაში თავიდანვე დაშვებული არაცნობიერი ფსიქიკის ერთ-ერთი რომელობის არსებობა, რომლის მიხედვითაც არაცნობიერი ფსიქიკა იგივე ჩვენთვის ცნობილი ცნობიერი ფსიქიკური შინაარსია, რომელსაც არ ახლავს განცდა და ამდენად წარმოადგენს განუცდელ (არაცნობიერ) ფსიქიკურ პროცესს, გაცნობიერება ამ ფსიქიკური შინაარსისა არის მხოლოდ გადმოტანა, შემოსვლა შინაარსისა არაცნობიერიდან ცნობიერებაში, მათი შემოჭრა ცნობიერებაში. ცნობიერებაში ამ ფსიქიკურ შინაარსს ემატება მხოლოდ სინათლე, გამჭვირვალობა, სხვა მხრივ ის იგივეობრივი რჩება. ასეთი გაგება გაცნობიერების შინაარსისა ფსიქიკურთან დაკავშირებით იმთავითვე მიუღებელია მატერიალისტური ფსიქოლოგიისათვის ფსიქიკის თავისთვავად სინამდვილედ წარმოადგენის გამო, რასაც თან ერთვის სხვა არამეცნიერული მეთოდოლოგიური თვალსაზრისიც.

3) განწყობის ფორმები. განწყობის ფსიქოლოგიაში ჯერ კიდევ საბოლოოდ არაა დადგენილი ცნებების — ინდივიდი, ადამიანი, პიროვნება — ერთმნიშვნელოვანი შინაარსები, აღნიშნულის გარკვევა კი დღესდღეობით აუცილებელი ჩანს იმასთან დაკავშირებით, რომ უკვე მომწიფედა საკითხი განწყობის სპეციფიკური ფორმების შესახებ მსჯელობისა. განწყობის ფსიქოლოგიის განვითარების თანამედროვე დონეზე (თეორიული და ემპირიული ასპექტები) საჭიროა არა თუ დასცვას, არამედ დასაბუთდეს კიდევაც განწყობის ფორმების, როგორც განწყობის თეორიის ძირითადი კატეგორიების, გამოყოფის საკითხი<sup>1</sup>.

ინდივიდს ჩვენ ვუწოდებთ ფსიქიკური დონის სტრუქტურის მქონე გარკვეულობას (ახაფსიქიკური, სიცოცხლის დონის გარკვეულობა საერთოდ ორგანიზმი (მია); ადამიანი სოციალური ფენის მქონე გარკვეულობაა. ადამიანთა ფსიქიკურ სტრუქტურას ემატება სოციალური განზომილება; ხოლო პიროვნება ა გონითი სტრუქტურის მქონე არსებობაა. პიროვნებაში ფსიქიკურ და სოციალურ სტრუქტურულ დონეებს ემატება გონითი დონე (ლირებულებითი ასპექტი) და იგი წარმოადგენს სტრუქტურული დონეების: ფსიქიკა, სოციალური, გონითის იერარქიულ ურთიერდამოკიდებულებას, მათ ერთიანობას.

სტრუქტურული ორგანიზაციის ზემოაღნიშნული დონეების აქტივობის ცენტრი უნდა აღინიშნოს სუბიექტის ტერმინით და უნდა ვილაპარაკოთ ინდივიდი-სუბიექტის, ადამიანი-სუბიექტისა და პიროვნება-სუბიექტის თაობაზე. მითითებული სპეციფიკური სუბიექტები სხვადასხვა სტრუქტურული მთლიანობების აქტივობის ცენტრებს წარმოადგენს და ამიტომ ისინი ორიგინალურ ბუნების ამჟღავნებენ. თუკი „განწყობა წარმოადგენს... მთელი სუბიექტის, როგორც ასეთის, მდგომარეობას“, ხოლო სუბიექტი, როგორც სტრუქტურუ-

<sup>1</sup> თვითონ დ. უზნაძე სპეციფიკურ შინაარსებს არ სდებდა განწყობასთან დაკავშირებით ტერმინებში: ფორმა, სახე, ტიპი. ამიტომაცა, რომ მასთან განწყობის ტიპი, სახე თუ ფორმა ერთსა და იგივეს აღნიშნავს.

ლი მთლიანობის აქტივობის ცენტრი, სხვადასხვა დონეზე სხვადასხვაა, უნდა ვილაპარაკოთ ამ სუბიექტის განწყობის იმ სახეების შესახებ, რომლებიც სპე-  
ციფიკური არსებობის წესის მქონე გარკვეულობებს ახასიათებთ. მაშასადამე,  
უნდა ვილაპარაკოთ ინდივიდის, დამაინის, პიროვნების განწყობებზე, რომელ-  
თაც აღმოცენების სპეციფიკური პირობები და გზები აქვთ. ინდივიდის, ადა-  
მიანის, პიროვნების განწყობები წარმოადგენ არსებობის სხვადასხვა დონე-  
ების სუბიექტების მზაობებს შესატყვისი შინაარსების მქონე ქცევების განხორ-  
ციელებისათვის. ამიტომაცაა, რომ დ. უზნაძე ლაპარაკობს „განწყობის აქტივო-  
ბის პროცესის რადიკალური და თვისობრივი ხასიათის ცელილებაზე“.

განწყობის კონცეფციის ცნობილი დებულება, რომ ფსიქიკის განვითარე-  
ბის კუთხით დახასიათება აუცილებლობით მოითხოვს განწყობის როგორც ფსი-  
ქიკის განვითარების არაცნობიერი აღრეული საფეხურების დაშვებას, მეორეს  
მხრივ, იმის აღნიშვნაც, რომ განწყობა სუბიექტის მთლიანობითი მდგომარეობაა,  
გულისხმობს არსებობის სხვადასხვა დონეზე განწყობის, როგორც მთლიანო-  
ბითი მდგომარეობის, განვითარების აზრის მიღებასაც, რაც ესოდენ ნათლად  
ჩანს დ. უზნაძის მსჯელობებიდან: „ფსიქიკის მოვლენათა სწორი განლაგება  
მხოლოდ განვითარების ასპექტშია მოსახერხებელი. ამ თვალსაზრისით, ფსიქი-  
კის მუშაობის ორი დონე ან ორი პლანი უნდა განვასხვაოთ: განწყობის დონე...  
და ობიექტივაციის დონე“, რასთანაც არსებითი კავშირი აქვს „განწყობისულ  
მდგომარეობათა ახალ ფენებზე“ მითითებას, „განწყობის ფორმებზე“ მსჯე-  
ლობას [3, გვ. 147, 149].

დ. უზნაძემ სპეციალურად შეისწავლა ინდივიდის განწყობა (ცხოველურ  
დონეზე არსებული განწყობა) და აჩვენა ამ დონის განწყობის — ინდივიდის  
განწყობის სპეციფიკა: ის დიფუზური ბუნებისაა, საგრძნობლად ნაკლებ დიფუ-  
რენცირებულ ფორმაში ვლინდება, მკვეთრად გამოხატული ვარიაბილობა ახ-  
სიათებს.

ინდივიდისა (ცხოველის) და ადამიანის განვითარების საფეხურები არსები-  
თად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. ადამიანი ხომ „სოციალურ არსად ქცეუ-  
ლი ცოცხალი არსებაა“. „ადამიანი ს ო ც ი ა ლ უ რ ი ა რ ს ე ბ ა ა, და მისი სპე-  
ციფიკური თავისებურება, პირველ რიგში, ამ ნიაღაგზეა აღმოცენებული“. ეს  
კარდინალური ცვლილება თავს იჩენს იმაში, რომ „ადამიანი არა მარტო თავის-  
თვის, არამედ სხვისთვისაც არსებობს, რომ იგი საზოგადოებრივი არსა, რომ-  
ლის ყოფიერებაც საყუთარ საზღვრებს შორდება და სხვისთვისაც ფაქტიურ  
სინამდვილედ იქცევა“. „სოციალურ ადამიანთან აღმოცენებული სპეციფიკუ-  
რი უნარი... ობიექტივაცია მკვეთრად ცვლის მისი განწყობების შემაღვენლო-  
ბასა და ხასიათს“, „განსხვავება... განწყობის სფეროშიც მეტად არსებითად  
უნდა ჩაითვალოს“ [3, გვ. 128, 165, 326].

ვინაიდან განვითარების პროცესი სრულიადაც არ წარმოადგენს განვითა-  
რებადი მოვლენის მხოლოდ რაოდენობრივი ზრდის პროცესს... მასში ჩართუ-  
ლია თვისებრივი ცვლილების საფეხურები, განწყობაც ამ კუთხით უნდა იქნეს  
განხილული — რა თვისებრივი ცვლილებების საფეხურებია მასში დადასტურე-  
ბადი.

ადამიანის სპეციფიკურ თავისებურებას, როთაც იგი მკვეთრად განსხვავდე-  
ბა ცხოველისაგან, ის გარემოება შეადგენს, რომ წამყვან როლს მის ცხოვრება-  
ში ცნობიერებს... „იგი წინასწარ აცნობიერებს თავის ქცევას  
და ამა თუ იმ აქტს მხოლოდ იმის მიხედვით მიმართავს, თუ რას მიიღებს ამ გა-

ცნობიერების შედეგად. მოკლედ: ცხოველის განწყობას აქტუალური იმპულსის სიტუაცია ქმნის, ხოლო ადამიანის განწყობას, რომელიც მის ქცევას უდევს საფუძლად, გაცნობიერებული წარმოსახული სიტუაცია“ [7, გვ. 92—93].

ამდენად გამართლებულია ცხოველისა და ადამიანის „განწყობების სფეროების“ შესახებ მსჯელობა. ეს განსხვავება კი იმაში მდგომარეობს, რომ „სოციალურ ადამიანთან აღმოცენებული სპეციფიკური უნარი... ობიექტივაცია, მკვეთრად ცვლის მისი განწყობების შემადგენლობასა და ხსაიათს. იგი ადამიანს განვითარების შედარებით უფრო მაღალ საფეხურზე აიყვანს და მისი აქტუალური განწყობების შემდგომ გართულებას, დაზუსტებასა და დიფერენციაციას უწყობს ხელს [4, გვ. 326]. მაშასადამე, ლაპარაკია განწყობის ცვლილებაზე. კონკრეტულად რა არის მხედველობაში მისაღები? ცხოველის ქცევას მხოლოდ აქტუალური სინამდივილის ზემოქმედება განსაზღვრავს. ხოლო ადამიანი ამ სინამდვილეს უშუალოდ არ ემორჩილება. მას შეუძლია ობიექტური სინამდვილის მოვლენათა ზემოქმედებას მხოლოდ მას შემდეგ გასცეს პასუხი, რაც ამ მოვლენების თავის ცნობიერებაში გარდატეხას, მათს გაცნობიერებასა და გააზრებას მოახდენს. ესაა „ადამიანის ფრიად მნიშვნელოვანი თავისებურება“ და საკითხიც ასე უნდა დაისვას — რა როლს თამაშობს სოციალურად განსაზღვრული ადამიანისათვის განწყობა?

დ. უზნაძე განიხილავს „ცნობიერების მუშაობის თუ მოქმედების“ ორ არსებითად განსხვავებულ პლანს, რაც იგივე ფსიქიკის მუშაობის ორი პლანია, ფსიქიკური ცხოვრების ორი დონეა, რასაც ეწოდება „იმპულსური“ და „გაშუალებული მოქმედების“ ანუ „ობიექტივაციის პლანი“.

იმპულსური მოქმედების დონეზე „სუბიექტი მასზე მოქმედი აქტუალური სიტუაციითაა შებოჭილი და ამ სიტუაციაში მოცემული პირობებით განსაზღვრული“ [3, გვ. 135]. იმპულსური მოქმედების დონეზე, რასაც ჩვენი ავტორი ზოგად უწინდებს „განწყობის დონეს“, ცნობიერებაში სინამდვილის მხოლოდ ის მონაკვეთი აისახება, რომელიც ცოცხალი ორგანიზმის აქტუალური მოთხოვნილების დაკმაყოფილებაზე მიმართულ მოქმედებათა მიზანშეწონილი მიმღინარეობისათვისა საჭირო. თვითონ ეს სინამდვილე არ წარმოადგენს მის ობიექტს, არ წარმოადგენს საგანს, რომელიც საგანვებოდ იპყრობს მის ყურადღებას.

ფსიქიკური ცხოვრების მეორე დონე აბიექტივაციითაა პირობადებული. ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს ისეთ ასახვასთან, რომელიც ობიექტივირებული სინამდვილის ყოველმხრივ ასახვასთანაა დაკავშირებული, რაც იგივეობის ლოგიურ პრინციპზეა დამყარებული და აზროვნების აქტების მარეგულირებელია. აქ ფსიქიკური ცხოვრების ცოცხალი ნაკადი ობიექტივირებულ მოცემულობად იქცევა და მოძრავი სიცოცხლის მონაკვეთი ჩვენი აზროვნების იდენტიციფირებულ საგანად ხდება.

პარტულის აღმოცენებისათვის საჭიროა გარკვეული პირობები, ე. წ. ფაქტორები, რომლებიც იყოფიან სუბიექტურად და ობიექტურად. სუბიექტური ფაქტორია მოთხოვნილება, ხოლო ობიექტური — სიტუაცია, მის მიხედვით, თუ რა რომელიმე აღნიშნული ფაქტორები, ეს ვთარება პრინციპულად განაპირობებს განწყობის შინაგან ბუნებას, რაც საფუძველს იძლევა, როგორც მითითებულიც იყო, ვიმსჯელოთ განწყობის ფორმების თუ ფენების თაობაზე.

ცნობილია, რომ დ. უზნაძე ერთმანეთისაგან განსხვავებს აქტუალურსა და წარმოსახულ მოთხოვნილებებს, ასევე აქტუალურსა და წარმოსახულ სიტუა-

ციებს. იმის მიხედვით, თუ განწყობის აღმოცენებაში, შექმნაში რომელი ფაქტორები მონაწილეობენ, განწყობაც განსხვავებული ფორმისაა. გვაქვს ოთხი შემოხვევა განწყობის შექმნისა: პირველი, როცა სახეზეა აქტუალური მოთხოვნილება და აქტუალური სიტუაცია (რეალურად მოცემული სინამდვილე, იგივე „აქტუალური სინამდვილის რომელიმე ინდივიდუალური მონაკვეთი“), მეორე, როდესაც გვაქვს აქტუალური მოთხოვნილება და აზრითი, იდეური სიტუაცია („ერჩალურად სტიმულირებული სიტუაცია“), მესამე, როდესაც განწყობა აიგება წარმოსახული მოთხოვნილებით (აზრი მოთხოვნილების შესახებ) და აქტუალური სიტუაციით, და მეორე, განწყობა შექმნილი წარმოსახული მოთხოვნილებითა და წარმოსახული სიტუაციით. მაშასადამე, გვაქვს ოთხი შემოხვევა განწყობის შექმნისა:

1. აქტუალური მოთხოვნილება — აქტუალური სიტუაცია.
2. აქტუალური მოთხოვნილება — წარმოსახული სიტუაცია.
3. წარმოსახული მოთხოვნილება — აქტუალური სიტუაცია.
4. წარმოსახული მოთხოვნილება — წარმოსახული სიტუაცია.

აღნიშნული ფაქტორების კომბინაციის გზით მიღებული განწყობები, როგორც ამაზე დ. უზნაძე მიუთითებს, განწყობების განვითარების სხვადასხვა ფენებს წარმოადგენენ. აქტუალური მოთხოვნილებისა და აქტუალური სიტუაციით შექმნილი განწყობა ინდივიდის დონისათვისაა სპეციფიკური, რომელიც აღამიანისა და პიროვნების დონეზედაც მოქმედებს მოხსნილი სახით (მოხსნილი სახით არსებობა დონისათვის არასპეციფიკურობას ნიშნავს); ინდივიდის დონე აუცილებელი საფუძველია ადამიანისა და პიროვნების იერარქიულ წყობაში.

აღამიანურ დონეზე, იმასთან დაკავშირებით რომ გაჩნდა ობიექტივაციის ფუნქცია, განწყობა აღმოცენდება „მეორედ ასახული სინამდვილის პლანში“ „აზრითი სცეროს“ აქტიური მონაწილეობით. „ამ განწყობას... ობიექტივაციის საფუძველზე აღძრული აზროვნების აქტები აშეალებენ“. განწყობის ეს ფორმა სპეციფიკურ აღამიანურია და ის პიროვნების დონეზეც ფუნქციობს, როგორც მისი შემაღენელი სტრუქტურის ერთ-ერთი ფუნქცია. აქტუალური მოთხოვნილება და აზრითი (წარმოსახული) სიტუაცია აღამიანის განწყობის აღმოცენების საფუძველია.

ასევე უნდა გამოიყოს პიროვნების დონეზე შექმნილი განწყობა, თუკი ერთმანეთისაგან გაითიშება ადამიანი და პიროვნება. (მათ დასახასიათებლად საკმარისია იმის აღნიშვნა, რომ ადამიანი სოციალური არსებაა, ხოლო პიროვნება გონითი არსება, რაც მასში სოციალურის საფუძველზეა აღმოცენებული, მაგრამ მასზე მაღლა დგას იმ ნიშნით, რასაც გონი ეწოდება — ობიექტურ ღირებულებათა ცნობიერება და მისი განხორციელება)<sup>2</sup>. პიროვნების დონეზე განწყობა აღმოცენდება წარმოსახული მოთხოვნილებისა და წარმოსახული სიტუაციის ბაზზე, რასაც დ. უზნაძე უწოდებს „წარმოსახულ განწყობას“. წარმოსახული განწყობა აქტუალური არაა, იგი იდეური დონის განწყობაა და მისი გადაქცევა რეალურ განწყობად დამოკიდებულია პიროვნულ ფუნქციაზე — ნებისყოფაზე, რაც გავებულია, როგორც „ქცევის აზროვნების მიხედვით მართვა“, ცნობიერი მიზნის რეალიზაციის უნარი, გაცნობიერებული ღირებულების განხორციელების უნარი. „ნებელობის უშუალო ამოცანას შეადგენს... მეორე პლანზე დამუშავებული განწყობა აქტუალურ განწყობად გადააქციოს“ [3, გვ. 164, 166].

<sup>2</sup> დაწვრილებით ამ საკითხზე იხ. [9].

ზემოაღნიშნულის გათვალისწინების საფუძველზე უნდა ვილაპარაკოთ განწყობის ფორმებზე და მათ შესატყვისი სიტყვიერი აღნიშვნაც დავურთოთ. მაშასადამე, გვაქვს განვითარების სამ დონეზე მოქმედი და მათი შესაბამისი სამი ფორმის განწყობა: ინდივიდის, ადამიანისა და პიროვნების, რომლებსაც აღმოცენების სპეციფიკური გზები და ფუნქციები აქვთ.

რა ვითარებებს ასახავენ განწყობის ფორმები?

ინდივიდის განწყობა ასახავს ინდივიდის სტრუქტურის დონეზე წარმოქმნილი აქტუალური მოთხოვნილების დაკმაყოფილების გზის განხორციელების შესაძლებლობას. ადამიანის განწყობა წარმოადგენს ადამიანის დონეზე აღმოცენებული სოციალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისათვის საჭირო აქტივობის რეალიზაციის შესაძლებლობას, ხოლო პიროვნების განწყობა ესაა ამ დონის მოთხოვნილების — მიზნად ქცეული ობიექტურ ღირებულებათა და მისი განხორციელების საშუალებათა ცნობიერება, მისი რეალიზაციის შესაძლებლობა.

В. Л. კაკაბაძე

## ПОНЯТИЯ «УСТАНОВОЧНОЕ ОТРАЖЕНИЕ» И «ФОРМА УСТАНОВКИ» В ПСИХОЛОГИЧЕСКОЙ КОНЦЕПЦИИ УСТАНОВКИ Д. Н. УЗНАДЗЕ

### Резюме

В статье излагаются содержания понятий «установочное отражение» и «форма установки»; в частности, указывается, что установочное отражение является первичной модификацией целостного субъекта, отражающей ситуацию; а форма установки зависит от субъективного и объектививного факторов возникновения актуальной установки. По происхождению друг от друга отличаются формы установки индивида, человека и личности.

### ლიტერატურა

- კაკაბაძე ვ. ადამიანი და მისი „მე“, ფილოსოფიური ანთროპოლოგის საკითხები, ნაწ. VI, თბილისი, 1979.
- ნადირაშვილი შ. განწყობის ფსიქოლოგია, ნაწ. I, თბილისი, 1983.
- უზნაძე დ. განწყობის ფსიქოლოგიის ექსპერიმენტული საფუძლები, შრომები, ტ. VI, თბ., 1977.
- უზნაძე დ. განწყობის თეორიის ძირითადი დებულებები, შრომები, ტ. VI, თბ., 1977.
- უზნაძე დ. განწყობის თეორიის ძირითადი დებულებები, თბილისის უნივერსიტეტის შრომები, ტ. XIX, თბ., 1941.
- უზნაძე დ. ფსიქოლოგია და პედაგოგიკა, ჟურნალი „კომუნისტური აღზრდისათვის“, თბ., 1941, № 5.
- უზნაძე დ. ზოგადი ფსიქოლოგია, შრომები, ტ. III—IV, თბილისი, 1964.
- უზნაძე დ. შენიშვნების რეეული (ხელნაწერი).
- ჩხარტიშვილ შ. განწყობა და ცნობიერება, თბილისი, 1975.
- Маркс К. и Энгельс Ф. Соч., т. 3, М., 1955.
- Анохин П. К. Избранные труды. М., 1978.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის დ. უზნაძის სახელობის ფსიქოლოგიის ინსტიტუტიმა

## გერა თაგაში

### არჩევანი და ალტერნატივათა გადაფასება

გადაწყვეტილებათა მიღება იმ ტრადიციულ პრობლემათა რიგს განეკუ-  
თვნება, რომლებიც თავისი უჟეველი მნიშვნელობის გამო ყველა მეტ-ნაკ-  
ლებად ფუნდამენტური ოეორიის მსჯელობის საგანი გამხდარა. ამან კი, თავის  
მხრივ, განაპირობა შეხედულებათა დიდი მრავალფეროვნება საკითხის გარ-  
შემო, გამომდინარე მკვლევართა თეორიული პოზიციების განსხვავებებიდან.  
გადაწყვეტილების მიღებისადმი გაძლიერებული ინტერესი და მისი როლის  
ახლებური გაგება შემოიტანა 50-იანი წლების ბოლოს კოგნიტურმა ფსიქო-  
ლოგიამ. ამ პერიოდის გამოკვლევათა საფუძველზე დადგინდა რთული დამოკი-  
დებულება არჩევანის აქტისა და მის საფუძვლად მდებარე მოვლენებს შორის.  
კერძოდ აღმოჩნდა, რომ არა მხოლოდ არჩევანის მიმართულებაა დამოკიდე-  
ბული პიროვნების ფიქსირებულ განწყობებზე და ალტერნატივათა შეფასე-  
ბებზე, არამედ, თავის მხრივ ეს უკანასკნელნიც სრულიად გარკვეულ ცვლი-  
ლებას განიცდიან არჩევანის შედეგის შესაბამისად. ურთიერთგანმაპირობებე-  
ლი პროცესების ამ კუთხით კვლევა კოგნიტური დისონანსის თეორიამ დაიწ-  
ყო და სულ მაღა აქტიური თეორიულ-ექსპერიმენტული გამოხმაურება ჰქო-  
ვა მრავალი მკვლევარის მხრიდან.

თავისი პრინციპების სიცხადისა და კარგი ექსპერიმენტაციურობის გამო  
ამერიკელი ფსიქოლოგი — ლეონ ფესტინგერის თეორია ხშირად განიხილება  
ხოლმე კოგნიტური შესატყვისობის თეორიათა შემაჯამებელ მაგალითად. ავ-  
ტორი მიუთითებს, რომ კოგნიტურ ელემენტებს შორის კავშირი სამი სახისა შეიძ-  
ლება იყოს: 1. კონსონანტური, რომლის დროსაც ერთ-ერთი მათგანი პირდაპირ გა-  
მომდინარეობს მეორედან. 2. დისონანტური, როცა ელემენტების დამოკი-  
დებლად განხილვისას ერთიდან გამომდინარეობს მეორის უარყოფა. 3. არა-  
თავსებადი მიმართება, თუ კოგნიტურ ელემენტებს შორის არ არსებობს პირ-  
დაპირი კავშირი. თეორიის ძირითადი დებულება მიუთითებს, რომ დისონან-  
სის არსებობა პიროვნებას აღძრავს მისი შემცირებისკენ მიმართული ოპე-  
რაციების ჩასატარებლად. მოცემული თეორიული ორიენტაციის მკვლევართა  
მიერ ჩატარებული იქნა მრავალი ექსპერიმენტი, მიძღვნილი დისონანსის აღ-  
მოცენების პირობების, მისი ძალის განმსაზღვრელი ფაქტორებისა და შემცი-  
რების საშუალებათა დადგენისადმი.

ლ. ფესტინგერი დისონანსის გამომწვევ სიტუაციებად ასახელებს გადა-  
წყვეტილების მიღებას, იძულებით მორჩილებას და საწინააღმდეგო ინფორ-  
მაციასთან უნებლივ კონტაქტს. ამათგან ჩვენთვის განსაკუთრებული მნიშვნე-  
ლობა აქვს იმას, თუ როგორაა მოცემულ თეორიაში დახასიათებული გადა-  
წყვეტილების პროცესი და რა ფსიქოლოგიური მექანიზმებია განხილული მას-  
თან დაკავშირებით. ამ საკითხზე ლ. ფესტინგერის ხელმძღვანელობით ჩატა-  
რებული კვლევა შეჯამებულია კრებულში „კონფლიქტი, გადაწყვეტილება და  
დისონანსი“ [15]. ამოდის რა კ. ლევინისა და ნ. მიღერის კონფლიქტის თეო-

რიიდან, ლ. ფესტინჯერი გადაწყვეტილებისშინა მდგომარეობას ახასიათებს, როგორც კონფლიქტს. იგი თვლის, რომ ამ სტადიაზე პიროვნება ობიექტურად აფასებს ალტერნატივებს, აგროვებს მაქსიმალურ ინფორმაციას მათ შესახებ და მიკერძოების გარეშე იხილავს მას. ამის შემდეგ იგი უპირატესობას ანიჭებს ერთ-ერთს, ახდენს არჩევანს (იღებს გადაწყვეტილებას) და, ამასთანავე, ამთავრებს ალტერნატივათა მიუკერძოებელ განხილვას. არჩევანი არის ის აქტი, რომლის შემდეგაც პიროვნება გამოდის კონფლიქტის სიტუაციიდან, ამთავრებს ალტერნატივათა განხილვას მათ შორის უკეთესის გამოვლენის მიზნით, ამიტომ იგი გადაწყვეტილების შემდეგ აღარ ექებს ამ ტიპის ინფორმაციას. არჩევანის შემდეგ იხსნება კონფლიქტი სიტუაციაში, მაგრამ აქლა იგი სუბიექტის ცნობიერებაში გადაინაცვლებს და იქ განაგრძობს არსებობას კოგნიტური დისონანსის სახით. არჩევანის შედეგად დისონანსის წარმოშობას ის გარემოება განსაზღვრავს, რომ არჩეულ ალტერნატივასაც გააჩნია გარკვეული უარყოფითი მხარეები, ხოლო უკუგდებულ ალტერნატივას კი — დადებითი. ეს კოგნიტური ელემენტები წინააღმდეგობაში მოდიან გადაწყვეტილების სისწორის აღიარებასთან და სამოქმედოდ აღმრავენ დისონანსის შემცირების პიროვნებისეულ მექანიზმებს. მათი მოქმედება ამცირებს დისკომფორტს შემცირებაში, რაც ძირითადად შემდეგნაირად შეიძლება იქნეს მიღწეული: 1. წინააღმდეგობათა მოვარეების შესაძლებლობის შემთხვევაში ხდება გადაწყვეტილების ფსიქოლოგიური უარყოფა — პიროვნება აღიარებს, რომ მის მიერ მოხდენილი არჩევანი არასწორია, ანდა განიმტკიცებს აზრს, რომ იგი არ იყო თავისუფალი არჩევის მომენტში. 2. დისონანსის შემცირების შემდეგი გზაა კოგნიტურ ელემენტებს შორის შესატყვისობის დამყარება. ამ დროს პიროვნება აქცენტს აკეთებს ალტერნატივათა საერთო ნიშნებზე და თავს ირწმუნებს, რომ არჩეული მოვლენა იმ მხარეებსაც შეიცავს, რაც უკუგდებულს გააჩნდა. ეს ოპერაცია, საბოლოო ანგარიშით, თვით გადაწყვეტილების მნიშვნელობის შემცირებისკენა მიმართული. 3. დაბოლოს, განიხილება ალტერნატივათა სუბიექტური ღირებულების (მათდამი ატიტუდის) შეცვლა. სწორედ ამ მექანიზმის დადგენა და დეტალური ექსპერიმენტული კვლევა შეიძლება ჩაითვალოს კოგნიტური დისონანსის თეორიის ძირითად დამსახურებად.

მოცემული თეორიული ორიენტაციის მკვლევართა მონაცემები ზოგჯერ არაერთმნიშვნელოვანია. სახელდობრ, გ. კონვერსი და გ. კუპერი [14] მიუთითებენ, რომ არჩევანის შემდეგ ატიტუდის შეცვლის სიღრდე გადაწყვეტილების მნიშვნელობის გარდა დამოკიდებულია კიდევ ერთ ფაქტორზე, რომელსაც მათ უწოდეს „შეფასების შიში“. მასში იგულისხმება ექსპერიმენტატორის მიერ უარყოფითად შეფასების შიში. რადგან ცდისპირი დროის მცირე მონაკვეთში ორჯერ აფასებს ერთსა და იმავე ობიექტს, იგი უხერხულობას განიცდის ამ შეფასებათა შეცვლისას, რადგან „ეშინია“, რომ ექსპერიმენტატორზე დატოვებს არამდგრადი, მერყევი პიროვნების შთაბეჭდილებას. ეს უხერხულობა იზრდება გადაწყვეტილების მნიშვნელობის ზრდასთან ერთად და გარკვეული დონის შემდეგ დამატებით დაბრკოლებას ქმნის ალტერნატივათა გადაფასების წინაშე.

კოგნიტური დისონანსის თეორია ამგვარი კორექტივების გარდა იღებდა უფრო სერიოზული მნიშვნელობის შენიშვნებსაც. ისინი საერთოდ ეჭვის კვეშ აყენებენ თეზისს, რომ არჩევანის შედეგად ალტერნატივათა გადაფასება დისონანსის მოქმედებითა გამოწვეული [12]; ანდა, რომ ეს გადაფასება არჩევანის

შემდეგ ხდება და არა მის წინ [16]. სანამ ამ პოზიციებს შევეხებოდეთ, განვიზილოთ თუ რა კვლევა იქნა ჩატარებული კოგნიტური დისონანსის თეორიის მომხრეთა მიერ აღნიშნულ მოსაზრებებთან დაკავშირებით.

საკითხის გადაჭრისათვის პრინციპული მნიშვნელობა აქვს იმის დადგენიას, თუ რომელ სტადიაზე ხდება ალტერნატივათა გადაფასება: ორჩევანის წინ, თუ მის შემდეგ. თუ ოღმოჩნდა, რომ გადაფასებას ადგილი აქვს არჩევანამდე, მაშინ შეუძლებელი ხდება მისი ახსნა დისონანსის ცენტობით, რადგან, თეორიის მიხედვით, დისონანსი აღმოცენდება მხოლოდ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, ხოლო მანამდე არსებული ვითარება კი ხასიათდება როგორც კონფლიქტი. ეს პოზიცია 1964 წელს ლ. ფესტინგერის რედაქტორობით გამოცემულ ნაშრომთა კრებულის სათაურშივეა ასახული, რომელსაც ეწოდება „კონფლიქტი, გადაწყვეტილება და დისონანი“ [15]. მასში მოყვანილია გამოკვლევები, რომლებიც მიზნად ისახავენ სწორედ იმის დადგენიას, თუ რა სტადიაზე ხდება ალტერნატივათა გადაფასება. სახელდობრ, დ. დევიდსონისა და ჩ. კისლერის ექსპერიმენტში გამოყოფილი იყო ც. პ-თა ორი ჯგუფი. ამათგან ერთს ბევრი დრო ეძლეოდა არჩევანის წინ ალტერნატივათა შეფასებისათვის, მეორეს კი — ცოტა. გარდა ამისა, ც. პ-თა ნახევარს ალტერნატივათა ხელმეორედ შეფასებას სთხოვდნენ არჩევანამდე, მეორე ნახევარს კი — გადაწყვეტილების შემდეგ. აღმოჩნდა, რომ არჩევანამდე ხდებოდა ალტერნატივათა სუსტი გადაფასება, გადაწყვეტილების შემდეგ კი — მეტი. ეს განსხვავება უფრო გამოკვეთილი იყო მაშინ, როცა ც. პ-ებს შეფასებისთვის ბევრი დრო ეძლეოდათ.

დ. ჯეკერმა კონფლიქტისა და დისონანსის სტადიათა მნიშვნელობის გასარევევად შექმნა ექსპერიმენტული სიტუაციები, რომლებიც, მისი აზრით, იწვევენ ძლიერ ან სუსტ კონფლიქტს და, ასევე, ძლიერ ან სუსტ დისონანს. არჩევანის შედეგების რეგულაციით იგი ძლიერი კონფლიქტის სიტუაციას უკავშირებდა სუსტ დისონანს, ხოლო სუსტ კონფლიქტს კი ძლიერ დისონანს. ძლიერ კონფლიქტს იგი ქმნიდა არჩევანის სიტუაციით ორ ერთნაირად მიმზიდველ ფირფიტას შორის, სუსტი კონფლიქტისას ც. პ-ს ჰეირლებოდნენ, რომ არჩევანის მიუხედავად იგი ორივე ფირფიტას მიიღებდა. დისონანსის რეგულირება კი იმის მიხედვით ხდებოდა, ცდისპირი საბოლოოდ ერთ ფირფიტას მიიღებდა თუ ორს. დ. ჯეკერი ასკვნის, რომ ალტერნატივათა გადაფასება ხდებოდა დისონანსის შესამცირებლად და არა კონფლიქტის ხარისხების შესაბამისად. ეს დასკვნა საცემით შეესატყვისება კოგნიტური დისონანსის თეორიის ძირითად დებულებებს.

საზოგადოდ, კოგნიტური დისონანსის თეორიას საფუძვლად უდევს იდეა, რომ ზემოქმედი სტიმულის ინტერპრეტაციის, მისი „პიროვნული საზრისის“ წვდომისას მხედველობაში მიიღება როგორც თვით სტიმულის მახასიათებლები, ასევე მის საბასუხოდ სუბიექტის მიერ განხორციელებული ქცევა. მაშასადამე, საკუთარი ქცევა წარმოადგენს ინფორმაციის სრულუფლებიან წყაროს გარემოსა და საკუთარი თავის შესახებ [11]. ამ დებულების განვითარება და ერთგვარი აბსოლუტიზაცია მოცემულია დ. ბემის თვითაღქმის თეორიაში [12]. ავტორი თავის პოზიციის რადიკალურ ბიპერიზმში უწოდებს, და მიმდინარე სტიმულებსა და მათ საბასუხოდ განხორციელებულ რეაქციებს შორის აღმოჩენილი ფუნქციონალური კავშირის განხილვას ცდილობს ინდივიდის წარსული გამოცდილების ტერმინებში.

5. „მაცნე“, ფილოსოფიისა და ფიქოლოგიის სერია, 1985, № 4

დ. ბემი თვლის, რომ ადამიანის თვითაღქმა წარმოადგენს სოციალური პერცეფციის ერთ-ერთ კერძო შემთხვევას. სოციალური პერცეფციისას ადამიანი სხვა ინდივიდების შინაგანი სტიმულების შესახებ ინცორმაციას მხოლოდ მათ მიერ განხორციელებული მოტორული ან ვერბალური რეაქციების საშუალებით იღებს. ამიტომ იგი სწავლობს გარკვეული შინაგანი სტიმულებისა და მათი გარეგნი გამოხატულებების დაკავშირებას. მის შემდეგ იგი საკუთარ თვესაც ამ ასპექტით აღიქვამს. რაჯო იცის თუ თავის ქცევაში რა შინაგან მდგომარეობებს გულისხმობს საზოგადოება, პიროვნება თავის ფსიქიურ სამყაროს მართლაც ამის მიხედვით გარდაქმნის. მაშასადამე, დ. ბემი თვითაღქმას თვლის პიროვნებათაშორისი აღქმის ისეთ კერძო შემთხვევად, როცა აღმქმელი და ოლსაქმელი ერთი და იგივე პიროვნებაა. კოგნიტური დისონანსის თეორიის განხილვისას დ. ბემი მიუთითებს, რომ მასში სტიმულებსა და რეაქციებს შორის კავშირის დადგენა ნაცადია გარკვეული ჰიპოთეტური პროცესების დაშვებით, როგორიცაა დისონანსის აღმოცენება და შემცირება. ბიპევიორისტული მიდგომა თავს არიდებს ამგვარ პროცესებზე მითითებას.

დ. ბემი ცდილობს თვითაღქმის პოზიციებიდან ახსნას კოგნიტური დისონანსის მომხრეთა მიერ მოპოვებული მთელი ფაქტობრივი მასალა, რომლებიც შეიძლება სამ ძირითად კლასად დაჯგუფდეს: (ა) იძულებითი თანხმობა. (ბ) დისონანტური ინფორმაციის მიღება. (გ) თავისუფალი არჩევანი. დ. ბემი ახდენს ამ სიტუაციათა შესაბამის მოდიფიკაციას, რომლებშიც ქცევის განმახორციელებელი და აღმქმელი უკვე სხვადასხვა პიროვნებაა. ამ ექსპერიმენტებიდან ჩვენ მხოლოდ თავისუფალ არჩევანთან დაკავშირებულ ცდებს შევხებით.

თავისუფალი არჩევანის კვლევებში დამოუკიდებელ ცვლადს არჩევანის მოხდენა წარმოადგენს, ხოლო დამოკიდებულ ცვლადს კი — ატიტუდური შეფასებების ცვლილება არჩევანის შემდეგ. დისონანსის მკვლევართა ექსპერიმენტში [15] ბავშვებს აფასებინებდნენ რამდენიმე სათამაშოს, შემდეგ არჩევანს აკეთებინებდნენ რომ მათგანს შორის და კვლავ აფასებინებდნენ სათამაშების თავდაპირელ რაოდენობას. აღმოჩნდა, რომ არჩეული სათამაშოს მიმზიდველობა იზრდებოდა, უკუკვებულისა კი — მცირდებოდა.

დ. ბემბა მოახდინა ამ ექსპერიმენტის შემდეგნაირი მოდიფიკაცია: იგი სტუდენტებს სთხოვდა შეეფასებინათ სათამაშოები ისე, როგორც მათ 11 წლის ბიჭი შეაფასებდა. ამისათვის გამოიყენებოდა იმავე სათამაშოების სია, რაც ზემოთ აღნიშნულ გამოკვლევაში. ამის შემდეგ მათ ეუბნებოდნენ, რომ ბავშვება გარკვეულ სიტუაციაში ესა და ეს სათამაშო აირჩია და აძლევდნენ ალტერნატივათა აღწერას. საბოლოოდ მათ ხელმეორედ უნდა შეეფასებინათ სათამაშოების მთელი რიგი ამ ბავშვის პოზიციიდან. მაშასადამე, შექმნილი იყო ზემოთ აღნიშნული ექსპერიმენტის სრული ანალოგი იმ განსხვავებით, რომ ახლა უკვე არჩევანის მომხდენი და დამკვირვებელი სხვადასხვა ინდივიდები იყვნენ. შედეგებიც ანალოგიური იქნა მიღებული: როცა ცდის პირმა იცოდა ბავშვის არჩევანი, იგი ზრდიდა არჩეული ალტერნატივის შეფასებას, უკუკვებულისას კი — ამცირებდა.

მიღებული შედეგების განხილვას თვითაღქმის თეორია ახდენს იმის აღიარებით, რომ რაიმეს არჩევაში უკვე იგულისხმება მისადმი უპირატესობის მინიჭება. ამიტომ, როდესაც ვიგებთ, რომ სხვა ადამიანი რაიმე საგანს ირჩევს, მას დადებით ატიტუდს მივაწერთ იმ საგნისადმი. იგივე ხდება საკუთარი არჩევანის შემთხვევაშიც. როდესაც ვიცი, რომ გარკვეულ სიტუაციაში მე სწო-

რედ ეს საგანი ავირჩიე, ჩემს თავს მისდამი დაღებით ატიტუდს მივაწერ. ამის გამო იზრდება არჩეული ალტერნატივის მიმზიდველობა, ხოლო უკუგდებული-სა კი — მცირდება. დ. ბემი თავისი პოზიციის უპირატესობად იმას მიიჩნევს, რომ მონაცემთა ახსნას ახდენს რაიმე დამატებითი მოტივაციური ძალის (დი-სონანის) შემოტანის გარეშე.

ბიპევიორისტულ თეორიებთან მეტ-ნაკლებ მსგავსებას ამჟღავნებს დისო-ხასის თეორიის საპირისპირო კიდევ ერთი მიდგომა, რომელიც კონფლიქტის გადაჭრის თეორიის სახელითა ცნობილი. მისი ავტორები — ი. იანისი და ლ. მანი გადაწყვეტილების ქცევაში ხუთ თანმიმდევრულ ეტაპს გამოყოფენ [16]. თითოეული საფეხურისთვის დამასახიათებელია კონფლიქტების გარკვე-ული სახე, რომელიც განსაზღვრავენ ქცევაზე და სოციალურ განწყობაზე გა-დაწყვეტილების გავლენას. სუბიექტი ყოველთვის მოტივირებულია არსებუ-ლი დაძაბულობის (კონფლიქტის) შესამცირებლად როგორც გადაწყვეტილე-ბის წინ, ასევე მის შემდეგაც. გადაწყვეტილებამდელი კონფლიქტის ორი ძი-რითადი ტიპი არსებობს, რომელთაგანაც ორივე მოქმედებს მანამ, სანამ სუ-ბიექტი ქცევის რომელიმე კურსს დაიკისრებდეს გადაწყვეტილების შედეგად: (1) აქ და ამჟამად არსებული კონფლიქტი ქცევის რაიმე კურსის სურვილსა და არსურვილს შორის. (2) ანტიციპირებული კონფლიქტი, რომელიც ფაქტი-ურად წარმოადგენს უვარების გადაწყვეტილებით გამოწევული სინანულის წი-ნასწარ ჭვრეტას. კონფლიქტის პირველი სახე სუბიექტს უბიძებს სწრაფად მიიღოს გადაწყვეტილება და თავი დააღწიოს დაძაბულობას. იგი მიმართულია ალტერნატივათა შორის დიდი განსხვავების დაგენერისაჲენ. მეორე, ანტიციპი-რებული კონფლიქტი კი სუბიექტს აიძულებს ფხიზლად გადასინჯოს ყველა ალტერნატივა, არ მოახდინოს მათ შორის სხვაობის ხელალებით გაზვიადება. ნებისმიერი სახის კონფლიქტი ძნელად ასატანია სუბიექტისათვის. ამიტომ იგი ცდილობს გარდაქმნას მთელი სიტუაცია, სადაც მიახლოებისა და გახრიდების ვექტორები დაახლოებით თანაბარი სიძლიერისანი არიან, ისეთ სიტუაციად, რომელშიც არსებობს მკვეთრი განსხვავება ერთი ან მეორე საშუა-ლებისა. იმის მიხედვით, თუ რომელი ტიპის კონფლიქტი დომინირებს, მისი გადაჭრის გზებიც განსხვავებული იქნება. თუ წამყვანია აქ და ამჟამად არსე-ბული კონფლიქტი, მაშინ სუბიექტი ეცდება სწრაფად გაექცეს მას და ამ დროს კონფლიქტიდან გამოსვლის იმპულსურ მექანიზმებს დაეყრდნობა. ამგა-რი მოქმედების საფუძვლად მდებარე კოგნიტური პროცესი ძალზე ზედამი-რულია. ხოლო თუ ანტიციპირებული კონფლიქტია წინა ბლანზე წამოწეული, მისი გადაჭრა მოხდება ყველა ალტერნატივის დეტალური განხილვით, შეფა-სებით, ყველაზე ოპტიმალური მათგანის მონახვით და მისი ღირებულების გა-დაფასებით.

დისონანსისა და კონფლიქტის თეორიებს შორის პრინციპული განსხვავე-ბა არსებობს. ლ. ფესტინჯერი გადაწყვეტილების წინა და მის შემდგომ პრო-ცესებს შორის არსებით სხვაობას ხედავს. იგი საგანგებოდ აღნიშნავს, რომ არჩევანამდე პიროვნება ობიექტურად აფასებს ალტერნატივებს და მხოლოდ გადაწყვეტილების შემდეგ მიმართავს მათ გადაფისებას; ამ პროცესის ფსიქო-ლოგიურ მექანიზმად კი კოგნიტური დისონანსის აღმოცენებასა და შემცირე-ბას ასახელებს. ი. იანისი და ლ. მანი კი პრინციპულად არ განსხვავებენ გა-დაწყვეტილების წინა და მის შემდგომ მიმდინარე კოგნიტურ პროცესებს. ხო-ლო ის, თუ რა ტენდენციები აღიძერის თითოეულ ამ ეტაპზე, მათი აზრით,



რემობა ქმნის, რომ პიროვნებას ორივე ალტერნატივის მიღების სურვილი აქვს მათი დადებითი მხარეების გამო, მაგრამ ამის საშუალებას გარემო პირობები არ იძლევა. თუ ადგილი არ ექნება ამგვარ განსვლას სუბიექტის მოთხოვნილებებსა და სიტუაციურ შესაძლებლობებს შორის, მაშინ კონფლიქტიც არ იარსებებს. დ. ჭეკერის ექსპერიმენტში კი ეს ვითარება არაა გათვალისწინებული. ახალოგიურად, თუ არჩევანის მიუხედავად ცდისპირმა ორივე ფირფიტა მიიღო, მაშინ გაუკეთდება ხდება, თუ რომელ კოგნიტურ ელემენტებს შორის უნდა არსებობდეს დისონანსი. ამიტომ, ამ შემთხვევაში ალტერნატივათა გადაფასება უკვე განსხვავებული თეორიული მოდელით უნდა აიხსნას, რასაც თვითაღების თეორია ადვილად მოახერხდა.

საზოგადოდ, კოგნიტური დისონანსის, თვითაღებისა და კონფლიქტის გადაწყრის თეორიების შომხრეთა მიერ მოპოვებული მასალა არ აღმოჩნდა მათ შორის არსებული დაპირისპირების დასაძლევად საკმარისი ერთ-ერთი მათგანის სასარგებლოდ. ჩვენი აზრით, ამ ვითარებას საფუძვლად ის უნდა ედოს, რომ თითოეული დასახელებული თეორია გადაწყვეტილების მიღების რეალური ქცევიდან მის ერთ-ერთ რომელიმე მხარეს გამოყოფს და მის აბსოლუტიზაციას ახდენს: კონფლიქტის თეორია ასახელებს არჩევანის წინა კონფლიქტს, დისონანსის თეორია — არჩევანის შემდგომ სინაურს, ხოლო თვითაღების თეორია კი — არჩევანის აქტში ნაგულისხმევ უპირატესობის მინიჭებას. ამის გამო, თითოეული ეს მიდგომა ცალმხრივია და ვერ იძლევა გადაწყვეტილების მიღების მთლიან სურათს. აქედან გამომდინარე, გასაგებია, რომ თითოეული თეორია ახერხებს მეორეში გარკვეული ხარვეზების შემჩნევას და მათ გამოყენებას თავის სასარგებლოდ.

შაშასადამე, კონფლიქტის, დისონანსისა და თვითაღების თეორიები ურთიერთსაწინააღმდეგო პასუხს იძლევიან ჩვენს მიერ განსაზღვრულ საკითხზე: რა ფსიქოლოგიური მექანიზმით და რომელ სტადიაზე ხდება ალტერნატივათა გადაფასება გადაწყვეტილების პროცესში — არჩევანის წინ თუ მის შემდეგ?

დასმულ კითხვაზე პასუხის გასაცემად საჭიროდ მიგვაჩნია გადაწყვეტილების პროცესიდან შეფასების და არჩევანის სტადიათა გამოყოფა და თითოეული მათგანის ფუნქციების დაზუსტება. ამ სტადიებს შორის სხვაობა, უპირველეს ყოვლისა, იმაში ვლინდება, რომ შეფასება დროში გაშლილი პროცესია, არჩევანი კი — ერთხელობრივი აქტი [4]. გარდა ამისა, მათ განსხვავებას უფრო არსებითი საფუძველიც აქვს: შეფასებისა და არჩევანის სტადიებზე პირვენების წინაშე სხვადასხვა ამოცანა დგას, ისინი განსხვავებული მიზნებისაკენ არიან მიმართული, ამიტომ, პიროვნების ქცევის მიზანშეწონილებაც განსხვავებულად ვლინდება თითოეულ მათგანზე.

გადაწყვეტილების მიღებაზე ლაპარაკი მაშინაა შესაძლებელი, თუ ადგილი აქვს ალტერნატივების შეფასება-შედარებას, გადაწყვეტილების მიღების დამოუკიდებელ აქტია განცდას, მისი შედეგების გაცნობიერებას და მათზე პასუხისმგებლობის მიწერას საკუთარი თავისადმი. გადაწყვეტილების პროცესი ობიექტივაციის დონეზე მიმდინარეობს, თუმცა ეს არ გამორიცხავს ამ დროს განწყობისეული მექანიზმით გარკვეული ცვლილების შეტანას კოგნიტურ ველში. როცა პიროვნება რაიმე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების წინაშე დგას, იგი ყოველთვის ცდილობს აირჩიოს აპტიმალური, თავის მიზნებთან მაქსიმალურად შესატყვისი ალტერნატივა. ამას შეიძლება ეწოდოს მაქსიმალური მოგებისა და მინიმალური დანაკარგების პრინციპით მოქმედება [9]. მაგრამ, ოპ-

ტიმალური გადაწყვეტილების მიღება საჭიროებს ალტერნატივათა ყურადღებით გაახალიზებას, პიროვნების მოთხოვნილებებთან და დისპოზიციურ სისტემათან თითოეული მათგანის კავშირის დადგენას. ყოველივე ეს ხდება არჩევანამდე, შეფასების სტადიაზე. აწორედ ამ დროს ადგენს პიროვნება, თუ რომელი ალტერნატივა მისთვის მოცემულ სიტუაციაში ოპტიმალური და რომელი — არა. მაშასადამე, შეფასების სტადიაზე პიროვნება მიმართულია ალტერნატივათა შორის მაქსიმალური სხვაობის დადგენისაკენ, რათა შემდეგ თავის მიზნებთან ყველაზე მეტად შესატყვისი აირჩიოს ქცევის განმსაზღვრელად. თავის მხრივ, არჩევანის წინ შეფასების სტადიის არსებობა უკვე გულისხმობს, რომ პიროვნებისათვის ერთ-ერთი ალტერნატივა უმჯობესია სხვებთან შედარებით, მხოლოდ მან ჯერ არ იცის თუ რომელია იგი და ეს შეფასების საშუალებით უნდა გაიგოს. მაშასადამე, შეფასების სტადიის წვლილი გადაწყვეტილების მომზადებაში ისაა, რომ იგი პიროვნებას უჩვენებს თითოეული ალტერნატივის მნიშვნელობას და მათ შორის სხვაობას ამ მნიშვნელობის მიხედვით. თანაც წინასწარ იგულისხმება, რომ ეს განსხვავება რეალურად არსებობს, მხოლოდ პიროვნებამ უნდა გააცნობიეროს იგი. ასეთი დაშვება რომ არ იყოს, ე. ი. თუ იგულისხმება, რომ ყველა ალტერნატივა თანაბრად-ღირებულია, მაშინ შესაფასებელი და გასარკვევიც აღარაფერი იქნებოდა: პიროვნება ერთ-ერთ შემთხვევითად მოხვედრილ ალტერნატივას აირჩევდა. მაგრამ ამას ეწინააღმდეგება მაქსიმალური მოგების პრინციპი და ერთ-ერთი ალტერნატივის ოპტიმალურობას დაშვება. ამიტომ, ყველი ფსიქიკური პროცესი, რომელიც ხელს შეუწყობს ალტერნატივათა მნიშვნელობების დადგენასა და მათ შორის სხვაობის გამოვლენას შეფასების სტადიაზე, მიზანშეწონილად უნდა ჩაითვალოს.

გახსხევებული ფუნქცია ყვისრია არჩევანის სტადიას. იგი ეყრდნობა შეფასების პროცესს და მის საფუძველზე ხდება. არჩევანი ადგენს, მიღებულად მიიჩნევს შეფასებისას გამოვლენილ სხვაობას ალტერნატივებს შორის და ერთ-ერთ მათგანს გამოყოფს, როგორც ოპტიმალურს, მას ჩართავს მომავალი ქცევის სქემაში. დ. გემი სამართლიანად მიუთითებდა, რომ არჩევანის აქტში უკვე იგულისხმება შეწყნარებული ალტერნატივისადმი უპირატესობის მინიჭება უკუგდებულთან შედარებით. ამ საფეხურის აზრი, დანიშნულება სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ იგი ოპტიმალურად აცხადებს ერთ-ერთ მათგანს. ამიტომ, ის ფსიქიკური პროცესები, რომლებიც განამტკიცებენ შეწყნარებული ალტერნატივის ოპტიმალურობის განცდას, არჩევანის შემდეგ (თუ ეს განცდა რეალობას არ ეწინააღმდეგება), მიზანშეწონილად ჩაითვლებან.

დ. უზხაძის კონცეფციის მიხედვით, მიზანშეწონილი მოქმედების საფუძველს წარმოადგენს შინაგანი და გარევანი ფაქტორების ერთიანობა, ანუ ერთიანობა სუბიექტის მოთხოვნილებების, მისი მომენტალური შინაგანი მდგომარეობისა და გარემომცველი სიტუაციისა. ეს ერთიანობა მიიღწევა გარემოს ზემოქმედების აღექვატურად და სუბიექტის მოთხოვნილებათა შესაბამისად მისი მომართვით, მომზადებით — განწყობით. მასში ასახულია როგორც ქცევის სიტუაცია, ასევე სუბიექტის მოთხოვნილებები და ოპტიმატიული შესაძლებლობები. სწორედ ამიტომა, რომ განწყობის საფუძველზე შესაძლებელი ხდება მიზანშეწონილი ქცევის განხორციელება [3]. განწყობისეული მექანიზმი კი, თავის მხრივ, შესაძლებელს ხდის მთელ ჩივ შემთხვევებში მიზანშეწონილი აქტების განხორციელებას მათი გაცნობიერების გარეშე, თუმცა ამ მიმარ-

თულებით განწყობის მოქმედება გარკვეულ ცელის მიზანით ახდენს ცნობიერების ველში, რაც თავის გამოხატულებას პოულობს ტოლი ობიექტების კონტ-რასტულ-ილუზორულ აღქმასა [2] და არატოლი ობიექტების ილუზორულ გა-ტოლებაში [6].

რაში შეიძლება გამოვლინდეს განწყობის საფუძველზე მიზანშეწონილი მოქმედება გადაწყვეტილების პროცესში? როგორც ზემოთ აღნიშნეთ, გადა-წყვეტილების მომზადებისა და არჩევანის სტადიებზე პიროვნების წინაშე გა-ნსხვავებული ამოცახები დგას. ამიტომ, მიზანშეწონილი იქნება ის მოქმედე-ბები, რომლებიც ხელს შეუწყობენ, გააადვილებენ მათ გადაჭრას. შეფასების სტადია, როგორც აღვნიშნეთ, მოწოდებულია ალტერნატივათა ლირებულების დადგენისა და ამ მხრივ მათ შორის არსებული განსხვავებების გამოსავლენად. ამ დროს პიროვნება ეძებს ყოველნაირ ინფორმაციას შესაფასებელი ობიექ-ტების შესახებ, რომლის საფუძველზეც მოხერხდება მათ შორის უკეთესის გამოვლენა. მართალია, არჩევანამდე პიროვნება ცდილობს ობიექტური იყოს ალტერნატივათა შეფასებებში, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ იგი მოქლებულია ყოველგვარ ტენდენციურობას; და ეს ტენდენცია მიმართულია ობიექტებს შორის სხვაობის გაზრდისაკენ. თუმცა, არჩევანის შემდგომი მიკერძოებისაგან განსხვავებით, პიროვნებისათვის ჯერ კიდევ არა აქვს მნიშვნელობა, თუ რო-მელი ალტერნატივის ლირებულება მოიმატებს და რომლისა დაიკლებს. ამ პრო-ცესის მიმართულებისადმი პიროვნება შეფასების სტადიაზე ჯერ ინდიფერენ-ტულია.

საკითხის შემდგომი განხილვისათვის საჭიროა ალტერნატივათა დისკრიმინა-ციის ცნების შემოტანა. იგი აღნიშნავს გადაწყვეტილების პროცესში ალტერ-ნატივათა გადაფასების ფაქტს, რომელიც გამოიხატება ერთი მათგანის მიმზი-დველობის (ლირებულების) გაზრდაში და მეორის მიმზიდველობის დაკლებაში. ზემოთ სწორედ იმაზე მივუთიერებდით, რომ შეფასების სტადიაზე პიროვნება, მართალია, ობიექტურად აგროვებს ინფორმაციას მოვლენების შესახებ, მაგ-რამ მას უკვე აქვს ალტერნატივათა დისკრიმინაციის ტენდენცია, რომელიც თვით ამ სტადიის მიზანს შეესატყვისება.

შეფასების სტადიაზე ალტერნატივათა დისკრიმინაციის ამოცანა ასახუ-ლია პიროვნების განწყობაში და გარკვეულ მიმართულებას აძლევს ფსიქი-კურ პროცესთა მიმდინარეობას. ეს იგი ალტერნატივათა დისკრიმინაცია სწო-რედ შეფასების სტადიაზე უნდა იღებდეს სათავეს და პიროვნების შესაბამისი განწყობისეული მიმართულებით უნდა იყოს განპირობებული.

განსხვავებული საფუძველი ექნება პიროვნების ფსიქიკურ აქტივობას არ-ჩევანის მოხდენის შემდეგ. ალტერნატული ობიექტების შეფასებაში ტენდენ-ციურობისაგან იგი არც არჩევანის შემდეგ თავისუფლდება, მხოლოდ ახლა ეს ცენდენცია უკვე მიკერძოების სახით ვლინდება და მას განწყობისეული სა-ტენდენცია განსხვავებული გააჩნია. როგორც ზემოთ აღნიშნეთ, არჩევანის შემდეგ ფსიქიკურ პროცესთა მიზანშეწონილობა მდგომარეობს მიღებული გა-დაწყვეტილების განმტკიცებაში, რაც გამოიხატება ალტერნატივათა დისკრი-მინაციის გაღრმავებაში. ოღონდ ამ დროს ერთგვარად უკვე წინასწარა მოცე-მული ამ პროცესის მიმართულებაც. იგი მდგომარეობს შეწყნარებული ალტერ-ნატივის ლირებულების გაზრდასა და უკუგდებული ობიექტის ლირებულების შემცირებაში. მაშასადამე, გადაწყვეტილების წინ და მის შემდეგ ალტერნატივათ

დისკრიმინაციის პროცესებს შორის ის განსხვავებაა, რომ არჩევანამდე არსებობს მხოლოდ დისკრიმინაციის ტენდენცია, მის მიმართულებას კი არა აქვს მნიშვნელობა. მაგრამ არჩევანის შემდეგ გადწყვეტილების განმტკიცებისათვის მნიშვნელოვანი ხდება როგორც ალტერნატივათა დისკრიმინაციის სიდიდე, ასევე მისი მიმართულებაც. ამ ვითარების განმსაზღვრელ ფსიქოლოგიურ მექანიზმად მიგვჩინო პიროვნების განწყობა, რომელიც ერთიან ფსიქიურ ველში აერთიანებს მოცემული ობიექტური სიტუაციის ხასს, არჩევანის შედეგს, მისგან გამომდინარე ვალდებულებას და პიროვნების მიზნებს მოცემულ საფეხურზე.

თუ მოცემულ შეხედულებაში რეალური ვითარებაა ასახული, მაშინ ექსპერიმენტში შემდეგი მოვლენები უნდა დადგინდეს: (1) ალტერნატივათა გადაფასებას (მათ დისკრიმინაციას) ადგილი უნდა ჰქონდეს როგორც არჩევანის მოხდენამდე, ასევე მის შემდეგაც. (2) ალტერნატივათა დისკრიმინაცია უფრო გამოკვეთილი უნდა იყოს არჩევანის შემთხვევაში.

ექსპერიმენტში შემოტანილი რეალური ვითარებაა ასახული, მაშინ ექსპერიმენტში შემდეგი მოვლენები უნდა დადგინდეს: (1) ალტერნატივათა გადაფასებას (მათ დისკრიმინაციას) ადგილი უნდა ჰქონდეს როგორც არჩევანის მოხდენამდე, ასევე მის შემდეგაც. (2) ალტერნატივათა დისკრიმინაცია უფრო გამოკვეთილი უნდა იყოს არჩევანის შემთხვევაში.

ახალგიურ მასალაზე ჩატარებულმა ექსპერიმენტებმა [15, 10-21] [10]

უჩვენა, რომ არჩევანი სრულიად გარკვეულად ცვლის თვისებათა შეფასებას: არჩეული თვისებების შეფასება იზრდება, უარყოფილისა კი მცირდება. მაგრამ, ეს ცდებში გამორიცხული არ იყო „შეფასების შიში“, რადგან ც. პ. ორივე შეფასებას დროის მცირე მონაკვეთში ახდენდა, როცა მას ჯერ კიდევ ახსოვდა პირველი შეფასების ქულები. მეხსიერების ასეთი შემაფერხებელი მოქმედების გამოსარიცხავად ჩვენს ექსპერიმენტებში შემოვიტანეთ დროის დიდი ინტერვალი პირველ და მეორე შეფასებას შორის (1-2 კვირა). ამ ხნის განმავლობაში ც. პ-ს, ცხადია, ავიწყდებოდა თვისებებისადმი პირველად მინიჭებული ქულები და მათი შეცვლა უხერხულობას აღარ იწვევდა. მაგრამ აქ დასაზუსტებელი იყო ერთი გარემოება: შესაძლებელია, თვისებათა შეფასებები დროში იცვლებიან თავისთვალ, რამე დამატებითი ფაქტორის მოქმედების გარეშე. საჭირო იყო ამ შემთხვევითი ცვლილების გამიზენა ფაქტორის მოქმედების შედეგისაგან. ამისათვის ჩავატარეთ საკონტროლო ცდების სერია 25 ც. პ-ს. თითოეული მათგანი ორჯერ აფასებდა 114 თვისებას. I და II შეფასებას შორის ინტერვალად აღებული იყო ერთი თვე. მონაცემთა დამუშავებას საკონტროლო და ექსპერიმენტულ ჯგუფებში ვახდენდით სტიუდენტის t კრიტერიუმით. აღმოჩნდა, რომ ფაქტორის ზემოქმედების გარეშე თვისებათა შეფასებები ერთი თვის განმავლობაში უმნიშვნელოდ იცვლებოდნენ ( $p>0,2$ ). ამიტომ, თუ ექსპერიმენტულ სერიაში დადგინდებოდა სტატისტიკურად სანდო სხვაობა I და II შეფასებებს შორის, იგი ზემოქმედი ფაქტორის მიერ იქნებოდა განპირობებული.

საკონტროლო ცდებში გამოყენებული 114 თვისებიდან ამოვარჩიეთ 20 მათგანი, რომლებიც ჩვეულებრივ გამოიყენებიან პიროვნების დასახსიათებლად. ც. პ-ები მათ შეფასებას ახდენდნენ ექსპერიმენტულ სერიებში. მათში მონაწილეობა მიიღო 102-მა ცდისპირმა (I სერიაში 52 ც. პ., II სერიაში 50 ც. პ.). ცდები ჩატარდა სტუდენტურ პოპულაციაზე.

ექსპერიმენტი ჩატარდა ორ სერიად. პირველ სერიაში ც. პ-ს ვავალებდით მიწოდებული თვისებების მიხედვით დახმასიათებინა გარკვეული სტატუსის შემთხვევა არჩევანი მათ შორის. მეორე სერიაში ც. პ-ს იგივე დავალება ეძლეოდა, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ აქ მას არჩევანს არ ვთხოვდით. მაშასადამე, ექსპერიმენტული სერიები ერთმანეთისაგან მხოლოდ არჩევნის მოხდენით განსხვავდებოდნენ და მათ შორის გამოვლენილი სხვაობაც სწორედ ამ ფაქტორით უნდა იქნეს ახსნილი.

თავდაპირველად ც. პ-ს ვაძლევდით 20 თვისების სიას და შემდეგ ინსტრუქციას: „შეაფასეთ თითოეული თვისება — 5-დან +5-მდე (0-ის ჩათვლით) იმის მიხედვით, თუ რამდენად სასურველად მიიჩნევთ მას ლაბორატორიის ხელმძღვანელისათვეს“. ერთვარიანი ინტერვალის შემდეგ იმავე ც. პ-ს ვაძლევდით ოთხ-ოთხი თვისებისაგან შემდგარ ორ წყებას, რომელთა მიხედვითაც მას უნდა წარმოქსახა არი სხვადასხვა პიროვნება (ლაბორატორიის ხელმძღვანელი), დაეხსასიათებინა მათი ქცევა გარკვეულ სიტუაციებში და მიეთითებინა, თუ რა განსხვავებას ხედავდა ამ პიროვნებებს შორის. პირველი პიროვნების თვისებებად აღებული გვქონდა: „კეთილი, ოპტიმისტი, მომხიბვლელი, დამყოლი“, ხოლო მეორე პიროვნებისად კი — „ყურადღებიანი, პრინცული, დინჭი, მკაცრი“. ყველა ეს თვისება ამოღებული იყო იმ სიიდან, რომელსაც ც. პ-ები აფასებდნენ თავდაპირველად. მას შემდეგ, რაც მოახდენდნენ ორივე პიროვნების დახასიათებას და ერთმანეთისაგან განსხვავებას, პირველი სერიის ც. პ-ებს დამტებით ვთხოვდით მიეთითებინათ, თუ რომელი თვისებების შემთხვევაში პიროვნებას აირჩევდნენ თავიანთ ხელმძღვანელად და დაესაბუთებინათ თავისი არჩევანი (არჩევანის სიტუაცია). საბოლოოდ, ორივე სერიის ც. პ-ები ხელმეორედ აფასებდნენ რცივე თვისებას იმავე პრინციპით, როგორც თავდაპირველად.

პირველი სერიის მონაცემთა დამუშავებისას ვნახულობდით, რამდენად შეიცვლებოდა არჩეული და უარყოფილი პიროვნებებისათვის დამახასიათებელ თვისებათა შეფასებები. გარდა ამისა, ვითვლიდით ცვლილების სანდოობას დანარჩენი 12 თვისებისთვისაც, რომლებიც არჩევანში არ მონაწილეობდნენ (საკონტროლო თვისებები). აღმოჩნდა, რომ არჩევნის შემდეგ აღგილი აქვს ალტერნატივათა დისკრიმინაციას, ე. ი. იზრდება არჩეული პიროვნების თვისებათა შეფასება, ხოლო უკუგდებულისა კი — მცირდება. სტატისტიკურად უმნიშვნელო იყო საკონტროლო თვისებათა შეცვლის სიდიდე. პირველი სერიის შედეგები მოყვანილია ცხრილში:

	არჩეული	უცუდებული	საკონტროლო
t	8,21 p < 0,001	6,35 p < 0,001	0,024 p ≥ 0,5

მეორე სერიის მონაცემთა დამუშავებისას აღმოჩნდა, რომ არჩევნის გარეშეც ჰქონდა ადგილი ალტერნატივათა დისკრიმინაციას. მიუხედავად იმისა, რომ ც. პ. არ აღდენდა არჩევანს, მიწოდებულ პიროვნებათა დახასიათების და მათ განსხვავებაზე ორიენტაციის შედეგად იგი მაინც გარეული მიმართულებით იცვლიდა მიწოდებულ თვისებათა შეფასებებს: ერთ-ერთი პიროვნების თვისებათა შეფასებები იზრდებოდა, მეორისა კი — მცირდებოდა. მაშასადამე, ადგილი ჰქონდა ალტერნატივათა ისეთსავე დისკრიმინაციას, როგორც არჩევანის სიტუაციაში. ამიტომ, გვაქვს საფუძველი ვიფიქროთ, რომ შეფასებათა ეს ცვლილებები წარმოადგნდნენ არჩევანს წინმსწრებ და მის მოსამზადებელ ოპერაციას. ამის შემდეგ თუ ც. პ-ს არჩევანს მოვთხოვდით, იგი იმ პიროვნებას ირჩევდა, რომლის მიმზიდველობაც გაიზარდა, ხოლო შეფასებადაკლებული თვისებების მქონე პიროვნებას კი უკუაგდებდა. აქედან გამომდინარე, პიროვნებას, რომლის თვისებათა შეფასებებიც იზრდებოდა დახასიათების შედეგად, შეგვიძლია ვუწოდოთ „ასარჩევი ალტერნატივა“, მეორეს კი — „უარსაყოფი“. ექსპერიმენტის მეორე სერიის შედეგები მოყვანილია შემდეგ ცხრილში:

	ასარჩევი	უარსაყოფი	საკონტროლო
t	6,84 p<0,001	5,08 p<0,001	0,03 p>0,5

საჭირო სრულყოფილი განსილვისათვის საჭირო იყო იმის დადგენა, თუ რა განსხვავება არსებობს ალტერნატივათა დისკრიმინაციის მიხედვით ამ ორ ექსპერიმენტულ სერიას შორის. ამისათვის ერთმანეთს ვაღარებდით, ერთის მხრივ, არჩეული და ასარჩევი ალტერნატივის ცვლილების სიღიდეებს, და, მეორეს მხრივ, უკუაგდებული და უარსაყოფი ალტერნატივების ცვლილებას. პირველი და მეორე სერიის მონაცემთა შორის განსხვავება მოყვანილია ცხრილში:

	არჩეული— —ასარჩევი	უარსაყოფი— —უარსაყოფი	საკონტროლო— —საკონტროლო
t	2,08 p<0,025	0,6 p≈0,25	0,04 p>0,5

როგორც ვხედავთ, არჩევანის მოხდენის შედეგად გამოწვეული ცვლილებები იძლევიან განსხვავებას უარჩევნო სიტუაციებთან შედარებით. ეს განსხვავება შდგომარეობს არჩეული ალტერნატივის უფრო ძლიერ გადაფასებაში. მეორეს მხრივ, ამ ორ ექსპერიმენტულ სერიას შორის არ აღმოჩნდა სანდო სხვაობა უარყოფილი ალტერნატივის ცვლილების მიხედვით. ეს შედეგი იმაზე მიუთითებს, რომ საკუთრივ არჩევანის ეფექტი, ძირითადად, შეწყნარებული ალტერნატივის ცვლილებითაა განსაზღვრული. ეს დასკვნა ეთანხმება ჭ. კონკვერსისა და ჭ. კუპერის [14] ზემოთ განხილულ შედეგს, რომელშიც მათ მიუთითეს, რომ გადაწყვეტილების შედეგად ატიტუდების შეცვლის ტიპი უპირატესად არჩეული ალტერნატივისადმი ატიტუდის შეცვლითაა განპირობებული.

შაშასადამე, ექსპერიმენტში გამოვლინდა ალტერნატივათა დისკრიმინაციის ფაქტი როგორც არჩევანის მოხდენის შემდეგ, ასევე მის გარეშეც. ეს კი სა-შუალებას გვაძლევს აღნიშვნული ცვლილებების საფუძვლად მივიჩნიოთ არა გადაწყვეტილების შემდეგ წარმოშობილი კოგნიტური დისონანსი, არამედ პიროვნების განწყობისეული მიმართულება თთოვეულ საფეხურზე.

დასკვნები: ექსპერიმენტული გამოკვლევით დადგინდა, რომ:

1) გადაწყვეტილების პროცესში ალტერნატივათა დისკრიმინაცია განწყობისეული მექანიზმით ხორციელდება და მიზანშეწონილ ხასიათს ატარებს.

2) ალტერნატივათა გადაფასება იწყება შეფასების სტადიაზე, როდესაც განწყობას მათი დისკრიმინაციის მიმართულება აქვს და ემსახურება გადაწყვეტილების მომზადებას.

3) არჩევანის შემდეგ გრძელდება ალტერნატივათა გადაფასება. ამ პროცესს წარმართავს განწყობა, რომელიც მიმართულია ქცევის განსხვავებულ სტრუქტურულ ელემენტთა კონსოლიდაციისაკენ და განაპირობებს გადაწყვეტილების განმტკიცებას.

4) არჩევანის შემდეგ ალტერნატივათა დისკრიმინაცია ხორციელდება არჩეული ალტერნატივის უპირატესი გადაფასების მიმართულებით.

## Б. Р. ТАГАУРИ

### ВЫБОР И ПЕРЕОЦЕНКА АЛЬТЕРНАТИВ

#### Резюме

Экспериментально проверена гипотеза о возможности переоценки альтернатив как после выбора, так и перед ним — на стадии оценки. Выяснилось, что в обоих случаях имеет место дискриминация оценок альтернативных объектов. Объяснение полученного результата дается с позиции теории установки Д. Н. Узнадзе. Переоценка альтернатив в процессе решения осуществляется механизмом установки и носит целесообразный характер. Она берет начало на стадии оценки, когда установка направлена на дискриминацию альтернатив и подготавливает решение. Переоценка продолжается и после выбора, когда установка личности направлена на консолидацию различных структурных элементов поведения и обусловливает укрепление решения.

#### ლითერატურა

- ბალიაშვილი გ. ს., სოციალური განწყობის ჩამოყალიბება და პიროვნების აქტიობა, თბ., 1980.
- ნადირაშვილი შ. ა., პიროვნების სოციალური ფსიქოლოგია, თბ. 1975.
- ნადირაშვილი შ. ა., განწყობის ფსიქოლოგია. ტ. I. თბ., 1983
- უზნაძე დ. ნ., ზოგადი ფსიქოლოგია, შრ. ტ. III—IV. თბ. 1964.
- უვაგოლაშვილი ჭ. შ., სტატისტიკური მეთოდების გამოყენება ფსიქოლოგიაში, თბ., 1974.

6. Амирэджиби Д. Т., К вопросу о формировании и дифференциации установки, (на правах рукописи), 1983.
7. Андреева Г. М., Богомолова Н. Н. Петровская Л. А., Современная социальная психология на западе, МГУ, 1978.
8. Закс Л., Статистическое оценивание. М., 1976.
9. Козелецкий Ю., Психологическая теория решений, М., 1974.
10. Трусов В. П., Переоценка альтернатив как следствие выбора. В сб.: «Экспериментальная и прикладная психология», ЛГУ, 1977, вып. 8.
11. Трусов В. П., Социально-психологические исследования когнитивных процессов. ЛГУ, 1980.
12. Bem D. J., Self-perception: An alternative interpretation of cognitive dissonance phenomena: in: Psycholog. Review. 1967, 74, 183.
13. Brem J. W., Cohen A. R., Explorations in cognitive dissonance. N.—Y. 1962.
14. Converse J., Cooper J., The importance of decisions and free-choice attitude change: A curvilinear finding. in: Journal of Experimental Social Psychology. 1979, 15. p. 48—61.
15. Festinger L., (ed) Conflict, decision and dissonance. Stanford. 1964.
16. Janis I., Mann L. A conflict theory approach to attitude change and decision making. in: Greenwald A. G. Brock T. C. and Ostrom T. M. Psychological Foundation of Attitudes. N—Y and London. 1968.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის  
დ. უზნაძის სახ. ფსიქოლოგიის ინსტიტუტში

## ნინო ჭავჭავაძე

### სოციალური განმტკიცების ორი სოციალური ჩვევის განწყობის ფორმირებაში

ადამიანის სოციალური აქტივობის შესწავლის და ანალიზის საფუძველზე გამოირკვა, რომ პიროვნებისათვის უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს იმ სოციალურ მოთხოვნებს, რომელსაც საზოგადოება მას უყენებს. ცნობილია, რომ სოციალური გარემოს ზემოქმედების შედეგად ადამიანი გარკვეულ სოციალურ ქცევას მიმართავს. ასეთი ქცევა სოციალური განწყობის საფუძველზე ხორციელდება. ჩვეულებრივ, ადამიანი ცდილობს მის მიერ განხორციელებული ქცევა სოციალურადაც მიზანშეწონილი იყოს. ყოველი სოციალური ქცევის წარმატებით განხორციელების შემთხვევაში ამ ქცევის შესაბამისი სოციალური განწყობა ფიქსირდება და ამგვარად წარმოიქმნება ფიქსირებული სოციალური განწყობების სისტემა, რაც პიროვნებას გარკვეულ სოციალურ სახეს აძლევს.

სოციალური ფიქსირებული განწყობები წარმოადგენენ პიროვნების გარკვეული სახის დამოკიდებულებებს სხვადასხვა სოციალური ობიექტების მიმართ.

სტივენსონის, კინისა და ნაიტის შეხედულებით, ადამიანთა ჩვევები, ღირებულებათა ორიენტაციები და შეხედულებები არის სოციალურ ურთიერთობაში მყოფი ადამიანების (მშობლები, მასწავლებლები, მეგობრები...) ზემოქმედების შედეგად გამომუშავებული ფიქსირებული ფენომენები.

გარკვეულ დამოკიდებულებას სოციალური ობიექტების და მოვლენების მიმართ ადამიანი ბავშვობიდანვე იყალიბებს იმ ადამიანების ზეგავლენით, რომლებიც შისთვის ავტორიტეტული არიან. ერთნაირი შეხედულებების მქონე ადამიანები ზემდგომ გარკვეულ სოციალურ ჯგუფებში ერთიანდებიან. ასეთებია: მეგობრების წრე, კოლეგები, გარკვეული საზოგადოების წევრები და სხვა.

აღსანიშნავია ისიც, რომ ზოგერ ადამიანები მოზრდილ ასაკშიც იცვლიან სოციალურ განწყობებს ისევ და ისევ იმ სოციალური გარემოს ზეგავლენით, რომელშიც ისინი აღმოჩნდებიან. ეს უმეტესად იმ შემთხვევაში ხდება, როდესაც ფსიქოლოგიურად სოციალური გარემო უფრო ძლიერია, ვიდრე თვით ეს ადამიანი. ან კიდევ მაშინ, როდესაც ადამიანი მიხვდება, რომ სოციალურ გარემოში მიღებული დამოკიდებულებები გარკვეული ობიექტების მიმართ უფრო სწორი და გამართლებულია და ამიტომ შეგნებულად ემორჩილება ასეთ ცვლილებას. ეს ზოგიერთ შემთხვევაში ხდება, უმეტესად კი მოზრდილ ადამიანს უკვე აქვს თავისი საკუთარი დამოკიდებულებები მოვლენების და ობიექტების მიმართ და ასაბუთებს კიდევაც საჭირო შემთხვევაში ამ დამოკიდებულებათა სისწორეს.

ცნობილია, რომ ამა თუ იმ სოციალური ობიექტის მიმართ ადამიანი უკვე

ჩამოყალიბებული დამოკიდებულების შესატყვისად ქცევა, მაგრამ არც თუ ისე იშვიათია შემთხვევა, როცა კაცი ერთს ფიქრობს და მეორეს აკეთებს. ხშირად ადამიანმა ნათლად იცის, რომ გარკვეული სახის ქცევა მიუღებელია მისი სოციალური გარემოსათვის და არც მისთვისაა სასარგებლობა და მიზანშეწონილი, მაგრამ ვერ ფარავს თავის დამოკიდებულებას გარემოსა და სხვა ადამიანების მიმართ, რითაც კონფლიქტი შეაქვს სოციალურ გარემოში. იგი უნებურად მისდევს თავის დამოკიდებულებებს და წარსულ გამოცდილებაში ჩამოყალიბებულ და გაფიქსირებულ განწყობებს და ამის შედეგად მისი საქმიანობა სულაც არა რაციონალური. დაკაირვების შედეგად აღმოჩნდა, რომ ფიქსირებული განწყობების გამომუღლავნებისათვისაც შესატყვისი გარემოს არსებობა. საჭირო, ყველგან და ყოველთვის ვერ ამჟღავნებს ადამიანი თავის ფიქსირებულ სოციალურ განწყობებს.

რატომ ხდება ასე? ვფიქრობ, მიზეზი კონკრეტული ქცევის განხორციელების პროცესში შეიძლება გამოინახოს.

ფსიქოლოგებმა ადამიანთა ურთიერთქმედებაში გამოყვეს ცალმხრივი სოციალური გავლენისა და ორმხრივი სოციალური ურთიერთქმედების ფორმები, რაც თავისთავად იმაზე მეტყველებს, რომ ყოველი კონკრეტული სოციალური ქცევის ასე თუ ისე განხორციელება ბევრ რთულ და ზოგჯერ შეუმჩნეველ ფაქტორზეა დამოკიდებული. მათ შორის ერთ-ერთი ყველაზე საინტერესოა სოციალური განმტკიცების ფაქტორი.

სოციალური განმტკიცება წარმოადგენს სოციალურ-ფსიქოლოგიურ მოვლენას, რომელიც გვიჩვენებს, რომ ადამიანის ქცევაზე გარკვეულ გავლენას ახდენს სხვა ადამიანის მიერ გამომუღლავნებული დამოკიდებულება ამ ქცევის მიმართ. სხვა ადამიანის დადებითი ან უარყოფითი დამოკიდებულება გარკვეულ მიმართულებას აძლევს ინდივიდის ქცევას — აძლიერებს ან ასუსტებს მას [4, გვ. 172].

სენსო-მოტორულ სფეროში ჩატარებული გამოკვლევების საფუძველზე დადგინდა, რომ სოციალური განმტკიცება ინდივიდის ქცევას გარკვეულ მიმართულებას აძლევს განწყობის მეშვეობით. სოციალური განმტკიცების ფაქტორი ქცევის აღმდერელ განწყობაზე მოქმედებს, ამ განწყობას ცვლის და ამიტომ აძლევს ქცევას გარკვეულ მიმართულებას.

ახდენს თუ არა რაიმე გავლენას სოციალური განმტკიცება სოციალურ ფიქსირებულ განწყობაზე? თუ ახდენს, როგორ?

ამ კითხვებზე პასუხის გასაცემად ჩატარდა გამოკვლევა, რომელიც საშუალებას აძლევდა: ა) ც. პ.-ებს გამოემუღლავნებინათ თავიანთი სოციალური ფიქსირებული განწყობები, ხოლო ბ) ცდის ხელმძღვანელს კი აღერიცხა ფიქსირებულ სოციალურ განწყობაზე სოციალური განმტკიცების ფაქტორის ზე-მოქმედების ეფექტი.

თავდაპირეველი ამოცანა იყო არჩეულიყო ისეთი სოციალური ობიექტი ან მოვლენა, რომელსაც ყველა ცცნობდა და რომლის მიმართაც ყველას ექნებოდა რაიმე გამოკვეთილი დამოკიდებულება, ყველა გარკვეულ პოზიციას დაიკავებდა, რადგან, როდესაც ადამიანს მყარი აზრი არ გააჩნია მასზე ზემოქმედება უფრო ადვილია. უმჯობესი იქნებოდა თუ ასეთი შემთხვევები გამოირიცხებოდა. ასეთ საკვლევ მოვლენად არჩეულ იქნა ც. პ.-თა დამოკიდებულება საშუალო სკოლაში არსებული ე. წ. „O“ კლასის მიმართ. ეს თემა საქამიდ პოპულარულია, ხშირად განხილულა და ნავარაუდევი იყო, რომ ც. პ-ებს გა-

რევეული გამოკვეთილი აზრი ექნებოდათ ამ საკითხებზე. მითუმეტეს, რომ გამოკვლევა სტუდენტურ პოპულაციაზე ჩატარდა და უმეტესობას გავლილი ჰქონდა კიდევ „0“ კლასი.

გამოკვლევაში მონაწილეობდა 90 სტუდენტი. გამოკვლევა ჩატარდა სამ სერიად. თითოეულ სერიაში მონაწილეობდა 30 ც. პ.

ც. პ.-ებს ევალებოდათ ჯერ სიტყვიერად, შემდეგ კი წერილობით გაე--  
ცათ პასუხი კითხვაზე: „თქვენი აზრით, რამდენად აუცილებელია „0“ კლა-  
სის ასევებობა სკოლაში?“ ც. პ.-ებმა არ იცოდნენ, რომ კითხვებზე პასუხის გა-  
ცემა წერილობითაც მოუხდებოდათ. სიტყვიერი პასუხები აღნიშნებოდა ექს-  
პერიმენტატორის მიერ სპეციალურ გრაფაში, რომელშიც გამოყოფილი იყო  
შეიძლნაირი მოსალოდნებლი პასუხი იმ შემთხვევებისათვის, როცა ც. პ. არის  
1) ძალიან წინააღმდეგი, 2) წინააღმდეგი, 3) ოდნავ წინააღმდეგი, 4) ნეიტრა-  
ლურ პოზიციას იყავებს, 5) ოდნავ მომხრეა, 6) მომხრეა, 7) ძალიან მომხრეა.

სიტყვიერი პასუხის გაცემის შემდეგ ც. პ.-ს ეძლეოდა ბარათი, რომელზეც  
დაწერილი იყო იგივე შეკითხვა და ევალებოდა ე. წ. „0“ კლასის აუცილებ-  
ლობა შეეფასებინა შვიდბალიან სკალაზე.

I სერიაში სიტუაციური პასუხის მოსმენისას, ექსპერიმენტატორი გამოხა-  
ტავდა თანხმობას და ისე აძლევდა ბარათი შემდეგი დავალების შესასრულებ-  
ლად. II სერიაში — გამოხატავდა უკაყაფილებას, უარყოფდა მიმიკით ც. პ.  
ის აზრს, III სერიაში კი — არ ერთოდა საერთოდ.

აღნიშნული სერიების მიხედვით მიღებული შედეგები განსხვავებულია.  
მონაცემების დამუშავებისას შევადარეთ ერთმანეთს ერთი და იმავე ცდისပი-  
რის სიტყვიერი და წერილობითი პასუხები. აღმოჩნდა, რომ I სერიაში, მა-  
შინ, როდესაც ცდის ხელმძღვანელი დადებით დამოკიდებულებას გამოხატავ-  
და ც. პ.-ის მიერ გამოთქმულ აზრის მიმართ, წერილობითი ნამუშევრების შე-  
სრულებისას 30-დან 26-მა არ შეცვალა პასუხი, 4-მა შეცვალა.

II სერიაში — ცდის ხელმძღვანელის მიერ უარყოფითი დამოკიდებულე-  
ბის გამომუღავნების შემდეგ — 16-მა შეცვალა პასუხი, 14-მა იგივე დატო-  
ვა.

III სერიაში — ცდის ხელმძღვანელის მიერ ნეიტრალური პოზიციის და-  
კვების შემდეგ — 9-მ შეცვალა პასუხი, 21-მა — არა.

დადგინდა, რომ სოციალური განმტკიცების ფაქტორმა გარკვეული ზემო-  
ქმედება მოახდინა ც. პ.-ებზე, რის შედეგადაც მათ პასუხები შეცვალეს სხვა-  
დასხვა სერიაში სხვადასხვანაირად.

ცხრილი გვიჩვენებს სიხშირეთა განაწილებას სერიების მიხედვით:

სერია	შეცვალა პასუხი	არ შეცვალა პასუხი
I	4	26
II	16	14
III	9	21

სიხშირეთა განაწილების ცვლილება შემოწმდა  $X^2$  კრიტერიუმით. ერთმა-  
ნეთს შევადარეთ I და III და II და III სერიების მონაცემები.

შესაბამისად: 1)  $X^2 = 3,96$  თავისუფლების ხარისხი — P-0,005-ზე დაბალია

ე. ი. მონაცემები სანდოა და მიღებული შეღეგები უნდა მიეწეროს სოციალური განმტკიცების ფაქტორს.

2)  $X^2 = 7.77$ , თავისუფლების ხარისხი —  $1p - 0,01 \rightarrow 0,001$  ე. ი. მონაცემები სანდოა.

პროცენტული მაჩვენებლები ასეთია:

სერია	შეცვალა პასუხი	არ შეცვალა პასუხი
I	13.3%	86.7%
II	53.3%	46.7%
III	30%	70%

საინტერესო იყო იმის დადგენა, თუ როგორ შეცვალეს პასუხები ცდის-პირებმა.

აღმოჩნდა, რომ I სერიაში 4-მა კი შეცვალა პასუხი, მაგრამ აქედან 3-მა გააძლიერა თავისი დამოკიდებულება საკვლევი მოვლენის მიმართ, 1-მა კი შეასუსტა.

II სერიაში — ცდის ხელმძღვანელის მიერ უარყოფითი დამოკიდებულების გამომჟღავნებისას 16-მა შეცვალა პასუხი. აქედან 1 ც. პ-მა გააძლიერა თავისი დამოკიდებულება, 7-მა შეასუსტა, 8-მ კი სრულებით შეიცვალა აზრი.

III სერიაში ცდის ხელმძღვანელის მიერ ც. პ.-ის აზრის მიმართ ნეიტრალური პოზიციის დაკავებისას 9-მ მაინც შეცვალა პასუხი. აქედან: 4 ც. პ.-მა შეასუსტა თავისი დამოკიდებულება, 5-მა კი შეცვალა. არც ერთმა ც. პ.-მა არ გააძლიერა დამოკიდებულება.

ცვლილებები გამოხატულია ცხრილში:

სერია	გააძლიერა დამოკიდებულება	შეასუსტა დამოკიდებულება	შეიცვალა დამოკიდებულება
I	3	1	0
II	1	7	8
III	0	4	5

აქაც სიხშირეთა განაწილება შემოწმდა  $X^2$  კრიტერიუმით. შესაბამისად:

1)  $X^2 = 7,25$ ,  $p - 0,05 \rightarrow 0,02$  ე. ი. მონაცემები სანდოა, რაც იმას ნიშნავს, რომ მიღებული შეღეგები შეიძლება მიეწეროს სოციალური განმტკიცების ფაქტორს.

2)  $X^2 = 4,05$   $p - 0,20 \rightarrow 0,10$  ნდობის დონე აქ დაბალია, რაც იმას ნიშნავს, რომ სიხშირეთა ასეთი განაწილება ჩვენ მივიღეთ მხოლოდ შერჩევაში, მთელ ერთობლიობაში კი სხვაგვარი განაწილება შეიძლება მოხდეს.

ამრიგად, მიღებული შეღეგები შეიძლება ინტერპრეტირებულ იქნეს შემდეგნაირად: ადამიანის ქცევის მიმართ სხვის მიერ დადებითი დამოკიდებულების გამომჟღავნებისას შეიძლება განისაზღვროს, თუ რა რაოდენობის და როგორი სახის ცვლილებებია მოსალოდნელი. უარყოფითი დამოკიდებულებების

გამომყდარებისას კი მხოლოდ მოსალოდნელ ცვლილებათა რაოდენობის განსაზღვრა შეიძლება, ცვლილების ხასიათის კი — არა.

სოციალური განმტკიცების ფაქტორის ზემოქმედების სიძლიერის აღსანუ-სხვად გამოანგარიშებულ იქნა აგრეთვე, თუ რამდენი ერთეულით შეიცვალა პასუხები სხვადასხვა სერიაში, შესაბამისად:

$M_1 = 0,06$  ერთეული;

$M_2 = 0,66$  ერთეული;

$M_3 = 0,33$  ერთეული.

საშუალოთა შორის განსხვავება შემოწმდა სტუდენტის კრიტერიუმით. შესაბამისად:

1.  $t=0,58$  ალბათობა  $p=0,25$ -ზე მეტია. ე. ი. მიღებული განსხვავება შემთხვევითი ფაქტორებითაა გამოწვეული.

2.  $t=0,68$   $p=0,25$ -ზე მეტია. აქაც მიღებული განსხვავება შემთხვევითი ფაქტორებითაა გამოწვეული.

მიღებული შედეგები მიგვითითებს; რომ სოციალური განმტკიცების ფაქტორის ზემოქმედების სიძლიერის რიცხობრივი აღნიშვნა შესაძლებელი არ არის.

საინტერესო იყო იმის დადგენა, თუ რა მიმართულებით შეიცვალეს ც. პ.-ებმა დამოკიდებულება წერილობითი პასუხების გაცემის დროს.

ცხრილი გვიჩვენებს შედეგებს:

სერია	სულ შეცვალა პასუხი	დადებითიდან უარყოფითი აზრისაკენ	უარყოფათი აზრიდან დადებითისაკენ
I	13%	3%	10%
II	53%	16%	36%
III	30%	7%	23%

სულ სამივე სერიაში დადებითი აზრიდან უარყოფითისკენ შეცვალა პასუხი ც. პ.-თა 26%-მა, პირიქით 69%-მა.

სიხშირეთა განაწილება შემოწმდა  $X^2$  კრიტერიუმით. შესაბამისად:

1)  $X^2 = 19,1$   $p=0,001$ -ზე ნაკლებია ე. ი. მონაცემები სანდოა;

2)  $X^2 = 37,4$   $p=0,001$ -ზე ნაკლებია: მონაცემები სანდო.

ე. ი. სოციალური განმტკიცების ფაქტორის ზემოქმედების შედეგად უარყოფით აზრს ადვილად იცვლიან ადამიანები, ვიდრე დადებითს.

როგორც ჩანს ექსპერიმენტატორის მიერ ნეიტრალური პოზიციის დაკავებაც ც. პ.-ზე ერთგვარად მოქმედებს. ყოველ შემთხვევაში, უარყოფითი აზრის შეცვლას III სერიაში წერილობითი დავალების შესრულებისას ც. პ.-ები აშკარად ცდილობენ. შესაძლოა მათ გარკვეული მოლოდინი გააჩნდათ ექსპერიმენტატორის მიმართ და ელოდნენ, რომ დაეთანხმებოდნენ, შესაძლოა წერილობით უარყოფითი აზრის გაღმოცემა უჭირდათ ადამიანებს.

### დასტანი:

ამრიგად, ფიქსირებული სოციალური განწყობისა და სოციალური განმტკიცების ფაქტორის ურთიერთმიმართების კვლევისას აღმოჩნდა:

I. სოციალური განმტკიცების ფაქტორის გარკვეული მნიშვნელობა აქვს ფიქსირებული სოციალური განწყობის გამოვლენისათვის, კერძოდ:

1) მათ მიერ მოვლენის შეფასების დროს შეფასებისადმი დადებითი დამოკიდებულების გამომუღავნებისას ადამიანების 87% არ იცვლის აზრს. 13% იცვლის. აქედან უარყოფითი აზრიდან დადებითისაკენ გადაინაცვლებს 10%, პირიქით — 3%.

2) უარყოფითი დამოკიდებულების გამომუღავნებისას ადამიანების 53% იცვლის დამოკიდებულებას, 47% — არა. უარყოფითი აზრიდან დადებითი აზრისაკენ გადაინაცვლებს 36,5%, პირიქით — 16,5%.

3) სხვა ადამიანის მიერ ნეტრალური პოზიციის დაკავებისას ინდივიდების 70% არ იცვლის აზრს, 30% იცვლის. აქედან უარყოფითი აზრიდან დადებითი აზრისაკენ გადაინაცვლებს 23,4%, პირიქით — 6,6%.

II. აღმოჩნდა, რომ სოციალური განმტკიცების ფაქტორის ზემოქმედებით, უარყოფით აზრს უფრო აღვილად იცვლიან ადამიანები, ვიდრე დადებით აზრს.

III. საშუალოდ რამდენი ერთეულით, ანუ რა ხარისხით შეიძლება შეიცვალოს აზრი ადამიანმა სხვის მიერ სხვადასხვანაირი დამოკიდებულების გამომჟღავნებისას, ამის თქმა არ შეგვიძლია. ეს სხვადასხვა ფაქტორზეა დამოკიდებული. კერძოდ, როგორც თვით სუბიექტის, ასევე იმ ადამიანის ინდივიდუალურ თავისებურებებზე, რომლისგანაც განიცდის სუბიექტი ზემოქმედებას და ბევრ სხვა ფაქტორზე.

IV. თუმცა გამოვლევის შედეგებმა გვიჩვენა, რომ სოციალური განმტკიცების ფაქტორის ზემოქმედების შედეგად ზოგიერთმა ც. პ-მა მოვლენისადმი-დამოკიდებულება შეიცვალა. მაგრამ ვფიქრობ, ზემოქმედება მოხდა არა თვით ფიქსირებულ სოციალურ განწყობაზე, არამედ იმ კონკრეტული ქცევის განწყობაზე, რომელიც ფიქსირებული განწყობის გამოვლენას უწყობდა ხელს. ასეთი კონკრეტული ქცევის განწყობის გაფიქსირების შედეგად კი შესაძლებელია ფიქსირებული სოციალური განწყობის შეცვლაც, ანუ ახალი ფიქსირებული სოციალური განწყობის ჩამოყალიბება.

V. მიღებული შედეგები საშუალებას იძლევა გამოტანილ იქნეს დასკვნა, რომ ადამიანის მიერ განხორციელებული ყოველი კონკრეტული ქცევის ავკარგიანობა იმ ადამიანების პოზიციაზეც არის დამოკიდებული, რომლებიც ესწრებიან ამა თუ იმ ქცევას. ვფიქრობ, ამ სოციალურ-ფსიქოლოგიური კონკრეტული ერების ცოდნა გააძლიერებს ადამიანთა მოქალაქეობრივ ვალდებულებებს: ერთის მხრივ, უდავო ხდება, რომ ყოველ ადამიანს ზნეობრივად ევალება არა მარტო თავის საქციელზე აგოს პასუხი, არამედ პასუხისმგებელიც იყოს მასთან შემთხვევით, დროებით თუ მუდმივად მყოფი ადამიანის საქციელზე და, მეორეს მხრივ, ამ საკითხით დანწერესდება ყველა ის, ვინც პიროვნების ფორმირებაზე ფიქრობს და ზრუნავს.

Н. Н. ЧАВЧАВАДЗЕ

## РОЛЬ СОЦИАЛЬНОГО ПОДКРЕПЛЕНИЯ В ФОРМИРОВАНИИ УСТАНОВКИ СОЦИАЛЬНОГО ПОВЕДЕНИЯ

### Резюме

Экспериментально было исследовано влияние социального подкрепления на формирование и выявление фиксированной социальной установки. Было установлено следующее: социальное подкрепление по-разному влияет на формирование и выявление фиксированной социальной установки, в зависимости от характера этого подкрепления — одобрения, неодобрения, или нейтрального отношения к поведению испытуемого.

Испытуемым было предложено дать оценку определенному социальному явлению (целесообразности «нулевого» класса в средней школе) сперва устно, а потом, после выявления отношения к этой оценке экспериментатора, письменно, по семибалльной шкале (при этом испытуемые не знали, что им будет предложена и письменная оценка). Было проведено три серии опытов. В первой серии экспериментатор выражал одобрение устным оценкам, во второй—неодобрение, в третьей занимал нейтральную позицию.

В первой серии при письменной оценке 87 % испытуемых не меняли оценки, 13 % изменили. Во второй серии 53 % изменили оценки, 47 % — не меняли. В третьей серии 70 % испытуемых оставили свои устные оценки без изменений, 30 % — изменили.

Важно отметить, что под влиянием социального подкрепления намного легче меняются отрицательные оценки, чем положительные.

Изменение отношения к оцениваемым явлениям под влиянием социального подкрепления не следует рассматривать как изменение самой фиксированной социальной установки, скорее здесь имеет место изменение установки конкретного действия, способствующего выявлению фиксированной социальной установки. Изменение этой последней возможно в результате фиксирования установки этого конкретного поведения.

На основании полученных результатов можно заключить, что характер любого конкретного поведения личности зависит и от позиции тех, кто присутствует при этом поведении. Думается, что знание этой социально-психологической закономерности должно повышать моральную ответственность не только за свое поведение, но и за поведение окружающих.

ლიტერატურა

1. უზნაძე დ. ზოგადი ფსიქოლოგია, თბ., 1940.
2. უზნაძე დ. დამიანის ქცევის ფორმები, სახ. უნივერსიტეტის შრომები, ტ. XVII, 1940.
3. ფრანგიშვილი ა. სწავლის ფსიქოლოგიის საკითხები, თბ., 1969.
4. ნადირაშვილი შ. პიროვნების სოციალური ფსიქოლოგია, თბ., 1975.
5. ნადირაშვილი შ. განვუყობის ფსიქოლოგია, თბ., 1983.
6. Прангишвили А. С. Проблемы установки на современном уровне ее разработки грузинской психологической школой. Психологические исследования под ред. А. С. Прангишвили, Тбилиси, 1973.
7. Прангишвили А. С. Исследования по психологии установки. Тб., 1967.
8. Надирашвили Ш. А. Понятие установки в общей и соц. психологии, Тб., 1974.
9. Балиашвили М. С. Несовместимость установки с поведением — условие смены социальной, «Вестник» АН ГССР, № 4, 1974.
10. Кузьмин. Социальная психология, М., 1979.
11. Социальная психология личности, под ред. Бодалева.
12. Шибутани Т. Социальная психология. М., 1969.
13. Green spoon T. The reinforcing effect of two spoken sounds on the frequency of two responses. Amer. J. Psychol... 1955, 68.
14. Adams Y. S., Hoffman D. The frequency of self reference statements as a function of generalized reinforcement. J. Abnorm. Soc. Psychol. 1960, 60.
15. Krich D., Grutchfield R. S., Ballachey E. L. Individual in Society. N. Y., 1962.
16. Hildrum D. C., Brown R. W. Verbal reinforcement and interviewer bias. J. Abnorm. Soc. Psychol. 1956, 53.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის  
დ. უზნაძის სახ. ფსიქოლოგიის ინსტიტუტმა

## ელენ პეტრიაშვილი

ფილოსილოგული განცხობისა და ჩვევის ურთიერთობის საკითხების

ფიქსირებული განწყობისა და ჩვევის შექმნის ძირითად გზას ერთნაირად განმეორება წარმოადგენს, თუმცა განმეორება მთაში განსხვავებულ როლს თა-მაშობს. კერძოდ, ფიქსირებული განწყობის შექმნისათვის განმეორება არ არის მხოლოდ ერთადერთი გზა. განწყობა შეიძლება გაფიქსირდეს განმეო-რების გარეშეც. მაგ.: ძლიერი შთაბეჭდილებების ზემოქმედების გზით, ან სოციალური მოთხოვნილებების საფუძველზე. მთავარი მაინც ისაა, რომ რა გზითაც არ უნდა შემუშავდეს იგი ადვილად ვლინდება სხვა მსგავს სიტუა-ციაშიც, ან მსგავს მოქმედებებზე ადვილად ახდენს გავლენას. ამ პირობებში განწყობა მიიმსგავსებს მათ, რაც განწყობის ასიმილაციური მოქმედების გა-მოვლენაა, ხოლო გამღიზიანებლის დიდი განსხვავებულობის პირობებში იგი კონტრასტულობაში იჩენს თავს. რაც შეეხება ჩვევის შეტენას, განმტკიცებას, მოქმედების გაავტომატურებას, ამისათვის ერთადერთი გზა განმეორება და ვარჯიში.

ფიქსირებულ განწყობასა და ჩვევას შორის არსებულ განსხვავებულობა-ზე ნათელ წარმოდგენას იძლევა სენსომოტორულ სფეროში ჩატარებული ცდე-ბის შედეგად მოპოვებული ექსპერიმენტული მასალაც. ირკვევა, რომ განწყო-ბის გავლენით ც. პ.-ები განსხვავებულ მოძრაობებს ამსგავსებენ ერთმანეთს. ე. ი. აღნიშნული მოვლენა ასიმილაციურობით ხასიათდება, მოძრაობების მიმ-სგავსება დასტყვისში უფრო მეტად იჩენს თავს, ხოლო გარჯიშისა და განმეო-რებათა საფუძველზე მსგავსება თანდათან მცირდება, მოძრაობათა აღქმა თან-დათან ადექვატურს უახლოვდება, მაგრამ არა ბოლომდე.

ჩვევის შემუშავების პროცესში კი, სადაც სენსომოტორულ სფეროში ც. პ.-თა მოძრაობა სიტყვიერი კორეგირებით მიმდინარეობს, მოქმედება კვლავ ასიმილაციურია, მაგრამ განსხვავებულობის მიმსგავსება თავიდანვე უფ-რო მცირე ზონით ხასიათდება, შემდგომშიც ნაკლებ ცვლილებას განიცდის, რა თქმა უნდა ისევ შემცირების მიმართულებით.

ჩვენი კვლევის მიზანს შეაღენს ამ ორი პროცესის შედარება და მათი ურთიერთობის გარკვევა. უნდა დადგინდეს რა ურთიერთობაშია ერთმანეთთან განწყობის ფიქსირებისა და ჩვევის შემუშავების პროცესები, ნაჩვენები იქ-ნეს მათ შორის საერთო და განსხვავებული ნიშნები.

ცდები ტარდებოდა სენსომოტორულ სფეროში, სადაც ც. პ.-ებს ვუმუშა-ვებდით ორ განსხვავებულ პირობებში ერთი გარკვეული მოქმედების შესრუ-ლების უნარს. პირველ შემთხვევაში ხდებოდა ტაქტილური და კინესტერიული შეგრძნებების (მხედველობითი შეგრძნებები გამორიცხული ვეკონდა) სა-შუალებით იგივეობრივი მოძრაობების განმეორება სწორად შესრულებული მოქმედების მიხედვით. მეორე შემთხვევაში კი იგივე სფეროში მოძრაობის

შესწორება ხდებოდა მცდარად შესრულებული მოძრაობის სიტყვიერი კორეგირების გზით.

კვლევის მეთოდიკის გათვალისწინებით, პირველი სახის ცდებს შეიძლება უწყოდოთ ღაბრკოლებით მიმდინარე, ხოლო მეორეს კორეგირების გზით მიმდინარე ცდები. ვვარაუდობთ, რომ პირველ შემთხვევაში ადგილი ექნება კეთების სფეროში განწყობის ფიქსირებას, ხოლო მეორეში წინა პლანზე წამოიწევს ჩვევის გამომუშავების პროცესი. ამდენად, მიღებული შედეგების შედარებამ უნდა გვიჩვენოს არის ოუ არა განსხვავება ამ ორი გზით მიღებულ მოქმედებებს (ეფექტებს) შორის და რა სახის არის იგი.

ამავე დროს, იმ მიზნით, რომ გაგვერკვია ფიქსირებულ განწყობასა და ჩვევის შორის განსხვავებულობა, ვრკვლიერ აქვს ოუ არა ადგილი ამ სხვაობას მაშინაც, როცა ფიქსირებულ განწყობასა და ჩვევის შემუშავებას წინ უსწრებს ტოლ სიდიდებზე ვარჯიში. შედარებისათვის ვახდენდით კრიტიკულ ცდებში ვარჯიშის გარეშე ერთჯერადად განწყობისა და ჩვევის გამოვლენის შესწავლასაც.

ცდისათვის ვიყენებდით ჩვეულებრივი ტიპის რეოსტატს, რომელზეც შესაძლებელია მცოცარას მოძრაობა ხელის საშუალებით. მცოცარას მოძრაობას შეიძლება ნებისმიერ ადგილზე დავახვედროთ დაბრკოლება, ან რამდენჯერმე მოსინჯვის გზით ც. პ-მა თვითონ აირჩიოს გარკვეული ზომის ფარგლებში მოძრაობა.

მოცემული სერიის ცდები ტარდებოდა ც. პ.-ზე 3 დღის განმავლობაში.

პირველ დღეს ხელსაწყო რეოსტატზე საწყისი წერტილიდან 20 სმ-ზე მცოცარას ვუხვედრებდით წინააღმდეგობას. რის შემდეგაც ც. პ.-ები უბრუნდებოდნენ საწყის წერტილს და კვლავ იწყებონ მოძრაობას. ამგარი მოძრაობები ორივე ხელით თანაბარი რაოდენობით სამ საფეხურად მიმდინარეობდა. თითო საფეხურზე, ე. ი. 10 მოძრაობის ჩამთავრების შემდეგ ც. პ.-ებს ვასრულებინებდით თითო დამოუკიდებელ მოძრაობას. ამის შესაბამისად ვიღებდით სამ ანათვალს, რომელთა 20 სმ მანძილთან შედარებით ვანგარიშობდით ცდომილებებს და შეგვეონდა სპეციალურ ცხრილში.

მეორე დღეს კვლავ იმავე მეთოდით ც. პ.-ებს ვასრულებინებდით მარჯვნა ხელით მოძრაობას კვლავ 20 სმ-ზე, ხოლო მარცხენათი 40 სმ-ზე. მოძრაობათა განმეორებებს ეთხოვდით 15-ჯერ. ცდის კრიტიკულ ნაწილში ც. პ.-ებს ორივე ხელით ვასრულებინებდით 20-20 სმ-ზე მოძრაობას სამჯერ. 40 სმ-ზე კეთების მხარეს, მარცხნივ 20 სმ მანძილზე მონაცემების მიხედვით ვაკეთებინებდით ანათვალს. ვანგარიშობდით ცდომილებებს და შეგვეონდა სპეციალურ ცხრილში. მესამე დღეს 20 სმ-ზე შებრუნებული ხელით ამგარი მოძრაობის შემდეგ დამოუკიდებელი მოძრაობის ათვლისთანავე, ტარდებოდა ცდის მეორე საფეხური, სადაც ც. პ.-ებს 15-ჯერ მარცხენა ხელით ისევ 20 სმ-ზე, ხოლო მარჯვენათი — 40 სმ-ზე ვასრულებინებდით კორეგირებით მოძრაობას. კრიტიკულ ცდაში შემდეგ კვლავ 40 სმ მანძილზე კეთების მხარეს შესრულებული 20 სმ-ის შესატყვისი სამი დამოუკიდებელი მოძრაობის ანათვალი შეგვეონდა ცხრილში.

კრიტიკულ ცდებში დაბრკოლებითა და კორეგირებით წარმოებული მოძრაობების შესატყვისი აბსოლუტური ცდომილებების შედარებამ შემდეგი სურათი მოგვცა.

(1).  
 /X<sub>1</sub>/ დაბრკ. — /3,6/; /2,7/; /1,6/;  
 /X<sub>1</sub>/ კორეგ. — /2,7/; /2,6/; /1,8/;

მ მონაცემებიდან ჩანს, რომ დაბრკოლებით ჩატარებულ ცდაში აბსოლუტური ცდომილებები მეტია კორეგირებით ცდასთან შედარებით, ხოლო როგორც ც. პ.-ების გამოკითხვიდან ირკვევა, ისინი მათ მიერ შესრულებულ ორივე მოძრაობას ზუსტად 20 სმ-ის ტოლად განიცდიდნენ. ცდის შედევების მიხედვით კონტრასტული ილუზია დაბრკოლებით მოძრაობის დროს მეტია კორეგირებით მოძრაობასთან შედარებით, ამავე დროს დაბრკოლებით ცდების დამოუკიდებელ მოძრაობებში ილუზია მკვეთრად მცირდებოდა. კორეგირებით ცდაში კი ილუზია დასაწყისშივე მცირეა და შემდეგშიც ძალიან ნელა, შეუმჩნევლად მცირდება.

ამრიგად, საგანწყობო ცდების შედეგებიდან ირკვევა, რომ დაბრკოლებით დაუფლებული მოძრაობა განცდაში დასაწყისშივე დიდი კონტრასტულობით ხასიათდება, კორეგირებით შესრულებულ მოძრაობებთან შედარებით.

მგვავსად აღწერილი ცდებისა, ჩავატარეთ ერთხერადი საგანწყობო ცდა დაბრკოლებითა და კორეგირებით ცალ-ცალკე ათ-ათ ც. პ.-თან.

პირველ ათ ც. პ.-ს ვთხოვდით მარცხენა ხელით დაბრკოლებამდე, 40-სმზე მოძრაობას; ხოლო მეორე ათ. ც. პ.-ს მარჯვენა ხელით იმავე მანძილზე სიტყვიერი კორეგირებით მოძრაობის შესრულებას. ორივე შემთხვევაში საპირისპირო ხელით ისევ 20 სმ-ზე მოძრაობას ასრულებლნენ. თითოეულ შემთხვევაში მოძრაობა 15-ჯერ სრულდებოდა.

კრიტიკულ ცდებში 40 სმ მანძილზე მოძრაობის მხარესაც, როგორც 20 სმ მანძილზე მოძრაობის მხარეს, ც. პ.-ებისაგან 20 სმ-ზე დამოუკიდებელ მოძრაობას მოვითხოვდით სამჯერ.

გამოთვლილი აბსოლუტური ცდომილებების მიხედვით გაირკვა, რომ როგორც დაბრკოლების, ასევე კორეგირების ცდებში გარკვეულ ცვლილებებს აქვს ადგილი შედარებით წინა ცდების შესაბამის მონაცემებთან:

(3).  
 /X<sub>2</sub>/ დაბრკ. — /3,8/; /3,6/; /2,7/;

(4).  
 /X<sub>2</sub>/ კორეგ. — /2,4/; /2,2/; /1,6/;

ფიქსირებული მოძრაობების შესაბამისი ცდომილებების აღრიცხვა გვიჩვენებს, რომ დაბრკოლებით მოძრაობაში დასაწყისიდანვე კონტრასტის ზონა დიდია, ხოლო კორეგირებით მოძრაობების შესაბამისად წინასთან შედარებით ილუზია მცირეა.

ამრიგად, დაბრკოლებით მოძრაობის ცდებში, როცა საგანწყობო ცდას ტოლ მონაცემზე ვარჯიში უსწრებდა წინ, კონტრასტულობა დასაწყისიდან-ვე გარკვეულად განსხვავებულია, კორეგირებით მოძრაობის შესატყვისი ილუზიური აღქმისაგან, ხოლო მეორე, მესამე შემთხვევაში დაბრკოლებითა და კორეგირებით მოძრაობებში კონტრასტული ილუზია დაახლოებით ერთნაირი სიდიდით განიცდის შემცირებას თუმცა ისინი სხვადასხვა დონეზე რჩებიან.

ორივე დაბრკოლებით ჩატარებული ცდის აბსოლუტურ სიდიდეთა შედარება შემდეგს გვიჩვენებს:

(1).  
 /X<sub>1</sub>/ დაბრკ. — /3,6/; /2,7/; /1,6/;

(3).  
 /X<sub>2</sub>/ დაბრკ. — /3,8/; /3,6/; /2,7/;

დაბრკოლებით შესრულებულ პირველ ცდაში იმ ც. პ.-თან, რომლებიც წინასწარ გავარჯიშებულნი იყვნენ კრიტიკული ცდის შესაბამის მოძრაობებში, წინასწარ გავარჯიშებულნი იყვნენ კრიტიკული ცდის შესაბამის მოძრაობებში, რაც თანდათან სწრაფად მცირდება აბსოლუტური ცდომილება საკმარისი აღმოჩნდა, რაც თანდათან სწრაფად მცირდება.

რდებოდა, ხოლო ფიქსირების ცდაში სადაც გაუვარჯიშებელი ც. პ.-ები მონა-წილებიდნენ, კონტრასტული ილუზია, წინ ჩატარებული ცდის შედეგებთან შედარებით, მეტია და იგი თანდათან მცირედით განიცდის კლებას.

იმავე ცდების კორეგირებით ჩატარებული აბსოლუტური ცდომილებების შედარებებმა კი შემდეგი გვიჩვენა:

/X<sub>1</sub>/ კორეგ. — /2,7/; /2,6/; /1,8/; (2).

/X<sub>2</sub>/ კორეგ. — /2,4/; /2,2/; /1,6/; (4).

როგორც აღნიშნული მონაცემები გვიჩვენებს, კორეგირებით მოძრაობის ცდებში დაბრკოლებით ცდებთან შედარებით ცველგან თანაბრად მცირეა ილუზია და ისიც გარჯიშის შემთხვევაში მცირე ცვლილებებით ხასიათდება. (ცვლილებები კლებისაკენ) შევადარეთ ერთმანეთს როგორც კრიტიკულ მოძრაობებში გაერჯიშებულ, ასევე გაუვარჯიშებელ ც. პ.-თა აბსოლუტური ცდომილებები, როგორც დაბრკოლებით, ისე კორეგირებით მოძრაობების შემთხვევაში, რამაც შემდეგი სურათი მოგვცა:

/X<sub>1</sub>/ დაბრკ. — /3,6/; /2,7/; /1,6/; (1).

/X<sub>1</sub>/ კორეგ. — /2,7/; /2,6/; /1,8/; (2).

/X<sub>2</sub>/ დაბრკ. — /3,8/; /3,6/; /2,7/; (3).

/X<sub>2</sub>/ კორეგ. — /2,4/; /2,2/; /1,6/; (4).

გაუვარჯიშებელ საგანწყობო ცდის შემთხვევაში კრიტიკულ ცდაში შესრულებული მოძრაობების აბსოლუტური ცდომილებების შედარებით ირკვევა, რომ მათი კონტრასტულად განცდა დიდია. არა მარტო კორეგირებით ჩატარებულ საგანწყობო ცდებში მიღებულ აბსოლუტური ცდომილებების შედარებით, არამედ მონაცემების შედარებითაც, რომელშიც საგანწყობო ცდას წინ უსწრებდა ტოლ სიდიდებზე ვარჯიში.

რაღებულ შედეგებს უფრო ფართოდ თუ გავშლით, მივიღეთ, რომ ჩვენს მიერ ჩატარებულ ცდებში, როცა მათ პირველ დღეს ორივე ხელით ტოლ მანძილზე (20 სმ) ვარჯიში უსწრებდა წინ, ფიქსირებული მოძრაობები მოქმედებაში ასიმილაციურია, ხოლო ც. პ.-თა მიერ ეს მდგომარეობა კონტრასტულად განიცდება. ამავე დროს დაბრკოლებით ჩატარებულ ცდებში დასაწყისში კონტრასტულობის ზონა დიდია, მაგრამ შემდგომი განმეორებით იგი სწრაფად მცირდება, კორეგირებით ჩატარებული ცდების დროს კონტრასტული ილუზია თავიდან მცირეა და შემდგომშიც თანდათან ნელა კლებულობს, შემდგომი განმეორებების შედეგად იგი დაახლოებით იმ დონემდე დადის, რომელზედაც დაბრკოლებით ფიქსირებული მოძრაობები გვქონდა.

შემდგომ ცდებში, სადაც ფიქსირების მოძრაობები ყოველგვარი ვარჯიშის გარეშე სრულდებოდა, მოქმედებაში ისინი კვლავ სიმილაციურნი, ხოლო განცდაში კონტრასტულნი იყვნენ. მათ შორის განსხვავება ისაა, რომ ფიქსირების დროს კონტრასტული ილუზია ამ შემთხვევაში უფრო დიდი ზონით ხასიათდება, ვიდრე იმ შემთხვევაში, როცა საგანწყობო ცდას ტოლ სიდიდებზე ვარჯიში უსწრებდა წინ, მოძრაობის გაგრძელების მეორე, მესამე განმეორებების შემდეგ აღნიშნული ილუზია მცირე კლებით ხასიათდება. ე. ი. კონტრასტის ზონა მცირდება. ისავე პირობებში კორეგირებით ჩატარებული მოძრაობები, ფიქსირებით ჩატარებულ მოძრაობებთან შედარებით, კვლავ მცირე კონტრასტით ხასიათდებიან. დასაწყისშივე და შემდგომ მოძრაობებშიც იგი მცირე ტემპით განიცდის კლებას.

მძრიგად, მიღებული შედეგების მიხედვით ჩანს, რომ ჩვევის შემუშავების

პროცესში, რაც ჩვენს ცდებში კორეგირებით მოძრაობით ხასიათდებოდა, აღვილი აქვს ამ მოძრაობების შემდგომ დახვეწას და დაზუსტებას, ეს პროცესი, ერთის მხრივ, ეფუძნება განწყობის ფიქსირების ფაქტს, მეორე მხრივ იგი ცნობიერი ჩარევით წარიმართება, რამდენადაც ეს საჭიროა ჩვევის შემუშავებისათვის.

აქედან ნათელია, რომ ჩვევის შემუშავებისა და განწყობის ფიქსირების ეფექტები არა ერთი და იგივე. განწყობის ფიქსირება ხდება ორივე შემთხვევაში; პირველში იგი მიღებულია, როგორც სუფთა ეფექტი, მეორეში კი ჩანს, როგორც საფუძველი შეგნებული და გაცნობიერებული მოქმედების შეძენისა. აქ ჩვენ უკვე გვაქვს დამოუკიდებელი, ჩამოყალიბებული მოქმედება — ჩვევა.

გამოდის, რომ განწყობის ფიქსირებისა და ჩვევის შემუშავების პროცესებს შორის არავითარი შინააღმდეგობა არ არსებობს, პირიქით, პირველი მეორის საფუძველია და მასში მონაწილეობს, როგორც მისი შექმნის მექანიზმი, აქტივობისათვის აუცილებელი საფუძველი.

### Е. Г. КВИРИКАШВИЛИ

## К ВОПРОСУ О ВЗАИМООТНОШЕНИЯХ ФИКСИРОВАННОЙ УСТАНОВКИ И НАВЫКА

### Резюме

В работе ставится вопрос о взаимоотношениях процессов фиксаций установки и формирования навыка. Для решения этого вопроса были проведены эксперименты в среде сенсомоторной активности.

В опытах мы смогли разделить эти два процесса с помощью введения в эксперимент препятствия движению и корегирования.

Полученные результаты показали, что в опытах с препятствием справа получается контрастная иллюзия большой зоны, в последующем резко уменьшающаяся. В опытах коррекции движения сначала же зона контрастности малая, и в дальнейшем она постепенно и слабо уменьшается.

Таким образом, в первом случае получается чистый эффект фиксированной установки, и во втором происходит усовершенствование и уточнение движения с помощью участия сознания, что и ведет к фиксированию навыка.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის  
ღ. უზნაძის სახ. ფსიქოლოგიის ინსტიტუტმა

## ნანა ჭუთათალაძე

ქალაქის „ქველი“ და „პხალი“ საცხოვრებელი გარემოს  
 განჯეობისაული შეფასებანი და არიტექტურული  
 გეგმარებითი პროგლემები

ქალაქის დინამიური განვითარების პროცესი უშუალოდ დაკავშირებულია უბრანიზაციასთან. ქალაქის მოსახლეობის რაოდენობა 1920 წ. მთელი დედა-  
 მიწის მოსახლეობის 19, 4% შეადგენდა, ხოლო 1970 წ. 38,4%. ქალაქის მო-  
 სახლეობის რაოდენობის ზრდის შესაბამისად მატულობს ქალაქების მიერ და-  
 კავებული ტერიტორია.

მაგალითად, საბჭოთა კავშირში ქალაქის ტერიტორიულ-სივრცითი გან-  
 ვითარებისათვის ყოველწლიურად გამოიყენება 1. 500 000 ჰა მიწის ფართობი.  
 ქედან ქალაქის სტრუქტურაში საცხოვრებელ განაშენიანებას ტერიტორიის  
 ყველაზე დიდი ნაწილი — 50% უკავია. ამრიგად, ნათელია, თუ რამდენად მნი-  
 შენელოვანი აღგილი უჭირავს საცხოვრებელ განაშენიანებას ქალაქის მთლია-  
 ნი ორგანიზმისა და მისი სილუეტის განვითარებაში.

თანამედროვე ქალაქის გეგმარებით-სივრცითი სტრუქტურა ძირითადად  
 „უფრენერიონალიზმის“ იღების შესაბამისად ჩამოყალიბდა. მათი ზეგავლე-  
 ნით 60-იან წლებამდე ქალაქმეგეგმარებლები პროექტირებისას არ ითვალისწი-  
 ნებდნენ ქალაქის ორგანიზმის სივრცული და დინამიური განვითარების პრო-  
 ბლემებს, ხოლო სივრცის რაციონალურად გამოყენების იღებას მუდმივად არ-  
 სებობას უწინასწარმეტყველებდნენ. ასევე გაუთვალისწინებელი აღმოჩნდა ამა-  
 თუ იმ რეგიონის გეოგრაფიული გარემო, აღგილობრივი ეთნიკური თავისებუ-  
 რებანი და სხვა. ქედან გამომდინარე უგულებელყოფილი იქნა ადამიანის ფა-  
 ქტორი — მისი სოციალური არსი. ამის გამო ქალაქის თანამედროვე გარემომ  
 ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ქალაქებში იღენტური სახე მიიღო. აღმოჩნდა, რომ  
 ასეთ „ლოგიკურ“ საფუძველზე აგებული გარემო ერთფეროვანი და მოსაწყე-  
 ნია ადამიანისათვის, ქალაქები კი იქმნებოდა და იქმნება ადამიანისათვის.

ამრიგად, ქალაქმეგეგმარებლების მიერ შემოთავაზებული არქიტექტურული  
 გარემო და მოსახლეობის ფსიქო-სოციალური მოთხოვნილებანი დაპირის-  
 პირებული აღმოჩნდნენ.

თანამედროვე ქალაქის გარემოში ადამიანი ხშირად განიცდის სტრესს, რაც  
 უმთავრესად გამოწვეულია სტატიურად ჩამოყალიბებული არქიტექტურულ-  
 სივრცითი სტრუქტურით, ხმაურიანი ქუჩებითა და მოსახლეობის მაღალი სი-  
 მჭიდროვით. ურბანიზაციის მზარდება ტემპმა, ერთის მხრივ, გააფართოვა ადა-  
 მიანებს შორის კომუნიკაციურობა, ხოლო, მეორეს მხრივ, გაფართოებულმა  
 კონტაქტებმა ზედაპირული ხასიათი მიიღო; წარმოიშვა გაუპიროვნების პრო-  
 ბლემა.

უარყოფითი სან-პიგიენური ფაქტორები ზეგავლენას ახდენენ ადამიანის  
 ცენტრალურ ნერვულ სისტემაზე. ფრანგ მკვლევართა მონაცემებით 1971-  
 1975 წლებში ხმაურის საგრძნობმა გაზრდამ პარიზში გამოიწვია ნევროზების  
 ზრდა 50-დან 70 %-მედ [3].

მდგრადი კავშირი არსებობს განსახლების სიმჭიდროვესა და ქცევის ურთიერთობის ნორმებს შორისაც.

Galle, Gove და Mcpherson განიხილავენ ურთიერთყავშირს მოსახლეობის სიმჭიდროვის 4 კომპონენტსა (ადამიანების რაოდენობა სათავსებზე, სათავსებისა გინაზე, ბინების რაოდენობა სახლებში და სახლებისა — ტერიტორიაზე) და სუთ სოციალურ პათოლოგიას შორის (სიკვდილიანობის რიცხვის ზრდა, შობადობის შემცირება, ბავშვთა აღზრდის პრობლემები, არასრულწლოვანთა დანაშაულის გაზრდა, ფსიქიკური დაავადებანი) [6].

ადამიანებს შორის ურთიერთობის პროცესი თავისი ხასიათით ზოგადად სივრცესთანაა დაკავშირებული. თანამედროვე ქალაქის სივრცითი მასშტაბები იწვევს ადამიანის ემოციურ გადატვირთვას. ერთ-ერთ აღგილს ქალაქის სტრუქტურაში, რომელშიც ადამიანი დარღვეული ემოციური წონასწორობის აღვენას აღვილად უნდა ახერხებდეს — საცხოვრებელი გარემო •წარმოადგენს.

თანამედროვე საცხოვრებელი განაშენიანების გეგმარებისას ქალაქმეგმარებლების დამოკიდებულება ისტორიულად ჩამოყალიბებული „ძველი“ საცხოვრებელი გარემოს მიმართ უკიდურესად ნეგატიური იყო. ისინი ყურადღებას ამახვილებდნენ სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვაზე. ბინების მაქსიმალურ ინსოლაციაზე, შეიდა კომუნიკაციათა ოპტიმალურ გადაწყვეტაზე და რეკრეაციულ ტერიტორიათა გამწვანებაზე. ისტორიულად ჩამოყალიბებული საცხოვრებელი გარემოს დადებითი სოციალური მაჩვენებლები კი მთლიანად უგულებელყოფილი იქნა. საბოლოო ჯამში აღმოჩნდა, რომ თანამედროვე საცხოვრებელი გარემო წარმოადგენს სივრცითი „ფორმისა“ და სოციალური „შინაარსის“ ე. წ. მექანიკურად გაერთიანებულ ორგანიზმს. ამისი დამადასტურებელია მოსახლეობის მხრიდან ინდიფერენტული განწყობა თანამედროვე გარემოს მიმართ, გაუცხოვების განცდა და მყარი იზოლაცია საცხოვრებელ ბინებში.

ბოლო დროს სულ უფრო მეტად შეიმჩნევა ადამიანის სწრაფვა ისტორიულად ჩამოყალიბებული გარემოსადმი, სადაც „ფარლობითი“ და „აბსოლუტური“ მასშტაბი ადამიანურ მასშტაბს შეესაბამება, ხოლო სოციალური კონტაქტი ბუნებრივად მიმდინარეობს. ეს კი ხელს უწყობს ადამიანის სწრაფ ადაპტაციას მოცემულ გარემოში და მის შესაბამის გათავისებას.

როგორც ესტონელ მეცნიერთა გამოკვლევებმა გვიჩვენეს, თანამედროვე ხალხმრავალ ცენტრებში, სადაც მეტწილად სივრცითი კონტაქტები დომინირებს, ნაცენობები ხშირ შემთხვევაში გაურბიან შეხვედრას, მაშინ როცა ისტორიულად ჩამოყალიბებულ ძველ ცენტრში სიამოგებით ხვდებიან ერთმანეთს ხანგრძლივი დროით [7].

ანალოგიურად, „ძველ“ საცხოვრებელ გარემოშიც თავისთავად ხდება ტერიტორიის გამოყოფა სოციალური კონტაქტებისათვეს. ამას ხელს უწყობს რეკრეაციული ფუნქციის მქონე ქუჩათა ქსელური სისტემა, ნახევრად გახსნილი ეზოს სტრუქტურა და სხვა. ამგვარ ქუჩებს საოცარი „სიცოცხლის უნარიანობა“ ახასიათებს. თანამედროვე საცხოვრებელ განაშენიანებაში ქუჩათა ქსელური სისტემა უარყოფილია. მოედნები, ქუჩები და ეზოები ძირითადად გაერთიანებულია საცხოვრებელი სახლების მოცულობებს შორის არსებული სივრცის ქვეშ. „ძველ“ საცხოვრებელთან შედარებით რეკრეაციული ზონები აქდაცარიელებულია. აღმოჩნდა, რომ „სიცოცხლისუნარიანი“ ქუჩის უბანში ყო-

ველ მცხოვრებს უჩნდება ტერიტორიული იმპერატივის — ტერიტორიის გათავისების განცდა, რაც თავის მხრივ ხელს უწყობს წესრიგისა და სიმშვიდის დამყარებას ტერიტორიაზე.

მაგალითად, იმის გამო, რომ სენტ-ლუისში იაფფასიანი საცხოვრებელი კომპლექსის მშენებლობისას თავის დროზე მცხოვრებთა სოციალური და დემოგრაფიული მონაცემები არ გაითვალისწინეს, ხოლო მაღლივი კორპუსები გამოყვეს დიდი მწვანე ზონებით, სულ მაღლ საჭირო შეიქმნა კომპლექსის დანგრევა, რაღაც დანაშაულის რაცხვმა საგრძნობლად იმატა, საცხოვრებელი ბინები კი დაცარიელდა [4, გვ. 29].

ისტორიულად ჩამოყალიბებულ საცხოვრებელ განაშენიანებაში მოედნების, ქუჩების, ეზოების და საცხოვრებელი სახლების თანმიმდევრობა ერთიან, რითმულ დინამიზმს აღწევს. მათი სივრცით „ფორმა“, თავისი ხასიათით ნაციონალურ საფუძველზეა დაფუძნებული, იგი არ არღვევს აღამიანის პერსონალურ სივრცეს და არ იწვევს მასში ფსიქოლოგიური დისკონტროლის განცდას. აღსანიშნავია, რომ სხვადასხვა დემოგრაფიული პარამეტრის მქონე აღამიანებში ასეთი სივრცის ცნებას სხვადასხვა განხომილება გააჩნია. ამიტომ, ერთ-ერთ წამყვან მომენტს თანამედროვე ქალაქის სტრუქტურის ფორმირებაში წარმოადგენს აღამიანური სივრცე, მისი აღქმის ვიზუალური პროცესი. აღამიანი ქალაქის ორგანიზმში წარმოადგენს აქტიურ ელემენტს. იგი ძირითადად სენსომოტორული აქტივობის მეშვეობით განიცდის ქალაქის გარემოს.

სხვადასხვა გამოყვლევები ნათლად მიუთითებენ, რომ ისტორიულად ჩამოყალიბებული საცხოვრებლი გარემო ემოციურ-ესთეტიკური თვალსაზრისით ბევრად უფრო შთამბეჭდავია, ვიღრე ორდინალური თანამედროვე საცხოვრებელი გარემო.

ამრიგად, ჩვენს წინაშე დაისავა საკითხი გამოგვეკვლია ისტორიულად ჩამოყალიბებული და თანამედროვე საცხოვრებელი გარემოს შემადგენელი ელემენტების პიროვნებისეული, განწყობისეული შეფასება, მისი ფსიქოემოციური მახასიათებლები.

როგორც ვიცით, განწყობა წარმოადგენს აღამიანის მთლიან პიროვნებისეულ მდგომარეობას, მზაობას, აღმოცენებულს მოთხოვნილებისა და მისი დაკმაყოფილებისათვის საჭირო სიტუაციის შეხვედრისას, რომელიც საფუძვლად უდევს აღამიანის ნებისმიერ ქცევას და რომელშიც წინაშარ ესკიზურადაა ასახული მომავალი ქცევა [1].

აღსანიშნავია ის გარემოებაც რომ აღამიანებს უყალიბდებათ სპეციფიური, განწყობისეული დამოკიდებულება სოციალურ ობიექტთა და მოვლენათა მიმართ. ამგვარი განწყობისეული დამოკიდებულება გამოიხატება მიღება-არმილების კატეგორიებით [5].

სწორედ ამიტომ პიროვნულ და სოციალურ განწყობისეულ შეფასებებს უდიდესი როლი ენიჭება გარემოს შეფასებაშიც.

ჩვენი პიპოთეზის თანახმად მიღებული შედეგები საშუალებას მოგვცემს საცხოვრებელი გარემოს პროექტირების პროცესში გავითვალისწინოთ პიროვნულად მისაღები, დადებითად შეფასებული გარემოს ელემენტები.

შევქმნათ გარემოსეულ ელემენტთა პიროვნულად მისაღები კოეფიციენტების მატრიცა, რომლის რაციონალურად გამოყენება საშუალებას მოგვცემს დავაგეგმაროთ ოპტიმალური საცხოვრებელი გარემო. დასახული მიზნის მისაღწევად, ჩვენი აზრით, ყველაზე მეთოდურ საშუალებას საცხოვრებელი გარე-

მოს განსხვავებული ელემენტების ვიზუალური შეფასებისა და სოციალური განწყობის გაზომვის გზა წარმოადგენს. სოციალური განწყობის გაზომვის მეთოდიდან, როგორც აღმოჩნდა, ჩვენი მიზნებისათვის ყველაზე აღექვატურია სემანტიკური დიფერენციალის მეთოდი (ასგუდი და ცენტრალური). იგი, როგორც ვიცით, სტიმულის შეფასების საშუალებას გვაძლევს სემანტიკურ ველში ემოციური, კოგნიტური და ქცევითი კომპონენტების მიხედვით. ამას გარდა შესაძლებელია რიგის შეალაზე სტატისტიკური მანიპულაციების საშუალებით მივიღოთ სტიმულის შეფასების ინტეგრალური მაჩვენებელი.

ექსპერიმენტის ჩატარებამდე წინასწარ გამოვყავით საცხოვრებელი გარემოს ძირითად მახასიათებელთა ჯგუფები. მათი შერჩევა მიმდინარეობდა ადამიანის მიერ საცხოვრებელი გარემოს „ვიზუალური მონტაჟის“ პოზიციიდან, — ქუჩიდან საცხოვრებელი სახლის მოცულობამდე მოძრაობის პროცესში.

გამოყოფილი კატეგორიებია:

1. მოედანზე გამავალი ქუჩა;
2. სწორხაზობრივი ქუჩა;
3. რელიეფზე მდებარე ქუჩა;
4. ზიგზაგისებური ქუჩა;
5. შუასაუკუნეებისათვის დამახასიათებელი ქუჩა;
6. ჩაქეტილი ქუჩა;
7. სკვერი;
8. გზაჯვარედინი;
9. დონეების დამაკავშირებელი;
10. ეზო;
11. საღარბაზო;
12. აიგანი;
13. სასურსათო და საყოფაცხოვრებო მომსახურეობის ობიექტის ფასადი;
14. სივრცე მრავალპლანიან მოცულობებს შორის;
15. პანორამა.

ამ კატეგორიათა შესაბამისად ფერადი სლაიდებულ იქნა ქ. თბილისის ისტორიულად ჩამოყალიბებული და თანამედროვე საცხოვრებელი გარემოს სხვადასხვა სიტუაცია. არჩეული 88 კადრი დანაწილდა შესაბამის კატეგორიებად. ყოველ კატეგორიაში იდენტური სიტუაცია უცილებლად აღმული იყო ისტორიულად ჩამოყალიბებული და თანამედროვე საცხოვრებელი გარემოდან.

ექსპერიმენტის I ეტაპი ჩატარდა 30 კაცზე — (არქიტექტორებზე, ფსიქოლოგებსა და ფილოლოგებზე — ასაკი 23—40 წელი).

ექსპერიმენტი მიმდინარეობდა შემდეგნაირად: ეკრანზე ფერადი სლაიდების მეშვეობით წარმოდგენილი იყო ქ. თბილისის საცხოვრებელი რაიონების სხვადასხვა ფრაგმენტი. სემანტიკური დიფერენციალის სკალის მეშვეობით ცდისპირი აფასებდა წარმოდგენილ სიტუაციას. ქვემოთ მოყვანილია აღნიშნული სკალა:

+3	+2	+1	0	-1	-2	-3
----	----	----	---	----	----	----

— : — : — : — : — : — : — :	— : — : — : — : — : — : — :	— : — : — : — : — : — : — :	— : — : — : — : — : — : — :
ძალიან საშ. სუსტ. ნეიტ. სუსტ. საშ. ძალიან	სასიამოვნო — : — : — : — : — : — : — :	— : — : — : — : — : — : — :	არასასიამოვნო

მაღალი კლასის —————: —————: —————: —————: დაბალი კლასის  
 სუფთა —————: —————: —————: —————: კუჭყიანი  
 მხიარული —————: —————: —————: —————: ნაღვლიანი  
 უხეში —————: —————: —————: —————: ნაზი  
 ნათელი —————: —————: —————: —————: ბელი  
 ენერგიული —————: —————: —————: —————: ინერტული  
 აქტიური —————: —————: —————: —————: პასიური  
 დინამიკური —————: —————: —————: —————: სტატიკური  
 გეაცრი —————: —————: —————: —————: ლმობიერი  
 მსუბუქი —————: —————: —————: —————: მძიმე  
 ექდგარი —————: —————: —————: —————: უძლური

ყოველ ცდისპირს წინასწარ ეძლეოდა შემდეგი ინსტრუქცია: სკალის მეშვეობით, რომელზედაც წინასწარ მოცემულია ზედსართავების წყვილები, უნდა შეაფასოთ თქვენს წინაშე წარმოდგენილი ფრაგმენტები. სკალა წარმოადგენს თქვენი დამოკიდებულების გაზომვის საშუალებას. ურთიერთსაწინააღმდეგო ზედსართავებს შორის არსებული საფეხურებით (გრადაციებით) უნდა მოახერხოთ თქვენი პოზიციის განსაზღვრა აღნიშნული სტიმულის შეფასებისათვის. მაგალითად, თუ თქვენ მიგაჩნიათ, რომ სლაიდზე ასახული არქიტექტურული გარემო თქვენთვის ძალიან სასიამოვნოა, მაშინ თქვენი პოზიცია (+3) სკალურ მაჩვენებელს შეესაბამება. ხოლო თუ არც სასიამოვნოდ და არც უსიამოვნოდ მიიჩნევთ ეკრანზე წარმოდგენილ გარემოს, თქვენი პოზიცია (0)-ია. უარყოფითი ნიშნებით ხასიათდებიან სკალის მარჯვენა მხარეს მოყვანილი. შეფასებები. მაგალითად, თუ თქვენ მიგაჩნიათ, რომ გარემო ინერტულია, თანაცძლიერ ინერტულია, ამ შემთხვევაში ასახელებთ ციფრს (—3).

იყავით ყურადღებით, რადგან ზედსართავები თავისი პოლარული მნიშვნელობით გარკვეული მიზნით ზოგან მარცხენა, ხოლო ზოგან მარჯვენა მხარეს არის მიმართული. მაგალითად, „უხეში“ — (+)-ში, ხოლო „ნაზი“ — (—)-ში. თქვენგან მოითხოვენ ყოველთვის გაცნობიერებულ შეფასებას ყოველი ზედსართავი სახელის მიმართ.

ინსტრუქციის გათვალისწინებით შედგენილ იქნა ცხრილი განზომილებით  $7 \times 12$ ; სადაც სვეტების შესასვლელზედ მოყვანილია ზემოქმედების ხარისხის შეფასებები, სტრიქონების შესასვლელზე — ზემოქმედების ფაქტორები. თანაკვეთაში კი მოცემულია შესაბამისი სიხშირეები (რაოდენობა იმ ცდისპირთა, რომელთაც მიცემულ სტიმულს მისცეს შესაბამისი შეფასება).

სიხშირეების ცხრილი №1

	+ 3	+ 2	+ 1	0	- 1	- 2	- 3
1	$n_{11}$	$n_{12}$	$n_{13}$	$n_{14}$	$n_{15}$	$n_{16}$	$n_{17}$
2	$n_{21}$	$n_{22}$	$n_{23}$	$n_{24}$	$n_{25}$	$n_{26}$	$n_{27}$
:							
12	$n_{121}$	$n_{122}$	$n_{123}$	$n_{124}$	$n_{125}$	$n_{126}$	$n_{127}$

შედგენილია 88 ცხრილი (თითო ცხრილი ყოველი სტიმულისათვის), ყოველი ასეთი ცხრილისათვის კითვლით 12 საშუალო  $X_i$ -ს.

$$X_i = \frac{n_{i1} + 2n_{i2} + 3n_{i3} + \dots + 7n_{i7}}{N}, \quad i=1, 2, \dots, 12$$

სადაც  $N$  არის ცდისპირობით საერთო რიცხვი,

12 მახასიათებელი დაიყვანება სამ მახასიათებელზე —  $k_1, k_2, k_3$ , რომელებიც სემანტიკურ ველში სამი ფაქტორის შესაბამისი სტიმულური შეფასების მაჩვენებელია [2].

$$K_1 = \frac{1}{6} (X_1 + X_2 + X_3 + X_4 - X_5 + X_6 + 8),$$

$$K_2 = \frac{1}{3} (X_7 + X_8 + X_9),$$

$$K_3 = \frac{1}{3} (-X_{10} + X_{11} + X_{12} + 8).$$

სტიმულის მთლიანი შეფასება საშუალო სემენტიკურ ველში წარმოებს შემდეგი ფორმულით:

$$K = \frac{1}{2\sqrt{3}} (\sqrt{(K_1-1)^2 + (K_2-1)^2 + (K_3-1)^2} - (7-K_1)^2 + (7-K_2)^2 + (7-K_3)^2).$$

ყოველი  $i$  სტიმულისათვის შედგენილი № 1 სახის ცხრილის მიხედვით გამოვთვლით შემდეგ სიღიღეებს

$$m_{ij} = n_{1j} + n_{2j} = \dots + n_{12j}, \quad j = 1, 2, \dots, 7, \quad i = 1, 2, \dots, 88.$$

ამგვარად მიღება ახალი ცხრილი, რომელიც შედგება 7 სვეტისა და 88 სტრიქნისაგან. შემდგომ განიხილება ამ ცხრილის ნებისმიერი ორი სტრიქნი, რომელთაობისაც მიღება ცხრილი № 2 (ქვემოთ მოყვანილია ცხრილი 1 და 2 სტიმულისათვის).

ცხრილი № 2

	1	2	3	4	5	6	7
1	$m_{11}$	$m_{12}$	$m_{13}$	$m_{14}$	$m_{15}$	$m_{16}$	$m_{17}$
2	$m_{21}$	$m_{22}$	$m_{23}$	$m_{24}$	$m_{25}$	$m_{26}$	$m_{27}$

ამ ცხრილში მოყვანილ ორ განაწილებათა შორის განსხვავებას ვამოწმებთ  $X^2$  — კრიტერიუმის საშუალებით

$$X^2 = \sum_i \sum_j \frac{(N_{ij} - P_{ij})^2}{P_{ij}}.$$


$N_{ij}$  გამოითვლება ცხრილი № 2-დან შემდეგ ფორმულათა მეშვეობით

$$N_{11} = m_{11} + m_{12},$$

$$N_{21} = m_{21} + m_{22},$$

$$\begin{aligned}
 N_{12} &= m_{13} + m_{14} + m_{15}, & N_{22} &= m_{23} + m_{24} + m_{25}, \\
 N_{13} &= m_{16} + m_{17}, & N_{23} &= m_{26} + m_{27}. \\
 \text{თუ } &\text{ ერთი მანც } N_{ij} < 5 - \text{ზე, მაშინ გამოთვლები } \nexists \text{დება, } X^2 \text{ არ გამოითვლება.} \\
 \text{თუ } &\text{ ყველა } N_{ij} \geqslant 5, \text{ მაშინ გამოთვლები გრძელდება. შედეგად მიიღება ცხრილი } N_3,
 \end{aligned}$$

ცხრილი №3



სადაც

$$\begin{aligned}
 N_1 &= \sum_j N_{1j}, & N_2 &= \sum_j N_{2j}, & N_3 &= \sum_i N_{i1}, \\
 N_4 &= \sum_i N_{i2}, & N_5 &= \sum_i N_{i3}, & N &= \sum_i \sum_j N_{ij}, \\
 P_{11} &= \frac{N_1 \cdot N_3}{N}, & P_{12} &= \frac{N_1 \cdot N_4}{N}, & P_{13} &= \frac{N_1 \cdot N_5}{N}, \\
 P_{21} &= \frac{N_2 \cdot N_3}{N}, & P_{22} &= \frac{N_2 \cdot N_4}{N}, & P_{23} &= \frac{N_2 \cdot N_5}{N}.
 \end{aligned}$$

ემპირიული შედეგები სტატისტიკურად დამუშავდა ებმ - ზე EC — 1040.


გამოთვლებით მიღებულმა კრიტერიუმის რიცხვითი მნიშვნელობების ანალიზმა გვიჩვენეს, რომ ისტორიულად ჩამოყალიბებული „ძველი“ საცხოვრებელი გარემოს კატეგორიებში შემავალი სტიმულები საშუალოდ შეფასებული იქნა დადებითად (გრაფიკი № 1). „ახალი“ საცხოვრებელი გარემოს ამსახველმა სტიმულებმა გაცილებით დაბალი შეფასებები მიიღეს. თოთხმეტიდან უარყოფითი ნიშნით შეფასდა რავა კატეგორია (გრაფიკი № 2).

ორივე გრაფიზე გამოტოვებულია თითო კატეგორია. № 1 გრაფიზე მე-13 ნომრით წარმოდგენილი კატეგორია — სასურსათო და საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტის ფასადი, რადგან მას ორივე „ძველ“ და „ახალ“ გარემოში მხოლოდ თანამედროვე სახე გააჩნია.

მე-5 ნომრით წარმოდგენილი კატეგორია, შუასაუკუნეებისათვის დამახასიათებელი ქუჩა, რომელიც თანამედროვე საცხოვრებელ გარემოში ლიკვიდირებულია, შესაბამისად № 2 გრაფიზე ნაჩვენები არ არის. შეფასების მიხედვით ორივე მე-13 და მე-5 ნომრით წარმოდგენილმა კატეგორიამ თითოეულ გრაფიზე ბოლო ადგილი დაიკავა. ამის მიზეზია შუა საუკუნეებისათვის დამახასიათებელი ქუჩის კატეგორიაში განთავისუფლებული № 1 ნახატით წარმო-

დგენილი სტიმულის ის ძირითადი მახასიათებლები, რომლებიც ამავე კატეგორიაში გაერთიანებული დანარჩენი სტიმულების მახასიათებლებსაც წარმოადგენენ. ესენია: წარმოდგენილი სიტუაციის მაქსიმალური გადატვირთვა ერთმანეთის მიმართ ძლიერ ახლოს განლაგებული მოცულობებისა და დეტალების მეშვეობით, არქიტექტურული ელემენტების შელახული სახე, მწვანე ნარგავების უქონლობა, რუხი ფერის გამა და სხვა.

„ქველი“ საცხოვრებელი გარემოს სტიმულ-კატეგორიათა საშუალო შეფასებების მაჩვენებელი გრაფიკი №1





საცხოვრებელი გარემოს კატეგორიათა მაჩვენებელი აბსცისთა ღრემი (ნუმერაცია ზევით ჩამოთვლილ კატეგორიათა თანმიმდევრობას ემთხვევა)

სასურათო და საყოფაცხოვრებო მომსახურეობის ობიექტები, განთავსებული ძირითადად საცხოვრებელი სახლების პირველ სართულში, მიზიდვის ელემენტების მხრივ (რეკლამა, გრაფიკული გაფორმება), ძლიერ ღარიბად გამოიყურებიან; დაუხევწავია ფასადის შემადგენელი დეტალებიც, რაც თავის მხრივ სტიმულებს უსახურს ხდის.

როგორც № 1 გრაფიკიდან ჩანს ყველაზე მაღალი შეფასება კატეგორია პანორამის (ნუმერი 15) სტიმულებმა მიიღეს. ნახატი № 2 კატეგორია პანორამიდან ყველაზე მაღალი შეფასების მქონე სტიმულის ფრაგმენტს წარმოადგენს, რომლის ანალიზით საშუალება გვეძლევა წარმოდგენა ვიქონიოთ, ამავე კატეგორიაში გაერთიანებულ, დადებითად შეფასებულ სტიმულთა იმ საერთო მახასიათებლებზე, რომლებიც ადამიანზე დადებითად ზემოქმედებენ. ესენია: მრავალპლანიან მოცულობათა შორის მოძრავი სივრცის ლოკალურობა, მოუ-7. „მაცნე“, ფილოსოფიისა და ფინქოლოგიის სერია, 1985, № 4

„ახალი“ საცხოვრებელი გარემოს სტიმულ-კატეგორიათა საშუალო შეფასებების  
მაჩვენებელი გრაფიკი №2



ნახ. 1




ნახ. 2


ლოდნელი სივრცული გახსნები, გარემოს მრავალფეროვნება და მასთან მო-  
ცულობების ჰარმონიული შერწყმა, გეგმარების პარტერული ხასიათი და და-

ბალსართულიანობა, ორიენტირები გარდამავალი სიგრცითი ვერტიკალუბის სახით, ფერის ზომიერი გამოყენება და სხვა.

კატეგორია პანორამის სტიმულებმა „ახალი“ საცხოვრებელი გარემოდან უარყოფითი შეფასება მიიღეს და № 2 გრაფიკზე საშუალო შეფასებათა რიგ-




ნახ. 3



ნახ. 4

ში მეცხრე ადგილი დაიკავეს. ამ შემთხვევაში, როგორც № 3 ნახატიდან ჩანს, ძირითადად დომინირებდა: პრიზმის ფორმის განაშენიანების მაღლიერი ხასია-



ნახ. 5




ნახ. 6

თი, თეთრი ფერის მოცულობათა ურთიერთკავშირი, მათ შორის გაბნეული სიგრცე და მოცულობის შემადგენელ ელემენტთა იდენტური ხასიათი.

კატეგორია აივნის სტიმულებმა საშუალო შეფასების სიღიღის მიხედვით № 1 გრაფიკზე მეორე ადგილი დაიკავა. ნახატი № 4 ნათლად გვიჩვენებს სტიმულთა საერთო დადგებით მახასიათებლებს: შესაფასებელი ობიექტისა და დანარჩენ ელემენტთა დახვეწილი სახე, მათი ინდივიდუალურობა და ჰარმონიული ურთიერთშეთავსება, სიგრცის ლოკალურობა, ფერთა ზომიერი გამა,

შუქჩრდილის „თამაში“ და მთლიანი სიტუაციის ინტიმური „განწყობილება“. № 2 გრაფიჭზე ივივე კატეგორიაში უარყოფითი შეფასებით ერთ-ერთი ბოლო ადგილი დაიკავა. მისი ძირითადი მახასიათებლებია (იხ. ნახ. № 5) აივ-

სტიმულ-კატეგორიათა საშუალო შეფასებების გაერთიანებული გრაფიკი № 3



ნის ფორმის უსახობა, სტანდარტულობა, შემაღენელ ელემენტთა იღენტუ-  
რობა, დაუხვეწავი სახე. რუხი ფერის გამა და სხვა.

კატეგორიები საცხოვრებელი გარემოს ქუჩათა სისტემის კლასიფიკაციი-  
დან № 1 და № 2 გრაფიკებზე ძირითადად შეფასებათა საშუალო ზოლში მო-  
ხვდნენ. მათი საერთო დადებითი მახასიათებლებია: მოცულობების მასშტაბუ-  
რი შეთავსება ქუჩის სიგანესთან, სივრცის თანდათანობითი გრადაცია, დასა-

მასსოვრებელ ელემენტთა ღომინირება და მათი ვიზუალური ფიქსირება სხვა-დასხვა რაკუტრებში, მწვანე ნარგავების რითმული ხსიათი.

აღსანიშნავია, რომ საცხოვრებელი გარემოს კეთილმოწყობის ელემენტებმა (სკვერის კატეგორიაში გაერთიანებულმა), რომელმაც, თავიანთი ძირითადი დანიშნულებილან გამომდინარე, დადგებთად უნდა იმოქმედონ ადამიანებზე, სხვა კატეგორიებთან შედარებით დაბალი შეფასება მიიღეს, ეს კი იმის მაუწყებელია, რომ საცხოვრებელი გარემოს კეთილმოწყობა არასათანადო დონეზე დგას.

მიღებული შედეგები საშუალებას გვაძლევს გავაკეთოთ ზოგადი დასკვნა: ისტორიულად ჩამოყალიბებული საცხოვრებელი გარემო პიროვნულად ბევრად დადებითად აღიქმება, ვიდრე თანამედროვე საცხოვრებელი გარემო. ცალკეული კატეგორიები თავისი მნიშვნელობით, პიროვნული მისაღებლობის თვალსაზრისით სანდოდ განსხვავდებიან ურთიერთისაგან. მათი ძირებული შეფასების თვალსაზრისით, რიგი კატეგორიებისა გაერთიანებულ ვარიანტშიც, იღებს განსხვავებულ მნიშვნელობას.

გაერთიანებული გრაფიკი № 3 ზოგადად სტიმულ-კატეგორიების შეფასებათა განაწილების შეფარდებით სურათს გვიჩვენებს. როგორც ვხედავთ, თხუთმეტი კატეგორიიდან მხოლოდ ორმა მიიღო უარყოფითი შეფასება: მე-10 ნომრით წარმოდგენილმა კატეგორია ეზომ, და მე-13 ნომრით წარმოდგენილმა სასურათო და საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტების ფასადმა. კატეგორია ეზოში გაერთიანებული სტიმული „ქველი“ საცხოვრებელი გარემოდან უმაღლეს შეფასებათა სუთეულში შედის (გრაფ. № 1), როგორც ნახატი № 6-დან ჩანს დადებითი შეფასება, განაპირობა ეზოთა სისტემის ნახევრად გახსნილმა მყუდრო სტრუქტურამ, დეტალების თავისებურებამ, აუზრულობამ, ეზოს მიერ შემოფარგლული სივრცის ლოკალურმა ხასიათმა, მისმა ინტიმურმა განწყობამ. იგივე კატეგორიის სტიმულებმა თანამედროვე საცხოვრებელი გარემოდან ყველაზე დაბალი შეფასება მიიღო (გრ. № 2),

უარყოფითი შეფასება განაპირობა თანამედროვე ეზოს სისტემის შემთხვევარგლავების დეტალების დომინირებამ (ნახატი № 7).


განზოგადებული დასკვნების სახით შეიძლება ითქვას, რომ პიროვნულად

მისაღებია ის საცხოვრებელი გარემო, რომლის სტრუქტურაშიც დომინირებს

გეგმარების ზომიერად ლაბირინთული ხსიათი და მასში მოულოდნელი სივრ-

ცობრივი გახსნები, ვიზუალურად ფიქსირებადი სივრცითი ორიენტირებისა და

დეტალების თანაბარი განაწილება, ინდივიდუალურ ფორმათა შერწყმის მრავალფეროვნება, ფერის ზომიერი გამოყენება, ტერიტორიის დეკორატიული გაფორმება, გამჭვანების რითმული ხსიათი და „ინტიმურ“ კუთხეთა მრავალფეროვნება.



ნახ. 7

უარყოფითად მოქმედებს გარემო, რომელშიც წამყვანია: მრავალჯერ განმეორებადი, იდენტური მოცულობები და მათი შემადგენელი უსახო ელემენტები, ძნელად აღსაქმელი, არაფიქსირებადი სივრცე, ორიენტირების უქონლობა, რუხი ფერის დომინირება, მოუწყობელი ტერიტორია და სხვა.

ჩატარებული ექსპერიმენტი და მიღებული შედეგები წარმოადგენს შრომის პირველ ეტაპს. შემდგომი ექსპერიმენტული კვლევა ითვალისწინებს მოცემული გამოკვლევის საფუძველზე ცალკეული კატეგორიისათვის დადებითად და უარყოფითად რეპრეზენტირებული ორი სტიმულური მასალის შექმნას — „უარყოფითი“ და „დადებითი“ გარემოს მოღელირებას და მათი პიროვნების სეული ღირებულების ექსპერიმენტულ განსაზღვრას სოციალური განწყობის მეშვეობით.

Н. Т. КУТАТЕЛАДЗЕ

## УСТАНОВОЧНЫЕ ОЦЕНКИ «СТАРОЙ» И «НОВОЙ» ЖИЛОЙ СРЕДЫ ГОРОДА И АРХИТЕКТУРНО-ПЛАНИРОВОЧНЫЕ ПРОБЛЕМЫ

Р е з и о м е

В работе сделана попытка на основе психологической теории установки с применением исследования социально-психологических показателей найти систему критериев, которая определяет оптимизированность архитектурной планировки. Выделены категории среды, по отношению к которым исследуются социальные установки.

С помощью направленности и интенсивности социальных установок подтверждается уровень «личностного принятия» той или иной жилой среды.

Работа носит экспериментальный характер.

### ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ა

1. უ ზ ე ძ ე დ. ზოგადი ფსიქოლოგია, თბ, 1940.
2. უ ვ ა ვ ი ლ ა შ ვ ი ლ ი ჭ. სტატისტიკური მეთოდების გამოყენება ფსიქოლოგიაში, თბილისი, 1974.
3. Аллен-Ренью М. Шум — бич нашего времени. «Здоровье мира», 1972.
4. Данцинг Дж., Саати Т. Компактный город. М., 1977.
5. Надирашвили Ш. Понятие установки в общей и социальной психологии, Тбилиси, 1974.
6. Хейдметс М. Обзор исследований о пространственном факторе в межличностных отношениях. Сб. «Человек, среда, пространство», Тарту, 1979.
7. Хейдметс М., Круусвалл Ю., Кильгас Р. Общение в общественном центре города. Сб. «Человек, среда, пространство». Тарту, 1979.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის  
დ. უზნაძის სახ. ფსიქოლოგიის ინსტიტუტმა

## ახალი თარგმანები

ით. კანტი

პრაქტიკული გონიერის პრიტიქა

§ 8

IV თაორება

ნების ავტონომია ყველა მორალური კანონისა და მათთვის შესაბა-  
მის მოვალეობათა ერთადერთი პრინციპია; წინააღმდეგ ამისა, თვითმნებლობის  
ყოველივე ჰეტერონომია არათუ არ ქმნის ორგანითარ ვალდებულებას,  
არამედ, პირუკუ, ეწინააღმდეგება მის (ვალდებულების) პრინციპსა და ნების  
ზნეობრიობას. ზნეობის ერთადერთი პრინციპი მდგომარეობს სწორედ კანონის  
დამსახურებლობაში ყოველივე მატერიისაგან (სახელდობრ, სასურველი ობიექტ-  
ტისაგან) და, ამავე დროს — თვითმნებლობის განსაზღვრაში ოდენ საყოველთაო  
კანონმდებელი ფორმის მეშვეობით, რომლის უნარიც მის მაქსიმას უნდა გააჩ-  
ნდეს. მაგრამ ასეთი დამოუკიდებლობა თავისუფლებაა ნების გატიური უ-  
რი გაეცით, ხოლო წმინდა და, მაშასადამე, პრაქტიკული გონიერის საკუთ-  
რივი კანონ მდებარებლობა თავისუფლებაა პოზიტიური გაგებით.  
ამგარად, მორალური კანონი გამოხატავს მხოლოდ და მხოლოდ წმინდა პრაქ-  
ტიკული გონიერის ავტონომიას, ე. ი. თავისუფლებას, და სწორედ ეს  
უკანასკნელი წარმოადგენს ყველა მაქსიმის ფორმალურ პირობას, რომლისა და  
მხოლოდ რომლის შემთხვევაშიც ძალუქთ ამ მაქსიმებს თანხმობაში იყვნენ  
უმაღლეს პრაქტიკულ კანონთან. ამიტომ, თუ ნებების მატერია, — ეს კი სხვა  
ვერაფერი იქნება, თუ არ ნდომის აბიექტი, რომელიც დავაკავშირეთ კანონთან, —  
პრაქტიკულ კანონში შედის, როგორც მისი შესაძლებლობა ის  
პირობა, ამას შედეგად მოჰყვება თვითმნებლობის ჰეტერონომია, სახელ-  
დობრ, მისი დამოკიდებულება ბუნების კანონზე — მივსდიოთ ამა თუ იმ იმ-  
პულსს, ან მიღრეკილებას. ამ შემთხვევაში ნება თავის თავს კანონს კი არ უწე-  
სებს, არამედ — მარტოდენ მოთხოვნას (Vorschrift) — გონივრულად მი-  
ჰყეს პათოლოგიურ კანონებს, ხოლო მაქსიმა, რომელიც ასეთ შემთხვევაში ვე-  
რასოდეს ვერ იქნება საყოველთაოდ-კანონმდებელი ფორმის შემცველი, არა  
თუ ვერ დაგვიდგენს რაიმე ვალდებულებას, არამედ უპირისპირდება კიდეც  
წმინდა პრაქტიკული გონიერის პრინციპს, მაშასადამე, ზნეობრივ სულისკვე-  
თებას, თუნდაც მოქმედება, რომელიც აქედან გამომდინარეობს, კანონის შესა-  
ბამისი იყოს.

დასაწყისი იხ. „მაცნე“, ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის სერია, 1985, № 3.

## I განვითარების სამინისტრო

34 მაშასადამე, პრაქტიკულ კანონს არასოდეს არ უნდა მივათვალოთ პრაქტიკული მოთხოვნა, რომელიც შეიცავს რაღაც მატერიალურ (მაშასადამე, ემპირიულ) პირობას. მართლაც, წმინდა, თავისუფალი ნების კანონი, რომელიც ამ ნებას ათავსებს სრულიად განსხვავებულ სფეროში, ვიდრე ემპირიულია, და თუ აუცილებლობა, რომელსაც ეს კანონი გამოხატავს, არამც და არამც არ არის ბუნებრივი აუცილებლობა, მაშინ იგი სხვა არაფერში შეიძლება მდგომარეობდეს, თუ არ კანონის შესაძლებლობის ფორმალურ პირობებში საზოგადოდ. პრაქტიკული წესების ყოველივე მატერია მუდამ სუბიექტურ პირობებს ემყარება; ეს პირობები მას არ ანიჭებს არავითარ სხვა საყოველთაობას გონიერ არსებათათვის, გარდა ეგანპირობებულისა (ვთქვთ, თუ მე მ ს უ რ ს ეს, ან ის, როგორ უნდა მოვიქცე, რომ ამას მართლა მივაღწიო); და ყველა ეს პრაქტიკული წესი საკუთარი ბედნიერების პრინციპს უტრიალებს. უდავოა, რომ ყოველგვარ ნებების რაღაც საგანი, მაშასადამე, მატერია უნდა ჰქონდეს; მაგრამ ეს როდი ნიშნავს, რომ სწორედ ეს საგანია მაქსიმის განმსაზღვრელი საფუძველი და პირობა; ასე რომ ყოფილიყო მაშინ მაქსიმია ვერ წარმოგვიდგებოდა საყოველთაოდ კანონმდებელი ფორმით, რადგან, ასეთ შემთხვევაში, საგნის არსებობის მოლოდინი მა ვევლინებოდა თვითმნებლობის განმსაზღვრელ მიზეზად და ნებებას საფუძვლად დაედებოდა ნდომის უნარის დამკიდებულება ამა თუ იმ საგნის არსებობაზე; მაგრამ ასეთი დამოკიდებულება მხოლოდ ემპირიულ პირობებშია საძიებელი და ამიტომ იგი ვერასოდეს ვერ გამოღვება საფუძვლად აუცილებელი და საყოველთაო წესისათვის. მაგალითად, სხვათა ბედნიერება შეიძლება იყოს გონიერი არსების ნების ობიექტი. მაგრამ თუ ეს ბედნიერება იქნებოდა მაქსიმის განმსაზღვრელი საფუძველი, მაშინ წანამდლვრად უნდა დაგვეშვა ის, რომ სხვათა კეთილდღეობაში ჩენ ვპოვებთ არა მარტო ბუნებრივ კმაყოფილებას, არამედ—მოთხოვნილებასაც, რაც მოსდევს ადამიანთა თანაგრძობითს განწყობილებას. მაგრამ მე ვერ დავუშვებ წანამდლვრად იმ მოთხოვილების არსებობას ყველა გონიერ არსებაში (ლმერთში ხომ იგი სრულიად დაუშვებელია). მაშასადამე, თუმცა მაქსიმის მატერია შეიძლება დარჩეს, მაგრამ იგი არ უნდა იყოს მისი (მაქსიმის) პირობა, რადგან, წინააღმდეგ შემთხვევაში, მაქსიმია ვერ ივარგებდა კანონად. ამრიგად, კანონის შიშველი ფორმა, რომელიც მატერიას ზღუდავს, ამავე დროს, გარდუგალად უნდა იყოს საფუძველი მისა, რომ ეს მატერია ნების დავუროთ, წანამდლვრად კი არ ვიგულისხმოთ. ვთქვთ, მატერია ჩემი პირადი ბედნიერებას. ეს, თუ მას ყველა არსებას მივაწერ (რაც ფაქტიურად შემიძლია ჩაგიდინო ყოველი სასრული არსების მიმართ), ო ბ ი ე ქ ტ უ რ ი პრაქტიკული კანონი გახდება იმ შემთხვევაში, თუ მასში სხვათა ბედნიერებასაც მოვაქცევ. მაშასადამე, კანონი, რომ ხელი შევუწყოთ სხვების ბედნიერებას, გამომდინარეობს არა იმ დაშვებიდან, რომ ეს არის ობიექტი ყოველი არსების თვითნებური არჩევანისა (Willkür), არამედ მხოლოდ იქიდან, რომ სყოველთაობის ფორმა, რომელიც გონებას სჭირდება პირობად იმისათვის, რათა თავისმოყვარეობის მაქსიმას კანონის ობიექტური მნიშვნელადობა მიანიჭოს, ნების განმსაზღვრელი მაქსიმა ხდება; მაშასადამე, წმინდა ნების განმსაზღვრელი საფუძველი ობიექტი (სხვათა ბედნიერება) კი არ ყოფილა, არამედ—მხოლოდ და მხოლოდ ის კანონური ფორმა, რომლის მეშვეობითაც მე ჩე-

მი მიღრეკილებაზე დამყარებული მაქსიმა შემოქანდაკი რათა მისთვის კანონის საყვალთაობა მომეპავებინა და ამ გზით წმინდა პრაქტიკული გონიერებისათვის შემესაბამებინა. მხოლოდ ამგ ვარი შემოსაზღვრა და არა რაღაც ვარეგანი მამოძრავებელი ზამბარების დამატება წარმოშობს ვალდებული ის ცნებას—ჩემი თავისმოყვარეობის მაქსიმა სხვათა ბეღნიერებაზეც გავავრცელო.

## II განივი განივი

ჩენების პრინციპს პირდაპირ ეწინააღმდეგება ის, როცა საკუთარი ბეღნიერების პრინციპს ნების განმსაზღვრელ საფუძვლად აცხადებენ; ამას, როგორც წინათ აღნიშნე, უნდა მივთვალოთ, საზოგადოდ, ყოველივე ის, რაც განმსაზღვრელ საფუძველს, რომელიც კანონად უნდა გამოდგეს, სხვა რაღაცაში დაინახავს და არა მაქსიმის კანონმდებელ ფორმაში. მაგრამ ეს წინააღმდეგობა არაა მარტო ლოგიკური, როგორიცაა დაპირისპირება ემპირიულად განპირობებულ წესებს შორის, რომელთა აუცილებელ შემეცნებით პრინციპებამდე ამაღლებაც მოუსურებიათ, არამედ იგი პრაქტიკულიცაა, და გონიერის ხმა ნების მიმართ რომ არ ყოფილიყო ასე მკაფიო, ასე ჩაუჩშობელი და თვით უჩვეულებრივები აღამიანისთვისაც ესოდენ გასაგები, იგი ძირ-ფესვიანად მოსპობდა ზნეობას. ამრიგად, იგი შეიძლება შემორჩეს მხოლოდ სწავლულთა გონიებისდამბნევ სპექულაციებს, რომლებსაც ჰყოფნით თავებისა, წაუყრუონ ამ ზეციურ ხმას, ოღონდ კი შეინარჩუნონ თეორია, რომელიც თავის მტვრევად არ ღირს.

თუ, ვთქვათ, შენი საყვარელი მეგობარი მის მიერ მიცემული ყალბი ჩვენების გამართლებას იმის მეშვეობით შეეცდება, რომ იგი, ვითომდა, უპირველეს ყოვლისა, პირადი ბეღნიერების წმინდა მოვალეობას მისდევდა, ხოლო შემდეგ ჩამოთვლის იმ სარგებელს, რაც მან ამის შედეგად მოიპოვა და მოჰყვება კვერნას, თითქოს ჭკუით მოიცეცა და თავი დაიძრებინა ყველა სამხილისაგან, თვით შენი მხრივაც კი, ვისაც იგი მხოლოდ იმისათვის უმხელს საიდუმლოს, რომ ეს საიდუმლო ნებისმიერ დროს უარყოს, მერე კი მთელი სერიოზულობით მოჰყვება მტკიცებას, აღამიანის ჭეშმარიტი მოვალეობა ავასრულეო — ასეთ მეგობარს შენ ან სიცილს დააყრი, ან ზიზღით ზურგს შეაქცევ, თუნდაც ვერაფერი გამონახო საბუთად იმგვარ ლონისძებათა წინააღმდეგ, თუკი ესა თუ ის ადამიანი თავის პრინციპებს საკუთარი სარგებლობის მიხედვით წარმართავს. ან, კარგად, მნედ შემოგთავაზეს ისეთი კაცი, ვისაც შეგიძლიათ ბრმად მიანდოთ ყველა თქვენი საქმე და მის მიმართ ნდობის აღძრის მიზნით მოჰყვენენ ქება-დიდებას, აქაოდა, ჭევიანი კაცია, რომელიც ოსტატურად ერკვევა პირად სარგებელშიო, თანაც, დაუზარელი მშრომელია—ერთ შემთხვევასაც არ გაუშვებს ხელიდან პირადი სარგებლობის უნახავადო. და ბოლოს, მისმა ტლანჯმა ანგარებამ რაიმე შეშფოთება რომ არ გამოიშვიოს, იმასაც დაურთავენ, თუ რა კარგად იცის მან ცხოვრების ყადრი, რომ იგი სიამოვნებას ეძებს არა ფულის დაგრავებაში, ან ველურ ფუფუნებაში, არამედ — თავისი ცოდნის გალრმავებაში, რჩეულ და სწავლულ ხალხთან ურთიერთობაში, თვით გაჭირვებულთათვის ხელის მომართვაშიც კი, თუმცა საშუალებები (რომელთა ღირებულებასაც, რასაკვირველია, მიზანი, განსაზღვრავს) არ აფიქრებს და სხვის ფულსა თუ ქონებას ადვილად წაეტანება, ოღონდ კი იცოდეს, რომ მათი მითვისება შეუმჩნევლად და შეუფერხებლად ჩაუვლის; ასეთ შემთხვევაში თქვენ

იფიქრებთ, რომ ამ კაცის შემომთავაზებელი ან თვითონ არის ჭიუასთან მწყრალად, ან თქვენ გიგლებთ მასხარად. საზღვრები ზნეობასა და თავისმოყვარეობას შორის ისე მკაფიოდ და მკვეთრადაა გავლებული, რომ უჩვეულებრივესი თვალიც იოლად და უცდომლად გაარჩევს, ერთს განეკუთვნება რაიმე თუ მეორეს. მომდევნო რამდენიმე შენიშვნა იქნება ზედმეტიც იყოს ესოდენ აშკარა ჭეშმარიტების შესამაგრებლად, მაგრამ ისინი იმისთვის მაინც გამოლებიან, რომ მეტი სინათლე შესძინონ ჩვეულებრივი ადამიანური გონების მსჯელობას.

მართალია, ბედნიერების პრინციპს შეუძლია მოგვცეს მაქსიმები, მაგრამ იგი ვერასოლეს მოგვცემს ისეთ მაქსიმებს, რომლებიც გამოსადევი იქნებოდნენ ნების კანონად, თუნდაც ობიექტია გაგვეხადა საყოველთა ბედნიერება. მართლაცდა, ვინაიდან ამ უკანასკნელის შემცენება მარტოოდენ გამოცდილების მონაცემებს ემყარება, ვინაიდან ყოველი მსჯელობა მის შესახებ დიდად არის დამოკიდებული ყოველი ცალკეული ადამიანის პირად შეხედულებაზე, რომელიც, ამასთანავე, მეტად ცვალებადია, ამიტომ შესაძლებელია გვეძლეოდეს ზოგადი, მაგრამ არამც და არამც უნივერსალური წესები; სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, გვეძლეოდეს ისეთი წესები, რომლებიც საშუალოდ ყველაზე ხშირად გვხვდება, მაგრამ არა ისეთები, რომლებიც ძალაში უნდა იყვნენ აუცილებლად და ყოველთვის: მაშასადმე, ისინი არ გამოდგებიან პრაქტიკული კანონების დასაფუძნებლად. სწორედ იმის გამო, რომ აქ თვითმნებლობის ობიექტი მისასვე წესს უნდა დაედოს საფუძვლად, და, მაშასადამე, ამ წესს წინ უნდა უსწრებდეს, იგი (ეს წესი) მიმართებაშია მარტოოდენ იმასთან, რასაც გვაიჩევენ და გვთავაზობენ, მაშასადამე — გამოცდილებასთან და მხოლოდ ამ გამოცდილებას ემყარება; ხოლო თუ ასეა, მსჯელობათა სხვაობა უსათუოდ უსასრულო იქნება. ამგვარად, ეს პრინციპი ყველა გონიერ არსებას როდი უსახავს ერთსა და იმავე პრაქტიკულ წესებს, თუნდაც ისინი ერთი სერთო სახელწოდების, კერძოდ, ბელიერების სახელქვეშ ერთიანდებოდნენ. მორალური კანონი კი მხოლოდ იმიტომ იაზრება ობიექტურად აუცილებელ კანონად, რომ მას მართებს ძალაში იყოს ყველა იმათვის, ვინც გონებით და ნებით არის აღჭურვილი.

თავისმოყვარეობის (კეთილგონიერების) მაქსიმა მარტოოდენ გვმოქმედი დრო ვრავს, რჩევას გვაძლევს; ზნეობის კანონი კი გვიგონებს ან ებს. მაგრამ დიდია განსხვავება იმასა და იმას შორის, თუ, ერთი მხრივ, რა გვირჩევა და, მეორე მხრივ, რა გვევალ და ებულევა.

უჩვეულებრივესი განსჯისათვის სრულად ადგილი მისაწვდომია, თუ რისი გაკეთება გვმართებს თვითმნებლობის ცეტონომიის პრინციპის შესაბამისად; ხოლო თუ რა უნდა გაკეთდეს თვითმნებლობის ჰეტერონომიის დაშვების შემთხვევაში, ამის დანახვა გაცილებით ძნელია და ცხოვრებისეულ ცოდნას საჭიროებს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ის, თუ რა არის მოვალეობა, ყოველმა ჩვენგანმა თავისთავად იცის; მაგრამ ის, თუ რას მოაქვს ჭეშმარიტი, ხანგრძლივი სარგებლობა, თუ გვინდა, რომ ეს უკანასკნელი მთელს არსებობაზე ვრცელდებოდეს, — ეს თვალუღწევაზე ბურუსშია გახვეული და დიდ ჭიუა მოითხოვს, რათა მასზე ორიენტირებული წესები, ცოტად თუ ბევრად, ცხოვრების მიზნებს მოვარგოთ მარჯვე გამონაკლისების მოშველიებით. და მაინც, ზნეობის კანონი მბრძანებელია ყოველი ჩვენგანისთვის, სახელდობრ, იგი მის უზუსტეს მიღევნებას გვიბრძანებს. მაშასადამე, იმის გადაწყვეტა, თუ რასი

ქმნა გვმართებს ამ კანონის შესაბამისად, ისე ძნელი არ უნდა იყოს, რომ უჩვეულებრივებს და უფასუალურებას განსჯამაც კი ვერ შეძლოს მისი სწორად გამოყენება ცხოვრებისეული გამობრძმედილობის გარეშე.

ზნეობის კატეგორიული ბრძანების შესრულება მუდამ და ყველას ხელ-ეწიფება, ბელინიერების ემპირიულად განცირობებული მოთხოვნის შესრულება 37 კი იშვიათად ხდება და იგი არც ყველასთვისაა შესაძლებელი, თუნდაც მხოლოდ ერთ რომელიმე მიზანთან მიმართებაში. ამის მიზეზი ისაა, რომ პირველ შემთხვევაში ყოველივე დამოკიდებულია მხოლოდ იმ მაქსიმაზე, რომელიც არ შეიძლება წმინდა და ნაღდი არ იყოს, მეორე შემთხვევაში კი — სასურველი საგნის განხორციელებისათვის საჭირო ძალებსა და ფიზიკურ უნარებზეც. ბრძანება, რომ ყოველი დამიანი ბელინიერებას ესწრაფვოდეს, უაზრობაა, რადგან არასოდეს და არავის უბრძანებენ ისეთ რასმე, რაც მას ისედაც უთუოდ და თავისთავად სწადია. მას შეიძლება მხოლოდ საშუალებები უბრძანონ ან, უფრო ზუსტად, მიაწოდონ, ვინაიდან მას არ ძალუდს ქმნას ყველაფერი ის, რაც პსურს. მაგრამ თუ ზნეობისკენ მოგვიწოდებენ მოვალეობის სახელით, ეს სავსებით გონივრულია, რადგან, ჯერ ერთი, ყოველი ინდივიდი სიამოვნებით როდი ემორჩილება ზნეობის მოთხოვნას, თუ იგი ეწინააღმდეგება მის მიღრეკილებებს; ხოლო იმ საშუალებათა სწავლება, რითაც ინდივიდმა ამ კანონს უნდა მისდიოს, აქ ზედმეტია, ვრნაიდან რისი ქმნაც ადამიანს ჰსურს, ის შეუძლია კიდევაც.

თამაშის წარმატება, რა თქმა უნდა, შეიძლება გული მოუკიდეს თავის თავსა და თავის უკეთებაზე, მაგრამ თუ მან იცის, რომ თამაშში ითალდე ითა (თუნდაც ამის მეოხებით მოეგოს), მას მყისვე უნდა შეზიზღდეს საკუთარი თავი, რაწამს თავის საქციელს ზნეობრივი კანონის მიხედვით განსჯის. მაშასადამე, ეს უთუოდ უნდა იყოს სხვა რაღაცა და არა პირადი ბელინიერების პრინციპი. მართლაც, იმისათვის, რომ ჩემს თავს გუთხრა: ქისა კი გავიცხე, მაგრამ უდირს კაცი ვარ-მეთქი, ხელთ უნდა მქონდეს მსჯელობის სხვა საზომი და არა ისეთი, რომელიც საქციელს მომიწონებს და მათქმევინებს: ჰერციანი კაცი ვარ, რადგან სალარო გავიმდიდრე-მეთქი.

დასასრულ, ჩენი პრაქტიკული გონიერების იდეაში არის კიდევ რაღაც ისეთი, რაც თან ახლავს ზნეობრივი კანონის დარღვევას, სახელდობრ, დას ჯისლი რსობრივი (Strafwürdigkeit) ამ კანონის დარღვევის გამო. სასჯელის, როგორც ასეთის, ცნებას ვერაფრით ვერ უთავსდება ბელინიერებასთან ზიარება, რადგან, თუმცა იმას, ვინც გვსჯის, შესაძლებელია, იმავდროულად, ქეთილი განზრახვაც ჰქონდეს — სასჯელი ამ მიზანზეც (ჩევნის ბელინიერებაზეც) მიმართოს, მაგრამ სასჯელი თავისთვალივე უნდა იყოს გამართლებული, უპირველეს ყოვლისა, როგორც სასჯელი, ე. ი. როგორც შიშველი ბოროტება; ასე რომ, თუ ყველაფერი გადაწყდა და დასჯილმა ამ სიმეცრის უკან მიმალული ვერავითარი კეთილმოწყალება ვერ დაინახა, მან თვალოვანებ უნდა აღიაროს, რომ სამართლიანად მოექცნენ და მისი ხევდრი სავსებით შეეფერება მის საქციელს. ყოველ სასჯელში, როგორც ასეთში, უპირველეს ყოვლისა, უნდა მოჩანდეს სამართლიანობა, და სწორედ იგი შეადგენს ამ ცნების აღს. მასთან შეიძლება დაკავშირებული იყოს სიკეთეც, მაგრამ იმას, ვინც სასჯელი დაიმსახურა, იმტისოდენა საფუძველიც არა აქვს, სიკეთის იმედი იქნიოს. მაშასადამე, სასჯელი ისეთი ფიზიკური ბოროტებაა, რომელიც, თუმცა ბუნებრივი შედეგის სახით არა დაკავშირებული

మంచాల్ఫర బంచాత్తేబాసతాన, మాగ్రామ, రంగంరండ శైలెగారి, ఉత్సూద జున్డా ఇంజ్స్ మాస-  
తాన్ డాయ్జిసిరోబ్జులి రంపెల్లిలాండ చెంగొంధొ వి కాంబోమండేబోసి శిరోంచింపేంబిసిస  
శేసాబామిసాద. మాగ్రామ తు సాసఖెల్లి మిసాబ్సుర్జేబస తాగొసటావాద వ్యుత్తీల్లా డాన్సాశ్సుల్లి,  
తున్డాండ అన్ మంహాండ్లే మిసి టొఠింజ్రులొ శైలెగెబొ డామ్సాశ్సొస మిందార్త, స్కెండో సింత్-  
ప్యుజెబొం రంమ వ్యుట్చొత, తు డాన్సాశ్సుల్లి (*బెంఫిలోంధో* మాంజ్), డేర్సోంచేరేబస కెల్-  
యంట్స్, మాశ్సిన్ మింక్వొర్సి జ్ఞాన్సోర్కి ఇంజ్రోండా మిసి తమ్మా: డాన్సాశ్సుల్లి శ్చెంప్రోడ ఇమాశి  
మంగోమార్కోబస, రంమ డామ్సాశ్సొమ డామ్సాబ్సుర్జా సాసఖెల్లి తిరొది డేర్సోంచేరేబిసాత-  
38 విసి లోంసి మించేబింంత (రాచు, తాగొసిమంప్యుజెషార్సోబసి ప్రొంకుసిసి మింబ్రెడ్సిత, చుప్పో-  
ల్లి వ్యే డాన్సాశ్సుల్లిస క్రేశ్మాంసింతి క్రెబొ జున్డా యుట్పింపొం). మాశ్సిన్ శ్చెంప్రోడ సాసఖెల్లి  
ఇంజ్రోబండా మిసి సాట్పుఁ వ్యుల్లి, రంమ రాల్చాపిసిత విసి దాన్సాశ్సుల్లి గ్వెట్రోండ్రెబిన్, కెల్-  
ల్లి సాంబార్తల్లింంటిబా జుఫరొ మించి గామొసిథాట్రోబండా, రంమ చుప్పోంగువ్వుగువ్వారొ దాసిఖా గు-  
గ వ్యుజ్మేబిన్, దా త వ్యిత భున్జెబరొ వ్యే చాసఖొ క్రొ ఆంగవ్వెక వెంతా; మార్టల్లాండ, మింబిన్ అమా-  
తు మి సాజ్చియోల్లొ ఆలారొట్టెరొ ఇంజ్రోబండా ఉప్పొత్తూరొ, వినొందాబ బంచాంత్తేబి, రం-  
మేల్లిచ స్కెండోశ్చెంపొల్లి మి సాజ్చియోల్లి శైలెగెబాద మంప్యుజెబండా దా ఎంతాండ్రోంతి రంమ-  
ల్లిసి గామొచ సాజ్చియోల్లి బంచాంతి చ్చార్జ్మేబోండా, అంగోరొందాబ ఆలారొ నాల్కోంజెబండా.  
ఇంచసాసింప్రోల్లి, చుప్పోండసా తు సాసఖెల్లిసి మింబ్రెగొ ఒండ్రె లోన్ దాలిసి కెల్చి  
అంసాసింప్రోల్లి, రంమేల్లిచ జున్డా యొసాబ్సుర్జెబండా మించింప్రోల్లి మింబిన్, రంమ గోనొ-  
రొఅంసాసింజెబింండసి తాగొసాంతి సాబోల్లింపొ మింబిసి (డేర్సోంచేరేబిసి) మింబిల్చోంగ్వాల్,  
— నోన్చాగు మాతి న్నెంబిసి దాయుగానొ చుప్పోంపొ తాగొసింప్యుల్లోబిసి అంమంమిటక్ష్మోంల్లో మ్జ్యొనించమండ్రె, రాచు మింబిన్ శేఖేరేబించ అన లింకస.

జుఫరొ డాక్కెట్రోండి, తుమ్పొ క్రొ ఐశ్వరో అంబార్తిబుల్లింపి, మించాతి శైఖెంప్యుల్లోబిం,  
జొసాచ మింబినొం, రంమ బంచాల్ఫర కాంబో గాన్కొబుల్లో అరొ గోన్జెబి, అంబిం రంమే-  
ల్లిలాండ గాన్కొబుల్లిలొ బంచాల్ఫరొ గ్రహినొబి, రిసి గామొచ సాంబంగోబిసి జ్రోబిం-  
రేబి జ్రోబిల్లి జ్యొశొసి జొపుంటిబుల్లిలొ దా<sup>2</sup> సించున్జెబసాతాన్, కెల్లి మంక్జిసి  
(Laster) జ్రోబింజెబిం—స్టుల్లిసి చ్చెంప్రోలొసి దా జ్రోబిత్తొసాతాన్; అంగోంచొల్లి, చుప్పోల్లి చ్చెం-  
ప్యావ్చత తిరొది డేర్సోంచేరేబిసి మించింప్రోబించోంబో. అలారొ గా చుమ్మోంర్చెబి రొ మింబిసి, రాచు  
చ్చొనొతాండ వ్యుట్చొ, మె మకొల్లిండ మింబుతింటిబి మి చ్చంమిల్లోబిసి, రిసాచ అంగోం తుప్పాల్-  
సాశొసి శ్చెంపొవ్చాసి. చొంర్చొ లోన్జ్యామెబొల్లి అంబిసి మింబొ తిరొ చ్చార్మంమొండగ్మండ్రోచె, వొసాచ  
తాగొసి దాన్సాశ్సుల్లిసి జ్రోబింజెబిం త్రూజొవసి దా మింబుగ్గెబిసి అర అంల్లేవ్సి, వొగి, మింబికొ-  
సించాంబిసి ఉమ్మొబుగ్గెబిసి సాట్పుఁగ్విల్లిసి మింబేద్చొం, జ్యొరున్డా చ్చార్మంమొండగ్మినొం బంచాల్ఫ-  
రేం క్యొతింల అంబిసాంబి, చుప్పోల్లి శేఖెంపొంగ్వాంబి, శార్కువుల్లి తుమిం మింజ్: ఆశ్వేచె, చ్చొ-  
నొనొసింప్రొరొ, సాంబింబామిసిలొండ జున్డా చ్చార్మంమొండగ్మినొం పిస్కా క్యొ-  
బెబిసి మింబుగ్గెబింబిసి శేసాబామిసి జొంగెబాతా జ్రోబింజెబిం. తు ఐశ్వరోంగ్వెల్లింబిత, లోన్జ్యా-  
ంబిసి దా మింబుగ్గెబింబిసి చ్చెబొ లోన్జ్యాబిం చ్చెబొల్లోబిసి ప్రెంజ్యొల్లోబిసి, అం-  
గొం క్యొపొంటిబిసి శేసాబిసి దా తిరొ చ్చెబొల్లోబిసి ఆశ్వేచెల్లోబిసి అంబిం అర గామ-  
మింబొనొబిసి. గానొ చ్చొనొసింప్రొ అర జున్డా శేఖొఱసిం మింబొగ్గెబిసి ఇమిసా,  
రాసాచ మింబుగ్గెబింబిసి వ్యుట్చొబింబి, శేఖొఱసిం మింబుగ్గెబిసి క్యొరున్డా మింబుగ్గెబిసి అన-  
బింబిసి చ్చెబొల్లోబిసి, రాసాచ ప్రోబొల్లోబిసి మింబుగ్గెబిసి చ్చెబొల్లోబిసి అన-  
బింబిసి శేసాబిసి చ్చెబొల్లోబిసి ప్రెంబింబిసి అంబిసి శేసాబిసి చ్చెబొల్లోబిసి, అంబి-  
మింబిసి చ్చెబొల్లోబిసి శేసాబిసి దిల్లోవ్చొ దా ప్రెంబిసి అనింబిసి అంబిసి మింబు-  
గ్గెబిసి అనింబిసి శేసాబిసి ప్రెంబింబిసి అంబిసి శేసాబిసి అనింబిసి అనింబిసి అన-  
బింబిసి శేసాబిసి అనింబిసి అనింబిసి అనింబిసి అనింబిసి అనింబిసి అన-  
బింబిసి శేసాబిసి అనింబిసి అనింబిసి అనింబిసి అనింబిసి అనింబిసి అనింబిసి అన-

სუფლების წყალობით, ადამიანის ნებას უშუალოდ განსაზღვრავს მორალური კანონი, ამ განმსაზღვრელი საფუძვლის შესაბამისად ჩვენს ხშირ მოქმედებას, ბოლოს და ბოლოს, შეუძლია სუბიექტურად წარმოშევს თავისი თავით კაպუოფილების გრძნობაც; უფრო სწორად, ჩვენს მოვალეობას შეადგენს, ხელი შევუწყით ხე-ნებული გრძნობის აღვრა-გაღვიყებას, რადგან იგი ერთადერთი იმსახურებს მორალური გრძნობის სახელს; მაგრამ მოვალეობის ცნებას ამ გრძნობიდან ვერ გამოვიყანთ. წინააღმდეგ შემთხვევაში, უნდა დაგვეშვა კანონის, როგორც ასე-თის, გრძნობა, და განცდის საგნად გვექცია ის, რისი მოაზრებაც მხოლოდ გონებით არის შესაძლებელი; ეს კი ყველაზე უხეირო წინააღმდეგობაში ჩაგვაგდებდა, ან სრულიად აღმოფხვრიდა მოვალეობის ყოველგვარ ცნებას, შეცვლიდა რა მას ოდენ ფაქიზ მიღრეკილებათა მექანიკური თამაშით, რომლებიც დროდა-დროდ ტლანქ მიღრეკილებებს ეჭახებიან.

თუ ახლა წმინდა პრაქტიკული გონიერის (ვითარცა ნების ავტონომიის) ჩვე-ნეულ ფორმა უმაღლეს პრინციპს შევუდარებთ ზნეობის ყველა წი-ნა მა ტერიტორია უმაღლეს პრინციპს, მაშინ ყველა დანარჩენი მატერიალური პრინ-ციპი შეგვიძლია ტაბულაზე ისე გამოვსახოთ, რომ ისინი მართლა ამოწურავ-დეს ყველა სხვა შესაძლო შემთხვევებს, გარდა ერთადერთი ფორმალური შე-მთხვევისა; ამ გზით შეგვიძლია თვალსაჩინოდ დავამტკიცოთ, რომ ამაო იქნე-ბოდა რაიმე სხვა პრინციპის ძიება, გარდა აქ წარმოდგენილისა. სახელდობრ, ნების ყველა შესაძლო განმსაზღვრელი საფუძველი ან მხოლოდ სუბიექტური და, მაშიანადამე, ემპირიულია, ან — ობიექტური და რაციონა-ლურია; ამასთან, ერთნიცა და მეორენიც ან გარეგანია, ან შინაგანი.

### ზნეობის საფუძვლად მდებარე

პრაქტიკული მატერიალური განმსაზღვრელი პრინციპები

40

### სუბიექტური

გარეგანი	შინაგანი
აღზრდა	სამოქალაქო
(მონტენის მიხედვით)	წყობილება
	(მანდევილის მიხედვით)
	ფიზიკური
	გრძნობა
	(ეპიკურეს მიხედვით)
	გრძნობა
	(აჩესონის მიხედვით)

### ობიექტური

შინაგანი	გარეგანი
სრულყოფილება	ღვთის ნება
(ვოლფისა და სტოელთა მიხედვით)	(კრუზიუსისა და სხვა თეოლოგ მორალისტთა მიხედვით)

ტაბულის ზემოთ მდებარე ყველა პრინციპი ემპირიულია და, აშკარად, სრუ-ლიად გამოსაღევარია ზნეობის საყოველთაო პრინციპად. ქემოთ მდებარე-ნი კი ეფუძნებიან გონებას (რადგან სრულყოფილება, როგორც საგანთ რა-

გ ვა რ ო ბ ა, და უმაღლესი სრულქმნილება, წარმოდგენილი ს უ ბ ს ტ ა ნ-  
ც ი ० შ ი, ანუ ღმერთი,—ერთიცა და მეორეც შეიძლება მხოლოდ გონებისმი-  
ერი ცნებების მეშვეობით იქნეს მოაზრებული). ოღონდ პირველი ცნება, სახელ-  
დობრ, ს რ უ ლ ქ მ ნ ი ლ ე ბ ი ს ა, ან თ ე ო რ ი უ ლ ი მნიშვნელობით  
უნდა ვიხმაროთ და მაშინ იგი სხვა არაფერი იქნება, თუ არ სრულქმნილე-  
ბა ყოველი საგნისა თავის სახეში (ტრანსცენდენტალური), ან გვაქნება სრულ-  
ყოფილება საგნისა, მარტონდენ როგორც საგნისა საზოგადოდ (მეტაფიზიკური),  
რაც აქ გამორიცხულია. მაგრამ სრულყოფილების ცნება პ რ ა ქ ტ ი კ უ ლ ი  
მნიშვნელობით ნიშნავს საგნის გამოსაღევობას ან საკმარისობას (Zulänglichkeit)  
ყოველგვარი მიზნისათვის. ამგვარი სრულყოფილება, როგორც ადამიანის რა-  
გვა ა რ ო ბ ა (Beschaffenheit), მაშასაღამე, შინაგანი სრულყოფილება, სხვა  
არაფერია, თუ არ ტალ ა ნ ტ ი, ხოლო ის, რაც ამ ტალანტს სრულქმნის და ღონებს  
მატებს, ხერხიანობა (Geschicklichkeit). უმაღლესი სრულქმნილება ს უ ბ ს-  
ტ ა ნ ც ი ० შ ი, ა ნ უ ღმერთი, მაშასაღამე, გარეგანი სრულყოფილება (თუ  
პრაქტიკული თვალსაზრისით განვიხილავთ) წარმოადგენს ამ არსების გამწვდომო-  
ბას (Zulänglichkeit) საზოგადოდ ყველა მიზნისათვის. ამრიგად, თუ ჩვენ შინა-  
სწარ გვეძლევა მიზნები, და თუ მხოლოდ ამ მიზნებთან მიმართებაში ს რ უ ლ-  
ყ რ ფ ი ლ ე ბ ი ს ცნებას (შინაგანისას ჩვენში, ან გარეგანისას ღმერთში) ძა-  
ლუს გახდეს ნების განმასაზღვრელი საფუძველი, ხოლო მიზანი, როგორც ო ბ ი-  
ე ქ ტ ი, რომელიც წინ უნდა უსწრებდეს ნების განსაზღვრას პრაქტიკული წე-  
სის მიერ და უნდა შეიცავდეს ამგვარი განსაზღვრის შესაძლებლობის საფუძ-  
ველს,—ე. ი. ნების მ ა ტ ე რ ი ა, მიღებული ნების განმასაზღვრელ საფუძვლად,—  
მუდამ ემპირიულია, მაშასაღამე, ის გამოდგება ბედნიერების შესახებ მოძღვრე-  
ბის ე პ ი კ უ რ უ ლ პრინციპად, მაგრამ არამც და არამც არ გამოდგება ზნეო-  
ბა-მოვალეობის შესახებ მოძღვრების წმინდა გონებისმიერ პრინციპად (ისევე,  
როგორც ტალანტები და მათი მოვლა-წაქეზება მხოლოდ იმიტომ, რომ ისნი-  
ხელს უწყობენ ცხოვრების უცირატესობათა მოპოვებას, ან ღვთაებრივი ნება,  
თუ კი მასთან თანხმობა ნების ობიექტად მიგვიღია შინაგალი, ღვთის ნების  
იდეისაგან დამოუკიდებელი რამე პრაქტიკული პრინციპის გარეშე, შეიძლება  
იქნენ ნების მამოძრავებელ მიზეზებად მხოლოდ იმ ბ ე ლ ნ ი ე რ ე ბ ი ს მეშ-  
ვეობით, რომელსაც ჩვენ მათგან მოველით),—მაშინ აქედან გამომდინარეობს ის,  
რომ, ჯერ ერთი, ყველა აქ წამოყენებული პრინციპი მ ა ტ ე რ ი ა ლ უ რ ი ა,  
მ ე ო რ ე ც, ის, რომ ისნინი მოიცავენ ყველა შესაძლო მატერიალურ პრინ-  
ციპს, საიდანაც საბოლოოდ გამოდის შემდეგი დასკვნა: გინაიდან მატერიალუ-  
რი პრინციპები სრულიად გამოუსადეგარია უმაღლეს ზნებრივ კანონად გამო-  
ყენებისათვის (როგორც ეს უკვე დამტკიცდა), ამიტომ წმინდა გონების ფ რ  
მ ა ლ უ რ ი პ რ ა ქ ტ ი კ უ ლ ი პ რ ი ნ ც ი პ ი რ ი ა, —რომლის მიხედვით ში-  
შველი ფორმა ჩვენი მაქსიმების მეშვეობით შესაძლებელი საყოველთაო კანონ-  
მდებლობისა გარდუვალად უნდა შეაღენდეს ნების უმაღლესსა და უშუალო  
განმსაზღვრელ საფუძველს, —ე რ თ ა დ ე რ თ ი შ ე ს ა ძ ლ ე ბ ე ლ ი პრინ-  
ციპია, რომელიც გვაწვდის კატეგორიულ იმპერატივებს, ე. ი. პრაქტიკულ კა-  
ნონებს (რომლებიც ქმედებებს მოვალეობად გვიხდიან) და, საზოგადოდ, გამო-  
დგება ზნეობის პრინციპად როგორც შეფასებაში, ისე ადამიანის ნებისადმი მიყე-  
ნებაში მის (ამ ნების) განსასაზღვრავად.

## I

წმინდა პრაქტიკული გონების  
პრინციპთა დედუქციის შესახებ

42

წინამდებარე ანალიტიკა გვიჩვენებს, რომ წმინდა გონებას ძალუს იყოს პრაქტიკული; სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მას ძალუს თავისთავად, ყოველივე ემპირიულისაგან დამოუკიდებლად, განსაზღვროს ნება; ამას იგი ამტკიცებს იმ ფაქტის მეშვეობით, რომ წმინდა გონება ჩვენში მართლაც გამოვლინდება, ვითარცა პრაქტიკული, სახელდობრ, ზენობის საფუძველში მდებარე ავტონომიის მეშვეობით, როთაც გონება ნებას სამოქმედოდ განსაზღვრავს. ამასთან, ანალიტიკა გვიჩვენებს, რომ ეს ფაქტი განუყრელად უკავშირდება ნების თავისუფლების ცნობიერებას, და მისი იღვნეულიც კია; გონიერი არსების ნება, რამდენადაც იგი გრძნობადი სამყაროს წევრია, თავის თავს აუცილებლად აღიარებს მიზეზობრიობის კანონებისადმი დაქვემდებარებულად, სხვა მოქმედი მიზეზების მსგავსად; მაგრამ პრაქტიკულის სფეროში, იგი თავის თავს, ამავე დროს, იცნობიერებს სხვა მხრიდან, სახელდობრ, როგორც არსებას თავისთავად, რომლის არსებობაც საგანთა ინტელიგიბელური წყობით განისაზღვრება, — თანაც, ამას იქმს არა თავისი თავის რაიმე განსაკუთრებული ჭვრეტის მეოხებით, არამედ გარკვეული დინამიური კანონების შესაბამისად, რომლებსაც ძალუმთ განსაზღვრონ გრძნობად სამყაროში მისი (ნების) მიზეზობა. სხვაგან საკმაო საბუთიანობით იქნა დამტკიცებული, რომ თავისუფლებას, თუ კი იგი ჩვენ მოგვეწერება, ინტელიგიბელურ საგანთწყობაში გადავყავართ.

თუ ახლა ამას შევუდარებოთ წმინდა სპეცულაციური გონების კრიტიკის ანალიტიკურ ნაწილს, მათ შორის გასათცარ კონტრასტს დავინახავთ. იქ წმინდა გრძნობადი ჭვრეტი (დრო და სივრცე) და არა ფუძეპრინციპები იყო პირველი მონაცემი, რომელიც შესაძლებელს ხდიდა აპრიორულ შემცნებას, თუმცა — მარტოოდენ გრძნობადი საგნებისას. იქ არ არსებოდა ოდენ წმინდა ცნებებისაგან შემდგარი სინთეზური პრინციპები, ჭვრეტის გარეშე; პირიქით, ისინი შეიძლებოდა არსებულიყვნენ მარტოოდენ გრძნობად ჭვრეტისთან მიმართებაში, მაშასადამე, მხოლოდ შესაძლებელი გამოცდილების საგნებთან მიმართებაში, ვინაიდან მხოლოდ განსჯისეული ცნებები, შეერთებულნი ამ ჭვრეტისთან, ხდიან შესაძლებლად იმ შემეცნებეს, რომელსაც გამოცდილებას ვუწოდებთ. სპეცულაციურ გონებას სრულიად სამართლანად ეთქვა უარი ყოველგვარ პოზიტიურ ცოდნაზე ცდისეულ საგანთა მიღმა, მაშასადამე, საგანთა, როგორც ნოუმენთა, ცოდნაზე. მაგრამ სპეცულატურმა გონებამ იმდენი მაინც შეძლო, რომ უკვევლი გახადა ნოუმენთა ცნება, ე. ი. შესაძლებლობა და თვით აუცილებლობაც კი მათი მაზრებისა; მაგალითად, ყველა შემოტევის საპირისპიროდ, მან გვიჩვენა, რომ თავისუფლების დაშვება, თუ მას ნეგატიურად განვიზილავთ, სავსებით შეთავსებადია წმინდა თეორიული გონების პრინციპებსა და დასაზღვრულობებთან; თუმცა მას არათუ არ მოუცი რაიმე გარკვეული და გაფართოებული ცოდნა ამ საგნებზე, არამედ, პირუკუ, მათი შემეცნების ყოველგვარი იმედი გადაგვიწურა.

საპირისპიროდ ამისა, მორალური კანონი თუ იმედს არა, ისეთ ფაქტს მაინც გვაძლევს ხელთ, რომელიც ვერავგარად ვერ აიხსნება გრძნობადი სამყაროს რაიმე მონაცემთა და ჩვენი თეორიული გონების გამოყენების მთელი სფეროთი; ეს ფაქტი მიგვითოთებს წმინდა გონებითსაწვდომ სამყაროზე, ასე

43

გასინჯეთ, პოზიტიურა დაც კი განსაზღვრავს ამ უკანასკნელს და შესაძლებლობას გვიქმნის მის შესახებ რაღაც ვიცოდეთ, სახელდობრ, რაღაც კანონი შევიმეცნოთ.

ეს კანონი მოწოდებულია, რომ გრძნობად სამყაროს, ვითარცა გრძნობად სამყაროს, ვითარცა გრძნობად სამყაროს, სხვა სიტყვებით თუ ვიტყვით, ზევრ გრძნობად სამყაროს მექანიზმს არაფერი დაკლიდეს. ბუნება, უზოგადესი გაგებით, წარმოადგენს საგანთა არსებობას, დაქვემდებარებულს კანონებისადმი. ხოლო გონიერ არსებათა გრძნობადი ბუნება საზოგადო არის მათი არსებობა, დაქვემდებარებული ემპირიულად განპირობებული კანონებისადმი, რაც გონებისათვის ჰეტერონო მისი ას წარმოადგენს. საპირისპიროდ ამისა, იმავე არსებათა ზეგრძნობადი ბუნება არის არსებობა იმ კანონების მიხედვით, რომლებიც დამოუკიდებელი არიან ცეკველი ემპირიული პირობისაგან და, მაშასალამე, წმინდა გონების ავტონომია ას განეკუთვნებიან. ვინაიდან კანონები, რომელთა მიხედვითაც საგანთა არსებობა შემეცნებაზეა დამოკიდებული, პრაქტიკულია, ამიტომ ზეგრძნობადი ბუნება, რამდენადაც ჩვენ ძალვის მისი ცნება შევიქმნათ, სხვა არაფერია, თუ არ წმინდა პრაქტიკული გონების ავტონომიის კანონია მორალური კანონი, რომელიც, მაშასალამე, წარმოადგენს ძირითად კანონს ზეგრძნობადი ბუნებისა და წმინდა გონებითსაცვლომი სამყაროსი, რომელსაც მოპირისპირეორეული (Gegenbild) გრძნობად სამყაროში უნდა მოეპოვებოდეს, ოღონდ ისე, რომ, ამავე ღროს, ზიანი არ მიაყენოს მის (გრძნობადი სამყაროს) კანონებს. პირველისთვის შეიძლებოდა გვეწოდებინა პირველი და ბუნება (natura archetypa), რომელსაც მხოლოდ გონებაში შევიმეცნებთ, ხოლო მეორისათვის—შეორეული (natura ectypa), ვინაიდან იგი შეიცავს პირველი ბუნების იდეას შესაძლო ზემოქმედებას, რაც ნების განმსაზღვრელი საფუძველია. მორალურ კანონს, იდეის მიხედვით, მართლაც გადავყაროთ ისეთ ბუნებაში, სადაც წმინდა გონება, ის რომ აღჭურვილი ყოფილიყო მისთვის შესაფერისი ფიზიკური უნარით, წარმოშობდა უმაღლეს სიკეთეს; და იგი განსაზღვრავს ჩვენს ნებას—გრძნობად სამყაროს, როგორც გონიერ არსებათა ერთობლიობას, ფორმა მიანიჭოს.

ეს იდეა რომ მართლაც, ასე ვთქვათ, ნიმუშად უდევს ჩვენი ნების განსაზღვრებებს, ამას საკუთარ თავზე უჩვეულებრივების დავკირვებაც გვიდასტურებს.

თუ მაქსიმა, რომლის საფუძველზეც განზრახული მაქვს, სასამართლოს ჩვენება მივცე, პრაქტიკული გონების მიერ მოწმდება, მე მუდამ ცვდილობ, გავარკვიო, როგორი იქნებოდა იგი, მას რომ ბუნების საყოველთაო კანონის ძალა ჰქონოდა. აშკარაა, რომ, ამ სახით, ეს ყოველ ადამიანს აიძულებდა, სიმართლე ეთქვა, რადგან ბუნების კანონის საყოველთაობასთან შეუთავსებელი რქენებოდა, ჩვენებები დამამტკიცებლად და, თან, წინასწარი განზრახვით ცრუნვენებებად მიგვეჩნია. სწორედ ასევე, მაქსიმა, რომელსაც მე მივიღებ იმის თაობაზე, თუ როგორ უნდა განვაგო თავისუფლად ჩემი სიცოცხლე, მყისვე განსაზღვრული აღმოჩნდება, როგორც კი ჩემს თავს შევეკითხები: როგორი უნდა იყოს იგი (ეს მაქსიმა), რომ მისი კანონის მიხედვით რაღაც ბუნებამ შედგუნდა იყოს იგი (ეს მაქსიმა), რომ მისი კანონის მიხედვით რაღაც ბუნებამ შედგუნდა თავისი თავისი შენარჩუნება? რასაკირველია, ამგვარ ბუნებაში თავის სიცოცხლეს ვერავინ ხელყოფდა თავისი ნებით, ვინაიდან ასეთი რამ არ

იქნებოდა მყარი ბუნებრივი მდგომარეობა. ასევეა ყველა სხვა შემთხვევაში. მაგრამ ნამდვილ ბუნებაში, რამდენადც იგი გამოცდილების საგანია, თავისუფალი ნება თავისით როდი განისაზღვრება იმგვარი მაქსიმების მისაღებად, რომლებსაც, თავისთავად აღებულთ, შეეძლებოდათ დაეფუძნებინათ რაღაც ბუნება საყოველთაო კანონების მიხედვით, ან თავისით მორგებოდნენ რაღაც ისეთ ბუნებას, რომელიც მათ შესაბამისად იქნებოდა მოწყობილი; პირუკუ, ეს მაქსიმები კერძო მიღრეკილებებია, რომლებიც, მართალია, ქმნიან ბუნების რაღაც მთლიანობას პათოლოგიური (ფიზიკური) კანონების მიხედვით, მაგრამ ვერ ქმნიან ისეთ ბუნებას, რომელიც მხოლოდ ჩვენი ნების მეშვეობით იქნებოდა შესაძლებელი წმინდა პრაქტიკული კანონების შესაბამისად. მიუხედავად ამისა, გონების მეოხებით გაგვაჩნია ცნობიერება ისეთი კანონისა, რომელსაც ექვემდებარება ყველა ჩვენი მაქსიმა, თოთქოს ჩვენი ნება ბუნების წესრიგსაც წარმოშობდეს. მაშასადამე, ეს კანონი გარდუვალად უნდა იყოს არა ცდაში მოცემული, მაგრამ მაიც თავისუფლების მეშვეობით შესაძლებელი ბუნების, ე. ი. ზეგრძნობადი ბუნების იდეა, რომელსაც ჩვენ, პრაქტიკულ მიმართებაში მაიც, ობიექტურ რეალობას ვანიჭებთ, რაღგან იგი მიგვაჩნია ჩვენი, როგორც წმინდა გონიერ არსებათა, ნების ობიექტად.

ამგვარად, განსხვავება ნებისადმი და აქვე მდებარება ბულ ბუნების კანონებსა (არამდენადაც საქმე ეხება ნების მიმართებას მის თავისუფალ ქმედებებთან) და იმ ბუნების კანონებს შორის, რომელსაც ნება აქვე მდებარება, იმას ემყარება, რომ მეორე შემთხვევაში ობიექტები უნდა იყვნენ იმ წარმოდგენათა მიზეზები, რომლებიც ნებას განსაზღვრავენ, პირველ შემთხვევაში კი ნებაა მიზეზი ობიექტებისა; ასე რომ, ნების მიზეზობას თავისი განმსაზღვრელი საფუძველი მხოლოდ და მხოლოდ წმინდა გონების უნარში მოექვება, რომელსაც ამიტომ წმინდა პრაქტიკული გონებაც შეიძლება ეწოდოს.

გაშასადამე, ჩვენს წინაშეა ორი დიდი განსხვავებული ამოცანა: ერთი მხრივ, როგორ არის, რომ წმინდა გონება a priori შეიმეცნებს ობიექტებს და, მეორე მხრივ, როგორაა, რომ მას შეუძლია უშუალოდ იყოს ნების განმსაზღვრელი საფუძველი, ე. ი. იყოს საფუძველი გონიერ არსებათა მიზეზობისა ობიექტთან ნამდვილობასთან მიმართებაში (მარტოოდენ იმ აზრის ძალით, რომ მცირ საკუთარი მაქსიმები, უთარცა კანონები, საყოველთაოდ მნიშვნელადია).

ამოხსნა პირველი ამოცანისა, რომელიც განეკუთვნება წმინდა სპეციულაციური გონების კრიტიკას, მოითხოვს, უპირველეს ყოვლისა, განმარტებულ იქნეს შემდეგი: როგორ არიან a priori შესაძლებელი ჰვრეტები, რომელთა გარეშეც შეუძლებელია გვეძლეოდეს რაიმე ობიექტი და, მაშასადამე, ვერც ერთ ობიექტს ვერ შევიმეცნებთ სინთეზურად; ამ ამოცანის გადაწყვეტა იმაზე დაიყვანება, რომ ყველა ეს ჰვრეტა ოდენ გრძნობადია, რის გამოც ისინი შეუძლებელს ხდიან ისეთ სპეციულატურ შემეცნებას, რომელიც გასცდებოდა შესაძლო გამოცდილების საზღვრებს; და რომ, ამიტომაც, სსენებული წმინდა სპეციულაციური გონების ყველა ფუძებრინციპი მხოლოდ იმას აღწევს, რომ შესაძლებელს ხდის ცდაში შემოიყვანოს ან მოცემული საგნები, ან ისეთები, რომლებიც შეიძლება გვეძლეოდეს უსასრულოდ, მაგრამ არასოდეს გვეძლევა საგსებით.

მეორე ამოცანა, რომელიც პრაქტიკული გონიერების კრიტიკას ეკუთვნის, არ საჭიროებს იმის განმარტებას, თუ როგორ არიან შესაძლებელი ნდომის უნარის აბიექტები, რადგან ეს, როგორც ბუნების თეორიული შემეცნების ამოცანა, სპეციულატური გონიერების კრიტიკის საქმეა. ამოცანა მხოლოდ იმის ამოხსნას მოითხოვს, თუ როგორ ძალუქს გონიერას ნების მაქსიმების განსაზღვრა: ხდება ეს ოდენ ემპირიული წარმოდგენების, ვითარცა განმსაზღვრელი საფუძვლების მეშვეობით, თუ წმინდა გონიერას ძალუქს იყოს პრაქტიკულიც და იყოს კანონი იმ რაღაც შესაძლო ბუნებრივი წესრიგისა, რომელიც ემპირიულად სრულიად შეუმეცნებადია? ამგვარი ზეგრძნობადი ბუნების შესაძლებლობა, — ბუნებისა, რომლის ცნებაც, იმავდროულად, შეიძლება საფუძველი იყოს მისი (ამ ბუნების) ნამდვილობისა ჩვენი თავისუფალი ნების გამოისობით — არ საჭიროებს (ინტელიგიბელური სამყაროს) არავითარ პრაიორულ ჭვრეტას, რომელიც, ამ შემთხვევაში, ვითარცა ზეგრძნობადი, ჩვენთვის შეუძლებელიც უნდა ყოფილიყო. საქმე ეხება მხოლოდ იმ საფუძველს, რომელიც ნებებას განსაზღვრავს მის მაქსიმებში, სახელდობრ: ეპირიულია იგი, თუ წმინდა გონიერის ცნებაა (კანონშესაბამისია თუ არა იგი საზოგადოდ), და როგორ ძალუქს მას იყოს ეს უკანასკნელი? საკმარისია თუ არა იმი მარტივობით ნების კაუზალობა, — ეს, და, გონიერის თეორიულმა პრინციპებმა განსაჯოს, რაც იქნება ნებების იმ მარტივობით შესაძლებლობის გამოკვლევა, რომელთა ჭვრეტაც სულაც არ შეადგენს მნიშვნელობას პრაქტიკული ამოცანისათვის. აქ საქმე ეხება არა შედეგს, არამედ — მარტოოდენ ნების განსაზღვრას და მისი, როგორც თავისუფალი ნების, მაქსიმის განმსაზღვრელ საფუძველს. რადგან, თუ ნება კანონშესაბამისია მარტოოდენ წმინდა გონიერისათვის, როგორც არ უნდა იყოს მისი (ნების) უნარის საქმე განხორციელების მხრივ: თუნდ რაღაც შესაძლო ბუნების კანონმდებლობის ამ მაქსიმების მიხედვით მართლაც წარმოშობიდეს ასეთი ბუნება, და თუნდ არა, — ყოველივე ამას აინუნშიაც არ აგდებს კრიტიკა, რომელიც იკვლევს მხოლოდ იმას, შეუძლია თუ არა და რა გზით შეუძლია წმინდა გონიერის იყოს პრაქტიკული, ე. ი. უშუალოდ განსაზღვრავდეს ნების.

მაშისადამე, კრიტიკას შეუძლია დაუძრახავად მიპყოს ხელი ამ საქმეს და იძულებულიცაა, წმინდა პრაქტიკული კანონებითა და მათი რეალურობით დაიწყოს. მაგრამ ნაცვლად ჭვრეტისა, იგი მათ საფუძვლად უდებს გონიერითაშვილომ სამყაროში მათი არსებობის იდეას, სახელდობრ, თავისუფლების ცნებას, რადგან ეს უკანასკნელი მხოლოდ ამას ნიშნავს, და ხსენებული კანონები შესაძლებელია მარტოოდენ ნების თავისუფლებასთან მიმართებაში; ხოლო თუ ნების თავისუფლებას დაუშვებოთ, მაშინ ეს კანონები აუცილებელია, ან შებრუნებით: თავისუფლება აუცილებელია, რადგან აუცილებელია ხსენებული კანონები, ვითარცა პრაქტიკული პოსტულატები.

აქ დამთავრდა პრაქტიკული გონიერის უმაღლესი პრინციპის ჩვენება, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ნაჩვენები იქნა, ჯერ ერთი, ის, თუ რას შეიცავს ეს პრინციპი, რომ იგი არსებობს თავისუფლება, საესტიმი a priori და ემპირიული პრინციპებისაგან დამოუკიდებლად; მეორეც, ნაჩვენები იქნა, თუ რომ განირჩევა იგი უკველა სხვა პრაქტიკული პრინციპისაგან. მაგრამ ნუ გვექნება იმედი იმისა, რომ და დუქციას, ე. ი. ამ პრინციპის მარტივობით და საყოველთაო მნიშვნელობის დასაბუთებასა და ამგვარი a priori სინთეზური დებულების შესაძლებლობის წვდომას ისევე კარგად გავართმევთ თავს, როგორც ეს შევძელით წმინდა თეორიუ-

ლი განსაჭირო პრინციპთა მიმართ. ეს უკანასკნელი მიმართებაში იყვნენ შესაძლო გამოცდილების საგნერატან, სახელდობრ, მოვლენებთან, და ჩვენ შეგვეძლო დაგვეტყიცებინა, რომ ამ მა ვლენათა, როგორც ცდისეულ საგანთა, შე მეცნება ბა შესაძლებელია მხოლოდ იმის მეოხებით, რომ ისინი (ეს მოვლენები), ხსენებული კანონების შესაბამისად, კატეგორიებში მოვაჭციოთ, მაშასადამე, ყოველივე შესაძლო გამოცდილება უსათუოდ ამ კანონებს უნდა ეთანადებოდეს. მორალური კანონის დედუქციაში კი მე არ ძალიმის ამავე გზას მივმართო, რადგან აქ საქმე ეხება არა იმ საგანთა რაგვარობის შემეცნებას, რომლებიც გონებას შეიძლება რაღაც სხვაგნით ეძლეოდეს, არამედ—შემეცნებას, რომელსაც ძალუს გახდეს თვით საგანთა არსებობის საფუძველი, და სწორედ რომლის მეშვეობითაც გონებას აქვთ კაუზალობა გონიერ არსებაში, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, საქმე ეხება წმინდა გონებას, რომელიც შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც უშუალოდ ნების განმსაზღვრელი უნარი.

მაგრამ მივადგებით თუ არა ძირითად ძალებსა და უნარებს, ყოველივე ადამიანური წვდომა თვალსა და ხელს შეუ გვექრება, რადგან ვერაფრით ვერ ვახერხებთ შევიმეცნოთ მათი შესაძლებლობა; ასევე ნაკლებად ძალგვიძს მათი შეთხვა და აღიარება სურვილისამებრ. ამიტომაც არის, რომ გონების თეორიულ გამოყენებაში ცდა ერთადერთია, რაც მათი დაშვების უფლებას გვანიჭებს. მაგრამ აქ, წმინდა პრაქტიკულ გონებისეულ უნართან მიმართებაში, ჩვენ ამ სუროგატსაც მოკლებულნი ვართ, ე. ი. მოკლებულნი ვართ იმას, რომ აპრიორული შემეცნების წყაროებიდან დედუქციის ნაცვლად, მოვიშველით ემპირიული საბუთები. მართლაც, ის, რაც თავისი ნამდვილობის დასამტკიცებულად ცდის დამოწმებას საჭიროებს, თავისი შესაძლებლობის საფუძვლების მხრივ უსათუოდ უნდა იყოს დამოკიდებული ცდისეულ პრინციპებზე; ასეთ რამედ კი, წმინდა, მაგრამ მაინც პრაქტიკული გონება ვერ ჩაითვლება, თუნდაც მხოლოდ თავისი ცნების გამო. ამასთან, მორალური კანონი გვეძლევა, თთქმისდა, როგორც წმინდა გონების ფაქტი, რომელიც *a priori* ვიცით და რომელიც აპოდიქტურად უეჭველია, თუნდაც შეთანხმებული ვიყოთ იმაში, რომ ცდაში ვერ ვიპოვთ მისი (ამ კანონის) ზუსტი მიყოლის ვერც ერთ მაგალითს. მაშასადამე, მორალური კანონის ობიექტურ რეალურობას ვერ დავამტკიცებთ ვერავითარი დედუქციითა და თეორიული, სპეციალური, ან ემპირიულად შემაგრებული გონების ვერავითარი ძალისხმევით. შესაბამისად ამისა, თუნდაც მოგვესურვებინა, აპოდიქტურ უეჭველობაზეც ხელი აგველო, ეს რეალურობა ვერ დამტკიცდებოდა *a posteriori*, ცდის მეშვეობით; და მაინც, მორალური კანონის ობიექტური რეალურობა თავისთავად უეჭველია.

მაგრამ მორალური პრინციპის ამ ამაოდ ნაძიები დედუქციის ადგილს იჭირს რაღაც სხვა და სრულიად უაზრო რამ, სახელდობრ, ის, რომ, პირუჟუ, იგი (მორალური პრინციპი) თვითონაა რაღაც გამოუკვლევადი უნარის დედუქციის პრინციპი, რომელსაც ვერარა გამოცდილება ვერ დაამტკიცებს, მაგრამ რომელიც გარდუვალად უნდა დაუშვას სპეციალურმა გონებამ (იმისათვის, რომ მის კოსმოლოგიურ იდეებს შორის ვიპოვოთ ის, რაც მიზეზობრიობის ჯაჭვში უპირობოა, რათა სპეციალური გონება თავის თავთან წინააღმდეგობაში არ მოექცეს), ყოველ შემთხვევაში, როგორც შესაძლებელი მაინც, სახელდობრ — თავისუფლების უნარი; მორალური კანონი, რომელიც თავად არ

საჭიროებს რაიმე გამართლებას, არა მარტო თავისუფლების შესაძლებლობას ამტკიცებს, არამედ მის ნამდვილობასაც იმ არსებებში, რომლებიც ამ კანონს თავიანთვის სავალდებულო კანონად სცნობენ. მორალური კანონი ფაქტიურად კანონია მიზეზობრიობისა თავისუფლების მეშვეობით, მაშასადამე, კანონია რაღაც ზეგრძნობადი ბუნების შესაძლებლობისა, ისევე, როგორც გრძნობად სამყაროში ხდომილებათა მეტაფიზიკური კანონი იყო კანონი გრძნობადი ბუნების, მიზეზობრიობისა. მაშასადამე, პირველი კანონი განსაზღვრავს იმას, რაც სპეციულატურ ფილოსოფიას განუსაზღვრავი უნდა დაეტოვებინა. სახელდობრ, კანონს კაუზალობისათვის, რომლის ცნებაც ამ ფილოსოფიაში ოდენ ნეგატიური იყო; და იგი პირველი ანიჭებს ამ ცნებას ობიექტურ რეალურობას.

48 მორალური კანონის რწმუნებულების (Creditiv) ასეთი სახე,—რაკიდა თავადაა წამოყენებული თვისუფლების, როგორც წმინდა გონების მიზეზობის, დედუქციის პრინციპად, და რამდენადაც თეორიული გონება იძულებული იყო, ყოველ შემთხვევაში, თავისუფლების შესაძლებლობა მაინც ე ღ ი ა რ ე ბ ი ნ ა,—სრულიად საკმარისია ამ გონების მოთხოვნილების დასაქმაყოფილებლად და იგი ყოველგვარი აპრიორული დასაბუთების ნაცვალია. მართლაც, მორალური კანონი თავის რეალურობას სპეციულატური გონების კრიტიკისათვის საკმარისადაც ასაბუთებს იმის მეშვეობით, რომ ოდენ ნეგატიურად მოაზრებულ მიზეზობრიობას,—რომლის შესაძლებლობაც სპეციულატური გონებისათვის გაუგებარი იყო, მაგრამ ეს უკანასკნელი მაინც იძულებული გახდა, იგი ელიარებინა,—ზედ დაურთავს პოზიტიურ განსაზღვრას, სახელდობრ, ნების უშუალოდ განმსაზღვრელი გონების ცნებას (მისი მაქსიმების საყოველთაოდ კანონმდებელი ფორმის პირობის საშუალებით). ამგარად, მორალურ კანონს პირველს ძალუს მიანიჭოს ობიექტური, თუმცაյ, მხოლოდ პრაქტიკული რეალურობა გონებას, რომელიც საზღვარს გადადიოდა მუდამ, როგორც კი მოინდომებდა თავისი იდეები სპეციულატურად აემოქმედებინა; ასე გარდა ქმნის იგი გონების ტრანსფერის გამოყენებას იმანენტურად (რათა გონება, იდეების მეშვეობით, თავად იყოს მოქმედი მიზეზი გამოცდილების სფეროში).

არსებათა კაუზალობის განსაზღვრა გრძნობად სამყაროში, როგორც ასეთში, ერასონეს ვერ იქნება უპირობო. მიუხედავად ამისა, პირობათა წყოველგვარ წყებას წინ უნდა უსწრებდეს რაღაც უპირობო, სხვა სიტყვებით რომ გთქვათ, ისეთი კაუზალობა, რომელიც თავის თავს სავსებით თავისით განსაზღვრავს. ამიტომაც თავისუფლების, როგორც აბსოლუტური სპონტანურობის უნარის, იდეა მოთხოვნილება! კი არ იყო, არამედ (რამდენად ადაც საქმე თავის უფლების შესაძლებელი ის იყო წმინდა სპეციულატური გონების ანალიტიკური პრინციპი). მაგრამ ვინაიდან სრულიად შეუძლებელია, ცდაში დავადასტუროთ ამ იდეებს შესაბამისი თუნდაც ერთი მაგალითი, რადგან საგანთა, როგორც მოვლენათა, მიზეზებში ვერ შეგვედებით კაუზალობის ისეთ განსაზღვრას, რომელიც სრულიად უპირობო იქნება, ამიტომ ჩვენ შეგვეძლო მხოლოდ და გვეცვა აზრი თავისუფლად მოქმედი მიზეზის შესახებ, თუ ამ აზრს მივუყენებდით გრძნობადი სამყაროს არსებას იმდენად, რამდენადაც ეს არსება ნოუმენადაც განიხილება; ზემოთ აკი ვაჩვენეთ, რომ არაყითარი წინააღმდეგობა არ გვექნება, თუ ამ არსების ყველა ქმედებას, რამდენადაც ისინი მოვ-

ლენებია, განვიხილავთ, როგორც ფიზიკურად შეპირობებულს, ხოლო, იმავ-  
 ლროულად, მის მიზეზობას განვიხილავთ, როგორც ფიზიკურად შეუპირო-  
 ბებელს, რამდენადაც მოქმედი არსება გონებითსაწლვომი სამყაროს წევრია  
 (Vertandeswesen). ამით თავისუფლების ცნებას გადავაქცევთ გონების რეგულა-  
 ტურ პრინციპად, რომლის მეშვეობითაც, მართალია, მე სრულიადაც ვერ ვიმეც-  
 ნებ იმ საგნის რაობას, რომელსაც ამგვარი მიზეზობა მიეწერება, მაგრამ, სამაგი-  
 ეროდ, თავიღან ვიშორებ დაბრკოლებას: ერთი მხრივ, ამ ქვეყნად მომხდარი  
 ამბების ახსნისას და, შესაბამისად, გონიერ არსებათა ქმედებების ახსნისასაც, მე  
 თავისას მივუზღვავ ბუნებრივი აუცილებლობის მექანიზმს—უსასრულო აღმასვ-  
 ლის განპირობებულიდან პირობისაკენ, მეორე მხრივ კი, სპეციულატურ გონებას  
 ვუნარჩუნებ მისოფის განკუთვნილ თავისუფალ ადგილს, სახელდობრ, ინტელი-  
 გიბელურს, რათა უპირობო მასში გადავიტანო. მაგრამ მე ვერ შევძელი ამ აზ-  
 რის რეალიზაცია; სხვა სიტყვებით თუ ვიტყვი, ვერ შევძელი გადამე-  
 ქცია იგი ამგვარად მოქმედი არსების შემციცხვა და, თუნდაც, მხოლოდ მი-  
 სი შესაძლებლობის მხრივ. ახლა ხსნებულ თავისუფალ ადგილს ავსებს წმინ-  
 და პრაქტიკული გონება ინტელიგიბელურ სამყაროში მოქმედი კაუზალობის  
 (თავისუფლებისეული კაუზალობის) განსაკუთრებული კანონის, სახელდობრ,  
 მორალური კანონის მეშვეობით. მართალია, ამ გზით სპეციულატურ გონებას მისი  
 შემეცნებისუნარიანობის მხრივ არაფერი ემატება, მაგრამ იგი იგებს თავისი  
 პრობლემატური ცნების—თავისუფლების—უზრუნველყოფის მხრივ; ამ  
 ცნებას აქ ენიჭება ობიექტური და თუმცა მხოლოდ პრაქტიკული, მაგ-  
 რამ მაინც უჟეჭველი რეალურობა და თუმცა მიზეზობრიობის ცნებას,—რომ-  
 ლის გამოყენებას, და, შესაბამისად, მნიშვნელობასაც, საკუთრივ მხოლოდ მოვ-  
 ლენებთან მიმართებაში აქცევს ადგილი, რათა ეს უკანასკნელი ცდად შე-  
 აკავშიროს (როგორც ამას ამტკიცებს წმინდა გონების კრიტიკა),—სპეციულატური  
 გონება იმგვარად როდე აფართოვებს, რომ მისი გამოყენება ამ საზღვრებს გასც-  
 დეს. რადგან, მას რომ მიზნად ეს დაესახა, უნდა კეთილენება და ეჩვენებინა, თუ  
 როგორ არის შესაძლებელი საფუძვლისა და შედეგის ლოგიკური მიმართების  
 სინთეზური გამოყენება სხვა სახის ჭვრეტაში, ვიდრე გრძნობადი ჭვრეტაა, ანუ  
 როგორ არის შესაძლებელი *causa nouremenon*; ეს მას სრულიად არ ძალუს, მაგ-  
 რამ ამას იგი, როგორც პრაქტიკული გონება, არც დაგიდეთ, ვინაიდან იგი მხო-  
 ლოდ ამას იქმს: ადამიანის, როგორც გრძნობადი არსების, კაუზალობის (რაც  
 მოცემულია) განმდებარებულ საფუძვლის ათავსებს წმინდა და ამ მინდა  
 გონების ცნებას, რომლის ობიექტური ცნებისადმი მიყენებისგანაც, ამ უკანასკნელთა  
 თეორიული შემეცნების მიზნით, მას აქ სრული აბსტრაქტორება შეუძლია (რამეთუ  
 ეს ცნება მუდამ გვხვდება განსჯაში *a priori*, ყოველივე ჭვრეტისაგან დამოუკი-  
 დებლადაც), იგი იყენებს არა საგანთა შესამეცნებლად, არამედ იმისათვის, რომ  
 განსაზღვროს კაუზალობა ამ საგანთა მიმართ საზოგადოდ; მაშასადამე, მას იყე-  
 ნებს მხოლოდ და მხოლოდ პრაქტიკული განზრახვით, რის გამოც ძალუს ნების  
 განმსაზღვრების საფუძველი გადაიტანოს საგანთა ინტელიგიბელურ წყობაში,  
 თანაც, თამამად აღიარებს, რომ არაფერი გაეგვია იმისა, თუ რა დანიშნულება  
 შეიძლება პქონდეს მიზეზის ცნებას ამ საგანთა შემეცნებისათვის. რასაკვირველია,  
 მან გარკვეული სახით უნდა შეიმეცნოს მიზეზობრიობა ნების ქმედებებთან და-

კავშირებით, რომლებიც გრძნობად სამყაროში ხორციელდება, ვინაიდან, სხვა-  
 ფრივ, პრაქტიკული გონიერად მართლაც ვერ წარმოქმნიდა ვერავითარ მოქმედე-  
 ბას. მაგრამ მას არ სჭირდება, თავისი ზეგრძნობადი არსებობის შესამეცნებლად  
 შეეძლოს თეორიულად განსაზღვროს და ამ გზით მნიშვნელობა მიანიჭოს იმ ცნე-  
 ბას, რაც მას, თავისი, როგორც ნოუმენის, კაუზალობის შესახებ შეუმუშავებია.  
 რაღაც, მნიშვნელობა ამ ცნებას ენიჭება უამისონდაც, თუმცავი ენიჭება მარტო-  
 ოდენ პრაქტიკული გამოყენებისათვის, სახელობრ, მორალური კანონის მეშ-  
 ვეობით. თეორიული თვალსაზრისითაც, ეს ცნება მუდამ წმინდა, აპრიორულად  
 მოცემულ განსჯისეულ ცნებად ჩეხება, რომელიც მიყენება საგნებს, განუკითხა-  
 ვად იმისა, თუ როგორ გვეძლევიან ისინი: გრძნობადი თუ არაგრძნობადი სახით;  
 თუმცა, უკანასკნელ შემთხვევაში, მას (ამ ცნებას) არ გააჩნია გარკვეული თეო-  
 რიული მნიშვნელობა და გამოყენება, არამედ ის არის ოდენ ფორმალური, მაგ-  
 რამ მანც არსებითი განსჯისეული აზრი იბეჭერს საზოგადოდ. ის მნიშვნელო-  
 ბა, რომელსაც მას ანიჭებს გონიერა მორალური კანონის მეშვეობით, მხოლოდ  
 და მხოლოდ პრაქტიკული მნიშვნელობაა, ვინაიდან სწორედ (ნების) კაუზალობ-  
 ის კანონის იდეას თავად გააჩნია კაუზალობა, ანუ ეს იდეა თავადა ამ კაუზალობის  
 განმსაზღვრელი საფუძველი.

## II

წმინდა გონების უფლებამოსილების შესახებ  
 — პრაქტიკულ გამოყენებაში იმგვარად გაფართოვა-  
 დეს, რაც მისთვის სპეციული ტურ გამოყენებაში თა-  
 ვისთავად შეუძლებელია.

მორალური პრინციპის სახით ჩვენ წამოვაყენეთ კაუზალობის ისეთი კა-  
 ნონი, რომელსაც ამ უკანასკნელის (კაუზალობის) განმსაზღვრელი საფუძველი  
 გრძნობადი სამყაროს ყველა პირობის მიღმა გაჰყავს, და ნებას, — რომელიც  
 ჩვენი მტკიცებით შეგვიძლია განვსაზღვროთ, როგორც ინტელიგიბელური  
 სამყაროს კუთვნილება, — მაშასადამე, ზმინდა სუბიექტსაც (აღმიანს) გან-  
 საზღვრავს არა მარტოოდენ როგორც წმინდა გონებითსაწვდომი სამყა-  
 როსადმი კუთვნილს, თუმცა, ამ მხრივ, ჩვენთვის უცნობად მოაზრებულს  
 (როგორც ამას შეიძლება აღგილი ჰქონდეს წმინდა სპეციულატური გონების  
 კრიტიკის მიხედვით), არამედ მას განსაზღვრავს მისი კაუზალობის  
 მხრივაც, რომელიც (ეს კაუზალობა) ისეთ კანონს ემყარება, გრძნობადი სამ-  
 ყაროს არც ერთ ბუნებრივ კანონს რომ არ მიეკუთვნება. მაშასადამე, ამით  
 გაფართოვდა ჩვენი შემეცნება გრძნობადი სამყაროს საზღვრებს მიღ-  
 მა, თუმცა კი, ამგვარი პრეტენზია წმინდა გონების კრიტიკაში ყოველგვარ სპე-  
 ცულაციაში ფუჭად ჩათვალა. მაგრამ ჩნდება კითხვა: როგორ შევაერთოთ აქ  
 წმინდა გონების პრაქტიკული გამოყენება ამავე გონების თეორიულ გამოყ-  
 ენებასთან მისი უნარის საზღვრების დასადგენად?

დევიდ იუმი, ვის შესახებაც შეიძლება ითქვას, რომ, არსებითად, მან  
 წამოიწყო დავა წმინდა გონების უფლებათა წინააღმდეგ, რის გამოც აუცილე-  
 ბელი შეიქნა წმინდა გონების მთლიანი გამოკვლევა, ასე მსჯელობდა: მიზე-  
 ზის ცნება ისეთი ცნებაა, რომელიც შეიცავს სხვადასხვაგვართა არსებობის შე-

ერთების აუცილებლობა იყო ბლობის, თანაც, სწორედ იმიტომ, რომ საქმე გვაქვს სხვადასხვაგვარებთან. ასე მაგალითად, თუ მოცემულია A, მე ვიცი, რომ აუცილებლად უნდა არსებობდეს რაღაც მისგან სრულიად განსხვავებული B-ც. აუცილებლობა კი ამგვარ შეერთებას მხოლოდ იმდენად მიეწერება, რამდენადაც მას აპრიორულად შევიძენებთ, რადგან გამოცდილება ამ შეერთებაში შეგვამეცნებინებდა მხოლოდ იმას, რომ იგი (ეს შეერთება) არის, და არა იმას, რომ იგი აუცილებლობით არის. ამიტომ, — ამბობს იგი, — შეუძლებელია, a priori და როგორც აუცილებელი შევიძენოთ ერთი რაღაცის შეერთება რაღაც სხვასთან (ან ერთი განსაზღვრულობისა რაღაც სხვა, მისგან სრულიად განსხვავებულ განსაზღვრულობასთან), თუ ეს შეერთება არ გვეძლევა აღქმაში. მაშასადამე, მიზეზის ცნება თვითონ ყოფილა ცრუ და მატყუარა; ძალზე ჩატილად თუ ვიტყვით, ეს ტყუილი იმდენად არის მისატევებელი, რამდენადაც ჩვეულება (სუბიექტური აუცილებლობა) იმისა, რომ რაღაც გარკვეული საგნები ან განსაზღვრულობები, მათი არსებობის მხრივ, ხშირად აღვიძევათ ერთმანეთის გვერდით, ან ერთიმეორის შემდეგ, როგორც ერთმანეთთან კავშირში მყოფი, შეუმჩნევლად აღიარებულია იმის ობიექტურ აუცილებლობად, რომ თვით საგნებში დაცუშვათ ამგვარი შეერთება. ასეთი თვალთმაქცური და არაკანონიერი გზით ვიძენთ მიზეზის ცნებას; მას ვერც თდესმე მოვაპოვებთ ან დავადასტურებთ სხვაგვარად, ვინაიდან იგი მოითხოვს თავისთვალ ფუჭ, ქიმერულსა და გონებით გაუმართლებელ შეერთებას, რომელსაც არასოდეს არ ექნება შესაბამისი ობიექტი. ასე იქნა პირველად შემოტანილი ემზარების მიზარი, როგორც პრინციპთა ერთადერთი წყარო ყოველივე შემეცნების მიმართ, რომელიც კი საგანთა არსებობას შეეხებოდა (მათემატიკა, მაშასადამე, ჯერ კიდევ ამ მიღვომის გარეთ ჩჩებოდა) და, ამასთან ერთად, შემოტანილ იქნა უმკაცრესი სკოლის მიზარი მთელი ბუნებისმეცნიერების (როგორც ფილოსოფიის) მიმართ. მართლაც, ასეთი პრინციპების საფუძველზე, საგანთა მოცემული განსაზღვრულობებიდან, რაკიდა ისინი არიან, ჩვენ ვერასოდეს ვერ დავას კვნით რაღაც შედეგზე (რადგან ამას დასჭირდებოდა მიზეზის ცნება, რომელიც ამგვარი დაკავშირების აუცილებლობას შეიცავს), არამედ მხოლოდ ის შეგვიძლია, რომ წარმოსახვის ძალის წესის შესაბამისად, მოვალოდეთ იმის მსგავს შემთხვევებს, რაც სხვა დროს გვქონა; მაგრამ ასეთი მოლოდინი ვერასოდეს ვერ იქნება უეჭველი, რა ხშირადაც უნდა მართლდებოდეს იგი. უფრო მეტიც: ჩვენ არ ძალგვიძნოთ რომელიმე ხდომილების შესახებ ვთქვათ: მას უთუოდ წინ უძლოდა რაღაც, რასაც იგი აუცილებლობა ით მოჰყვა; სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მას უთუოდ აქვს მიზეზი ეჭი იო; ამრიგად, რაგინდ ბევრი შემთხვევებიც არ უნდა ვიცოდეთ, როცა ამა და ამ ხდომილებას წინ ესა და ეს უძლოდა, ასე რომ, აქედან წესის გამოყვანაც კი შეგვიძლია, ეს ჯერ კიდევ არ გვაძლევს უფლებას, ვალიაროთ, რომ მუდამ და აუცილებლად ასე ხდება. მაშინ კანონიერი უფლება უნდა მიგვენიჭებინა ბრმა შემთხვევისათვის, სადაც გონების ყოველგვარი გამოყენება წყდება, რაც, თავის მხრივ, საფუძველს განუმტკიცებს და შეურყეველს ხდის სკეპტიციზმს ყოველივე იმის მიმართ, რაც შედეგებიდან მიზეზებისაკენ აღმავალ დასკვნებს შეეხება.

მათემატიკა ჯერ კიდევ ახერხებდა თავი დაეძვრინა სკეპტიციზმისაგან, ვინაიდნ იუმი თვლიდა, რომ მათემატიკის ჯველა დებულება ანალიზურია, ე. ი. აქ ერთი განსაზღვრულობიდან მეორეზე გადავდივართ იგივეობის ძალით, მაშასადამე,

წინააღმდეგობის შეუძლებლობის დებულების თანახმადაც (მაგრამ ეს აზრი მცდარია, ვნაიდან მათემატიკის დებულებები, პირიქით, ყველა სინთეზურია და, თუმცა, მაგალითად, გეომეტრიას საქმე აქვს არა საგანთა არსებობასთან, არამედ შესაძლო ჭვრეტაში მხოლოდ მათს აპრიორულ განსაზღვრულობასთან, მიუხედავად ამისა, იგი, სწორედ ისევე, როგორც მიზეზის ცნების გამოყენებისას ხდება ხოლმე, რომელიმე A განსაზღვრულობიდან გადადის მისგან საესებით განსხვავებულ B განსაზღვრულობაზე, როგორც ისეთზე, რომელიც, მიუხედავად ამისა, მასთან მაინც აუცილებლობით არის დაკავშირებული). მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, ეს თავისი აპოდიქტური უკველობით ესოდენ ნაქები მეცნიერებაც გარდუვალად უნდა დაემორჩილოს ე მ პ ი რ ი ზ მ ს იმავე მოსაზრებით, რა მოსაზრებითაც იუმმა მიზეზის ცნებაში ობიექტური აუცილებლობის ნაცვლად ჩვეულება ჩასვა; ამ მეცნიერებამ, მიუხედავად მთელი თავისი სიამაყისა, უნდა მოთოვოს თავისი თამაზი, a priori თანხმობის მომთხოვნი პრეტენზიები, და თავის დებულებთა საყოველთაო მნიშვნელადობის აღიარებას უნდა მოელოდეს იმ დამკვირვებელთა კეთილგანწყობისაგან, რომლებიც, ვითარეცა მოშენი, უყოყმანოდ იტყვიან, რომ ის, რასაც გეომეტრი პრინციპებად გვთავაზობს, მათ სწორედ მუდამ ამგვარად აღუქვამთ; მაშასადამე, თუნდაც ეს აუცილებლობით ასე არ იყოს, ყოველ შემთხვევაში, უფლებამოსილნი ვართ, ამას მომავალშიაც ამგვარად მოვცელოდეთ. ამრიგად, იუმის ემპარიზმს უკველად მიყვაგართ სკეპტიციზმამდე თვით მათემატიკის მიმართაც, მაშასადამე, სკეპტიციზმამდე გონების ყოველგვარ მ ე ც ნ ი ე რ უ ლ-თ ე ორიულ გამოყენებაში (ეს გამოყენება ხომ ან ფილოსოფიას ეხება, ან მათემატიკას). მე მსურს, ყოველმა ჩვენგანმა თავადვე განსაჯოს, უკეთესი მდგომარეობა გვაქვს თუ არა გონების მოარულ გამოყენებაში (ესოდენ საშინელი გადატრიალების შემდეგ, რაც თავს დაატყდა ცოდნის წამყვან დარგებს) და, პირუკუ, ხომ არ უნდა ვითიქროთ, რომ იგი გარდუვალად მოჰყვება ცოდნის ამგვარ სრულ ნგრევაში? მაშასადამე, ხომ არ გამომდინარეობს ხსნებული პრინციპებიდან ყოველი ის მოცული სკეპტიციზმი (რომელიც, რასაკვირველია, მხოლოდ მეცნიერებს განვირავს)?

რაც შეეხება ამ მხრივ ჩემს მაძიებლობას წმინდა გონების კრატიკაში, რომლის საბაბიც თუმცა იუმის სკეპტიკური მოძღვრება გახლდათ, მაგრამ რომელიც ბევრად უფრო შორს წავიდა და წმინდა თეორიული გონების მთელი სფერო მოიცავა მის სინთეზურ გამოყენებაში, მაშასადამე, ის სფეროც, რომელსაც მეტაფიზიკას უწოდებენ,—ამიტომ მე ასე განვსჯი შოტლანდიული ფილოსოფოსის ეჭვს მიზეზობრიობის ცნების თაობაზე; რავი იუმმა გამოცდილების საგნები თ ა ვ ი ს-თ ა ვ ა დ ნ ი ვ თ ე ბ ა დ ჩათვალა, იგი (როგორც ეს თითქმის ყოველთვის ხდება) საგსებით სწორად მოიქცა, როცა მიზეზის ცნება ცრუ და ყალბ ილუზიად გამოაცხადა; რადგან, როცა საქმე ეხება თავისთავად ნივთებსა და მათს განსაზღვრულობებს, როგორც ასეთებს, შეუძლებელია დავინახოთ, რატომაა, რომ თუ მოცემულია რაღაც A, მაშინ აუცილებლად უნდა მივიღოთ რაღაც სხვაც, B-ც; მაშასადამე, იუმის სრულიად ვერ დაუშვებდა თავისთავად ნივთებსა და მათს განსაზღვრულობებს. ამ მახვილი ჭიუის დამიანენს კიდევ უფრო ნაკლებად შეეძლო დაუშვა ხსნებული ცნების ემპირიული წარმოშობა, ვინარდინ ემპირიული წარმოშობა პირდაპირ ეწინააღმდეგება დაკავშირების იმ აუცილებლობას, რომელიც მიზეზობრიობის ცნების არს შეაღვენს; შესაბამისად ამისა, ეს ცნება გაძევებულიქნა და მის ადგილას ჩაისვა აღქმათნაკადზე დაკურვების ჩვევა.

მაგრამ ჩემი კვლევა-ძიებით გამოირკვა, რომ საგნები, რომლებსაც გამოცდილებაში ვეკვლებით, ოდენ მოვლენებია და არა ნივთები თავისთავად, და რომ თუმცა თავისთავად ნივთა შემთხვევაში სრულიად ვერ ამოვიცნობთ, უფრო მეტიც, შეუძლებელიცა დავინახოთ: როგორაა, რომ თუ მოცემულია A, მაშინ წ ინ ა ა ღმ დ ე გ ო ბ ა იქნებოდა, არ დავვეშვა B, რომელიც A-სგან სრულიად განსხვავებულია (ე. ი. არ გვერდიარებინა A-ს, ვითარცა მიზეზსა და B-ს, ვითარცა შედეგს შორის კავშირის აუცილებლობა), მაინც ძალიან კარგად შეგვიძლია ვიაზროთ, რომ ისინი, როგორც მოვლენები, რაღაც სახით (მაგალითად, დროისმიერი მიმართებების მხრივ) აუცილებლობით უნდა იყვნენ დაკავშირებულნი ერთ გამოცდილებაში, ხოლო მათი გათიშვა გამოიწვევს იმ კავშირის გამორიცხვას, რომლის მეოხებითაც შესაძლებელია ეს გამოცდილება; გამოცდილება კი ერთადერთია, სადაც ისინი საგნები არიან და შეიმეცნებიან ჩვენს მიერ. მართლაცდა, მე არა მარტო ის შევძელი. რომ დამესაბუთებინა მიზეზის ცნების ობიექტური რეალურობა გამოცდილების საგნებთან მიმართებაში, არამედ მოვახერხე მისი დ ე დ უ ც ი რ ე ბ ა ც, ვითარცა აპრილული ცნებისა, დაკავშირების იმ აუცილებლობის წყალობით, რომელსაც იგი შეიცავს; სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მე შევძელი დამემტკიცებინა მისი შესაძლებლობა წმინდა განსჯიღან ამოსვლით, ემპირიული წყაროების გარეშე, და, ამრიგად, უკუვაგდე რა მისი წარმოშობის ემპირიზმი, მასთან ერთად ამოვძირკვე ამგვარი ემპირიზმის გარდუგალი შედეგებიც, სახელდობრ, სკეპტიციზმი, ჯერ ბუნებისმეცნიერების მიმართ, შემდეგ კი—მათემატიკის მიმართაც (სადაც ემპირიზმს იგივე საფუძვლები აქვს), ე. ი. იმ ორი მეცნიერების მიმართ რომლებიც ეხებიან შესაძლო გამოცდილების საგნებს,—რითაც ამოვძირკვე ტოტალური ეჭვი ყოველივე იმის თაობაზე, რის წვდომასაც თეორიული გონება იჩემებს.

მაგრამ როგორაა მიზეზობრიობის ამ კატეგორიის მიყენების საქმე (და ასევე ყველა დანარჩენი კატეგორიებისაც, რადგან მათ გარეშე ვერ განხორციელდება არსებულის ვერავითარი შემცნება) იმ საგანთა მიმართ, რომლებიც არ არიან შესაძლო გამოცდილების ობიექტები, არამედ ამ გამოცდილების საზღვრებს სცილდებან? მე ხომ ამ ცნებათა ობიექტური რეალურობის დედუცირება შევძელი მხოლოდ შესაძლო გამოცდილების და შემთხვევაში გადავარჩინე, ვაჩვენე რა, რომ კატეგორიათა მეშვეობით შესაძლებელია ობიექტთა მოვლენა და თუმცირ შეუძლებელია ამ უკანასკნელთა აპრილული განსაზღვრა, — დიახ, სწორედ ეს გახლავთ ის, რაც მათ აღგილს უმკვიდრებს წმინდა განსჯაში, საიდანაც მყარდება მათი მიმართება საზოგადოდ ობიექტებთან (გრძნობადსა თუ არაგრძნობადთან). თუ აქ ჩამ გვაკლია, ეს არის საგნებისადმი ამ კატეგორიათა და, განსაკუთრებით, მიზეზობრიობის კატეგორიის მიყენების პრიმერი, სახელდობრ — ჭვრეტა; რადგან, სადაც ეს უკანასკნელი მოცემული არ არის, იქ შეუძლებელია კატეგორიათა გამოყენება საგნის, როგორც ნოუმენის, თეორიული შემცნების კრიტიკაში ითქვა) იგი სრულიად გვეკრძალება; მაგრამ (მიზეზობრიობის) ცნების ობიექტური რეალურობა მუდამეამს რჩება და იგი შეგვიძლია გამოვიყენოთ ნოუმენთა მიმართაც; ოლონდ, ამ შემთხვევაში, სრულიად მოკლებულნი ვიქნებით ამ ცნების

თეორიული განსაზღვრისა და ამის მეშვეობით რაიმე ცოდნის მოპოვების შესაძლებლობას. რადგან, ეს ცნება რომ სწორედ ობიექტთან მიმართებაში რა შეიცავს რაიმე შეუძლებელს, ეს დამტკიცებულ იქნა იმის მეოხებით, რომ მისთვის უზრუნველყოფილ იქნა ადგილი წმინდა განსჯაში გრძნობადი საგნებისადმი მისი ყოველგვარი მიყენების შემთხვევაში; და თუ ამის შემდეგ, თავისთავად ნივთებთან (რომლებიც ვერ იქნებიან გამოცდილების საგნები) მის დაკავშირებას მოვინდომებთ, თუმცა ამ ცნებას არ ძალუს, რომ თეორიული შემეცნების მიზნით გარკვეული საგნის წარმოდგენად განისაზღვროს, იგი რაღაც სხვა (ვთქვათ, პრაქტიკული) მიზნით მაინც მუდამ იქნებოდა განსაზღვრული, როგორც ამგვარი გამოყენების ქონე, რაც ვერ მოხდებოდა, მიზეზობრიბის ცნება რომ, როგორც იუმი ფიქრობს, ისეთ რასმე შეიცავდეს, რისი მოაზრებაც საერთოდ შეუძლებელია.

ნოუმენებისადმი ხსენებული ცნების მიყენების ეს პირობა რომ ვიპოვთ, საქმარისია გაგიხსენოთ, თუ რატომ არ ვჭერ დებით მის გამოყენებას გამოცდილების საგანთა მიმართ, არამედ გვსურს იგი მივუყენოთ თავისთავად ნივთებსაც; მყისვე დავინახავთ, რომ ეს აუცილებლობად გვიქცია არა თეორიულმა, არამედ პრაქტიკულმა მიზანმა. 55 სპეცულაციაში, თუნდაც ამ საქმეში წარმატებისთვისაც მიგველწია, ამით მაინც ჰქეშმარიტად ვერაფერს შევიძენდით ბუნების შემეცნების თვალსაზრისით, ან, საზოგადოდ, იმ საგნებთან მიმართებაში, რომლებიც შეიძლება რაიმენაირად გვეძლეოდეს; მაგრამ ერთი კია: გადავდგამდით დიდ ნაბიჯს გრძნობად-განპირობებულიდან (რომლის ფარგლებში დასარჩენადაც და მასში მდებარე მიზეზთა ჯაჭვის გულმოდგინედ გასავლელადაც დიდი ჯაფა გავწიოთ) ზე-გრძნობადისაკენ, რათა სრულგვეყო ჩვენი პრინციპითშემეცნება მისი საზღვრების დადგენითურთ, თუმცა კი, უსცკრული ამ საზღვრებსა და იმას შორის, რაც ჩვენ ვიცით, მუდამ ამოუსებელი დარჩებოდა, და ჩვენ უფრო ფუჭ ცნობის-მოყვარეობას ავყვებოდით, ვინემ საფუძვლიან ცნობისწადილს.

მაგრამ, გარდა იმ მიმართებისა, რომელსაც განსაზღვრულ შემეცნებაში (თეორიულ შემეცნებაში), იგი მიმართებაშია, აგრეთვე, ნდომის უნართან, რომელსაც ამის გამო ნება ეწოდება, ხოლო ამ უკანასკნელს წმინდა ნება ჰქვია, რამდენადაც წმინდა განსჯა (რომელსაც ამ შემთხვევაში გონება ეწოდება) პრაქტიკულია კანონის ოდენ წარმოდგენის მეოხებით. წმინდა ნების, ანუ რაც იგივეა, წმინდა პრაქტიკული გონების ობიექტური რეალურობა მორალურ კანონში ა priori გვეძლევა თითქოსდა იმ ფაქტის მეშვეობით, რომელიც შეიძლება დაერქვას ნების ისეთ განსაზღვრას, რომელიც გარდუვალია, თუმცა კი არ ემყარება ემპირიულ პრინციპებს. მაგრამ ნების ცნება უკვე შეიცავს მიზეზობის ცნებას, მაშასადამე, წმინდა ნების ცნება შეიცავს თავისუფლებისული კაუზალობის ცნებას, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ისეთს, რომელიც ვერ განისაზღვრება ბუნების კანონების მიხედვით და, მაშასადამე, შეუძლებელია მისი ემპირიული ჰქონება, როგორც მისი რეალურობის დამამტკიცებელი. მიუხედავად ამისა, თავის მიზეზობის რეალურობას იგი სავსებით ადასტურებს აპრიორულად წმინდა პრაქტიკულ კანონში, ორონდ (რაც კარგად მოჩანს) გონების არა თეორიული, არამედ მხოლოდ პრაქტიკული გამოყენებისათვის. თავისუფალი ნების მქონე არსების ცნება კი causa noumenon-ის ცნებაა. ხსენებული ცნება რომ თავის თავს არ ეწინააღმდეგება, ეს იმ ფაქტიდან მოჩანს, რომ მიზეზის ცნება, რომელიც

მთლიანად არის ამოზრდილი წმინდა განსჯიდან, როგორც ისეთი, რომელსაც, იმავედროულად, დედუქციის მიერ აქვს უზრუნველყოფილი თავისი ობიექტური რეალურობა საზოგადოდ საგნებთან მიმართებაში და, ამასთანავე, თავისი წარმოშობის მიხედვით, დამოუკიდებელია ყოველივე გრძნობადი პირობისაგან, მაშასადამე, თავისთავად შემოუსაზღვრავია ფენომენებით (გარდა იმ შემთხვევისა, თუ მოვისურვებდით მის გარკვეულ თეორიულ გამოყენებას), —უთუ-ოდ შეიძლება გამოყენებულ იქნეს საგანთა, როგორც წმინდა განსჯის ობიექტთა (Verstandeswesen) მიმართ. მაგრამ ვინაიდან ამგვარ გამოყენებას საფუძვლად ვერ დაედება ვერავითარი ჭრეტა, რადგან ჭრეტა მუდამ მხოლოდ გრძნობადი შეიძლება იყოს, ამიტომ *causa noumenon*-ის ცნება, გონების თეორიულ გამოყენებასთან მიმართებაში, თუმცა კი შესაძლებელი და მოაზრებადი ცნებაა, 56 მაგრამ ცარიელია. შესაბამისად, მე არც მოვითხოვ თეორიულ ვიცოდ ე რომელიმე არსების რაგვარობა, რამეთუ იგი წმინდა ნების მქონეა; ჩემთვის საქმარისია, ამის (ნების ქონის გამო) მეშვეობით მიმუთითო მასზე, როგორც ასეთზე, მაშასადამე, მიზეზობრიობის ცნება შევაერთო თავისუფლების ცნებასთან (და იმასთან, რაც მისგან განუყოფელია—მორალურ კანონთან, როგორც მის განმსაზღვრელ საფუძველთან); ამის ნება მე უეჭველად მაქვს მიზეზის ცნების წმინდა, არაემპირიული წარმოშობის გამოისობით, თუმცა კი ჩემს თავს უფლებამოსილად არ ვთვლი, იგი გამოვიყენ სხვა რაღაცის მიმართ, გარდა მარტო-ოდენ მორალური კანონისა, რომელიც განსაზღვრავს მის რეალურობას; სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მისი მხოლოდ პრაქტიკულად გამოყენების უფლება გამაჩინა.

მე რომ იუმთან ერთად უარმეყო მიზეზობრიობის ცნების ობიექტური რეალურობა თეორიულ<sup>3</sup> გამოყენებაში არა მარტო თავისთავადი ნივთების (ზეგრძნობადის) მიმართ, არამედ გრძნობადი საგნების მიმართაც, მაშინ იგი დაკარგვდა ყოველგვარ მნიშვნელობას და, როგორც თეორიულად შეუძლებელი ცნება, სრულებით უვარებისი გახდებოდა; მაშინ, რადგან არარას ვერაფრად ვერ გამოვიყენებთ, თეორიულ ვა მა კნის ცნების პრაქტიკული გამოყენებაც სრული უზრობა იქნებოდა. ემპირიულად განუპირობებელი მიზეზობრიობის ცნება თუმცა კი თეორიულად ცარიელია (შესაბამის ჭრეტას მოკლებულია), მაგრამ მაინც კიდევ შესაძლებელია და განსაზღვრელ ობიექტთან მიმართებაში მყოფია; სამაგიეროდ, მას (კუუზალობის ცნებას) მნიშვნელობა ენიჭება მორალურ კანონში, მაშასადამე, პრაქტიკული თვალსაზრისით. ამგვარად, თუმცა მე არ გამაჩინა ჭრეტა, რომელიც მას (მიზეზობრიობის ცნებას) განსაზღვრავდა მის ობიექტურ თეორიულ რეალურობას, მიუხედავდ ამისა, მას მაინც მოეპოვება ნამდვილი გამოყენება, რომელიც *in concreto* მოხანს ზრახვებსა და მაქსიმებში; სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ამ ცნებას მოეპოვება პრაქტიკული რეალურობა, რომლის ჩვენებაც შესაძლებელია; ეს კი საქმარისია მის დასაღასტურებლად თვით ნოუმენებთან მიმართებაშიაც.

მაგრამ წმინდა განსჯისეული ცნების ეს ობიექტური რეალურობა, რომელიც ერთხელ დავუშვით ზეგრძნობადის სფეროში, ამიერიდან ობიექტურ რეალურობას ანიჭებს ყველა სხვა კატეგორიებსაც, თუმცა მხოლოდ იმდენად, რამდენადც ისინი აუცილებელ კავშირში არიან წმინდა ნების განმსაზღვრელ საფუძველთან (მორალურ კანონთან); ეს რეალურობა სხვა არაფერია, თუ არ მხოლოდ პრაქტიკული გამოყენების რეალურობა, რომელიც ვერა-

რად ვერ გვიფართოებს ამ საგნების თეორიულ შემეცნებას, ანუ წმინდა გონების მეშვეობით ამ საგანთა ბუნების ცოდნას. შემდევში დავინახავთ, რომ ეს კატეგორიები კავშირშია მხოლოდ მოაზროვნე არ ს ე ბ ე ბ თ ა ნ (Intelligenz), და ამათშიაც—მხოლოდ გონებისა და ნების მიმართებასთან, ე. ი.

- 57 კავშირშია მარტოოდენ პრაქტიკული სფეროსთან, რომლის იქითაც ისინი არავთარ ცოდნას არ იჩემებენ; მაგრამ ასეთ ზეგრძნობად საგანთა თეორიულად წარმოდგენის სხვა რა თვისებებსაც არ უნდა მოვუხმოთ ამ კატეგორიებთან დასაკავშირებლად, ვერც ერთი მათგანი ვერ მიეკუთხნება ცოდნას, არამედ—მხოლოდ უფლებამოსილებას (პრაქტიკული თვალსაზრისით, აუცილებლობასაც), რომ ისინი ვალიაროთ და წანამძღვრად დაუუშვათ თვით იქაც კი, სადაც ჩვენ უუშვებთ ზეგრძნობად არსებებს (როგორიცაა ღმერთი) ანალოგიის მიხედვით, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, წმინდა გონებისმიერი მიმართების მიხედვით, რომელსაც პრაქტიკულად ვიყენებთ გრძნობად არსებათა მიმართ; ამგვარად, ზეგრძნობადისადმი მიყენება მხოლოდ პრაქტიკული თვალსაზრისით წმინდა თეორიულ გონებას ოდნავადაც არ უწყობს ხელს, ინაგარდოს საზღვრებს მიღმა.

(გაგრძელება იქნება)

#### მთარგმნელის შენიშვნები

1. კანტს აქ მხედველობაში აქვს თავისი გამოკლევა — „ზნეობის მეტაფიზიკის დაფუძნება“. ქართული თარგმანი იხ.: უწრნ. „მაცნე“, ფულოსოფიისა და ფიზიოლოგიის სერია, 1980. № 1, 2, 3, 4.
2. კანტის გავებით, იმანენტურია ის, რაც მკაცრადა მოქცეული გამოცდილების საზღვრებში, ხოლო ტრანსცენტურია ის, რასაც პრეტენზია აქვს გასცდეს მდ საზღვრებს.
3. გერმანულ ტექსტში, რომლის რედაქციაც პაულ ნატორშის ეკუთვნის, წერია: „პრაქტიკულ გამოყენებაში“. ასევე იმ ტექსტში, რომელიც კანტის სიცოცხლეში გამოიცა. რუსული თარგმანი აქ მისდევს კარლ ფორლენდერის შესწორებას: „თეორიულ გამოყენებაში“. ინგლისურ თარგმანშიაც „პრაქტიკული“ შეცვლილია „თეორიულით“ (იხ. Kant's Critique of Practical Reason, თარგმ. Thomas Kingsmill Abbott-ისა. London, New York-Toronto, 1909, გვ. 146).

## პროცესა საყურადღებოდ

შურნალში გამოხატვებელი მასალა წარმოდგენილი უნდა იყოს ორ ცალად, ქართულ ან რუსულ ენაზე. ქართულ ტექსტს უნდა ახლდეს რუსული რეზიუმე არა უმეტეს მანქანაზე დაბეჭდილი ერთი გვერდისა. წერილის მოცულობა, რეზიუმეს ჩათვლით, არ უნდა აღემატებოდეს ერთ საავტორო თაბახს (40 ათასი ასო ნიშანი); დაბეჭდილი უნდა იყოს სტანდარტის დაცვით.

წერილში გამოყენებული ნაშრომების სია დაერთის ბოლოს, ტექსტში კი მიეთითოს რიგითი წომერი კუთხივან ფრჩხილებში. აკტორისეული შენიშვნები მიეთითება გვერდების მიხედვით.

სარედაქციო კოლეგია ნაშრომებს მიიღებს მეცნიერებათა აკადემიის შესაბამისი დაწესებულებების ან ამ დარგის აკადემიის ნამდვილი წევრებისა და წევრ-კორესპონდენტების წარდგინებით.

ჩვენი მისამართია: 380008, თბილისი 8, რუსთაველის 29,  
 საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის

ფილოსოფიის ინსტიტუტი  
 (შურნალ „მაცნესათვის“)

სარედაქციო კოლეგია



6 34/179

ගුණ 85 ගාස.

නිලධාරී

76195